

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

ლელა ახალაია

ქალთა სახეები
კონსტანტინე გამსახურდიას
შემოქმედებაში

თბილისი
„მეცნიერება“
1996

83.3 Гр

894. 631. 09

ა 981

ლ. ახალაიას წინამდებარე ნაშრომში განხილულია უახლესი ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის — კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების გარკვეული ასპექტი, კერძოდ, წარმოდგენილია ქალის ხატების ადგილი და მნიშვნელობა ბელეტრისტიკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ავტორი მწერლის შემოქმედების შესწავლის საფუძველზე აანალიზებს მოცემული საკითხის აქტუალობას ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

წიგნი განკუთვნილია ლიტერატურის სპეციალისტების, სტუდენტების, აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
შოთა აგლაძე

რეცენზენტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
ინგა მილორავა

შეშავალი

ძნელია წერო კონსტანტინე გამსახურდიაზე, დიდებულ მწერალზე, საოცარ შემოქმედზე. ალბათ არც ერთ პროზაიკოსს ისე არ გაუგია ტკბილ-ქართული სიტყვის სიდიადე, როგორც მას; არავინ მიმხვდარა, თუ რა ძალა შესწევს ქართულ სიტყვას, რომლის სათავე შორეულ საუკუნეებში იკარგება კითხულობ კ გამსახურდიას რომანებს და გაოცებს მათი სილამაზე. ნუთუ შეეძლო ვინმეს ასე ერთბაშად სანთელივით ჩამოესხა უმდიდრესი მშობლიური ენის სიმშვენიერე, თავი მოეყარა და მარგალიტებად აესხა ხალხური სიბრძნის ის მარცვლები, რაც ოდითგანვე მოსდგამს ქართველი კაცის მეტყველებას და უხვადაა ქართულ ფოლკლორში. ამიტომაცაა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ნებისმიერ ქმნილებაში იგრძნობა მშობლიური მიწის სუნთქვა, მიწისა, რომელმაც ასეთი დიდი შემოქმედი შვა ტყუილად როდი უწოდებენ მას პოეტური პროზის ოსტატს, მთელს მის შემოქმედებაში ხომ პოეტური სული ტრიალებს. ეს გასაკვირიც არაა, რადგან კ გამსახურდია სამწერლო ასპარეზზე კ აბაშისპირელის ფსევდონიმით დაწერილი ლექსების ავტორად მოგვევლინა, რამაც ღრმა კვალი დატოვა მის შემოქმედებაზე და თავისებური სილამაზე მისცა მწერლის ენასა და სტილს.

პოეზიაში — გალაკტიონ ტაბიძე, პროზაში — კონსტანტინე გამსახურდია — ეს ორი ტიტანი მხატვრული სიტყვის სხვა ოსტატებთან ერთად მარად დაამწვენებს XX საუკუნის ქართულ ლიტერატურას. მალე მიიწურება ეს ასწლეულიც, სადაც უდიდესი გარდაქმნებით, ბოზოქარი მოვლენებითა და დაუფერებელი მიღწევებით მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურულ ასპარეზზე ბევრი პოეტი თუ პროზაიკოსი მოღვაწეობს, მხატვრულ აზროვნებაში გვირგვინის მფლობელად ეს ორი შემოქმედი რჩება დღემდე. მათ ღირსეულად ეწოდათ ქართული სიტყვის მესაიდუმლე.

როგორც სალიტერატურო კრიტიკაში სამართლიანად აღნიშნავენ, კ გამსახურდიამ სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული ბელეტრისტიკა ენციკლოპედიური განათლებისა და დიდი ნიჭიერების მქონე მწერალმა შეძლო, თავისი ნაწარმოებებით კიდევ უფრო გაემდიდრებინა მშობლიური ლიტერატურა.

კონსტანტინე გამსახურდიას აქვს თავისი მხატვრული მანერა წერისა. იგი არის მწერალი მძაფრი თემებისა და სიუჟეტებისა, რომელთაც ყოველთვის წყვეტს ორიგინალურად, მაღალ ესთეტიკურ ფორმებში. კონსტანტინე გამსახურდია ეკუთვნის იმ მწერალთა რიცხვს, რომლებიც მხატვრულ ლიტერატურაში არ მიდიან სხვების მიერ გატკეპნილი გზით¹.

მართლაც, კ. გამსახურდიას დამოუკიდებელი მიმართულება ჰქონდა, არავის ბაძავდა, სულ უფრო ავითარებდა და ხვეწდა თავის ოსტატობას.

1. რადიანი შ, თანამედროვენი, თბ., 1965 წ., გვ. 213-214.

მისმა კალამმა შეძლო, გაეერთიანებინა ძველი და ახალი ქართული ენის ლექსიკური მარაგი და ჩამოეყალიბებინა საკუთარი სტილი, რომელიც განირჩევა ყველა მწერლის ხელწერისაგან. საოცარია ცოდნა ენობრივი ფორმების მრავალფეროვნებისა, რისი ერთერთი მთავარი წყარო ხალხურ შემოქმედებასა და დიალექტებთან უშუალო სიახლოვეში უნდა ვეძებოთ. ამიტომაც არის, რომ ოდნავი მსგავსებაც კი ამ დილოსტატის წერის მანერასთან უცებ შესაძინევია. კონსტანტინე გამსახურდიას დიდმა მონდომებამ აღადგინა და მეტყველებას დაუბრუნა ბევრი მივიწყებული სიტყვა, ქართული ენა გაამდიდრა ლამაზი ხატოვანი თქმებითა და პოეტური შედარებებით.

კონსტანტინე გამსახურდიამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა თანამედროვე ქართული რომანის შექმნასა და დაფუძნებაში. მანამდე კი მწერალმა მხატვრულ ფორმათა ძიების თვალსაზრისით ძალზე საინტერესო გზა განვლო „მან შეატყო ქართულ პროზას ლირიკასთან წილნაყარობა, ხომ სწორედ ეროვნულ და ინტერნაციონალურ მიღწევათა შერწყმით შეიქმნა მისი პოეტური პროზა, რამაც ქართულ პროზას ჩამოაცილა პროვინციულობა და დაიწყო მისი გათანადროულობის, მოდერნიზების პროცესი“¹

მწერალი, ისტორიული რომანის შექმნის საწყისებთან რომ იდგა, აღნიშნავდა „ეს დიდი ხნის ოცნება ჩემი ქართული ქრონიკების კრებულს გვერდში ამოვუყენო რომანების სერია, რომელსაც თავის დროზე ვუწოდებ „ქართლის ცხოვრებას“- რომანი უძლიერესი და ყველაზე უფრო ტევადი ჟანრია“²

მართლაც, კონსტანტინე გამსახურდიას ბელეტრისტულმა ნაწარმოებებმა ლირსეულად დაუშვეფნეს გვერდი საქართველოს მატინეს მწერალმა ბრწყინვალედ გაართვა თავი მის წინაშე მდგარ ამოცანას და მიზანს მიაღწია, თუმცა რომანების იმ სერიიდან ბევრი დაუწერელი დარჩა დიდი ეროვნული საქმის დასამთავრებლად ერთი ადამიანის სიცოცხლე არასოდეს კმარა. ასე იყო ყველგან, ყველა ეპოქაში და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. თუმცა მაინც „მწერალმა ტიტანური შრომა გასწია საქართველოს ისტორიის ბელეტრიზაციისათვის და რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, მან თავისი ფანტაზიის ძალით არა მარტო შეავსო ის ხარვეზები, რომლებიც ბუნებრივად გვხვდება ძველ ქრონიკებში, არამედ შეძლო უფრო მეტიც ხსენებულ ქრონიკებზე, უმდიდრეს ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით მწერალმა ხელახლა გააცოცხლა ისტორია“³

კონსტანტინე გამსახურდიამ ახლებურად გადაჭრა ისტორიული რომანის შექმნის პრობლემა, შეძლო წარსულის გაუხუნარი სურათები დაეკავშირებინა

1. სიგუი ს, ეპოქა და სტილის პრობლემა, თბ., 1976 წ., გვ.180.

2. გამსახურდია კ, რჩეული თხზულებანი, რეიტომეული, ტ III, თბ., 1960 წ., გვ. 716.

3. შუმანია ე, კონსტანტინე გამსახურდიას სამწერლო გზა, თბ., 1970 წ., გვ. 115.

თანამედროვეობასთან, გამოემუშავებინა თავისებური, ორიგინალური კონცეფცია. მის მიერ დაყენებული საკითხები დღესაც ინარჩუნებენ ცხოველყოფილობას. იგივე შეიძლება ითქვას ნოველებსა და ესეებზეც. გარდა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენისა“ და „დავით აღმაშენებლისა“, თავისებური მიზიდველობით არის დაწერილი „მთვარის მოტაცება“, „დიონისოს ღიმილი“ და „ვაზის ყვავილობა“. ეს რომანები მწერლის თანადროული ცხოვრების ასახვაა, თითოეული მათგანი თავისი ეპოქის სულით არის გაჟღენთილი, ამიტომაც უფრო მეტი სიცხადით წარმოდგებიან ჩვენს წინაშე გმირები, უფრო დამაჯერებელია მათი მეტყველება და ჩანს, რომ ყოველ მათგანს ავტორი კარგად იცნობდა როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებაში, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი სამყაროთი. მათთან დაკავშირებული ამა თუ იმ ფაქტის ასახსნელად შეგვიძლია თვით ავტორის ბიოგრაფიაც გამოვიყენოთ. ეს რომანებიც ისტორიულ უკვე ჩვენთვის და ისინიც გვერდით უდგანან იმ მხატვრულ ტილოებს, რომლებმაც ნათლად დაგვანახეს ძველი საქართველოს გარდასულ საუკუნეთა სურათები.

„დიონისოს ღიმილში“, „მთვარის მოტაცებასა“ და „ვაზის ყვავილობაში“ გარდა მწერლის ჩვეული მანერისა, თხრობაში იგრძნობა თავისებური სიჩქარე, მოვლენათა განვითარების სისწრაფე, რაც დამახასიათებელი იყო მაშინდელი ცხოვრებისათვის. მათში უხვადაა რომანტიკული და ექსპრესიონისტული სურათები (განსაკუთრების „დიონისოს ღიმილში“), რაც უფრო მეტ მიზიდველობას ანიჭებს მათ.

და ბოლოს, რაც მთავარია კონსტანტინე გამსახურდიას რომანებისათვის, ეს არის თხრობის ნოველისტური მანერა; მიუხედავად იმისა, რომ ყველა რომანი სქელტანიანია, მაინც ჩანს თხრობაში ერთგვარი ლაკონურობა, გვხვდება იმგვარი ფრაზები, რაც მკითხველს აიძულებს, ჩაფიქრდეს და დაინახოს ის, რაც სიტყვებს მიღმა დარჩა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს რომანებისა და ნოველების შინაგან თავისებურ კავშირს.

საინტერესოა კონსტანტინე გამსახურდიას გმირთა გალერეა ყოველ პერსონაჟს გულმოდგინედ აქანდაკებს ავტორი. თითოეულს, განურჩევლად ეპოქისა, თან ახლავს იერი XX საუკუნისა, მწერლის თანამედროვეობისა. ისინი თითქოსდა მოულოდნელად ჩნდებიან და თხრობის დინებას ნაკადულებივით უერთდებიან. ყოველ მათგანს თავისი ადგილი და როლი აქვს მიჩნეული ნაწარმოებში, არც ერთი არ იწვევს ზედმეტობის შეგრძნებას. მრავალნაირი პოეტური ხერხითაა სავსე გმირის გარეგნობის ყოველი წვრილმანი, დიდი გულისყურითაა შესრულებული ყოველი შტრიხი, ყოველი დეტალი. მოქნილი დიალოგებითა თუ მონოლოგებით, ხატოვანი, ყოვლისმომცველი მოკლე დახასიათებებით იკვეთება ჩვენს წინაშე მათი სახეები, რომელთაც ნაწარმოების ბოლოს დასრულებული სახე ეძლევათ. არც ერთი მათგანი არა ჰგავს ერთმანეთს. ისინი გამოირჩევიან დამოუკიდებლობითა და თავისებური

ბასიათით გმირები დაბატული არიან ცხოვრების ყოველგვარ მომენტში, არა მარტო სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ ასპარეზზე წარმოგვიდგებიან, არამედ უბრალო ადამიანურ, ოჯახურ ურთიერთობებშიც; უხვად წარმოგვიჩენენ თავიანთ შინაგან სამყაროს, განცდებს, ტკივილებსა თუ სიბარულს.

განსაკუთრებით ნაზი ფერებით ხატავს კონსტანტინე გამსახურდია ქალთა სახეებს საერთოდ, დედაკაცის ხატება ქართული ლიტერატურისათვის არასოდეს ყოფილა უცხო. ამ მხრივ მას დიდი ისტორიული ტრადიციები აქვს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ქართული ლიტერატურის პირველი ძეგლი — იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ — უძველესი ნაწარმოები, დაიწერა ქალზე — ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის თავდადებულ მარტვილზე. აქ თავიდან ბოლომდე მთელი სისრულითაა ნაჩვენები ამ გმირის სახე სახე და ბასიათი, რომელიც აერთიანებს ნამდვილი ქრისტიანი დედაკაცის თითქმის ყველა დადებით თვისებას. მას შემდეგ თითქმის ყველა ნაწარმოებში, სასულიეროსა თუ საერაში, თარგმნისა თუ ორიგინალურში, ყოველთვის ფიგურირებდა ამალებული, კდემამოსილი მანდილოსნის ხატება, რამაც უმაღლეს განვითარებას შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მიაღწია.

ქართულ მწერლობაში ძველთაგანვე ქალები უმეტესად დადებითი მხრიდანაა ნაჩვენები, რადგან ქართველები ოდითგანვე პატივს სცემდნენ მანდილოსნებს, მათში აერთიანებდნენ სიკეთის, სილამაზის, სინაზისა და თავდადების საწყისებს. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ საქართველო ღვთისმშობლის (ქალის) წილხედომილად იყო აღიარებული, ქრისტიანობაც ნინო კაბადოკიელმა შემოიტანა ქალის თმით შეკრული ვაზის ჭვრით, დიდხანს მძლავრობდა მატრიარქალური ტრადიციებიც, დიდი ღვაწლი მიუძღვით თამარ მეფეს, ქეთევან წამებულს და სხვა მანდილოსნებს, რომლებიც სამუდამოდ შემორჩნენ ხალხის სწავნას. ქართველი ქალი ყოველთვის იყო სიწმინდის, სინატიფის, სისპეტაკისა და კდემამოსილების სიმბოლო. მოგვიანებით კი, როცა ლიტერატურაში უფრო და უფრო მომძლავრდა რეალისტური ნაკადი, მწერლობაში გაიელვეს უარყოფითმა პერსონაჟმა ქალებმაც რეალიზმმა ხელოვნებაში შემოიყვანა ნამდვილი ცხოვრებისეული ტიპები და მთელი რიგ მწერალთა ნაწარმოებებში გამოხატულება პოვა მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა ყოველგვარმა თვისებებმა.

კონსტანტინე გამსახურდიასაც არ უღალატნია ტრადიციისათვის. მის მიერ დაბატული ქალები სამართლიანად იმკვიდრებენ ადგილს იმ ბრწყინვალე თანავარსკვლავედში, სადაც თავიანთი სიღაღით გამოირჩევიან შუშანიკი, წმინდა ნინო, თინათინი, ნესტანი, ასმათი, ქეთევანი და სხვები.

მწერალი ქართველი თუ უცხო ტომის წარმომადგენელ ქალთა ტიპების ბასიათებისა და ფსიქიკის ღრმა ანალიზს ახდენს, უშუალოდ სწვდება მათ შინაგან სამყაროს. კონსტანტინე გამსახურდია თან სდევს მის მიერ შექმნილ მანდილოსანთა სახეებს, აანალიზებს ყოველ მოქმედებას, ზუსტად

გადმოგვცემს მათ სულიერ სამყაროს. მწერლის შემოქმედების ქალები არ ხასიათდებიან ან მხოლოდ კარგი, ან მხოლოდ ცუდი თვისებებით. ისინი არ არიან არც მთლიანად დადებითი და არც მთლიანად უარყოფითი პერსონაჟები. ყოველი მათგანი დანახულია ცხოვრებისეული თვალთ და იმის გათვალისწინებით, რომ იდეალური ადამიანები და არც აბსოლუტურად უარყოფითი ხასიათები არ არსებობენ. ამიტომაც ავტორის მიერ გამოგონილი სახეებიც იმდენად რეალურია, რომ მკითხველი ვერც კი ამჩნევს მათ არაისტორიულობას.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში გამოყვანილი მთავარი მოქმედი გმირი ქალები ღირსეული მემკვიდრენი არიან ლიტერატურაში ასახული ნამდვილი ქართველი ქალებისა, მაგრამ უფრო მეტად ეს სათნო, ლამაზი მანდილოსნები მოგვაგონებენ ქართულ ფოლკლორში დამკვიდრებულ სახეებს. მკითხველი, რომელიც კარგად იცნობს ჩვენს ზეპირსიტყვიერებას, შორენაში, დედისიმედში, გვანცაში, მარიამში, თამარში, ჭენეტსა თუ სხვებში ამოიცნობს ხალხური ეთერის, ნადირობის ქალღმერთ დალის, ულაშაზესი ალისა თუ ამორქალის შტრიხებს. უნებურად გვაგონდება ქართულ ხალხურ ზღაპრებში, ლეგენდებსა და მითებში გაბნეული ქალთა სახეები, საშობლობათვის თავდადებული ვაჟკაცი მანდილოსნები და უცხოეთში გაყიდული ქართველი მზეთუნახავები, რომლებიც მრავლად შემოუნახავს ისტორიასა თუ ხალხის სიოვნას.

კ. გამსახურდია მეტად მრავალფეროვანი მწერალია, რომლის შემოქმედებით ლაბორატორიაში წვდომა ძალზე ძნელია. ამ მხრივ აღსანიშნავია ბ-ნ სოსო სიგუას მართლაც ფასდაუდებელი შრომა კ. გამსახურდიას შემოქმედების კვლევაში. მისმა წიგნებმა გარკვეული დახმარება გაგიწიეს ამ დიდ მწერალზე დამოუკიდებელი, ჩვენეული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. თუმცა ცალკე ნაშრომის სახით ქალთა სახეები კ. გამსახურდიას შემოქმედებაში აქამდე არ ჩამოყალიბებულა, ამ საკითხით ქართველ ლიტერატურისმცოდნეთა დაინტერესება შესაძინებია ნაწარმოებების განხილვისას სხვა გმირებისა და საინტერესო პრობლემების გვერდით ღირსეული ადგილი მშვენიერთა სქესის წარმომადგენლებსაც უპოვიათ ხშირად. ამჟერადაც ბ-ნი სოსო სიგუა უნდა დავასახელოთ, რომელმაც წიგნში — „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“, გამოჰყო მწერლის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, იდეები, მოტივები, გაანალიზა მისი პროზის ინდივიდუალური მხატვრული სტრუქტურა სხვა გმირებთან მიმართებაში ქალთა სახეებიც განიხილა.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ცალკეული ეტაპები გამოიკვლია მ. აბულაძემ „ილიოსტატის მარჯენის“ იდეური არსი, მხატვრული მეთოდი, ჟანრის, კომპოზიციის, ენის საკითხები გააშუქა თ. კიკაბიშვილმა. მწერლის შემოქმედება სხვადასხვა ასპექტით მიმოიხილეს ტ. კვანჭილაშვილმა, შ. რადიანმა, ს. ქილაიამ, გ. მერკვილაძემ, შ. ჩიჩუამ და სხვებმა ხალხურ

შემოქმედებასთან მისი მიმართება კარგად აქვს განხილული ა. ცანავას ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები ეკუთვნით ა. თაფურიას, გ. ჯიბუტს. მეტად საინტერესოა ბ. ჯორბენაძის გამოკვლევა, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას ენის სტრუქტურას ეხება. ნაშრომში მეტად ორიგინალური მოსაზრებებია გამოთქმული პერსონაჟისა და მწერლის მეტყველებაზე. კ. გამსახურდიას ენის გრამატიკული ნორმები მიმოხილული აქვს ნ. ლემონ-ჯავასაც.

კონსტანტინე გამსახურდიასთვის სათანადო შეფასება მიუკითხა ქართული ლიტერატურის ცნობილ მკვლევარებმა ს. ცაიშვილს, ლ. კალანდაძეს, ჟ. შუშანიას, გ. ასათიანს, ელ. მალრაძეს.

მიმოიხილავს რა ისტორიული რომანის პრობლემებს, წიგნში „ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები“, გ. კანკავა მეტად საინტერესოდ მსჯელობს კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაზე“. აქ გამოყვანილი პერსონაჟებიდან ქალია მხოლოდ შორენა, რომელსაც მკვლევარი „გაიდელეზულ“ სახედ წარმოგვიდგენს და აღნიშნავს, რომ „ჰოლონკელიძის მშვენიერი ასული თავისი ქალურობით და კდემამოსილებით, სულიერი სიმტკიცითა და ერთგულებით — სიყვარულის ამღვლელები რუსთველური გაგების განსაზღვრებაა.“ მისი მხატვრული სახე შინაგანი დრამატიზმით ერწყმის რომანის წამყვან თემას.¹

თარაშ ემხვარის ქალებთან მიმართებაზე საუბრობს კობა იმედაშვილი „შრომაში: ადამიანი ისტორიის გზასაყარზე“. მკვლევარი მთავარი გმირის გვერდით აყენებს ელენე რონსერს, თამარ შერვაშიძესა და ლამარიას და გვიჩვენებს მისი სიყვარულის მერყეობას, როცა „არც ერთი ქალი არ აკმაყოფილებდა, ეძებდა იდეალს.“²

ქალის სილამაზეზე მწერლის საინტერესო მოსაზრებები წარმოგვიდგინა ელ. მალრაძემ „შრომაში გულითა მართლით“. მეცნიერი ცხადად წარმოგვიდგენს კონსტანტინე გამსახურდიას თვალსაზრისს, როცა საკითხი მშვენიერებით ადამიანის სულის ამღვლეებასა და ტკბობას ეხება. მწერალს დიდ აღმადგენას პავრის ბუნების ყველაზე უმშვენიერესი ქმნილება — ადამიანი — სულ ერთია ქალი თუ კაცი. „უნდა გამოვტყდე და გითხრა, გრძნეულ ხელოვანთა მარმარილოსაგან ნაქანდაკარ და სახელგანთქმულ ფერწერის ოსტატთა კალმით ნახატ ულამაზეს, უკვდავ არსებათ მე უბრალო მოკვდავი ტურფა ასულნი მერჩივნა და ახლაც იმათ ვამჯობინებ“, — უთქვამს მწერალს და ის არ იზიარებს ბარათაშვილის აზრს, რომ „სილამაზეა მხოლოდ ნიჭი ხორციელების და ვითყვავილი თავის დროზე ადრე დასკვნების“. „სილამაზეა მარადიული აღფრფოვანების და აღტყინების, ზეშთაგონებისა და შეფრფინების, აღმადგენისა და ცად ასვლის სურვილის ფრთების შემსხმელი. ამისი

1. გ. კანკავა, ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები, თბ., 1969 წ., გვ. 55.

2. კ. იმედაშვილი, 30 წლის შემდეგ, თბ., 1977 წ. გვ. 30.

დავიწყება არ ეგების და ამას ხორცი იწვევს, თუ სული, ჭერაც არავის დაუდგენია ქვეყნად“. ასეთია დიდოსტატის აზრი, რადგან მართლაც, ბუნებაა ყველაზე დიდი შემოქმედი და ოსტატი და ვერც ერთი ხელოვანი ვერ შეეჭიბრება მას. ჩვენი მიზანიც ის იყო, გვეჩვენებინა, როგორ შეძლო კონსტანტინე გამსახურდიამ, დაეხატა ხატი ღვთის მიერ შექმნილი სილამაზისა, უმაღლესი პარმონიისა — ჭალისა, რომელიც თავად არის სათავე და წარმოშობი ღვთიური მშვენიერებისა.

კონკრეტულ შემთხვევაში არ მიმოვიხილავთ ამა თუ იმ კრიტიკოსისა თუ მკვლევარის ნააზრევს, რადგან ყოველ ადამიანს საკუთარი ქეშმარიტება გააჩნია, ყოველ მათგანს დამოუკიდებელი თვალსაზრისი, მსოფლმხედველობა და შეფასების კრიტერიუმი აქვს. ისინი ამა თუ იმ საზოგადოების, ეპოქისა თუ თაობის წარმომადგენლები არიან და საკუთარი პოზიციიდან უყურებენ მწერლის შემოქმედებას. ყოველი ნააზრევის მიღმა სრულყოფილი ავტორიტეტული პიროვნება დგას და არავის აქვს უფლება შეაცვლევინოს ვინმეს პიროვნული თვალთახედვა მკითხველი, ვინც დაინტერესდება მწერლითაც და კრიტიკოსითაც, საკუთარ თვალსაზრისს ჩამოაყალიბებს და თავად გამოიტანს დასკვნას, სად არის ქეშმარიტება, სად — შეცდომა კრიტიკოსის კრიტიკოსიც არასოდეს დაიღვეა.

თავი პირველი

ქალთა სახეები ისტორიულ რომანებში „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“

სწორუბოვარი ოსტატობით გააცოცხლა გარდასული სახეები კონსტანტინე გამსახურდიამ რომანში „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, სადაც მწერალი წარმოგვიდგება, როგორც ისტორიული რეალიზმისა და შუასაუკუნეობრივი კულტურის ბრწყინვალე მცოდნე. რომანში ასახულია ერთი მონაკვეთი საქართველოს წარსულისა - X საუკუნის მიწურული და XI საუკუნის დასაწყისის დახლართული ისტორიული ვითარება. აქ საოცარი ოსტატობითაა გაცოცხლებული წინააღმდეგ იმ ბრწყინვალე ეპოქისა, რომელსაც შემდეგ ქართველმა ხალხმა „ოქროს ხანა“ უწოდა.

რომანში კონსტანტინე გამსახურდიამ გვიჩვენა მაშინ არსებული ყველა წრისა და ფენის წარმომადგენელი ქალის სახე, დაწყებული ულამაზესი ერისთავის ასულით და დამთავრებული მაზინჯი უთვისტომო თებრონიათი. თავისებური ოსტატობითაა გამოყვანილი დედოფალი და მხევალი, უბრალო გლეხის დიაცი და თავადაზნაურთა ქალები; მიუხედავად სოციალური მდგომარეობისა, არც ერთი მათგანი არ არის დამოუკიდებელი, მათ ბედს სხვები განაგებენ და ეს იმ ეპოქის კანონზომიერება იყო, რომლის წინააღმდეგ პირველმა შორენამ გაილაშქრა და ამ ბრძოლას შეეწირა კიდეც.

ნაწარმოების ყველა გმირ ქალს თავისი ცხოვრების გზა აქვს, თითქოსდა წინასწარ განსაზღვრა მათი ბედი „არსთაგამრიგეშ“, ამიტომაც ეუბნება კონსტანტინე არსაკიძე შორენას: „ასეა, ჩემო, ურმით დადის ბედისწერა ამქვეყნად, რაც უნდა ჩქარა ირბინო, მაინც წამოგეწევა ბოლოს“.

რომანის საინტერესო სახეა შორენა, ერთ-ერთი მთავარი გმირი. მისი სახით ხორცშესხმულია ქალის მთელი ფიზიკური სილამაზე და მომხიბვლელობა. მას ყველაზე მეტი ყურადღება ეთმობა. იგი ყოველთვის მთავარ მოვლენათა ცენტრშია.

პირშევენიერი შორენა კვეტარის ერისთავის — თალაგვა კოლონკელოძის მხოლოდშობილი ასულია, რომელიც აკვანშივე დაუნიშნავს მამამზე ერისთავის ვაჟს — ქიბერს. მისი ცხოვრება ისე

წარმართა, რომ ფუფუნებაში გაზრდილი ულამაზესი ქალის ბედი თავიდანვე დამოკიდებული იყო ჯერ მშობლებზე, შემდეგ კი გიორგი მეფეზე. ბედნიერებაზე მეოცნებე ამ ადამიანის ცხოვრება უკუდმართმა ბედმა და ბობოქარმა საუკუნემ სულ სხვაგვარად წარმართა.

ღვთაებრივი სილამაზით იყო შემკული შორენა. მის ნატიფ სახეს ტირილიც კი შეენოდა. პირველად მცხეთობას ნახა მეფემ და ისეთი ძლიერი იყო აღფრთოვანება, რომ „საესებით გადავიწყდა, რომ მეფე იყო და თავდაქერა მართებდა“. მერე კი ჭიაბერის დაკრძალვაზე მოხიბლა გიორგი მგლოვიარე შორენამ, სადაც თურმე ბევრს არ ენახა „შორენასავით ლამაზი სასძლო“. გაოცდა მეფე, „მას არასოდეს ენახა ძაძას, მწუხარებას და უბრალო სამოსს ასე გაემშვენირებინა ქალი“ და როცა კვეთარის ციხეში პურობაზე მჯდარს ღვინო მიართვა კოლონკელიძის ქალმა, „ნუშის გულივით თეთრ ხელებს დაჰხედა, ასეთი ხელებით მორთმეული საწამლავეც საამური იქნებო ალბათ“, გაიფიქრა. უდიდეს ბედნიერებას გრძნობდა მის სიახლოვეს გიორგი — ადამიანი, რომელსაც აქამდე არასოდეს ღირსებია წრფელი სიყვარული.

საოცარი ეპითეტებითა და შედარებებით ახასიათებს კონსტანტინე გამსახურდია თავის საყვარელ გმირს. მკითხველის წინაშე ლამაზ ფერებში იხატება შორენას გარეგნობა, სიტყვებით იქარგება ფაქიზი ნორჩი ქალი, ნაზი, როგორც „ქერუბიმის ფრთენი“. კდემამოსილებით იყო სავსე მისი ღვთაებრივი სილამაზე, „ლაზისტანის ზღვა ელავდა შორენას ზღვისფერ თვალებში, ისეთი სიყვითლე გადასდიოდა თავთუხისფერ კულულებს, როგორც ახლად გამოჩეილ ხოხბის ლაპებს გადაჰკრავს ზოლმე“.

„ფაქიზი, როგორც ქერუბიმის ფრთენი და სევდიანი, როგორც ყინცვისის მკმუნვარე ანგელოსი ყელისმიერი ხმა ჰქონდა, ისეთი წკრიალა, როგორც ვერცხლის ეყენები, ხვეისბერების დროშის ბუნზე შებმულნი. ჰარილესავით რბილი და ტფილი იყო მისი ბუნება სრულად — უმზაკერო იყო მისი შემოხედვა, ზეცის რეკვასავით ამო მისი ხმა“, — ასეთი პოეტური სიტყვებით ამკობს მწერალი თავისი გმირის გარეგნობას და ჩანს, რომ თვითონაც აღფრთოვანებულია ამ სიმშვენერით. თითქოს ავტორის გულიდან ისმის ხმა: „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგევხარ ზღვას..“ ამ ლექსში ხომ ხორცშესხმულია თვით შორენას აჩრდილი და არსაკიძის ფიქრებია

გალექილი.

თითქოსდა ბედისწერა ცინიკურად ხარხარებდა შორენას უმწეობაზე. ჭერ იყო და ქიაბერზე, სრულიად უცხო ადამიანზე დანიშნეს, რომლის მიმართ არავითარი გრძნობა არ გააჩნდა, მერე კი მამამის თვალები დასთხარეს და თვითონ კი ტყვედ წამოიყვანეს მცხეთას. ათი შინმუნვარისა და პირისფარეშის თანხლებით გამოისტუმრა იგი დედამ მეფის კარზე, სადაც საბრალო ქალს უარესი ამბავი დახვდა.

სასახლეში შორენას „ამაყად მიჰქონდა ბედისაგან დაკისრებული კირთება“. დარდი და ვარამი არ ტოვებდა მას არასოდეს, მაგრამ ვაჟკაცურად იტანდა განსაცდელს. „ეკბატანის ვარდივით ბრწყინავდა იგი უმწვენიერეს დიაცებსა და ყვავილებს შორის“ და ამიტომაც ბევრს შურს აღუძრავდა. მის სილამაზეს ბოროტად უქვერეტდნენ გარშემო მყოფნი.

გარეგნულ სილამაზესთან ერთად შინაგანი ბუნებაც მწვენიერი ჰქონდა შორენას „გულნაზიად და პირმწვენიერი შორენა, — ამბობდა მისი პირისფარეში ვარდისაზარი, — ურთიერთისაგან არ არჩევსო დიდსა და მცირეს, მანდილოსნის სინატიფე და რაინდის ლომგულოვნება თანაბრად შერწყმულიაო მასში“. სიწმინდითა და სიკეთით იყო სავსე შორენას სული. მისი გულის სითბო წინ აღუდგებოდა და შრეტდა ბოროტ ძალებს, ცხოველებსაც კი მორჩილსა ხდიდა. სწორედ ამიტომ მიუახლოვდა იგი უშიშრად ავაზას, მასავით ლამაზსა და გულზვიად ტყვე ცხოველს და მიელერსა, თავისი სიკეთე გაუნაწილა გარეულს. ამ საოცარი ქალის სამყარო თითქოს მთლიანად გადავიდა მის საყვარელ ნებიერაში, რომელსაც მასავით თავისუფლების დაკარგვას სიკვდილი ერჩია.

ქალურ სინაზესთან ერთად შორენაში ვაჟკაცობაცა და სითამამეც შერწყმულა. ის ნამდვილი ფხოველი ქალია, კლდესავით მტკიცე, გამბედავი, მშობლიური მიწისათვის თავდადებული და სიყვარულშიც უმაგალითო. თავიდანვე ვაჟკაცური სულისკვთებით ზრდიდა მას მამა, სანადიროდ დაჰყავდა მთებში. „ჩვეულებრივი აზნაურის ასული არ გეგონოს შორენა, ვაჟკაცი, მონადირე ქალია იგი,“ — ასე დაუხასიათა გიორგი მეფემ იგი გირშელს და ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, მეფემ „გარდა ამისა ისიც იცოდა: შორენა დიდად გამბედავი და თავნება დიაცი იყო, დაბრმავებული ერისთავის დალაშქერა თუ საჭირო შეიქმნებოდა, ვინ იცის, რას მოიმოქმედებდა თვალებდამწვარი

მამის მხოლოდშობილი ქალი!”

მართლაც, ზღვასავით მოუსვენარი იყო შორენა. ნებიერასავით ვერ ეგუებოდა იგი ტყვეობას, ამიტომაც თავგამოდებით იბრძოდა, რომ კვლავ დაბრუნებულიყო საყვარელ ფხოვეში. ცოტა გაჟეკაცობა და გამბედაობა როდი იყო საჭირო, საპასუხო სიყვარულის ნაცვლად მეფისათვის ამრეზილი პასუხი მიეცა: „...რაც წამართვი, იგიც გეყოფა, მეფევე ბატონო, არა? მამაჩემს თვალის სინათლე წარსტაცე, მე — თავისუფლება, ხოლო ჩემი გული? სხვას ეკუთვნის დიდი ხანია იგი“.

რომანში აშკარად ჩანს შორენას მძიმე განცდები. მამის დამარცხებამ და დაშინებამ ფრთები ვერ შეუკვეცა ფხოვის არწივივით ლალსა და ამაყ ქალს. მას უზომოდ უყვარდა თავისი კუთხე, მაღალი, მაღალი მთები, მისი თვალებივით უძირო ფხოვის ზეცა, სადაც კონსტანტინე არსაკიძესთან ერთად გატარებული ბედნიერი დღეები დარჩა.

დიდი იყო ამ მტკიცე ქალში მამაშვილური გრძნობაც. ვერ გასჭრა მისმა ცრემლებმა და მუდარამ. დაიოქილმა შორენამ, რომელიც მამის პატიებას ითხოვდა, გული ვერ მოუღბო მეფეს და თალაგვას მაინც დასთხარეს თვალები. მაშინ გულს ბოლმა ჩაიხვია ერისთავის ასულმა — ვაზლვევინებო მეფეს ყოველივეს მძიმე იყო შორენას თავზე დატრიალებული ტრაგედია. მისი სუსტი მხრები თითქოსდა ვერც გაუძლებდა უბედურების მოზღვაებას, მაგრამ მაინც შეინარჩუნა სულიერი მხნეობა. ის შეეცადა, კვლავ განეგრძო ბრძოლა მამის ინტერესების დასაცავად, კავშირი დაამყარა მემბოხე ფხოველ ხევისბერებთან, რომლებიც ერისთავთან ერთად ახალ პოლიტიკურ ავანტიურას ამზადებდნენ გიორგი მეფის წინააღმდეგ.

„...დიაცი ვარ, მაგრამ მამაჩემის თვალების დაწვას მაინც არ შევარჩენ მეფე გიორგის — უჩემოდ ნუ დაიწყებთ ამბოხს. წყაროს თვალის წმ. გიორგის ხატობაზე კვეტარში გავჩნდები. მამისეულ თორს გადავიცვამ, მის მუზარადს დავიხურავ, მის ხმაღს შემოვირტყამ, მის საომარ ცხენზე შევჯდები, ლაშქარს გავუძღვები წითელი დროშით. მაშინ გამოჩნდება ქუდოსანთა სიმამაცე, ფხოველნო!“ — აცხადებს შორენა და ხევისბერებს საბრძოლო გოდოლების შეკეთებას ავალებს. ამ დროს იგი ჩვენს წინაშე დგას არა როგორც ყინცვისის ანგელოზივით მკმუნვარე ნაზი არსება, არამედ როგორც მებრძოლი ქართველი ქალი, უდრეკი და უშიშარი, რომელიც მზადაა, ხმლით ხელში წინ აღუდგეს მეფეს მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი,

დათქმულ ადგილას გაჩნდეს საჭიროების დროს და იქ დაელოდოს მოწინააღმდეგის ლაშქარსა და სიკვდილს. ძალზე გაბედული იყო მისი გეგმა, თუმცა თავიდანვე დასაღუბავად იყო განწირული; ქალის ამაყი გული მინც არ ემორჩილებოდა ბედს.

უმძიმესი, ერთმანეთზე უმძაფრესი ქარტეხილებით დაუფარავს ამ ნაზი არსების გზები „არსთაგამრიგეს“, მაგრამ იგი უდრტვინველად იტანს თავისი ბედის მკაცრ განაჩენს. უიღბლო აღმოჩნდა შორენა სიყვარულშიც. ქიაბერზე დანიშვნა მისთვის არავის უკითხავს. მამაჩემის ცხენებს წაეყვან და გავიქცეთო, უთქვამს მაშინ არსაკიძესთვის, რომელსაც ქალი თავისი ძუძუმტე ეგონა და აზრადაც არ მოსვლია, რომ შორენას უყვარდა. მერე მეფე გიორგის ჩაუვარდა გულში ერისთავის ასული. მან მოაწამელინა ქიაბერი და გაწირა საკუთარი დეიდაშვილი გირშელი, შორენას საქმრო, რომელსაც სხვებზე ნაკლებ როდი უყვარდა თავისი საცოლუ.

სიყვარულშიც უბედური იყო შორენა, რადგან იცოდა, თავის გულისსწორს არავინ მიათხოვებდა. ჩვენი დედებიც უსიყვარულოდ გათხოვილანო, ეუბნებოდა გულდაწყვეტილი ქალი კონსტანტინე არსაკიძეს, ადამიანს, რომელიც გულწრფელად უყვარდა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა მისი სამიჯნურო ურთიერთობების შესახებ. ესეც რომ არა, იმდროინდელ საზოგადოებას გადაულახავი ზღვარი დაედო ერისთავის ასულსა და უბრალო ღარიბ ხელოვანს შორის. „ამ ქალ-ვაჟის ურთიერთობა შესანიშნავი ნიმუში და მაგალითია ქვეშარიტი სიყვარულისა, მაღალი და ფაქიზი მორალი რომ უდევს მას საფუძვლად.“¹

შორენამ უარყო დედოფლის გვირგვინი. მას თავდავიწყებით უყვარდა არსაკიძე, რომელიც ერთადერთი მიხვდა, რომ სამკაულები და ძვირფასეულობა ნილაბი იყო მეფის სასახლეში სახმარებელი, რათა არავის შეეცნო, რომ „შორენა თავად წააგავდა თავის საყვარელ ნებიერას, მყვირალობის დროს საჩიხეში აწირალებულს, ფხოვის მთებსა და მყავე წყალს მონატრებულ ირემს“. ეს მისმა მშვენიერებამ და სიყვარულმა ათქმევინა ხელოვანს — სიყვარულითაო თავად ღმერთი ამ ქვეყანაზე და რომ არა ასეთი ამაღლებული, მშვენიერი გრძნობა, მისი ქმნილებაც არ იქნებოდა სრულყოფილი, არ იქნებოდა შორენასავით ლამაზი და ნატიფი, მარადიული და უკვდავი, როგორც მისი სიყვარული. სწორედ ამ ქალისადმი აღძრულმა დიდმა გრძნობამ

1. კვანჭილაშვილი ტ., ლიტერატურული წერილები, თბ., 1959წ. გვ. 81.

შეძლებინა ოსტატს, მაქსიმალურად გამოეყენებინა თავისი ნიჭი და ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში შეექმნა. შორენა და სვეტიცხოველი — ეს ორი არსება სიცოცხლეს ერჩივნა კონსტანტინეს, მაგრამ ხელოვნება სიყვარულზე ძლიერი აღმოჩნდა და სიკვდილის წინ აგონიაში, როცა „მოაწია რიჟარჟმა, ატყდა ნათლის ლიკლიცი გარეთ, ყაყაოები დაათოვა მწვერვალებს ცამ, იფრქვეოდა იისფერი შუქი, როგორც ჩქერალები ფხოვის მთებიდან, შორენა ჩამოვიდა კედლიდან, ხატური ფარჩის კაბა ეცვა შავი, ოქროსფერი თმები გადმოღვრილიყვნენ მხრებზე, მოდიოდა ყაყაოების ველზე, თავთუხის თაველებს ესროდა უტას, ყაყაოებსა და თავთუხის თაველებს. დაუჩოქა სამგზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული. ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოვლისათვის შეეწირა იგი“.

შორენასა და კონსტანტინეს შორის დროების მიერ გაჭრილი უფსკრულის ამოვსება შეუძლებელი იყო. ეს კარგად იცოდა ქალმა და ამიტომაც უყოყმანოდ აღიკვეცა კოლონკელიძის მხოლოდშობილი ასული, საერისთავოს ერთადერთი მემკვიდრე, მონაზვნად. შუშანიკ შეარქვეს მას და დედათა მონასტერში მიუზინეს ბინა.

სასახლის ქორებმა, კათალიკოსისა და მოშურნეთა დევნამ, გაქცევის შემდეგ კვლავ ტყვეობამ გატეხა შორენა. ტანჯვისაგან თმები გათეთრებოდა უკვე, მაგრამ „უფრო მეტად დაამშვენა მისი სახე ჯვალოს სამოსმა...“ მალე აქაც იმძლავრა ქორებმა თითქოსდა უნდა განმდგარიყო ამქვეყნიური ცხოვრებისაგან, მაგრამ ფხოველმა ქალმა ვერ დაივიწყა სიყვარული და როცა შეიტყო, სვეტიცხოვლის ამგებს მკლავი მოკვეთესო, მის გონებაში აზრი დაკარგა სიცოცხლემ, მაგრამ თავის არსებაში იპოვა ნებისყოფა, გასცლოდა ტანჯვით საესე წუთისოფელს, თავი მოეკლა. „მცირე ხანს გატვრინული იჭდა, მერე წამოდგა, მთვარეულივით წაბარბაცდა ქარაფისაკენ... პირჯვარი გადიწერა, გარღვეულივით დაბარბაცდა და გადაეშვა ქარაფიდან შორენა. ჯერ ისე მხრებგაშლილი წავიდა ძირს, როგორც გაფრენილ ანგელოსებს ჰხატავენ ხოლმე ფრესკის ოსტატები, მერმე დიდ მანძილზე სრბოლისას ორგზის გადატრიალდა ჰაერში და როცა კლდის ქიმზე დაეცა თავქვე, მიწამდის არ დაჰყოლია სული“.

საოცარი იყო შორენა და საოცარი ცხოვრებით იცხოვრა, ლამაზი იყო და ლამაზი სიკვდილი ერგო...

მეორე ქალი, რომლის სახე შედარებით გამოკვეთილია „დიდოსტატის მარჯვენაში“, არის ვარდისახარი, ფხოველი დიაცი, მეჭადაგის ქალიშვილი, რომელიც კოლონკელიძის ქალის. — პირმშენიერი შორენას პირისფარეშია. ის ოვსთა მეფეს ჰყოლია ხარჭად, მერე ჭიბერს ღალატით მოუკლავს ოვსთა მეფე და ტყვედ წამოყვანილი ვარდისახარი თავისი სასძლოსთვის უბოძებია.

ვარდისახარის სახე პირველად გამოჩნდება რომანის იმ ეპიზოდში, სადაც გურანდუხტი შვილს მცხეთაში აგზავნის. მან შორენას ათ შინმუნვართან ერთად პირისფარეში ვარდისახარიც გაატანაო, — აღნიშნავს ავტორი.

ვარდისახარი ლამაზი ქალია, მოხდენილი, კეკლუცი. მისი ეშხი ყველას ხიბლავს, მაგრამ სულიერი სამყარო დაცარიელებია ამალღებული ადამიანური გრძნობებისაგან. მისთვის არაფერს ნიშნავს სარეცელი გაუფოს უცხო, სრულიად უცნობ მამაკაცს. მან თავისი პატრონის — შორენას საქმროზეც არ თქვა უარი. ვარდისახარს თუმცა უყვარს კონსტანტინე არსაკიძე, მისი გრძნობა მაინც არ არის წმინდა. ისინი ჭერ კიდევ ფხოვში ხვდებოდნენ ერთმანეთს. თავიდან თითქოს მართლაც გაიტაცა ამ ქალმა ხელოვანი, მაგრამ როცა მის მკერდზე ვაჟმა გლაზუნა ავმანიძის, იგივე გიორგი მეფის, ნაკბენი დაინახა, მაშინვე უარყო საყვარელი. მათ დიალოგში ჩანს, რომ ქალი ცდილობს, შეინარჩუნოს სატრფო, მაგრამ როცა კონსტანტინე გააძეევს მას, შურს ვიძიებო, დაემუქრება მიჯნურს. ის ისე მტკიცედ იცავს თავის პირობას, რომ, როცა ფარსმანი ეტყვის, შეიძლება ჟამმა იმსხვერპლოსო არსაკიძე, გაბრაზებული უპასუხებხ: „მე ფხოველი დიაცი ვარ, იცოდე, არ მიყვარს, როცა ჩემს მაგივრად სხვა იძიებს ხოლმე ვინმეზე შურს. შენ რომ გულისხმობ იმ ლაზს ჟამსაც არ დავანებებ იცოდე“. თავგამოდებით იცავს იგი „ფხოველი ქალის“- თავმოყვარეობას, რაც დიდი ხანია აღარ გააჩნია.

კონსტანტინე არსაკიძის ფიქრებში საბოლოოდ იკვეთება ვარდისახარის სახე. დიდოსტატი ერთმანეთს ადარებს მასა და შორენას. იგი ნათლად ხედავს, რა დიდი განსხვავებაა მათ შორის. „კისკისა, ტიკტიკა, ფეროვანი, ჭარბენებიანი, სიცოცხლეზე შეყვარებული, მარად სიმდიდრის მონატრული და მჭირდავი ბედისა. მხოლოდ ენებისათვის, მხოლოდ სარეცელისათვის გაჩენილი ეს „აშარი დიაცი“ უკვე აღარ ხიბლავდა მას. „--ეგვც კმაროდა მისგან: საყვარელი ხელიდან ეცლებოდა და სამი ცალი მარგალიტის დაკარგვას მისტიროდა

ხარბი“. ისიც მოაგონდა, რომ კოლონკელიძესაც ურთიერთობა ჰქონდა მასთან. ყოველივე ამან კონსტანტინეს თვალში დაჩრდილა ვარდისახარის სილამაზე და მან აშეკარად დაინახა ქალის გარეგნობის წერილმანი ნაკლიც კი. „ოდნავ ტლანქი, თითქმის მამაკაცური ხელები ჰქონდა ვარდისახარს, როცა თმას გადაიწევდა, საკმაოდ მოზრდილი, მოყვითალო ყურები გამოუჩნდებოდა ხოლმე, ხმა ჰქონდა ბოხი, იგიც მამაკაცური ოდნავ“.

ეშმაკი ქალი იყო ვარდისახარი. ეს იცოდა მეფემ და ამიტომაც მიათხოვა ბებერ ფარსმანს, იქნებ რკინისა და ძელის მკვეთელი ხმლების გამოქედვის საიდუმლო დასტყუოსო ქმარს. აქაც ვხედავთ ქალის უმწიკობასა და უუფლებობას. თავიდანვე სასტიკ უარზეა ვარდისახარი — ან მონაზვნად აღვიკვეცები, ან არაგვში დავიხრჩობო თავს, მაგრამ მაინც დაითანხმეს, მას აქაც არ აღმოაჩნდა მტკიცე ნებისყოფა და გაჰყვა ფარსმანს.

სიმდიდრე და ფუფუნება ისე შეჰყვარებია ვარდისახარს, რომ მაშინაც კი, როცა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება, არ ავიწყდება, თან წაიღოს ძვირფასეულობა. მიწისძვრისაგან შეშინებულ ქალს პირველ რიგში სახლიდან თავისი მზითვეი გააქვს და როცა კვლავ დაბრუნდება თმის სახვევების წასაღებად, მაშინლა გაახსენდება ქმარი, რომელთანაც უკვე რამდენი ხანია თვალთმაქცობით ცხოვრობს.

ვარდისახარი არაფერს თაკილობს, რათა შური იძიოს არსაკიდზე. ამ დროს ის არ დაინდობს შორენასაც კი, რომელსაც სიკეთის მეტი არაფერი დაუშავებია თავისი პირისფარეშისათვის გაბოროტებული ქალი მოიპარავს შორენას საწმერთულს და ავადმყოფ არსაკიდეს სასთუმლის ქვეშ ამოუღებს მართალია, მან ეს ფარსმანის ჩაგონებით გააკეთა, მაგრამ წუთითაც არ დაფიქრებულა კონსტანტინეს გარდა სხვასაც თუ დალუპავდა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ვარდისახარი მაინც ფხოველი ქალია და თავისი მიწისაკენ მიელტვის გული. ამიტომაც გაიპარება იგი ხატობაზე, თუმცა იცოდა, რომ, თუ გაიგებდნენ, სასტიკად დაისჯებოდა მასში მაინც ჩანს ის თავისუფლებისმოყვარე მთის სული, რომელიც ძნელად იტანს ტყვეობას რამდენი სიამაყეა მის სიტყვებში: „მე ფხოველი დიაცი ვარ...“.

ვარდისახარის მსგავსია პირიმზისა, რომელიც აჩრდილივით გაიელვებს ხატობის დღესასწაულზე და მაშინათვე იკარგება ისიც ვარდისახარივით მსუბუქი ყოფაქცევის ქალია, თანაც ლამაზი.

რომანში ვარდისაზარის სახით დახატულია ცბიერი, ეშმაკი ადამიანი, რომელსაც ძვირფასი საჩუქრები და სამიჯნურო თავგადასავლები იტაცებს. თუმცა, კარგად რომ დავაკვირდეთ, ეს იმ ეპოქამ დაანათლა მას ასეთი ბედი. ლამაზი ქალი, რომელმაც გიორგი მეფეც კი გააოცა თავისი ეშხით და ათქმევინა, როგორ წერმოშვაო მეჭადაგემ ასეთი მშვენიერება, არ შეიძლებოდა ყურადღების გარეშე დარჩენილიყო და მასზე თვალი არ დაედგათ მაღალი წოდების ადამიანებს, ამიტომაც აღმოჩნდა იგი ოვსთა მეფის ხარკა. ცხოვრებამ თვითონ განსაზღვრა მისი მომავალი და თითქოსდა ჯადოსნური ფუნჯით გააკეთა მონახაზები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა იმ დროს ყოველი ღარიბი, დამოკიდებული კაცის ლამაზი ქალიშვილის ბედი. —და ვინ იცის, ვინ იქნებოდა პირმშვენიერი შორენა, ერისთავის ქალი რომ არ ყოფილიყო.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გიორგი მეფის თანამეცხედრეს — მარიამ დედოფალს. იგი სომეხთა მეფის ასულია, ფანატიკურად მორწმუნე, ქრისტიანე უზომოდ შეყვარებული. „მარიამ დედოფლის ოცნება იყო: მთელი საქართველო ეკლესიად და მონასტრად ექცია; არა მარტო საქართველო და სომხეთი, მთელი ქვეყანა“. მთელი ნაწარმოების მანძილზე ვხედავთ, რომ ის საეკლესიო მშენებლობითა და სასულიერო საქმეებითაა დაკავებული.

ისე იყო თავისი საქმიანობით გატაცებული დედოფალი, რომ სასტიკად ვერ იტანდა ურწმუნოებას, ამიტომ არ უყვარდა ფარსმანი, მაგრამ მის შემცვლელს ხუროთმოძღვრებაში ვერავის ხედავდა და ითმენდა აფხაზეთიდან დაბრუნებულს ამბავი დაახვედრეს, ახალგაზრდა ქრისტიანი ლაზი დაინიშნაო ხუროთმოძღვრად. ფრიად გაიხარა დედოფალმა, ხოლო როცა შეიტყო, ფარსმანმა ფანასკერტელის ქალს ნამუსი აჰხადაო, აღშფოთდა და მოითხოვა, სასტიკად დაესაჯათ დამნაშავე.

„მარიამი თვალს აღეწებდა არა მარტო რელიგიური რიტუალების სასახლეში შესრულებას, არამედ მონაზვნებისა და ეკლესიების ყოფას, მღვდელმთავართა, ეპისკოპოზთა, მოწესეთა ზნეობას. მისი ყოვლისმზილველი თვალი და ყოვლისმსმენელი ყური ეზოსმოძღვარი ამბროსი იყო, იგი უთვალთვალებდა არა მარტო სამღვდელოთა, არამედ თავად მეფეს, მის ვაზირებსა და ერის-თავეს“. ამიტომაც ხშირად ჩაითრევდნენ ორომეტრიულში სასახლის

ქორები ასკეტური სულით სავსე ქალს.

მარიამ დედოფალი არ იყო ლამაზი. ის სულ ახალგაზრდა, ჯერაც ყრმა მეფეს შეაჩერეს ხელთ. პოლიტიკური მიზნით შექმნილი ოჯახი არ იყო მტკიცე მისთვის უცხო იყო სიყვარული და ურთიერთგაგება. მეფეს თავს აბეზრებდა მეუღლისა და კათალიკოსის გამუდმებული შეგონებები: „მეფე ხარ და ხამს... მეფე ხარ და გმართებს... მეფე ხარ და გევალება... ასეთ წუთებში მეფედ არყოფნას ნატრობდა გიორგი“. როცა მას შორენა შეუყვარდა, მზად იყო, გაჰყროდა მარიამს და მეორე ცოლი დაესვა დედოფლად.

მალალი, გამბდარი, პირხმელი, ახოვანი ქალი იყო მარიამი, ფერმკრთალი და სახეგამშრალი, წერილსა და გრძელ კისერზე უცნაურად დაბერილი ენერგიული ძარღვები მოუჩანდა ხოლმე გაბრაზებულს გამუდმებული უთანხმოება ჰქონდა გიორგისთან, რომელიც „უწესო დედათა მოყვარული“ იყო. შორენას გამოჩენამ დიდი საფრთხე შეუქმნა ქალს. აღშფოთებულმა გადაწყვიტა, ბედიის მონასტერში აღკვეცილიყო მონაზვნად, მაგრამ მას გვერდში ამოუდგა კათალიკოსი. მელქისედეკი დიდი სიმპათიით იყო განმსჭვალული მარიამისადმი, აფასებდა მის ღვაწლს ქრისტიანობის განმტკიცების საქმეში, თუმცა ერისთავებს სძაგდათ ეს „სომხის ქალი“, კათალიკოსი თვლიდა, რომ „ვითარცა წმინდათასწორსა და ეკლესიათა დიდ მოამბეს“, წმინდანად შერაცხსო ოდესმე საქართველოს ეკლესია და თავგამოდებით იცავდა მის პოზიციებს.

თავისი ოჯახის მყუდროების აღდგენას დედოფალი შორენას გათხოვებაში ხედავდა. მას არ უყვარდა ქმრის ნათესაეები, მაგრამ გაფაციცებით უცდიდა კოლონკელიძის ქალის საქმროს, მეფის დეიდაშვილის, გირშელის ჩამოსვლას, რადგან მასზე ჰქონდა დამყარებული უკანასკნელი იმედი, სჯეროდა, რომ ნიშნობის შემდეგ გიორგი ჩამოსცილდებოდა ამ „სიძვის დიაცს“ და ქორებიც მიწყნარდებოდა.

მიუხედავად სოციალური მდგომარეობისა, მაინც საბრალო იყო მარიამ დედოფალი. მის დაუკითხავად გაათხოვეს იგი და არც ქმართან გაყრას შეეკითხებოდა ვინმე. აი, რას ამბობდა მასზე შორენა: „მეცოდებოდა დედოფალი, ისე როგორც დიაცთაგანს შეებრალება მეორე არც სხვის უბედურებაზე აგებული ბედი მინატრია ოდესმე.“

მარიამი მკითხველში ერთგვარ თანაგრძნობას იწვევს. მართალია, ის დედოფალია, თითქოსდა პირველი ქალია მთელს საქართველოში, მაგრამ ამავე დროს ძალზე უბედურია. ის უსიყვარულოდ მიჰგვარეს

მეფეს, რომელსაც არც მერე ჰყვარებია მეუღლე. ქალი, რომელიც ასკეტური სულით იყო განმსჭვალული, სრულიად არ ერეოდა სახელმწიფოებრივ საქმეებში, ალბათ არც ჰქონდა ამის ნიჭი, თითქოსდა მხოლოდ სამონასტრო მშენებლობისა და ლოცვისათვის იყო გაჩენილი ამქვეყნად. მხოლოდ ქრისტიანულ ზნეობას ედგა იგი დარაჯად და ისე იყო გატაცებული თავისი საქმით, რომ ნაწარმოებში ერთხელაც არ აღნიშნულა მისი დედობრივი სიყვარული ბაგრატიანდში, რომელიც მძევლად იყო ბიზანტიაში და უკვე რამდენი ხანი არ ენახა. რომანში ნათლად ჩანს, რომ ძალით გადედოფლებული მარიამი მისთვის ახალ გარემოს ველარ შეეგუა; მას არ უყვარდა ქმრის ახლობლები და არც ქართველ თავად-აზნაურებს მოსწონდათ იგი. შეიძლება ამიტომაც მიჰყო ხელი სასულიერო ქველმოქმედებას, რათა თავისი დარდი და ვარამი ამ საქმეში ჩაეკლა.

ძალზე ლამაზადაა დახატული „დიდოსტატის მარჯვენაში“ დედაშვილობა, რომლის წინაშე სიკვდილიც კი უძლურია. დედაშვილური სიყვარული — ეს ყოველი სპეტაკი ქალის უძვირფასესი სამკაულია. არ არის გრძნობა, არ არის ზღვარი, რომელიც წინ დაუდგება მას. რომანში მის სიძლიერეს მოწმობს გმირთა დამოკიდებულება დედებისადმი.

უსაზღვრო იყო მეფე გიორგის სიყვარული დედისადმი. „დედა უყვარდა გიორგის ყველაზე მეტად ამქვეყნად“, მხოლოდ მისი დაფიცებით შეძლო ქიტესამ შეეჩერებინა გაჯიუტებული მთვრალი მეფე. დიდოსტატ კონსტანტინესაც მუდამ თან დაჰყვება დედის ხატება, „ეცოდებოდა მოხუცი დედა, ფხოვის ციხე მიწაში დარჩენილი მამის ძელების ერთგული დარაჯი“, ამიტომაც ასეთი სიტყვებით მიმართა მან უკმაყოფილო ლაზებს: „არაეინ ისე საყვარელი არაა ამ ქვეყანაზე, როგორც დედა“ და ის საქართველოს შეადარა.

ნამდვილი ქართველი დედის სახეა კონსტანტინე არსაკიძის დედა. ეს უბრალო ფხოველი ქალი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს და ღრმად იჭრება მკითხველის მეხსიერებაში. შავებით მოსილი, სახედაღარული დარდიანი მანდილოსანი განსახიერებაა ნამდვილი დედობრივი სიყვარულისა. წლებს თავისი გაუტანია, მაგრამ ჯერ კიდევ მხნედ ეჭიდება ჭირვარამს. ქმრის დაღუპვის შემდეგ მარტოხელას უკისრია საოჯახო უღლის ღირსეულად გატანა ცხოვრებაში. მზე და მთვარე ერთადერთ ვაჟზე, კონსტანტინეზე ამოდის. მისი იმედით სულდგმულობს მოხუცი „ილოცავს ხატს შეავედრებს თავის ერთადერთ ვაჟს. დაწევება მოხუცი

იმ იმედით: სიზმარში მაინც ვნახოო დაკარგული შეილი“. იტანჯებოდა მარტოდმარტო დარჩენილი ქალი, ენატრებოდა, ძლიერ ენატრებოდა თავის უტა. წერა-კითხვის უცოდინარი მოხუცი მხოლოდ სიტყვიერად თუ შეუთვლიდა შეილს მოკითხვას, „ხან წაბლს გამოუგზავნიდა, ხან ზღმარტლს, ხან პანტას, დედის მიერ ხელშენაველებს. ფხოვეურ პაჭიკებს, კრელ წინდებს, კალთებმოქარგულ ფხოვეურ ჩოხას. იმდენი სიყვარული და სიტყო თან ჩამოჰყვებოდა ხოლმე ამ საგნებს, დიდხანს, დიდხანს ჰყოფნიდა ჯაფისაგან წელში გაწყვეტილ ოსტატს ეს ყოველივე“. დედის სითბო და გულის სხივები უნათებდა ცხოვრების ძნელსა და დახლართულ გზას კონსტანტინეს.

შეილის ყოველი წარმატება ახარებდა დედას. „ცნობა მოვიდა კვეტარში: გაუცენიხარო გიორგი მეფეს. ალბათ მეფესაც ეყოლებოო დედა, ალბათ მეფესაც ეყვარებოო დედა. დედა დააფიცეო მეფეს, შეევედრეო ჩემს მაგივრად, გამოგიშვასო დედის სანახავად. ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც თვალი მოგკრა როგორმე, სიკვდილის წინ დაგლოცო, შეილო, შემდეგ ამისა ნუ შემრჩება სუნთქვა, შემდეგ ამისა მიმიღოსო უფალმა“, — უთვლის კონსტანტინეს დედა და ეშინია, — უშენოდ არ ამომხდესო სული. „გზა რომ ვიცოდე, კვალი რომ ვიცოდე, თავათ წამოვიდოდი როგორმე, პურისმცხოვრად დავდგებოდი შენს ახლოს სადმე.“ — ამბობს მოხუცი, მაგრამ ამას მხოლოდ დედობრივი სიყვარული ათქმევინებს. არა, მისი გული ვერ მიატოვებს მშობელ მიწას, ვერ გააცივებს კერას, მერე „ვინდა მიხედავსო მამას, ფხოვეურ მიწაში მარტოკა მწოლარეს?“ ხომ ვერ დააქცევს ქმრის მიერ დატოვებულ ოჯახს?! იგი მტკიცედ შესისხლხორცებია ფხოვის მიწას, მისადმი სიყვარული დედაშვილობასაც გატოლებია, მაგრამ ვერაფერს გადაუწონია მის არსებაში მოვალეობის გრძნობა ქვეყნისა და სინდისის წინაშე.

მშობელი კუთხისადმი უსაზღვრო სიყვარულია გამოხატული დედის მოქმედებაში, როცა უყოყმანოდ გზავნის ერთადერთ შეილს მაცნედ კვეტარის ციხეში — მეფის ლაშქარი მოიწივსო ასაოხრებლად, თუმცა იცოდა, რა განსაცდელშიც აგდებდა ვაჟს, რომელიც მართლაც შეიპყრეს და ტყვედ წაიყვანეს.

რომანში მთელი სიძლიერითაა წარმოჩენილი დედაშვილური სიყვარულის ყოველისშემძლეობა. პირმო ასულდგმულებს მშობელს და შეილსაც დედის ძუძუს ნათელი იფარავს. მომავლად კონსტანტინეს ელანდება — „ფხოვეური ქვითკირის პატარა ეზოში დაფათურობს

შავით მოსილი დიაცი, ფხოვეური მანდილი ახურავს შავი“. მეორე დღეს კი, როცა დიდოსტატს საშინელ ტანჯვაში ამოხდა სული, „უთენია ჩამოვიდა ფხოვიდან დედა და როცა მორიელებისაგან დაკბენილი შვილი დანახა, გაქვავდა თურმე“. ასე ძლიერი იყო ამ ადამიანში დედაშვილობის წმინდა გრძნობა. მის მწუხარებას ცრემლები ვერ გამოხატავდა და ამიტომაც ლოდად იქცა იგი. მხოლოდ ასეთ ძლიერ ქალს შეეძლო ეშვა და აღეზარდა დიდი ხუროთმოძღვარი, ჭეშმარიტი ხელოვანი, რომლის დიდება საუკუნეებს გადაწვდა.

„ჩემს სიყრმეშიაც მინახავს კაცის სიმაღლე ლოდი, რომლის გამოც აგრე ამბობდნენ მცხეთაში: კონსტანტინე არსაკიძის დედააო გაქვავებული. მანდილიან ფხოველ დიაცს მიაგავდა ეს ლოდი მართლაც,“ — წერს კონსტანტინე გამსახურდია. არა, სხვაგვარად არც მოხდებოდა. ხალხმა არსაკიძესთან ერთად მისი დედის ღვაწლიც არ დაივიწყა, დედისა, რომელმაც საქართველოს გენიოსი ხუროთმოძღვარი აჩუქა. შვილის სული სვეტიცხოველში განვითარდა, დედისა კი — ლოდში, უბრალო ქვის ლოდში, რომლის ჩუქურთმებად ამღერების ოსტატი იყო კონსტანტინე.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ გამოყვანილია სხვა ქართველი დედებიც, რომლებსაც სულში აქვთ გამჭდარი შვილების სიყვარული. ასეთია გურანდუხტი, თალაგვა კოლონკელიძის მეუღლე, რომელმაც თუმცა ვერ გაუგო შორენას, მაინც ყოველი ღონე იხმარა მის გადასარჩენად აჯანყების მზადებაშიც გვერდით ედგა იგი ქალიშვილსა და თვალებდათხრილ ქმარს. უსაზღვროა მისი სიყვარული შვილისადმი. აი, როგორ ახასიათებს ვარდისახარი დიდი ხნის უნახავი დედა-შვილის შეხვედრას: „ტირილით გადაეხვიენენ ერთურთს. ქვა აღუღლებოდა მათი შემხედვარე“.

ნამდვილი დედაა ბორდოხანიც — ჭიაბერის დედა, რომელიც სიკედილის პირამდე მიიყვანა შვილის დაღუპვამ, მაგრამ ის გურანდუხტთან შედარებით პასიურია, მის ყოველ მოქმედებას მეუღლის, მამამზე ერისთავის, ნება განსაზღვრავს. არანაკლები სიყვარულითაა ანთებული ქალი მისი ერთადერთი ქალიშვილის — კატისადმი, რომლის სახით დახატულია ცამეტი წლის ლამაზი, უსუსური ადამიანი. იგი იმდენად უმწეო და უუფლებოა, რომ მის ბედს სათამაშოსავით აბრუნებენ სხვები, თვითნებურად განაგებენ ამ ნაზი ქალის ცხოვრებას.

დედობრივი გრძნობის სიმწრის ნათელი გამოხატულებაა ჭიაბერის დედამძუძეს გლოვაც თავისი გაზრდილის დაკრძალვაზე. ერთი

წინადადებით, მაგრამ შთაბეჭდავად არის წარმოჩენილი ის თითქოსდა მთელს ცერემონიალს გასდევს დალალებდაგლეჯილი დედამძუძუს კივილი და მოთქმა.

გლეხის ქალი, როგორც დედა, მოულოდნელად გამოჩნდება და იკარგება გაბოს ცოლის სახით, რომელიც ღარიბულ ქოხში მისჯდომია თავის შვილებს, თვალებში შესცივინებს მათ და საქართველოს მომავალს ურწევს აკევანს.

დედობრივია ნონაის დამოკიდებულება კონსტანტინესადმი, მას შვილივით შეპყვარებია ხუროთმოძღვარი და დიდ ზრუნავს მასზე. თავიდან ბოლომდე ტრაგიკულია ნონაის ბედი. სიბერის ჟამს მარტოდმარტო დარჩენილა იგი დანგრევის პირას მისულ რატისეულ სასახლეში, შეპყვარებია თავის მდგომარეობას და მხოლოდ სიკვდილსდა ელოდება უბედური.

რომანში მთელი სისაესითაა დახატული მეფის კარზე მოფუსფუსე საზოგადოება, სადაც განსაკუთრებულ ინტერესს ქალები იწვევენ. აქ ლამაზმანთა გალერეას ამშვენებენ თმოგვისციხის პატრონის მხოლოდშობილი ასული დედისიმედი, შარვაშიძის ქალი ხათუნა, ვარდანძის ქვრივი თუთაი, ცხვილოსციხის პატრონის მეუღლე ცოქალა, მისი ქალიშვილი ნათია, გვარამ აბულელის ქალები და სხვები. ფუფუნებასა და განცხრომაში გაზრდილ ამ მანდილოსნებს აკლიათ ის სისპეტაკე, ზნეობრივი და სულიერი სიმშვენიერე, რაც ასე უხვად გააჩნდა შორენას. აშკარაა, რომ ყოველი მათგანი დედოფლობას მიეღტვის და ამისათვის არაფერს თაკილობს. აქვეა ფანასკერტელის ქალი რუსუდანიც, გარეგნულად ლამაზი, მაგრამ უზნეო. მას, ჯერ კიდევ სრულიად ნორჩ მონაზონს, ნამუსი ახადა ფარსმანმა, მერე კი მონასტრიდან გამოიყვანეს და მიათხოვეს ცხრატბის ერისთავს — დაჩის მისი თავგადასავალი თხრობის განვითარებას შიგდაშიგ ერთვის და ერთმანეთს უპირისპირებს ფარსმანსა და გიორგი მეფეს.

ამრიგად, „დიდოსტატის მარჯვენის“ ყოველი ქალი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, მათში თავი მოუყრია სრულიად განსხვავებულ თვისებებს. ადვილი როდი იყო განსაზღვრული ისტორიული ეპოქისათვის ასეთი მრავალფეროვანი ტიპების შერჩევა და გამოქანდაკება. ამაშიც ჩანს მწერლის გენიალური ნიჭის ბრწყინვა.

„დავით აღმაშენებელი“

ისეთი დიდი მოცულობის ნაწარმოები, როგორც „დავით აღმაშენებელია“, თითქმის არ მოიძებნება XX საუკუნის ქართულ მწერლობაში. დიდია ამ რომანის როგორც ლიტერატურულ-შეატერული, ისე მეცნიერული მნიშვნელობაც. ამ თხზულებაში თავი მოუყრია XI საუკუნის ისტორიის უხე მასალას, თითქმის ყოველ ფაქტსა და მოვლენას არა მარტო საქართველოს. ფარგლებში, არამედ მის გარეთაც. საოცარი მიმზიდველობითა და დიდი ინტერესით არის გაშლილი მკითხველის თვალწინ ჯვაროსნული ომები, რაც ადასტურებს იმას, თუ რა გრანდიოზული შრომა გაუწევია ტეტრალოგიის ავტორს ამ რომანის შესაქმნელად.

ეს რომანი ეძღვნება ერთ-ერთ უგანათლებულეს მეფეს შუასაუკუნებრივ მსოფლიოში — დავით აღმაშენებელს, მისდროინდელ საქართველოს, როცა აყვავებას იწყებდა სამეურნეო და კულტურული ცხოვრება, პოლიტიკური სიძლიერე. სულ უფრო იზრდებოდა საერთაშორისო ავტორიტეტი აზიაში მდებარე ქრისტიანული ქვეყნისა, რომელსაც განუწყვეტლივ საუკუნეების მანძილზე თავს ესხმოდა მაჰმადიანური სამყარო.

ტეტრალოგიაში მთელი სიცხადით არის ნაჩვენები დავით აღმაშენებლის დამსახურება, რომელიც იყო „ბრძენი და განათლებული მმართველი... შეგნებული და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, უებრო სარდალი და მეომარი, ვინც ჩვენი სახელმწიფო უაღრეს ძლიერებასა და აყვავებამდე მიიყვანა“¹. მთელი თავისი გრანდიოზულობით წარმოდგება ჩვენს წინაშე სახე ნიჭიერი მმართველისა, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა. ის უღმობელია მტრების მიმართ, მაგრამ ნაზია სიყვარულში, რომელიც სიკვდილამდე გულით ატარა, მაგრამ ისიც სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა.

მემკვიდრეობით დავითმა მეტად დაუძლურებული სამეფო მიიღო, შინააშლილობასა და გარეშე მტრებს დაღუბვის პირამდე მიყვანათ იგი. ურთიერთმტრობა და შუღლი ანადგურებდა ერის სასიცოცხლო ძალებს, სპობდა მშვიდობიანი შრომის შესაძლებლობას. ამას დაერთო დიდი სტიქიური უბედურებაც. სწორედ დავითის გამეფების წელს საქართველოს თავს დაატყდა გამანადგურებელი მიწისძვრა, რომელმაც დაამხო მრავალი ციხე-სიმაგრე, შეიწირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე

1. ჭავჭავაძე ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1965 წ., გვ. 212.

და აურაცხელი ზიანი მიაყენა მოსახლეობას. ასეთ მდგომარეობაში იყო საქართველო, როცა სუსტი ნებისყოფის გიორგიმ ტახტი თექვსმეტი წლის ვაჟს გადასცა. დიდი ჯაფა დასჭირდა დეიოს, რათა შეექმნა უძლიერესი სახელმწიფო აზიაში და ნიადაგი მოემზადებინა თამარის ხანისათვის.

ამ ეპოქას თავისი შესაბამისი ქალთა საზოგადოება ჰყავს. რომანში მრავლად არიან გამოყვანილი მისი წარმომადგენლები. თითოეულ მათგანს თავისი ინდივიდუალური სახე, ხასიათი და საინტერესო თავგადასავალი გააჩნია. ამ ეპოქის ქალთა მდგომარეობა თითქმის იგივეა, რაც „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში“. ნათლად ჩანს, რომ ამ ორ ეპოქას შორის გასული დრო საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მომხდარიყო ქალთა უფლებრივ თუ წოდებრივ მდგომარეობაში. მიუხედავად იმისა, რომ სუსტი საქესის წარმომადგენლები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სახელმწიფოს მართვაში, გარკვეულ წრეებში არის მაინც ასეთი წარმოდგენა: „ღიაც ვინ ჰკითხავს სელისმბეჰველს ომის საქმეებსო...“ და უპირატესობა უფრო ქალის სილამაზეს ეძლევა. „ღიაცისათვის სილამაზე ისეთივე მიუცილებელი სიქველეთაო, როგორც ვაჟკაცისათვის სიმამაცე“ — ამბობდა მახარა. ამასთანავე „ღიაცთა საქმე ოდითგანვე კარგად განუწყესებია უფალს: ყრმათა შობა და მათი აღზრდა, ფსალმუნის დღენიადგ კითხვა და თუ დრო მორჩათ — ბეჰვა ქსელისა,“ — ეს სასულიერო წოდების შეხედულება იყო, მაგრამ ქალები მაინც გვერდით ედგნენ მამაკაცებს არა მარტო ბრძოლაში, არამედ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაშიც და თავსაც უყოყმანოდ სწირავდნენ სამშობლოსათვის. ამის დასადასტურებლად თუნდაც მარიამ დედოფლის მაგალითი კმარა. ასე იყო მაჰმადიანურ სამყაროშიც. „მე არად ვაგდებ ისეთ ხელისუფლებას, რომელშიაც დედაჩემი წილს არ დაიდებს,“ — პირდაპირ აცხადებდა სულთან ბარქიაროკი ზობეიდა ხანუმზე.

„დავით აღმაშენებელში“ გამოყვანილი მთავარი მოქმედი გმირი ქალებიდან ისტორიული პიროვნება მხოლოდ ერთია — გიორგი მეფის და მარიამი. დანარჩენები ქართულ მატთანეს არ შემორჩენია. აი, როგორ მოიხსენიება იგი „ქართლის ცხოვრების“ ერთ თავში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, რომელიც უცნობ ავტორს ეკუთვნის: „წარმოიყვანეს, და თანა ჰყვა გიორგი კურაპალატი და ყოველნი დიდებულნი მისნი მუნ მოვიდეს და მოვიდა დედა მისი მარიამ დედოფალი, და ცოლი მისი ბორენა, და ასული მისი მარიამ და

შემდგომად მცირედთა დღეთა მიათულა ძე მისი გიორგი კურაპალატი მეფედ დიდებულთა ამის სამეფოსათა, და ყოველნი შეპყდრნა მას და რქუა დედასა თვისსა: „დედაო მეწყალი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენნი წარგვქციენ წინა და ეგრეთღა შენ მოპყდები“ და შემდგომად ამისა მიიკვალა თუესა ნოემბერსა ოცდათხსა, ქორონიკონსა ორას ოთხმოცდათორმეტსა“¹. „ქართლის ცხოვრებაშიც“ გამჟღავნებულია ის სათუთი მშობლიური გრძნობა, რომლითაც ოდითგანვე იყო განმსჭვალული ქართველი კაცი დედისადმი. ამის დასადასტურებლად ბაგრატ IV-ის მიერ დედისადმი მიმართული აქ მოყვანილი სიტყვებიც შეიძლება გამოვიყენოთ.

პოზიტივისტების აზრით, მხატვარს შეუძლია გამოსახოს მხოლოდ ის სინამდვილე, რომელშიც თვითონ ცხოვრობს. მაგრამ ეს არ არის სარწმუნო. ისტორიულ რომანში მუდამ დიდ ეფექტს იძლევა ისტორიისა და მწერლის ნაოცნებარ-ნაფიქრალის გაერთიანება. ვალტერ სკოტის პრინციპმა — ისტორიული ქრონიკებისა და ფანტაზიის შერწყმამ თავისი ძალა და მნიშვნელობა შეინარჩუნა იმ რეალისტური გაგებით, რომ ფანტაზია ასახავს იმას, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო ამა თუ იმ ეპოქის ვითარებაში. კ. გამსახურდიამ ოცნებით შექმნილ გმირსაც ისტორიულად არსებულის დამაჯერებლობა და სიცხადე მიანიჭა. ასეთია დედისიმედის მხატვრული სახე².

რომანში ნაჩვენებ ლიპარიტ ორბელიანის ოჯახიდან „ქართლის ცხოვრებაში“ მხოლოდ ლიპარიტი და რატი მოიხსენიება: „ქორონიკონი იყო სამას ოცდასამი და წარმატებოდა დიდებითა და განმარჯუბულობითა. რომელთა თანა ესეცა იქმნა: მოკუდა რატი, ძე ლიპარიტისი, 'კაცი ორგული და ნანდვილვე ნაშობი იქედნესი. ესრეთ დასრულდა სახელი ბაღვიეაშთა, სახლი განმამწარებელთა, რამეთუ სუა უკანასკნელი თხლე რისხვისა, სასუმელი ცოდვილთა ქუეყანისათა და არღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკვდრი, რამეთუ აღიყსნა უსჯულოება მამათა მათთა წინაშე უფლისა და მამული მათი აღილო მეფემან“³.

აღამიანის ცნობიერება არა მარტო ასახავს ობიექტურ სინამდვილეს,

1. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955 წ., გვ. 314.

2. შუშანია ე., კონსტანტინე გამსახურდიას სამწერლო გზა, თბ., 1970 წ., გვ. 237-239.

3. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955 წ., გვ. 326.

არამედ კიდევაც ქმნის მას. გამსახურდიამაც მდიდარი ფანტაზიის წყალობით ბრწყინვალედ შეძლო საქართველოს მატთანეში არსებული თეთრი ადგილების ამოვსება ის წერილში „თანამედროვე რომანისათვის“ აღნიშნავს შემოქმედების ერთ მნიშვნელოვან მომენტს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისტორიული წყაროები ყოველთვის განიცდიან მწერლის ხელში „ერთგვარ ძალდატანებას“ და რომ ამის გარეშე ყველა გამოჩენილი მწერალი, თვით შექსპირი, ბალზაკი და ტოლსტოი „ანალისტების გადმოშწერელნი, კოპისტები დარჩებოდნენო“.¹ სწორედ ამაშია შემოქმედის ნიჭიერება ისტორიული წყაროების მიერ მოწოდებული ცნობების უქმარისობის დაძლევა ავტორმა რომანში დედისიმედის შემოყვანით შეძლო. ეს ისე ოსტატურადაა გაკეთებული, რომ მის გარეშე ნაწარმოები წარმოუდგენელია.

დედისიმედი „დავით აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟია. სიუჟეტის მიხედვით, დავით მეფის სულიერი ცხოვრება განგებას თრიალეთის ერისთავის ლიპარიტ ბაღუაშორბელიანის ასულთან — დედისიმედთან დაუკავშირებია. პირმშვენიერი სასძლოს მამა დაუძინებელი მტერია დავითისა, მისი პოლიტიკური მეტოქეა და გამოუსწორებელი მოღალატე, რაც „ქართლის ცხოვრებაშიც“ განსაკუთრებითაა ხაზგასმული.

დედისიმედისა და დავითის დაქორწინებას უნდა მოჰყვეს ამ ორი დაპირისპირებული მხარის შერიგება დიდმა სიყვარულმა უნდა შეძლოს ის, რაც კეისრებმა ვერ შეძლეს — მან უნდა მოსპოს ის შფოთი და არეუ-დარევა, რომელიც ქვეყანაში დავანებულა მარადის მეშუღლე ბაგრატიონთან და ბაღუაშთა ცუდი ურთიერთობის გამო. ამიტომაც წინასწარ შეარქვა მარიამმა ათი წლის დედისიმედს „უფლისწულის თვალმშვენიერი სასძლო“, მაგრამ არ იკმარა ქალის სათნოებამ. „ხმაღმა გაგვასწოროსო, ასე მოიწადინეს ლიპარიტის ძეთა.“ დედისიმედი ბოლომდე ერთგული რჩება მეფისა, მაგრამ მან მაინც ვერ გადასწონა დავითის გულში სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობა.

რომანის პირველივე კარში გამოჩნდება ერისთავის ასული — მშვენიერი და მწყაზარი. ვეფინს საომრად მიმავალი უფლისწული მღელვარებით მოელის მასთან შეხვედრას. აი, მის წინაშე საყვარელი ქალი — „მტილი დახშული, წყარო დაბეჭდული.“ და ფიქრობს, რა

1. გამსახურდია კ., რჩეული თხუზულებანი, რვატომეული, ტ. V, თბ., 1961 წ., გვ. 535.

უცნაურად წარიმართა ყოველივე. ოდესღაც ორივეს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ვერავითარი ამქვეყნიური ძალა ვერ გათიშავდა მათ, ახლა კი დაოჯახებულ დავითს თვალი ვერ გაუხსწორებია მიჯნური-სათვის და აგონდება მასთან და ნიანიასთან საქორიას ციხეში გატარებული დღეები.

საოცრად ლამაზი იყო დედისიმედი. „მისი ლოყები ატმის ყვავილებივით ჰყვოდნენ, ატმის ყვავილისფერი ედო სახეზე, სწორედ ისეთი, როგორც ირანელ ოსტატებს გამოჰყავთ ხოლმე პორცელანის რხეულ ვაზებზე— გრძელ-გრძელი თითები, ნუნების დასაწყისთან ზეაზნეჭილი“ ჰქონდა, მაგრამ „როგორც ყოველ სრულყოფილ მშვენიერებას, მასაც არ გააჩნდა საკუთარი სილამაზის შეგნება“. მას უფრო უბრალოება და სიწყნარე ხიბლავდა, ამიტომაც წამოისხამდა ლელაის შალს და განმარტოვდებოდა მწუხრისას. „მდაბიორი დიაცის თავშლით თავშებურვილი ერისთავის ასული არაფრით განირჩეოდა მრავალათასი ქართველი ქალისაგან თავისი დიდი მწუხარებითა და სიმძიმლით.“

თითქოს განგებაც დედისიმედის წინააღმდეგ ამხედრებულყო და ხელს უშლიდა მის ბედნიერებას. არაერთი ტანჯვა გადაიტანა ქალწულმა და ამდენმა გაქირვებამ დააუძლურა, დაავადმყოფა იგი. ორ ცეცხლს შუა მოქცეულიყო ერისთავის ქალი — ან მიჯნური უნდა დაღუპულიყო, ან ლიპარიტის ოჯახი. ვერც ერთი ვერ გაეწირა დედისიმედს ხსნას ისევე მარიამ დედოფლისაგან მოელოდა, რადგან ვერც დედასთან ებოვა საერთო ენა. მხოლოდ ისლა დარჩენილიყო მეფის ერთგული ორბელიანებიდან. მამამაც „გვარის მოლაღატე“ უწოდა მას ხან სულთან ბარქაიროკისთვის უნდოდათ ის, ხან აღსართან კახთა მეფისათვის. ბაგრატ კურაპალატის დისწულის, აღფ-არსლანის ცოლყოფილის, ბედი ელოდა დედისიმედსაც — ჯერ ჰარამხანებში წამება, მერე კი — ძაძა გლოვისა, აზნაურთაგან ქართველს კი არავის მიათხოვებდა გულზვიადი ერისთავი.

ზოგჯერ რომ ეგონა, ბედნიერება სულ ახლოს იყო, მოულოდნელად ხელიდან ეცლებოდა უბედურ ქალს. „ალბათ არცერთ ენაზე არ იქნება ისეთი სიტყვები, მეფევე ბატონო, ჩემს ბედნიერებას რომ გამოხატავენ. სიტყვა რაა.“ — ეუბნება იგი მეფეს მასთან სიახლოვით აღფრთოვანებული, მაგრამ ეს დროც მოგონებებში დაინთქება და კვლავ უკუღმა დატრიალდება ბედის ბორბალი. მარტოობამაც დასტანჯა დედისიმედი, შვებას ლოცვაში ეძებდა მორწმუნე ქალი, მაგრამ მაინც შეინარჩუნა

უსაზღვრო სიკეთე და თავმდაბლობა. „შენ უფრო ღვთისშვილს ჰგავხარ, ქალაუ, ასეთი უწყინარი და თავმოდრეკილი, თითქოს რომელიმე საწყალობელი მეწისქეულის შვილი იყევ. შენ ყველა გებრალეზა, ყველას თვინიერად ექცევი,“ — ეუბნება მას მოხუცი საბია. განა შეეძლო სხვა თავადის ქალს ამდენი ყურადღება გამოეჩინა მდაბიორებისადმი, მათი ტანსაცმლის დაკერება ეკადრებინა, მათებრი თავშალი წამოესხა. ამიტომაც მიენდო იგი მექათმე თონას და მასთან ერთად გაიპარა ნაჭარმაგვეის სასახლიდან. ძმის სიკვდილისა და მამის ღატყვევების შემდეგ გამწარებულმა ქალმა როცა გაიგო, რომ მეფე ყიფჩალთა მთავრის ასულს ირთავდა, სხვა გამოსავალი, გარდა მონაზვნად აღკვეცისა, ვერ იპოვა.

ბევრი აძებნინა დავითმა თავისი დაკარგული „სასძლო“ არზრუმს, ბაღდადსა და პალესტინაში, ის კი სულ ახლოს, მზიანეთის დედათა მონასტერში აღუკვეცავს არგვეთის ერისთავის ცოლყოფილს ილუმენია ნეოფიტეს. ეს მომზდარა ორიოდ თვის შემდეგ, რაც დედისიმედი დაიკარგა. საიდუმლო გაიხსნა დავით მეფის უკანასკნელი ნადირობის დროს. მოტეხილიყო, გაქალაქავებულიყო უკვე ილუმენია დარია, ანუ დედისიმედი, სიყვითლეს კიდევ ვერ დაექრო მისი მომაჯადოვებელი მშვენება. სიკვდილის სარეცელზე მწოლარეს გამოეცხადება იგი მეფეს. კ. გამსახურდია დიდი ოსტატობით ხატავს იმ მწუხარე სცენას, რომელიც ფსიქოლოგიურად ძლიერად დატვირთულია. აი, შემოდის დავითთან მესტუმრეთუხუცესი — „მზიანეთიდან ჩამოსული ილუმენია გეახლათო ერთი მეფემ იცნო ლიპარიტ ერისთავის ასული. წამოდგომა დააპირა, ბოლოს გარღვეულივით დაბარბაცდა და სელს მიაშურა თავისი გრძელი მარჯვენა თავზე დაადო მუხლმოყრილს და წარბმორქმულმა უთხრა: „მაპატიე, დავო, შენი და ჩემი სიცოცხლე საქართველოს რომ შეეწირე ტარიგად. როცა დედისიმედი დარბაზიდან გაჰყავდა მესტუმრეთუხუცესს, დავითმა შენიშნა: მხრებისთავები უკანკალებდა შავოსანს.“

ორი დღის შემდეგ ესტუმრა მეფეს „მოუცილებელი მებაჟრე“ — სიკვდილი. არც დედისიმედი იცოცხლებდა დიდხანს. ირმის შველის სახით დავით აღმაშენებელმა ხომ დედისიმედის ტოტეში მოკლა. ისეთი ლამაზი თვალები ჰქონდა ამ უმწეო არსებას, მეფემ დაიფიცა, არასოდეს ვინადირებო შველზე. იგივე მოხდა „დიდოსტატის მარჯვენაშიც.“ შორენასავით უნდა დაილუპოს მონასტრის კედლებში გამოკეტილი ერისთავის ქალი. უნებურად გვაგონდება შუქია — ვასილ ბარნოვის

რომანიდან „ტრფობა წამებული“. რა ბევრი რამ არის საერთო მასა და დედისიმედს შორის. ორივეს, საოცრად ლამაზსა და სათნოს, უმუხტლა ბედმა. თავიანთ დიდ სიყვარულს შეეწირნენ ისინი. გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენილი ქალები ღვთის მსახურების გზას შეუდგნენ, მაგრამ ძნელი იყო სიცოცხლის სიყვარულის დათმობა. მხოლოდ ტრფობისაგან განდგომამ დაფერულა ისინი. წამებული იყო დავითისა და დედისიმედის, აშოტისა და შუქიას სიყვარული. ორივე წყვილი ცხოვრების მუხტლობამ, ბოროტებამ გაყარა და დაღუპა.

დავითისა და დედისიმედის მიჯნურობის ამბავში, როგორც „მთვარის მოტაცებაში“, არეკლილია რომეოსა და ჯულიეტას მოტივი. ორ საგვარეულოს — ბაგრატიონებსა და ბაღუაშ-ორბელიანებს შორის საუკუნეობრივი მტრობა სიყვარულით უნდა წაილეკოს. აქაც ვერ ხერხდება ეს, რადგან სიყვარულს ბედნიერება კი არ მოაქვს, არამედ შფოთი, სისხლი და ცრემლი. აქაც სიყვარული ძლეულია სიკვდილით.

არა მარტო „დავით აღმაშენებელში“, არამედ კ. გამსახურდიას მთელს შემოქმედებაში განსაკუთრებულად მიმზიდველი სახეა მარიამ დედოფალი. ბერძნულ და ქართულ ისტორიულ წყაროებს შემოუნახავთ ბიზანტიის ქართველი დედოფლის — მარიამის ვრცელი თავგადასავალი.

ბაგრატ IV-ს საბერძნეთში ყოფნისას კეისარმა აღსაზრდელად მოსთხოვა ასული მართა. 1054 წელს 5-7 წლის ქალი გაგზავნეს კონსტანტინოპოლში, მაგრამ მალე საქართველოში დაბრუნდა. 1065 წელს იგი ბერძნებმა სარძლოდ მოითხოვეს და 1071 წლამდე კეისართა სასახლეში იზრდებოდა. ქართული აგიოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოდან პატარძლის — მართას საბერძნეთში გაცილება მდიდრული ცერემონიალით მოხდა. ხახულის ერთ-ერთ ხატზეც მოთავსებულია მარიამისა და მიხეილ პარაპინაკის დაქორწინების გამოსახულება, სადაც ქალს ჯვრით დამშვენებული ქართული სკიპტრა უჭირავს, რომელიც ასევე ჩანს პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ იოანე ოქროპირის თხზულებათა ბერძნული ხელნაწერის მინიატურაზე. ქართველი დედოფალი ყველა საზეიმო ცერემონიაზე ქართული სკიპტრით გამოდიოდა მარიამი ორჯერ იყო საქართველოში — პირველად მამის გარდაცვალებისას, რომლის დროსაც ჩამოუტანია ხატი თავისი დაქორწინების სცენით. ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაში დაცულ ფსალმუნზე მეფეური სამოსელით აღბეჭდილია

მარიამი, მისი ვაჟი—კონსტანტინე პორფიროგენეტი და გადაშლილი ფიგურა, ალბათ დედოფლის რომელიმე მეუღლე, ამ შესაღმუნს ო. ნოდია 1080 წლით ათარიღებს.¹

ბერძნული წყარო „ალექსიადა“ მოგვითხრობს, რომ მიხეილ VII-ს — მარიამის პირველ ქმარს დიდხანს არ უმეფია. იგი აჯანყებულმა ბოტანაიტემ ჩამოაგდო, მარიამი კი თვითონ შეირთო. დედოფალი კვიპაროსივით მღალი და ტანადი ქალი იყო, თოვლივით თეთრი პირისახე ჰქონდა, არც თუ ძალიან მრგვალი, მაგრამ გაზაფხულის ვარდივით ალისფრად გაფურჩქენილი. არავის შეეძლო აღეწერა მარიამის თვალთა ბრწყინვალეობა. წამწამები ჰქონდა გრძელი და განსაცვიფრებელი, თვალები — ცისფერი. დედოფლის სილამაზისა და მომაჯადოებელი მიმზიდველობის სრულქმნა აღემატებოდა ხელოვანის ყალმის ძალას. არც აპელესს, არც ფიდიასს, არც რომელსაღმე სხვა მოქანდაკეს, ბიზანტიელ ავტორთა აზრით, არ დაუტოვებია ისეთი ნაწარმოები, რომელიც შეიძლებოდა შეგვედარებინა მარიამის სილამაზესთან — ის იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ზიბლავდა მშვენიერების თაყვანისმცემელთ. გასაოცარი სილამაზის, საუბარში მეტად თავდაპერილ, ზრდილობით აღსავსე ქალად გვიხატავს ქართველ დედოფალს მიქაელ პსელოსი. ქართველი დედოფლის დიდ პოლიტიკურ გავლენაზე ლაპარაკობს ანა კომნენი „ალექსიადაში“. მარიამს მოიხსენიებს ანას ქმარი ნიკიფორე ვრიენიოსიც თავის „საისტორიო მასალებში“. მას მეუღლეზე უკეთ სცოდნია ამ საოცარი ქალის ისტორია. თუ ანამ არ იცოდა, სადაური იყო მისი აღმზრდელი დედოფალი, ვრიენიოსი აღნიშნავს, რომ მარიამი იყო „იბერთა მპყრობელის ბაგრატის ქალიშვილი“². და მისი „შთამომავლობა ყველა სხვა სამეფო გვარს აღემატება“. „ალექსიადას“ ლიუბარსკისეულ გამოცემაში დედოფალი მოიხსენება ალანად, ასევე „მარიამ ალანელის“ სახელითაა წარმოდგენილი შარლ დილის „ბიზანტიურ პორტრეტებშიც“, სომხეთის მეფის ასული ჰგონია აკადემოკოსს უსპენსკის თავის „ბიზანტიის ისტორიაში“³. ეს გამოწვეულია იმით, რომ თვით ბიზანტიელი ისტორიკოსების მიერ მოწოდებული ფაქტობრივი მასალა არაზუსტია. მიუხედავად წყაროების სიმცირისა, კ. გამსახურდიამ მაინც

1. ბიზანტიზმის ეტიუდები, თბ., 1978 წ., გვ. 149.

2. გეორგიკა, თარგმანი და განმარტებანი ს. უაუხჩიშვილის ტ. V, თბ., 1965 წ., გვ. 306.

3. Успенский Ф. И., История византийской империи, т. III. М., 1948 г., ст. 69

შედლო შეეკმნა ამ ცნობილი ისტორიული პიროვნების შთაბეჭდავი სახე.

მწერალს მარიამი გამოყვანილი ჰყავს, როგორც მოწინავე იდეებით აღჭურვული, პროგრესული პიროვნება, რომელიც ძალას არ იშურებს, რათა განახორციელოს ის, რაც მისმა მამამ, ბაგრატ IV-მ და პაპამ — გიორგი I-მა წამოიწყო. მან გუმანით განჰკერიტა, თუ რა დიდი მომავალი ეზრდებოდა საქართველოს უფლისწული დავითის სახით და უკვე გამეფებულსაც გვერდში ამოუდგა, აქტიურად ჩაება ქვეყნის არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკაში.

მარიამ დედოფალი შორიდანაც ზრუნავდა სამშობლოზე. ამას მოწმობს ათონის ივერთა მონასტრის აღაპები. მას შეუძსუბუქებია საენისათვის საგადასახადო ტვირთი; მისი ბრძანებით, თეოფილაქტე ბულგარელს შეუსრულებია იოანეს სახარების კომენტარები, რომელიც პალეოგრაფიული მონაცემებით პეტრიწის სკოლას ეკუთვნის.¹

„დავით აღმაშენებელში“ დასაწყისშივე იქმნება დაძაბული სიტუაცია. ერთმანეთს მისდევენ მოვლენები, რომლებსაც თითქმის არავითარი კავშირი არა აქვთ ბიზანტიაში გათხოვილ დავითის მამიდასთან, მაგრამ მძაფრად იგრძნობა, რომ დიდი და მცირე გულისფანცქალით მოელის მის ჩამოსვლას. დავითს ყრმობიდანვე უყვარდა ღვთივმშვენიერი მამიდა, მაგრამ ახლა ორმაგი სიხარულით მოელოდა ნიკიფორე ბოტანაიტესის ცოლყოფილის ჩამოსვლას, რომელსაც თან დიდი ამაღა და ნიკოპოლის მთავარეპისკოპოსი უნდა ხლებოდა. მარიამს უნდა მოეგვარებინა ბაგრატიონებსა და თრიალეთის სამთავროს შორის ჩამოვარდნილი მტრობის საკითხი. ეს მან შეარქვა დედისიმედს „უფლისწულის თვალმშვენიერი „სასძლო“, მაგრამ მარტოოდენ ამ ქალის სილამაზე როდი ხიბლავდა მას. ბაგრატიონთა და ბალუაშთა მრავალგზის შერიგებამ ნაყოფი ვერ გამოიღო, მერე მოუხშირა თრიალეთის საერისთავოში სტუმრობას, თან დაჰყავდა პატარა უფლისწული, სევასტოსის ტიტულს ჰპირდებოდა ერისთავს, თუ დედისიმედს მისცემდა რძლად. მარიამმა მისი ძმა — გიორგი II-ც დაიყოლია, მათ ხომ ტკბილი დაძმური ურთიერთობა აკავშირებდათ, იშვიათად შეჰკადრებდნენ მკეახე სიტყვას ურთიერთს. შურის ნიადაგზე დიდაზნაურნი წინ აღუდგნენ მეფეს და სხვა ქალი შეართვევინეს დავითს.

1. კვანჭილაშვილი ტ., ლიტერატურული წერილები, თბ., 1959 წ., გვ. 209.

მარიამი „წრფელად უყვარდათ საქართველოში არა მარტო თავისი სიტურფის გამო, არამედ როგორც დიდი მოამაგე და ქერიე - ობოლთა გამკითხავი“. წირვის დაწყების წინ გიორგი მეფის შემდეგ მის სახელს ახსენებდნენ ყოველთვის. ერთი შეხედვით, თითქოს ბედნიერი იყო დედოფალი. 7 წლისა ჩაიყვანა იგი მამამ ბიზანტიას და მაშინ უთქვამს გიორგი მთაწმინდელს: „დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა“, რადგან იმავე დღეს მომკვდარა კონსტანტინოპოლში დედოფალი თეოდორა. ათი წლის შემდეგ კი კეისრის გვირგვინი მარიამს დაადგეს, მაგრამ მუდამ თან დასდევდა დარდი შორეულ სამშობლოზე, დაკარგულ ბავშვობაზე, რომელიც საქართველოში დატოვა. „ორი კეისრის ცოლყოფილი ვარ, ნეტავ რომელიმე ქართველ მეჭადაგისათვის მივეთხოვებინე განსვენებულ მამაჩემს...“ — ამბობდა პატრიოტი ქალი, რომელმაც თავისი მშვენიერება და მთელი სიცოცხლე სამშობლოს შესწირა ზვარაკად ბიზანტიაში არავინ ჰყავდა მახლობელი გარდა ხანშიშესული იოანე მაგისტრისა (რომელიც ქართველი იყო) და კონსტანტინე პორფიროგენეტისა, რომელმაც მხოლოდ ერთი სიტყვა იცოდა ქართულად — „დედა“. ქართული ბალი გააშენებინა ლამაზმა ბასილევსამ ბიზანტიაში და აქ იქარვებდა სევდას. „სამშობლო დაეკარგეთ მე და იოანემ ნებისთ თუ უნებლიეთ, ყოველ შემთხვევაში განგების ნებით... როცა სევდა მამულისადმი გულზე შემოგვენთება, ვზივართ მე და იოანე ამ კაკლის ქვეშ, ვიდრე სილამემდის, მზერით ვეალერსებით ამ საყვარელ ხეებს და აგრე გვგონია, სამშობლოს ჩვენის უკედავი სული იყოს თითქოს გადმოსული ამ ვაზებსა და ამ ხეებზე,“ — ამბობდა გულდამწვარი დედოფალი. რაც დრო გადიოდა, უფრო ერეოდა სევდა, — „ჰოი, წყეული იყოს ის დღე: ქართველ მეხამლეს წაგვოლოდი ცოლად. რა მომცა ამ დიდებამ, ან ქრიზოტრიკოლინის მოოქროვილმა დარბაზებმა... დედოფლობამ და საკეისრო ტახტმა. გეგუთის წითელი ხალათი მერჩია ყოველივე ამას.“

დავითთან ერთად მშობლიური სიყვარულით უყვარდა მარიამს დედისიმედიც. „ქეშმარიტად საწყალობელია დიაცი, — ფიქრობდა იგი, — თუ მიჯნურია, იგი იტანჯება მომეტებულად, თუ დედაა, იგი იზაგრება, თუ კარგი ცოლია, წელში წყდება დედისა, მეუღლისა და მიჯნურის ვალდებულებათა შეთავსებისას.“ ეს მან საკუთარი გამოცდილებითაც იცოდა. „ულამაზესნი დიაცნი ცუდ ვარსკვლავზე იბადებიან ამ ქვეყნად,“ — სჯეროდა მას და სურდა დედისიმედისა და დავითის ქეშმარიტი სიყვარულისათვის ხელი შეეწყო, რათა ერისთავის თვალმშვენიერი

ქალი მაინც აეცდინა ისეთი უბედურებისათვის, როგორიც მას ხედა წილად. აღმასების მანიაკიც დაუშურებლად მიართვა მან დედისიმედს.

მიუხედავად საოცარი, ზებუნებრივი მშვენებისა, გაუხარელი ცხოვრება ერგო მარიამს. ანა კამნენი აღფრთოვანებული წერდა, რომ ის, ვინც ერთხელ მოჰკრავდა მარიამს თვალს, უთუოდ გახევებული დარჩებოდა იმ მდგომარეობაში, რომელშიაც მას შეეყარა, თითქოს იმ წუთში გონებაც წართმევიო და სულიც.¹ გორგონას თავიც ქვად აქცევდა ყველას, ვინც თვალს შეავლებდა მას.² მერეც არაერთხელ შეუდარებიათ მარიამი გორგონასათვის, მაგრამ ეს არ იყო პირდაპირი მსგავსება. მარიამი იყო გორგონა, კეთილი სათნო გორგონა, რომელიც ქვეყნად სიკეთესა და სიქველეს თესავდა. „იგი იყო ცოცხალი, მსუნთქავი ჰარმონია თავათ, მშვენიერების მოყვარულთა გონების წამღები და მომწუსხელი. იგი იყო იმპეროსი თავათ, ჩვენს მიწაზე ხორცშესხმულად წარმოვლენილი“. არაერთი გამოჩენილი პიროვნება ეტრფოდა მას — ამირ აბდელ ვაჰიდი, იერუსალიმის მპყრობელი ნეჯიზ-ედდინ ილლაზი, ნიკეას სულტანი ქილირჯ არსლანი და სხვები, მაგრამ თვითონ ერთგული დარჩა პირველი გრძნობისა. კონსტანტინეს დაქორწინების შემდეგ საქართველოში დაბრუნება უნდოდა მაიკოს, რათა შეხიზნებოდა რომელიმე მონასტერს და იქ მოეთავეებინა სიცოცხლე. ნანობდა, მწარედ ნანობდა იგი თავის საბედისწერო ნაბიჯს — დარბაზის ერთა ხმას აჰყვა ქართველ თავადაზნაურობას მუდამ სხვისი იმედი ჰქონდა და სჯეროდა, რომ თუ მეფის ასული ბიზანტიის იმპერატორის ცოლი გახდებოდა, საქართველოს იხსნიდა. „რა გამოვიდა მერე? მეც გავუბედურდი და ველარც ჩემს ქვეყანას წავადექი,“ — გულდაწყვეტილი ამბობს ნოსტალგიით შეპყრობილი ქალი, — „მეწყერსაც წაუღია ბიზანტიონი და მისი სასახლენი, ჩემი ვაჟი რომ მანდ არ მეგულებოდეს, ფეხსაც არ დავადგამდი ბერძენთა მიწას“

ქეშმარიტი გრძნობით უყვარდათ ერთმანეთი ნიანია ბაკურიანსა და მარიამ დედოფალს, თუმცა მათ შორის დიდი იყო ასაკობრივი ზღვარი. ჭკვიანმა ქალმა, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც ეტრფოდა ვაჟკაცს, თავი აარიდა მასთან ურთიერთობას, რათა გზა არ გადაეღობა ახალგაზრდა ქაბუკის მომავალი ბედნიერებისათვის. გარყვნილ მელიტას

1. გეორგიკა, თარგმანი და განმარტებანი ს. ყაუხჩიშვილისა, ტ. VI, თბ., 1966 წ., გვ. 68.

2. გელოვანი ა., მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1986 წ., გვ. 121.

შეატოვებდა ხოლმე მას ხელში, მაგრამ მასთან განშორების ჟამს მაინც აბრწყინდებოდა მის მშვენიერ თვალებზე ცრემლი. საოცრად ჰგავდა ნინია მესხ აზნაურს არტავაზს, ისააკ ტოლობელის ძეს, რომელსაც მარიამი ეტრფოდა ახალგაზრდობისას. ისე იყო გამიჯნურებული ქალი, რომ მზად იყო მამისათვის იმპერატორ მიხეილ დუკასთან გაყრა ეთხოვა და თუნდ მხევლად გაპყოლოდა არტავაზს, მაგრამ ვერ გაბედა. აგარასთან ბრძოლაში დაიღუპა შეუღლებელი ვაჟკაცი და დარჩა გამწარებული დედოფალი, რადგან „კუბიდონი და მარსი სხედასხეაგვარ საქმესა შვებიან ამ ქვეყნად.“

ათეული წლების მანძილზე ბიზანტიის სასახლეთა ინტრიგებმა ვერ შეძლეს, შეელახათ მარიამის სათნო ბუნება. დიდი სიყვარულით ეპყრობოდა იგი ძმის ოჯახს, დღენიადგ ზრუნავდა მასზე, მაგრამ, როგორც ყველა ლამაზი, უზომოდ პატივმოყვარე იყო და იოტისოდენა უყურადღებობასა და უპატივცემლობასაც ვერ იტანდა, „ყოველ ადამიანს გაცილებით მეტ ყურადღებას მიაწერდა, ვიდრე ეს ნამდვილად გააჩნდა მას, ნდომიერი და გულალალი იყო თავადაც. ამიტომ მოყვასისაგან თავანკარა ნდობას მოითხოვდა ხოლმე“. მისი ორივე ქმარი უნიჭო ლექსების წყრითა და ლოცვით ირთობდა თავს, მას კი ყოველივე ამალღებული და მშვენიერი უყვარდა, ალბათ ამიტომაც იყო გატაცებული პატიოსანი თვლებით. საოცრად მგრძნობიარე იყო იგი, სიკეთისა და სიქველის განსახიერება. სუსტი გული ჰქონდა მის ნაზ ბუნებას, ამიტომაც მძიმედ განიცადა დედისიმედის დაკარგვა, მწუხარებისაგან დაავადდა კიდევ. ამას ზედ დაერთო გევანცას სიკვდილიც. მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ აპატია მან თავს რუსუდანის მიმართ გამოჩენილი გულცივობა. ის თავად ამბობდა, რომ არ უყვარდა რძალყოფილი, მაგრამ მოხიბლა მისმა ზნეობრივმა საქციელმა. „როგორი ფაქიზი და მშვენიერი სულის ჭურჭელია მისი მახინჯი სხეული,“— ასე შეაფასა რუსუდანი. მართალია, მარიამმა მიაღწია იმას, რომ დავითისათვის მიეცათ ცოლთან გაყრის უფლება, მაგრამ აქ ბასილისას პირადი ინტერესები როდი ამოძრავებდა, არც დედოფლის გარეგნობაზე იტყოდა ლამაზების მოყვარული რამეს, დაძაბული მდგომარეობა რომ არ ყოფილიყო. ეს საქართველოს მომავლისათვის იყო აუცილებელი. შემდეგ კი თავად იზრუნა დედოფალყოფილის უსაფრთხოებასა და მონასტერში მოწყობაზე.

მარიამმა ვერ მიაღწია საწადელს, თრიალეთის სამთავროს შემოერთება მაინც ძალით მოხდა, რადგან დედოფლის სათნოებამ ვერ გასჭრა.

კონსტანტინე პორფიროგენეტიც შეთქმული აღმოჩნდა კეისრის წინააღმდეგ და მანაც კრაზი განიცადა მიუხედავად დიდი პოლიტიკური გავლენისა, მარიამმა ვერ შეძლო თავისი მიზნების განხორციელება, რადგან, როგორც დავით აღმაშენებელი ამბობდა მასზე, „სინაზე და სიძლიერე ერთ ხალათში აროდეს დატეულან“, თუმცა მშვენიერმა ბასილისამ მაქსიმალურად მოიხმარა ძალები.

კონსტანტინე პორფიროგენეტის სიკვდილის შემდეგ თავის მამულში, ქრისტეპოლში, შინაურ ეკლასიაში შემონახვნიდა მარიამი. აქ ათიოდე მონაზონი ცხოვრობდა და მათი ილუმენია იყო მართაყოფილი. საქართველოდან უკანასკნელად ჩამოსული გულის მანკით დაავადდა, ზეციური მშვენიერებაც გაუქრა მრავალტანჯულს. გიორგობისას დაპირებისამებრ ნიანია უნდა ჩამოსულიყო. სამგზის წარგზავნა დაავადებულმა ქალმა ეზოსმოძღვარი ცინცილუკ დასახვედრად, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ნაშუადმევს სუნთქვა შეეკრა და სულის ამოხდომისას ორი სახელი ახსენა — კონსტანტინე პორფიროგენეტი და ნიანია ბაკურიანი.

ძლიერ განიცადა დავით აღმაშენებელმა საყვარელი მამიდის სიკვდილი. „სრულიად საქართველოს ეკლესიებში სამგლოვიარო პანაშვიდები გადაიხადეს. კათალიკოზი და ეპისკოპოზები მარიამ მართაყოფილის სულს ავედრებდნენ უფალს.“

ასე აღესრულა სამშობლოსათვის თავდადებული ულამაზესი ქართველი ქალი, რომლის პორტრეტი, გელათის ღვთისმშობლის მოზაიკით შესრულებული, რომელიც ზუსტად ჰგავს ვატიკანში შემონახულ სურათს მარიამისას, დღესაც ამშვენებს გელათის დიდებულ ტაძარს. ამ საოცარი ქალის საინტერესო თავგადასავალი მოკლედ მოიხაზება კ. გამსახურდიას შემდეგ სიტყვებში: „როგორი საცოდავი იყო ეს ქალი, რომელსაც ბედმა თითქმის ყოველივე ამქვეყნიური დიდება ბრესავით გადააყარა თავზე, ბიზანტიის ორი კეისრის გვირგვინი, ბუკოლეონის, ხრიზოტრიკლინის და მანგანის სასახლეთა საქურთქლეთა სიმდიდრე, მთელი მაშინდელი მოწინავე მსოფლიოს რჩეულთა შორეული ტრფიალი და აღტაცება. მის სიცოცხლეშივე მხატვრები ღვთისმშობლის ხატების დასახატავად იყენებდნენ მის ანაგობას, მის სახის ნაკვთებს, მაგრამ მანაც უფრო უბედური იყო და საწყალობელი, ვიდრე რომელიმე მეჭადგავის ცოლი, ან ცოლყოფილი.“

მარიამ დედოფალი სიკვდილის შემდეგაც ლეგენდად დარჩა.

საინტერესოა, რომ ფრანგმა მეცნიერმა ფ. ხალანდონმა კომენტების შესახებ დაწერილ ორტომიან მონოგრაფიაში 69 გვერდი დაუთმო მარიამ დედოფლის თავგადასავალს. არსებობს ისტორიული რომანიც; ეს არის მაქსიმ დე კონსტონის წიგნი „ბიზანტიისაკენ“. აქ 172 გვერდი ეძღვნება ქართველი ბასილევსას ოდისეას.¹

„დავით აღმაშენებელში“ გამოყვანილ ლამაზ ქალთა რიცხვშია გვანცა — შამან თაკვერის ერისთავის ასული, რომლის ჩამოსვლამ აახმაურა სასახლის სეფექალები: „მისებრ ტურფა ქალი მთელს სამეფოში არააო ამ ჟამად.“ გვანცას დედა გურანდუხტ-კლარჯეთელ ბაგრატივანთა ასული იყო. ბაგრატ მესამეს ფანასკერტის ციხეში მოუწყვევია მისი დის შვილები გურგენ და სუმბატ, დაუპატიმრებია ისინი, მათი შვილები კი ბიზანტიაში გაქცეულან. უფროსი ძმის შვილი, აშოტის შვილიშვილი ჩამოუყვანია შამან ერისთავის მამას ედიშერს — და ცოლად დაუსვაძს, ასე რომ, გვანცა შორეული ნათესავი იყო გიორგი II-ისა.

დედისიმედი და გვანცა — ეს ორი სათნო არსება თითქმის სამკაულია ამ რომანისა: საოცარი პარმონია იქმნება მათი ერთობით. ისინი მეგობრობდნენ კიდევ, ერთად კითხულობდნენ „ნადიმს“, ერთად სეირნობდნენ და ერთობოდნენ, მაგრამ არც ერთ მათგანს, როგორც ყოველგვარ სრულქნილ არსებას, არასოდეს უგრძნია შური მეგობრისადმი. დებივით ჰგავდნენ ერთმანეთს გვანცა და დედისიმედი. ორივე ქერა იყო და ტანკენარი, „ორივეს სხივივით გარს ადგა აბრეშუმივით თმა, ყვრიმალბთან ვაზის პწკალებივით დაკლანჩილი საყვარლად“, მაგრამ განსხვავდებოდნენ შინაგანი ბუნებით. ორბელიანების ასული უფრო ნაზი იყო და მოშიში, გვანცა კი გაბედული, ვაჟკაცური. „ოდნავ წამობორცვილი ბაგენი, ზემო ტუჩზე სირმისფერი პაწია, მთლად პაწია უღვაშები და თვალები ჰქონდა გვანცას სხევანაირი, წაბლისფერი კი არა, არამედ სუფთა თაფლისფერი და წარბები ისეთი დადრეკილი, როგორც იმჟამინდელი ოსტატები უკეთებდნენ ხოლმე მინანქარზე დახატულ ღვთისმშობლებს.“

უფრო შეუდრეკელი იყო გვანცა, ვიდრე დედისიმედი. „წელში გამართული და მარცხენა ზეადმართული იდგა იგი, როგორც ნადირობის ქაღალმერთი არტემიდა, რომელსაც ბერძნულ ვაზებსა და ლეკიფებზე გამოსახავენ ხოლმე ძველბერძენი ოქრომჭედელები“. მისი განიერი ბეჭები და მკერივი კუნთები ომახიან იერს აძლევდა მის გარეგნობას.

1. ჭანელიძე დ., ქართველი მზეთუნახავები უცხოეთში, თბ., 1983 წ., გვ. 34.

ის ღირსეული ქალი იყო შამან ერისთავისა და საამაყო და ჯონდისა. მის „მთელს აღნაგობაში“ გამოსტევიოდა ის სიმამაცე, რომელიც ახალქალაქის, ფარცხისის და ანტიოქიის ომებში გამოეჩინათ შამან ერისთავსა და მის ვაჟს.“

არა მარტო გარეგნობით და ვაჟკაცობით გამოირჩეოდა გვანცა, სიყვარულშიც უმაგალითო იყო იგი. თავდავიწყებით უყვარდა მას დავითი, მზად იყო, მეაბჯრედ მაინც გაჰყოლოდა მეფეს. დიდი სიმპათიით იყვნენ განსმტვეალული მისადმი ელენე, მარიამი და მთელი სამეფო კარი. დედისიმედის პოენის იმედგადაწურულმა მეფემ მისი შერთვა გადაწყვიტა, მაგრამ კვლავ უკუღმა დატრიალდა ბედის ჩარხი და სამეფო ინტერესებს შეეწირა გვანცას სიყვარული. ჯერ თავის საქმროს — არგვეთის ერისთავის ვაჟს გამოექცა იგი. მიუხედავად იმისა, რომ იცოდა დედისიმედისა და დავითის სიყვარულის ამბავი, იმედს არ ჰკარგავდა, რომ ოდესმე გახდებოდა მეფის სიყვარულის ღირსი. „თუ მხევლად მაინც არ ამიყვანა უფლისწულმა, ისეთ საქმეს ვიქმ, ჯერ დიაცთაგანს არ მოემოქმედოსო,“ — უთქვამს ქალს და ეყო კიდევ ნებისყოფა, სისრულეში მოეყვანა განაჩენი, რომელიც თავდავიწყებულმა სიყვარულმა გამოუტანა მას.

უშიშარი იყო გვანცა, ხიფათისა და წინააღმდეგობების მოყვარული, არც განსაცდელს შეუშინდებოდა, არც ძალდატანებას. ვაჟკაცივით ატარებდა ცხენს, მიმინოებით ნადირობდა და ქაჯივით მიაგელვებდა თაფლისფერ იაბოს ქარაფებზე. „არაფერი ისე არ ამშვენებს ცხოვრებას, როგორც სიკვდილთან თამაში,“ — ამ აზრით ძლიერ ჰგავდა იგი დავით აღმაშენებელს.

გაუტრუვდა გვანცას მარიამთან ნათქვამი სიტყვა, მამაკაცი ღვთის შვილიც რომ იყოს, მისთვის თავს ვერ მოვიკლავდიო. სასიკვდილო განაჩენივით მოისმინა მან მეფის დადგენილება — მის საქმროდ ვალანგ ერისთავი შეერჩიათ, დავითს კი ყიფჩაღთა მთავრის ასული უნდა დაესვა დედოფლად. იმ ღამესვე ნოტარის ოთახში შეიპარა ქალი, იპოვა მაჰაგონის კოლოფი, სადაც მოწამლული ბეჭედი იდო, მერე ოლოცა და ზედიზედ მოსწოვა პალას ათინას ოქროს გველის ენა. მხოლოდ სიკვდილის წინ კარის ეკლესიის მღვდელ საჩინოს გაანდო მან ყოველივე, გათენებისას უკანასკნელად დაიკვნესა, მოვდივარო დედიკო და სულიც განუტევა. ასეთივე სიტყვებით მოკვდება საუკუნეთა შემდეგ გვანცას იდუმალი აჩრდილი თამარ შერვაშიძე, მანამდე კი შორენა გადაეშვება ქარაფიდან, ისიც სიყვარულისთვის ტანჯული და თავდადებული,

გვანცასავით ვაჟკაცი, გამბედავი ულამაზესი ქალი, რომელიც ხმლით ხელში ედგა გვერდით მამას.

მძიმედ განიცადა დავითმა საყვარელი არსების დაკარგვა და, როგორც აშოტ კურაპალატმა ერთ დროს (ვ. ბარნოვის „ტრფობა წამებული“), მწარედ თქვა: „ჯოჯოხეთო, აღახვენ პირნი შენნი და ცოცხლად ჩამიტანე მე–“

გვანცა, როგორც ბევრი სხვა, ავტორის ფანტაზიით შექმნილი პერსონაჟია, მაგრამ ოდნავადაც არ იგრძნობა, რომ შეიძლება იმ დროს არ არსებულობო ეს ქალიმასში გაერთიანებულია ქართველ მანდილოსანთა ყველა საუკეთესო თვისება და მის არსებაში მძაფრადაა გამჭდარი ქრონული სული.

მზრუნველი დედისა და მეფის ღირსეული თანამეცხედრის თვისებები ერთად შერწყმულია ელენე დედოფლის მხატვრულ სახეში, რომელიც გიორგი II-ის მეუღლეა. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიაში დავით აღმაშენებლის დედაზე ცნობები არაა შემონახული, კ. გამსახურდია ვრცლად წარმოგვიდგენს მის პიროვნებას, სათნო ურთიერთობას ადამიანებთან, სიკეთესა და ადამიანობას. ერთი სიტყვით, ელენეს სახე ნაყოფია მწერლის დიდი ნიჭისა.

რომანში ელენე დედოფალს არც რამე დიდი ისტორიული მისია აკისრია და არც რამე მნიშვნელოვანი საქმე ჩაუდენია საქართველოსათვის, როგორც ეს მარიამმა გააკეთა, მაგრამ უკვდავსაყოფად მას მხოლოდ დავით აღმაშენებლის დედობაც ეყოფოდა.

ტკვინმა, წინდახედულმა ქალმა იცოდა ქმრის სუსტი ნებისყოფის ამბავი, რომ გიორგი II არ იყო დიდი პოლიტიკოსი და მეფობისათვის გაჩენილი ადამიანი, მაგრამ ყოველ საქმეში გვერდით ედგა მეუღლეს. ფეხმძიმე დედოფალი მცირე სპის ამარა შუა ზამთარში ნაშუალამევს ამოსულა ქნებით წალვლისთავში, არც თურქის მარბიელის შემოსევებს შეუშინებია გზადაგზა, როცა მისი ქმარი სამშვილდეში ებრძოდა თურქებს. ის წესრიგი, რომელიც სასახლეში სუფევდა, არა მარტო ჭყონდიდელის, ელენეს საქმიანობის წყალობაც იყო. იგი გამუდმებით თვალყურს ადევნებდა ქვეშევრდომთა მორალურ და ზნეობრივ მდგომარეობას.

საოცრად მოხდენილი სიტყვებით არის აღწერილი რომანში ელენეს დედობრივი სიყვარულის სილამაზე. იგი მწვავედ განიცდიდა შვილის ყოველ ნაბიჯს. მან იცოდა, რომ დავითის თითოეული აზრი და მოქმედება

საქართველოს კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული, ამიტომაც მზურვალედ თანაუგრძნობდა მას. დედა ხედავდა, თავიდანვე უჭირდა შვილს. უჭირდა არა მარტო გარეშე მტრის, არამედ შინა ქვეგამხედვართა წინააღმდეგ ბრძოლა, ბევრი ექვის თვალით უყურებდა მის წამოწყებებს, განსაკუთრებით სამღვდელოება, მაგრამ დედოფალი მაინც მხარს უჭერდა დავითს, რადგან იცოდა, რომ „როცა მოყვასი შენი საქმეს დაიწყებს რამეს, სანამ მას არ მიათავებს, არ უნდა განიკითხო იგი... მხოლოდ ოფოფი შეიცნობა თავითა, ხოლო ჭეშმარიტი საქმე ბოლოთი“

კეთილი დედოფალი, რომელიც უპირველეს ყოვლისა ქრისტიანი ქალი იყო, არც საეკლესიო საქმეებისათვის იშურებდა ძალას, მკაცრად იცავდა სასულიერო დოგმების მიერ ჩამოყალიბებულ ეტიკეტებს და შავი ღლისთვის შემონახულ დრამატუზებსა და ბოტინატებს ხშირად ურიგებდა ხოლმე ქვრივობლებს.

ელენეს სათნო გული იგრძნობდა მის ურთიერთობაში რუსუდან დედოფალთანაც, რომელზეც მთელი სასახლე ამრეზილი იყო. მისი დედობრივი აღერსი ოდნავ მაინც ულამაზებდა სიცოცხლეს ფიზიკურად შეუხედავ, მაგრამ კეთილ ქალს. ელენე კარგად ხედავდა, თუ რა მდგომარეობაში იყო სომეხ ბაგრატიუნიანთა ასული, რომელსაც ახლობელი არავინ დარჩენოდა ქვეყნად. ელენემ თავად იტვირთა დემეტრე უფლისწულის აღზრდა და მდუღარე ცრემლით გააცილა შემონახვნიებული რძალი, თან ევედრებოდა, ღვთის წინაშე აუგად არ ეხსენებინა მისი ოჯახი, მარიამ ღვთისმშობლისათვის შეევედრებინა ჭაბუკი მეფე. რუსუდანისა და დავითის გაყრის მიზეზად მარიამ დედოფლის ჩამოსვლა მიაჩნდა, ეს მან ჩამოიტანაო ბერძენ კეისართა მეუღლეების ავზნეობა. მას სასტიკად სძულდა მეძავი ბერძენი დედოფლები, რომლებსაც თავიანთი სილამაზითა და ჭრუმობით გაითქვეს სახელი.

კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ელენეს დედისიმეიტან და გვანცასთან. თვითონაც ლამაზს, ხიბლავდა მათი მშვენიება, მაგრამ, რაც მთავარია, სურდა, ნომოკანონის შემდეგ, დავითს ქარიველი ქალი მოეყვანა ცოლად და არა ურჯულო ყივჩაღი. მათმა დაკარგვამ, სხვისი შვილების ცოდვით ოჯახის დამძიმებამ დააავადა „ბუნებით რბილი და სათნო ელენე დედოფალი... დედის მიუშვდარი გული ჩინებულად გრძნობდა, რა უდრტვინველად იტანჯებოდა მისი ვაჟი...“ მერე მარიამ

დედოფლის გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ ღამეების თევისას გაცივდა და უეცრად გარდაიცვალა, თან წარიტანა შვილზე ფიქრით სახსე გული და შვილზე ლოცვით ცრემლით ჩამჭრალი თვალები.

ოჯახისათვის თავდადებული ქალის სახეა ასევე კატაი — ლიპარიტ ორბელიანის, თრიალეთის ერისთავის ცოლი. იგი არც ისე ხშირად გამოჩნდება თბრობაში და მისი ხატება თანდათან იკვეთება. ის უფრო მეორეხარისხოვანი გმირია, რომელიც ავსებს თრიალეთის ერისთავის ოჯახური გარემოს სურათს. კატაის ხასიათი, შინაგანი სამყარო ზოლოდ მოქმედებაში, სხვა გმირებთან მიმართებაში მელავენდება.

კატაი დუქისძის ქალია, თრიალეთის ერისთავზე გათხოვილი, მაგრამ მჭიდრო კონტაქტი აქვს დუქისძეებთან. მისი ძმა ლიპარიტის მარჯვენა ხელია; ისინი ერთად აპირებენ დავით მეფის განადგურებას, მაგრამ კატაი თავისი ოჯახის აღზევებაზე ფიქრობს და დიდი სიამოვნებით შეურიგდება მეფეს, თუკი დედისიმედი საქართველოს დედოფალი გახდება, თუმცა ის ვერასოდეს დაუდგება წინ ქმრის სიტყვას.

კატაისათვის თავისი ოჯახის სიწმინდე უპირველესია, ამიტომაც ეპყრობა მკაცრად დედისიმედს, ცდილობს, ჩაეკეტოს საზოგადოებისაგან, რათა სასახლის ქორებასაც საბაბი არ მიეცეთ. ერისთავის ცოლმა, მიუხედავად დიდი მონდომებისა, მაინც ვერ შეძლო ოჯახის გადარჩენა. დაიღუპა მისი ერთადერთი ვაჟი რატი, დაიკარგა დედისიმედიც. ღეთისმოშიში ქალის ლოცვამ ვერ უშველა ორბელიანებს და იმედების გაცრუებამ, დამარცხებამ გასტეხა იგი. „კატაი სიკვდილის პირს იყო მიმდგარი წუხელ,“ — ეუბნება მემამულეთუხუცესი დავითს და ამით მთავრდება მისი ხსენება რომანში.

ისტორიულად დავით აღმაშენებლის მეუღლედ იხსენიება ყიფჩალთა მთავრის ასული. „გალობანი სინანულისან“—ში მეფე ამბობს: „მებრძოლ ვექმენ ყოველთა წესთა სჯულისათა და ქორწილ[ი]თა - მიერ ბოროტთა მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი, ვითარცა იგი მეფეთა მისთა ისრაელიო.“ აქედან ჩანს, რომ მეფეს რაღაც კანონი დაურღვევია ქორწინებაში. სომეხი ისტორიკოსის მათე ურჰაელის მიხედვით, აღმაშენებელს გარდა ყიფჩალისა, სხვა ცოლიც ჰყოლია, სომხის ქალი, რომლისგანაც შესძენია უფლისწული დემეტრე. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ შეიძლება

მეფე მას გაეყარა და შემდეგ შეირთო ყივჩაღთა მთავრის ასული; იქნებ ამიტომაც არ არისო მოხსენიებული დავით აღმაშენებლის ისტორიაში და შეიძლება ეს იყო მისი „ბრალნი სიყრმისა.“¹

რომანში თხრობისას უმთავრესი ადგილი ეთმობა რუსუდან დედოფალს და მხოლოდ ტეტრალოგიის ბოლოს გამოჩნდება ყივჩაღთა მთავრის ასული — გურანდუხტი.

რუსუდან დედოფალი სომეხი ბაგრატიტების ასულია. თავდაზნაურობამ დავითის უკითხავად მოაყვანინა გიორგი მეფეს 5 წლით უფლისწულზე უფროსი ქალი, „ნაყვავილენი, უჩინო სახითაც.“ ამ ქორწინებას დიდი პოლიტიკური მიზანი ჰქონდა. ის საბოლოოდ შემოუმტკიცებდა საქართველოს სომხეთს. დავითის სიყვარულს არავინ გაუწია ანგარიში, რადგან მახარას სიტყვებით, ასეთი იყო „სეფე წულთა ხვედრი, ცხენების დაგრილების გამო უფრო მეტს ჰკითხავდნენ მათ, ვიდრე საკუთარი ცოლის შერჩევას.“

უსახური იყო რუსუდანი, ამიტომ მთელი სასახლე ამრეზილი უყურებდა მას; არც ქმარს უყვარდა და უღიმღამოდ გადიოდა მისი დღეები, საშინლად განიცდიდა ულამაზობას. მხოლოდ ელენემ მიიღო შვილივით ობლად დარჩენილი ასული სომეხთა მეფისა, ეცოდებოდა, გულს უკლავდა „გამწარებული სვე უთვისტომო ქალისა, რომელსაც, თუმცა დედოფალს უწოდებდნენ მანდატურნი, მაგრამ იგი მაინც უბედური იყო, ვიდრე რომელიმე მესთულეს ცოლი. დედ-მამა აღარ ჰყავდა რუსუდანს, ანისიდან გაქცეული ძმები კილიკიაში ებრძოდნენ თურქებს.“

ფანატიკურად მორწმუნე იყო დედოფალი. თავის ასაკთან შეუფერებელ ლტოლვილებას იჩენდა სარწმუნოების მიმართ, ბერმონაზვნებით აავსო სასახლე დატანჯული ქალი რელიგიაში ეძებდა შვებას არაერთხელ უნატრია სიკვდილი. როცა მის ნაცვლად ელენეს ან მის მოახლეს სცემდნენ თავყვანს უცნობი ქვეშევრდომები, „მიწა მიყოფდესო ნეტავი პირს,“ — გაითიქრებდა რუსუდანი, რადგან უსახური ქალი არავის ეგონა დედოფალი. ქვეყნად მის გაჩენას შეწირული დედის ბედს ინატრებდა ხოლმე.

მარიამ დედოფლის ჩამოსვლამ ბოლო მოუღო დავითისა და რუსუდანის ტანჯვას. იმ საღამოს, როცა კოზმან ბერმა ამცნო დედოფალს,

1. ჯავახიშვილი ი., თხზულებანი, თორმეტტომეული, ტ. II, თბ., 1983 წ., გვ. 219-220.

რომ შენტვის ჩამოტანილი აღმასების მანიაკი მარიამმა დედისიმედს გადასცაო, გადაწყდა მისი ბედი. რუსუდანმა იხმო ქუთათელი და განუცხადა, რომ სურდა სოხასტერის დედათა მონასტერში უბრალო მორჩილად აღკვეცა. მხოლოდ სასახლის სასულიერო საზოგადოება შეხვდა ამას უკმაყოფილოდ.

რუსუდანის ერთადერთი დარდი პატარა დემეტრე იყო. უბედურმა დედამ შვილი ელენე დედოფალს ჩააბარა. საოცარი სულგრძელობა გამოიჩინა მან. მხოლოდ უაღრესად კეთილსა და მაღალი სულის ადამიანს შეეძლო ასეთი ტრაგედიის შემდეგ ეთქვა: „მე ვილოცებ დავითისათვის, დედოფალო ბატონო, რადგან მას არ მიუძღვის ჩემს წინაშე ბრალი—“ და როცა ჯვალში გამოწყობილი რუსუდანი წინამძღვარმა თუთაიმ და ქუთათელმა იმქვეყნიური მსახურების გზას გაუყენეს, მხოლოდ ერთი საზარელი ხმა შემორჩა მის გონებას — „ნურავინ გიყვარან!“ რომელიც უფლისწულ დემეტრეს აგონებდა. დედის გულმა მაინც ვერ შეძლო შვილის დავიწყება და დიდი ხნის შემდეგ, როცა იერუსალიმს მას დემეტრეს ხატს ჩაუტანენ, იტყვის: „ეგ არის თვალთა ჩემთა სინათლე.“

საინტერესოა დედოფალყოფილის, უკვე მონაზონ რიპსიმეს თავგადასავალი იერუსალიმის გზაზე. რა არ გადახდა მას — შიმშილი, ავადმყოფობა, ტანჯვა, მაგრამ მტკიცე ნებისყოფის ქალმა ყოველივეს გაუძლო. იგი ილუმენიად დადგა იერუსალიმში კეისარ იუსტინეს მიერ აშენებულ მონასტერში, რომელიც ბაგრატ IV-ის მეორე ცოლს, ბორენასა და მარიამს განეახლებინათ. აქ ცხოვრობდა და უშფოთველად ელოდა აღსასრულს, მაგრამ მაინც ვერ დაივიწყა წარსული, მუდამ თან სდევდა შვილის ხატება და როცა იერუსალიმში ხმა დაირხა, დავით მეფე თურქებმა მოკლესო ერწუხში, სამი დღე უჩუმრად უტირია; ჩანს, არასოდეს ყოფილა ქმრისადმი გულგრილი და რა უსაზღვრო იქნებოდა მისი სიზარული, როცა გაიგებდა ამ ამბის სიმცდარეს, თუმცა გარეგნულად სხვების წინაშე არაფერს ამჟღავნებდა.

რუსუდან დედოფლის ხსენება ტეტრალოგიაში, მის მიერ პარიზს გაგზავნილი წერილით წყდება, რომელშიც ის პარიზს უსახსოვრებს საქართველოდან სხვა განძეულობასთან ერთად წამოღებულ ბაგრატიონთა სვეტიცხოვლის ჯვარს. მიუხედავად იმისა, რომ დედოფალს არავითარი ისტორიული ღვაწლი არ მიუძღვის, მაინც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორც სათნო, უბოროტო, კეთილი ქალი. ერთადერთი გაბედული ნაბიჯი მის ცხოვრებაში, ეს დავით მეფესთან ქორწინება იყო.

თუმცა ნაწარმოებში არ ჩანს, მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსუდანისათვის სასურველი არ იქნებოდა ხუთი წლით უმცროსი უფლისწულის ცოლობა, მაგრამ ამით ის იხსნიდა სამშობლოს, რომელსაც მტრები სრულ განადგურებას უპირებდნენ. ეს იყო ერთადერთი სწორი გზა სომხეთის ხსნისა.

ტეტრალიოგიაში სუსტადაა ასახული დაბალი წრის ქალთა ცხოვრება. მხოლოდ ზოგჯერ თუ გაივლებენ ისინი, მაგრამ არც შეიძლებაოდა უფრო ვრცლად დახატულიყო ლაკლაკა, ლელა, ხორეშანი და სხვები, რომლებიც უფრო მოსამსახურენი არიან. ალბათ დაუჯერებლობის ელფერს დაიდებდა თხრობაში მათი უფრო სრულად შემოყვანა, რადგან არც ერთი ისტორიული წყარო არ იძლევა ამ წრის წარმომადგენელთა, განსაკუთრებით კი ქალთა, ცხოვრებაზე ცნობებს. თუ შესაძლებელია ერთგვარად წარმოვიდგინოთ ერისთავთა და მეფეთა არარსებულ მანდილოსანთა სახეები, მათი ყოფა და ინტერესები, შუა საუკუნეებში უბრალო ქალების ცხოვრებაზე შეხედულების ჩამოყალიბება ძაზე ძნელია.

შედარებით გამოკვეთილი სახე დაბალი წრის ქალებიდან არის მექათმე თეონა, მამაკაცური აღნაგობის „ბექპრტყელი და ლაწემაღალი“ ქალი, რომელიც ოთარაანთ ქერივს გვაგონებს. ნაწარმოებში მას ვხედავთ, როგორც ფრიად გამრჯე და სათნო დიაცს, რომელიც ბედისწერას შავებში გაუხვევია. სამი ძმა ფარცხისში მოუკლავთ, ქმარი ლიახში დახრჩობია, მერე კი ზედაზენში თურქებთან ბრძოლისას მისი ერთადერთი ვაჟი დაღუპულა. თეონაში განზოგადოებულია იმდროინდელი საქართველოს თითქმის ყოველი დედის სახე, რომლებიც მთელი ოჯახით ეწირებოდნენ. სამშობლოს თავისუფლებას. „ეგრე იქადნიდა: დავით მეფეს თუ კიდევ შეამთხვიეს ომი, ქმრისეულ ჩოხას გადავიცვამ, მის ხმაღს წელზე შემოვირტყამ და ჩემი ვაჟის სისხლს ვაზღვევინებო თურქებს.“ ამას ამბობდა პატრიოტი ქალი, რომელსაც სასახლეში ყველა გულმართალ, გამრჯე და გულისხმიერ დიაცად იცნობდა. მუდამ ღვთისმშობლის ტაძარში ლოცულობდა თეონა, რაც ებადა აღაპებს შეაღია და მაინც შერჩა იმდენი სიმზნევე, უკანასკნელი ვალი კიდევ მოეხადა სამშობლოსათვის. ამიტომაც შეიცნო დავითმა ღვთისმშობლის ხატებაში თეონას სახე, იგი „ისე ჰგავდა მას, როგორც ტყუბი თავის ორეულს.“ და კიდევ ერთხელ უკავშირდება ამ უბრალო ქალის სახელი ღვთაებას: „როცა ნაჭარმაგევის სასახლიდან გავიპარე

და გავუჩინარდი, ბარე ორი თვე მატარა მექათმე თეონამ ფეხით, ბოლოს აქ მომიყვანა ღმერთმა, თუ თეონამ უფლისა ნებით," — ამბობს დედისიმედი. რომანში თეონა თითქოს სიმბოლოა მრავალტანჯული საქართველოსი, ქართველის დედისა, რომელსაც ახლობლები სამშობლოსათვის შეუწირავს და მზად არის, სიცოცხლეც უმსხვერპლოს მას; ის სიმბოლოა ღვთისმშობლისა, რომელსაც მასავით უწამეს შეილი ხალხის ხსნისათვის, ღვთისმშობლისა, რომლის წილხედომილია ჩვენი საქართველო.

თეონა ახლო დამოკიდებულებაშია სასახლის კარის ქალებთან, განსაკუთრებით კი დედისიმედთან. ისინი ერთად გაიქცნენ ნაქარმაგვეიდან. ესეც მოწმობს იმას, რომ მაშინდელ საქართველოში არ იყო ისეთი დიდი ზღვარი თავადაზნაურობასა და მდაბიო ადამიანებს შორის, მათ საერთო მიზნები და იდეები აკავშირებდათ. ეს იყო ის ხანა, რომელმაც ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა პატრონეობას საქართველოში, და ეს „დავით აღმაშენებელში“ თავისებურად იჩენს თავს.

თავი მეორე

მალთა სახეები თანამედროვეობის ამსახველ რომანებში „დიონისოს ღიმილი“

„დიონისოს ღიმილი“ კონსტანტინე გამსახურდიას პირველი დიდი ნაწარმოებია, რომლითაც მან შეაბიჯა რომანისტიკის სამყაროში, ამიტომაც იგრძნობა, რომ ავტორი ძიებაშია, ჯერ კიდევ არ დამღვარა იმ გზაზე, რომელმაც შემდეგ განსაზღვრა მთელი მისი შემოქმედების მიმართულება. ნაწარმოებში აქა-იქ იხატება მომავალი რომანების კონტურები. მთელ რიგ ადგილებში თავს იჩენს იმპრესიონისტული და რომანტიკული სურათები, სადაც იგრძნობა ნატურალიზმის აჩრდილას გავლენაც და რაც მთავარია, ევროპული კულტურით გარემოცულ ავტორს არ დაუკარგავს თავისი სიტყვის ეროვნული საფუძველი, სავარსამიძისავით მიჯაჭვულია საქართველოს მიწას და ყოველ ფაქტს ქართველი კაცის პოზიციიდან უყურებს. ეროვნულობის ძალა მაინც ჩანს რომანის ექსპრესიონისტულ სცენებში, რომლებიც არაიშვიათად გვხვდება. ექსტატიური მეტყველება („ქვეყნის განახლების ენა“), პრინციპული ანტიფსიქოლოგიზმი (არსებითი იყო „საგანთა სულის“ წვდომა, ქვეფსიქიკურის ამოცნობა), იდეურ-დოქტრინული არსენალის სიმდიდრე (ე. წ. „ფარული იდეის“ თანმიმდევრობა) — ყოველივე ეს, რაც ექსპრესიონისტული პროზის არსებითი ნიშნებია, გამოხატულებას პოულობს „დიონისოს ღიმილში“¹ აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ გარკვეული პარალელები არსებობს ამ რომანისა და თომას მანის ნოველას „სიკვდილი ვენეციაში“ შორის.²

„დიონისოს ღიმილი“ მანდილოსანთა სახეებით სრულიადაც არ არის დატვირთული. ცენტრალური პერსონაჟი ქალი, რომელიც რომანში ნაჩვენებია მთელი თავისი შინაგანი სამყაროთი, არის ჯენეტი — სპარსეთის კონსულის — ალი მირზა ხანის მეუღლე, სავარსამიძის სატრფო, რომლის ხატებაც, თუ კარგად დავაკვირდებით, საცდელი კონტურია იმ დიდი ფერწერული პორტრეტებისა, რომლებიც უხეად არის კ. გამსახურდიას სხვა რომანებში. ყველაზე მეტად ის მარიამ

1. კანკავა გ., „დიონისოს ღიმილის“ მითოსური სტრუქტურა, კრიტიკა, №2, თბ., 1983 წ., გვ. 32.

2. ონგერი შ., კონსტანტინე გამსახურდია და თომას მანი, კრიტიკა, №4, თბ., 1981 წ., გვ. 116.

ბაგრატიონის მონუმენტური სახის შესაქმნელ მონახაზს შეიძლება შევადაროთ, თუმცა ამ იდუმალებით სავსე მანდილოსნის ხასიათისა თუ გარეგნობის ზოგიერთმა შტრიხმა კ გამსახურდიას სხვა ქალთა სილუეტების ხორცშესხმაშიც პოვა გამოხატულება. ლამაზ დეკორაციულ ფერებში არის ნაჩვენები ჭენტის სახე, მისი ჩაცმულობის ეტიუდები, წარმართული ჰედონიზმითაა აღბეჭდილი მისი ხატება.

ჭენეტი არ არის თავისი ეპოქის ტიპური ქართველი ქალი, უბრალოდ, ის განასახიერებს ისტორიულ წარსულში მაჰმადიანური სამყაროს პარამხანებში ჩაკეტილ მზეთუნახავებს, მაგრამ დრომ მას თავიდან აარიდა ასეთი უბედურება და ეს მშვენიერი მანდილოსანი უკვე ალი მირზა ხანის აღმოსავლური სალონის დიასახლისი გამხდარა პარიზში. თითქოს არაფერი აკლდა ქალს ცხოვრებაში — არც ფუფუნება, არც ოჯახი, არც დაფასება საზოგადოებაში, არც ფიზიკური მშვენიერება, მაგრამ მაინც უბედური იყო, საშინლად იტანჯებოდა სამშობლოდან შორს გადმოკარგული ადამიანი, რომელიც ნოსტალგიას მელანქოლიაში ჩაეგდო. ის ვერ იტანდა პარიზის „გულცივობას“ და მუდამ საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობდა: „რამდენი მზეა იქ. ღმერთო — მომკლა ამ ნისლებმა.“ სამცხის ათაბაგების ამაყ შთამომავალს უკვე აღარ შეეძლო დარჩენა ამ ქალაქში „პარიზს დაერთყა თავისი ბეჭედი მის სახეზე. ორი, თითქმის შეუმჩნეველი ნაოჭი განრთხმულა ოდნავ მოქანცულ ფერმკრთალ სახეზე, მაგრამ მისი არსებიდან რაღაც გაუმხელებელი, შიგნით დაგუბებუბლი რომანტიული აღმური ჰქრის; როცა გაიცინებს, ველური მშვენიება იფრქვევა მისი პატარა ბროწეულის ყვავილივით ტუჩებიდან“, — ასეთი იყო იგი, რომელიც მწარედ ნანობდა მის ნაბიჯს და ამბობდა, ქართველი ქალი უცხოელს არ უნდა გაჰყვესო. ღიღედასავით მაჰმადიანმა არ წაგიყვანოსო, ბავშვობიდანვე ახსოვდა ჭენტს დედის შეგონება, მაგრამ გაუცრუვდა იმედი, სწორედ ბებიის ბედი არაგუნა ცხოვრებამ, ამიტომაც ირწმუნა ქალმა, რომ ადამიანთა იღბალს რაღაც უძლეველი ძალა განაგებს. მაჰმადიანის ოჯახს ველარ შეეგუა და კვლავ მშობლიური ხალხის რელიგიის მსახური დარჩა, თუმცა ვეც ამან ამოავსო უსამშობლო ადამიანის გარშემო სიცარიელე. გულდაწყვეტილი ეუბნება იგი სავარსამიძეს: „14 წელია, რაც ჩუმად დავდივარ ნოტრდამში, ეს თქვენ მეტმა დედითშობილმა არავეინ იცის. მე მუდამ მარტო ვიყავი ამ ხნის განმავლობაში. წმ. გიორგი იყო ჩემი რაინდი და კავალერი. მე მჭერა: ჩვენს ცხოვრებას რაღაც ბნელი ფატუმი განაგებს მარტო

ის ამბავი, რომ შენც ისე უნდა მოიქცე, რაც შენს დედას ან დიდდესს უქნია, ამაზრზენია და საშინელი. მე ამ პალატებში მუდამ მარტო ვიყავი ხომ ძნელია, როცა შენსა და შენთვის უახლოეს ადამიანს შორის ნოტრადამის ოდენა ტაძრია ჩამოშვებული. ჩემი ერთადერთი ნუგეში ფავრიზია ახლაც. წინად ეს უფსკრული უფრო დიდი იყო. ახლა, როცა ფავრიზი წამოიზარდა, იგი უფრო გაღრმავდა. მირზა-ხანი მონტეკარლოთ და სამსახურით ერთობა, ფავრიზი სპორტით, მე ისევ მარტო ვარ და უსამშობლო¹.

საქართველოს სიყვარულმა დაახლოვა ჯენეტი სავარსამიძესთან მართალია, თბილისშიც იცნობდნენ ისინი ერთმანეთს, მაგრამ პარიზში სულ სხვა იყო მათი ურთიერთობა — დათქვეს, ყოველ შაბათს შეხვედროდნენ და მხოლოდ ქართულად ესაუბრათ, მოეგონებინათ სამშობლო, ეკითხათ „ვისრამიანი“, რომელმაც ბიძგი მისცა მამ ტრაგიკულ სიყვარულს, რომელსაც მხოლოდ სისხლი და ცრემლ მოჰყვა შედეგად. ჯენეტმა მიატოვა ქმარი და შეილთან ერთად სავარსამიძეს მიანდო თავისი ბედი. ესეც წინასწარ განესაზღვრთითქოს ზებუნებრივ ძალას. რომანში მეუღლის მიერ ნაჩუქარ სმარაგდის ბეჭედი მოასწავებს ჯენეტის ამ ნაბიჯს. ალი მირზა-ხანი სალონში მარჩიელი თავიდანვე ეტყვის ქალს, რომ „სმარაგდი სანა ხელზე ექნება ქალს, — ქმრის ღალატი არ შეუძლია. სმარაგდ აფრთხობს მავნე სულებს, ვისაც სმარაგდი აღმოაჩნდეს — მონადირე უფრთხილდეს, ვინაიდან ეროსია პირველი მონადირე —“ მაგრამ სმარაგდმა ვერ დააფრთხო ბოროტი სულები, ვერ მოაშორა ჯენეტ დიონისო და ისიც გაჰყვა სავარსამიძეს, მაგრამ ამას მისმა სამშობლოსადმი ფანტიკურმა სიყვარულმა უბიძგა. მან სმარაგდის ბეჭედი გულისსწორ აჩუქა, მაგრამ მორწმუნე ქალს, რომელსაც ერთ დროს თავი ქრისტე სასძლოდ მიაჩნდა, მაინც თან სდევდა იღუმელი შიში, შიში საკუთარ ქმედების სიმართლის წინაშე. მის ისედაც დახლართულ ცხოვრებ ბილიკს უკან დაჰყვებოდა სავარსამიძის მამის წყევლა და დაღუპვის იმუქრებოდა. ჯენეტის მითოლოგიური პლასტი არიადნეა, ამიტომაც წინასწარ გარდუეალია რომანში, რომ სავარსამიძე-დიონისემ იქ უნდა მიატოვოს.¹

ბოლომდე უბედური აღმოჩნდა ჯენეტი. ბედნიერება ვერ საქართველოში ჩამოსვლამ მოუტანა მას. საყვარელმა ადამიანმა ხელიდ:

1. კანკავა გ., „დიონისოს ღიმილის“ მითოსური სტრუქტურა, კრიტიკა, № 1, თბ., 1983 წ., გვ. 30.

გამოაცალა ერთადერთი ვაჟი, ულამაზესი ფავერიზი. გულში ჩამწვდომად ისმის გამწარებული დედის ხმა: „შენ დააქციე ჩემი ოჯახი, შენ ბოროტი სული ხარ, წყეულიმც იყავ უკუნისამდე, შე გველო, შე გველო.“ სიყვარული ზიზღამდე დასულმა სიძულვილმა შეცვალა. სავარსამიძის სახით ასე მიაგო სამაგიერო დიონისურმა საქართველომ ჯენეტს, რადგან „ქართველი ქალი უცხოელს არ უნდა გაჰყვეს, რადგან ჩვენ ძლიერ განვსხვავდებით ყველა ერისაგან“ და მითუმეტეს, არ უნდა დაუთქვამდეს მაჰმადიანს — ამ შემთხვევაში სპარსელს — ჩვენი ხალხის ისტორიულ მტერს¹ უცხოეთში ქართველი ქალი ვერასოდეს გახდება ბედნიერი, — აი, ძირითადი მიზეზი ამბის ტრაგიკული დასასრულისა და ეს აზრი არაერთხელ თქმულა კ გამსახურდიას სხვა ნაწარმოებებშიც.

ამქვეყნიურმა ცხოვრებამ დატანჯა ჯენეტი და სამთავრისის დედათა მონასტრისაკენ მიმავალ გზას დაადგა „ყველაფერი დაჰკარგა ამ ქვეყანაზე, ეგებ იქ იბოვნოს ბედშემა უკანასკნელი ნუგეში,“ — ეუბნება კონსტანტინეს მადამ ლაბიში — ფავერიზის გამზრდელი, რომლის ხელითაც დაუბრუნა სავარსამიძემ ჯენეტს სმარაგდის ბეჭედი.

ჯენეტის ანტიპოდებს წარმოადგენენ ის ქალები, რომლებიც რომანში პარიზულ სალონებს ამშვენებენ. ავტორი ერთგვარი ირონიით მოგვითხრობს, თუ სადამდე დაუყვანია „ცივილიზაცია“ ეს არისტოკრატი მანდილოსნები, რომელთა ერთ-ერთ საქმიანობად სალონებში მრუშობა ქცეულა. ისინი თითქოს ხელოვნებაზე შეყვარებული აღამიანები, მაგრამ ფრიად უგემოვნონი. ამ გამოფიტული უსულგულო ლანდების მასკარადს ამშვენებენ: მადამ ფონ სტაუნი, რომლის ბრილიანტის კოლიე ერთ პატარა ქალაქს იყიდის; შტაინერის თეოსოფიით გატაცებული მისის ბლუტი და სხვა მრავალნი. გარეგნული ბრწყინვალეობა ვერ მალავს მორალურად დაკნინებულთა სულის სიკარიელეს. მათ ზომ არ გააჩნიათ არც ცხოვრების ნამდვილი აზრი, არც ამაღლებული მიზანი, არც მომავლის მისწრაფებები. „აქაური ოჯახი სხვა რაღაა, თუ არა ლეგალური მრუშობა — ისინი აკვანსა და ქმრის სარეცელს ვერ შეეგუებიან — ნახეთ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის დღიური პრესა. როგორ ენგრევა მთელ ევროპას ოჯახი თავზე! განა ვერ ამჩნევთ, ევროპაში რა დიდი ხანია მამაკაცების გადელაქაცება და ქალების გამამაკაცება ხდება,“ — ამბობს ხალილ ბეი. რომანშიც

1. სიგუა ს., კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 1980 წ., გვ. 331.

ნათლად ჩანს, რომ ეს მხოლოდ პარიზისთვის როდია დამახასიათებელი მშვენიერთა სქესის წარმომადგენლებს არასწორად გაუგიათ ქალთ ემანსიპაციის საკითხი, რომელიც განსაკუთრებით წამოსწია წინ X. საუკუნეში ახლა მათ დაუწყიათ ღუელების გამართვა მამაკაცები მოსაპოვებლად. „სიყვარული ერთი ჭიქა შამპანიურის წვენი გაღვივებული, ეს არის ნამდვილი სიყვარული... მე ერთ წამზე მეტს არა კი განვიცდი ცხოვრებას წარსული არ მახსოვს, მომავლის არ მეშინია ჩვენი დროის ქალი ამორძალია,“ — ამბობს მაღამ ფონ სტაუნ დ მატრიარქატის აღდგენას ქალების მიერ მამაკაცების შერჩევაში ხელაქედან აშკარაა, თუ რა მორალურ-ზნეობრივ დონეზე დგანან ი და მისი მსგავსი დედაკაცები.

„დიონისოს ღიმილში“ აეტორს სრულად არ დაუხატავს მაშინდელ ქართული სამყარო. ქართველი ქალებიდანაც მხოლოდ ჭენეტი გამოყვანილი, დანარჩენები კი ებიზოდური სახეებია. ხაზგასმის ღირსი მხოლოდ სავარსამიძის ძიძა — ტაია შელიას ცოლი; წარმართული წეს ჩვეულებებით დატვირთული მისი ფსიქოლოგია დედასავით ზრდიდ პატარა კონსტანტინეს, თან უნერგავდა სიცოცხლის, სიკეთის სამშობლოს სიყვარულს.

„რა იქნება მაშინ, გველეშაპმა რომ აჯობოს სუჭუნის წმინდ გიორგის?“ ვეკითხები ძიძას.

„ო, ღმერთმა ნუ ქნას შეილო, ჩვენი საქართველო და მთელი საქრისტიანო დაიღუპება“.

საქართველოსა და მთელი საქრისტიანოს დაღუპვა გაიგივებული მოხუცის ცნობიერებაში და ქვეყნად უსაშინელეს რამედ მიაჩნია. ძიძი ნაოკებიან, ნაყვავილევ სახეში დაინახა პირველად კონსტანტინე, რა საყვარელია დედა და სამშობლო.

სავარსამიძის ძიძის სახემ შემდგომ განვითარებასა და სრულყოფა კონსტანტინე გამსახურდიას სხვა რომანებში მიაღწია.

საინტერესოა ხალილ ბეის, აღმოსავლეთის ერთ-ერთი წარმომადგენლი აზრი ქალებზე: „ქალი ისე უნდა იყოს სქესით გაბრუებული, რომ მამაკაცთან საზოგადოებაში ლაპარაკს ვერ ახერხებდეს...“ როგორ აქ ეთანხმება ეს გამოთქმა მაშინდელი ევროპელების წარმოდგენებს.

ალი მირზა-ხანის სალონში გამართულ მიღებაზე მწერალთა საუბარში ერთმანეთს ეჯახება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრის მშვენიერთა სქესის წარმომადგენლებზე — აღმოსავლური და დასავლური

„ქალის რომანტიზმის ბურჟუაზიაში გახვევა — ეს ევროპელების საქმეა. ეს იბსენისებური სისულელეებია — ასეთი ქალები, აი, ასეთ საღაფბო სალონებში თუ გამოდგებიან. ისინი აკვანსა და ქმრის სარეცელს ვერ შეეგუებიან. უნდა შევეურიგდეთ იმ აზრს, რომ ოჯახი და ჰარემი ოდნავ განსხვავდებიან, მხოლოდ რიცხვით, ცოლობა პიროვნული მონობის ცალფა ნილაბია. იბსენის და მისი მიმდევრების სულელურმა რომანტიკამ შეჰქმნა ქალთა ამბოხი. ნახეთ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის დღიური პრესა. როგორ ენგრევა მთელ ევროპას ოჯახი თავზე! აღმოსავლეთში რეალურად ვუყურებთ ქალს. ჩვენ ბუნებით ანტიფემინისტები ვართ. მე ახლა კარგად მესმის, ყველა დიდი წარმართები რად უმღეროდნენ ვაჟის სილამაზეს. მე არასოდეს არ ვხატავ ქალს“, — ასეთია ხალილ ბეის აზრი და ე.ი. აღმოსავლური თვალთა დანახული მანდილოსანი აზიასა თუ ევროპაში. არც ევროპელები შეჰყურებდნენ ნაკლები კრიტიკით აზიას და განსაკუთრებით, ქალთა საკითხს. ორივე შეხედულებას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნდა და ორივე უკიდურესობა ქალთა ემანსიპაციას სხვადასხვა თვალთახედვით ზომავდა და ან აუცილებლად, ან არასაჭიროდ მიიჩნევდა. მწერალი კარგად იცნობს ორივე კონცეფციას და უძველესი, თან ერთ დროს უძლიერესი ერის შთამომავალი ყველასგან განსაკუთრებულ ადგილზე აყენებს ქართველი მანდილოსნის კდემამოსილებას, მის უფლებებსა და ადგილს საზოგადოებაში, რომელიც მეტად განსხვავდება ევროპული და აზიური ცივილიზაციისაგან. რა სიამაყე იგრძნობა სიტყვებში: „ხომ იცით, ჭენეტი ქართველი ქალია.“ იტალიელს, ამერიკელს, პარიზელებს, შოტლანდიელს, პოლანდიელს, ებრაელს ყველას მაინც ჭენეტი სჯობია არა? ამის მიზეზი იყო ყველასგან განსხვავებული ქართული სამყარო, სადაც ქალს ყოველთვის გამოარჩეული ადგილი ექცირა.

„მთვარის მოტაცება“

კ. გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება“ ნამდვილი მატეანეა XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისის საქართველოსი, როცა უკვე საგრძნობი ხდებოდა ახალი ეპოქის პირველი ნაბიჯების სიმძლავრე. ამ დიდ მხატვრულ ტილოზე დიდი ნიჭიერებით, მძაფრი რეალისტური ფერებით არის დახატული ყოველი სურათი მაშინდელი ცხოვრებისა, როცა მკვიდრდებოდა საკოლმეურნეო წყობილება, ხდებოდა სოფლის მეურნეობის რეორგანიზაცია, რამაც გაამწვავა კლასთა ბრძოლა და სულიერი კრილობა გაუღრმავა ძველ არისტოკრატიულ თაობასა თუ წვრილ ბურჟუაზიას.

რომანის სამოქმედო ასპარეზი მოიცავს აფხაზეთს, სამეგრელოს, სვანეთსა და თბილისს. ყველგან ნათლად ჩანს ახალი დროის სუნთქვა, რღვევა ძველი ყოფისა, პატრიარქალური ტრადიციებისა. ცივილიზაციას მაღალ მთებშიც შეუღწევია, სვანთა უძველეს გვარებშიც შეჭრილა ახალი იდეოლოგია, გზასა და ელექტროდენს გოროზი კოშკებიც შეუზანზარებია.

რომანში ერთმანეთს უპირისპირდება ორი ეპოქა, ორი მსოფლმხედველობა — ძველი და ახალი. მათ შორის ჭიდილის ფონზე იკვეთება ნაწარმოების მოქმედ გმირთა საინტერესო ხასიათები. დიდი ოსტატობით გამოჰყავს მწერალს უჩვეულოდ განსხვავებულ პორტრეტთა შტრიხები, რომლებიც განასახიერებენ „სასიკვდილოდ განწირული ძველისა და ძლევამოსილად აღმავალი ახლის ორთაბრძოლის გრანდიოზულ სურათს“, რომელიც უხვად არის „გაშუქებული ეპოქის მაღალი სოციალური იდეალების გარდაუვალი გამარჯვების ნათელი რწმენით“, — აღნიშნავს კრიტიკოსი ბ. ჟღენტი. ასეთია ნაწარმოების მთავარი ხაზი, რომლის გარშემო ტრიალებს მრავალი ადამიანის ბედი. ისინი სხვადასხვაგვარი ბიოგრაფიის, პროფესიის, ასაკის, განსხვავებული იდეალებისა და მისწრაფებების ადამიანები არიან. ყოველი მათგანი დახატულია, როგორც გარკვეული სოციალური ტიპი, რომელიც ამა თუ იმ კლასის, სოციალური ფენის სასიცოცხლო ინტერესებს, ფსიქოლოგიასა და გრძნობათა მთელ სამყაროს განასახიერებს. რევოლუციურმა ეპოქამ ისინი ერთმანეთს შეაჯახა და თავისებურად განსაზღვრა მათი მომავალი. თითოეული მათგანის პირად ცხოვრებაში საზოგადოებრივი ყოფიერების ესა თუ ის მხარე იკვეთება.

თავისებური მიმზიდველობით არის დახატული რომანში ქალთა სამყაროც. აქაც იგრძნობა ეპოქის სუნთქვა. წარსულში იკარგება ის მაღალზნეობრივი, თავადური ამპარტაუნობა, რომელიც ახასიათებდა არისტოკრატიას. უკვე აღარ ფასობენ ძველი გვარის მანდილოსნები, თუმცა ისინიც დეგრადირებული არიან და ასპარეზი დაბალი წრის წარმომადგენლებს დარჩენია. ახალ დროს, სამწუხაროდ, აღარ სჭირდება არისტოკრატი ქალები. აი, რას ამბობს რომანის ერთ-ერთი გმირი ჩალმაზი: „ფრჩხილებდაფერილი“ თავადის ქალები ჩვენთაგანს არ გამოადგებაო... ახლა მათ კომუნისტებისაკენ უჭირავთო თვალი, მაგრამ ხვალ რომ რეაქციამ გაიმარჯვოს, ისევ მეფის პოლკოვნიკებსა და გენერლებზე გადაინაცვლებნო... თავადის ქალი სახლში არააო შესაშვები“. ძველი თაობაც უარყოფითად აფასებდა „თავაშვებულ“ მანდილოსნებს. „ცოლს მაგარი ლაგამი თუ არ ამოდევია, უთუოდ ოჯახს დაგიქცევსო... საერთოდ ქალმა იმდენი უნდა იცოდეს, როგორც სახლი არ დაგიწვასო... ქალი სისხლის მოლაღატეაო, ქალი ქვეყანაზე რა გასაჩენი იყოო...“ — ეს იყო გაბრაზებული ბაბუა ტარიელის აზრი, რომელიც მკაცრად იცავდა ძველ აფხაზურ წესებს და ქალიშვილის ოთახშიც არ შედიოდა. „ქალის გარყვნა თმის შეჭრიდან იწყებაო, ჭერ თმას შეიკრეპავსო, მერე პაპიროსის წვეს დაიწყებს, მერე ღვინის სმასა და აქედან ყოველ მხრივ გზა ხსნილიაო“, — ასეთი წარმოდგენა ჩამოუყალიბა ევროპის სინამდვილემ თარაშ ემხვარს, რომელსაც მობეზრებია დევნა ქერა ლამაზმანებისა, რომელთაც „აღარ ყოფნით ის თვითმწვალებლური მოთმენა, ქართველ ქალებს რომ ამშვენებთ ჟამიდან-ჟამზე“. ძირითადად ასეთი იყო მაშინდელ მანდილოსნებზე თანამედროვეთა აზრები და როგორც ვხედავთ, ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

თამარ შერვაშიძის სახე „მთვარის მოტაცებაში“ სულ მოულოდნელად შემოიჭრება. ის წამიერად გაიელვებს არზაყან ზვამბაიას ფიქრებში, სადაც „ატმის ყვავილისფერი აბრეშუმი მოსავდა თამარს და თავადაც ატმის ყვავილს დამსგავსებოდა აპრილის ფურცლობაში მოსულს“. ეს ძველი ნახუცარიის ტარიელ შერვაშიძის საყვარელი ქალიშვილია — ლამაზი, სათნო თამარი, რომლის ძარღვებში იმ დროისთვის შეუფერებელი თავადის ცისფერი სისხლი ჩქეფს, თუმცა ამის მნიშვნელობა პროვინციაში არც ისე მწვავედ იგრძნობა, როგორც თბილისში.

თამარი განსაზიერებაა ძველი ქართველი ქალისა, გარეგნულადაც ძალიან ჰგავს დედას, მაგრამ მისი ხასიათი მერყევია, არ ძალუძს,

მოთოკოს ცდუნება; თვითონ არ ატარებს, მაგრამ მოსწონს ჟურნალებში დახატული კაბები, თმაშეკრეპილი ულტრათანამედროვე ქალები, რაც ძველი წარმოდგენებისათვის სრულიად მიუღებელია. თბილისში ჩამოსული ქალი მაშინვე გაიტაცა ქალაქის ცხოვრებამ, ჯერ მისადმი ყურადღებამ მოხიბლა, შემდეგ — „ცივილიზებული“ მანდილოსნების ქცევამ და დაუფიქრებლად აჰყვა „ახალი დროის ხილს“ უკვე ნაზიარებ ანულის ამ ნაბიჯმა კი თამარს ქეშმარიტი სიყვარული დააკარგვინა.

ქალაქის მხოლოდ გარეგნული სახე იზიდავდა თამარს. მისთვის მიუღწეველ მწვერვალად დარჩა თბილისის ისტორიული ადგილების მნიშვნელობის გაგება. მას სულაც არ აინტერესებდა მეზუზუში გამოფენილი ძველთაძველი ექსპონატები, რომლებსაც დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ თარაში და კაროლინა. „თამარ შერვაშიძისათვის ეს ყოველივე ჩინის ქვაზე დაწერილი ანბანი იყო. იგი ჩვეულებრივ მდუმარედ უსმენდა თარაშს, ეჩქარებოდა როდის გაათავებდა იგი დავიწყების მტკრიდან ამოტივტივებულ საგნების გამო თხრობას ხანდახან შეფარვით უქვრეტდა მაჯის საათს (რადგან სწორედ 6 საათზე უნდა შეხვედროდა ანულის და მერე ფოქსტროტის საცეკვაოდ წასულიყვნენ). — დუმილით ფარავდა თავის უვიცობას და უინტერესობას გაუგონარი ამბების მიმართაც“. მალე შერვაშიძის ასულმა ნაწნავებიც მოიკვეცა, ამით გაწყდა კიდევ ერთი შემაერთებელი სიმი დედასთან, სიძველესთან; თამარს სურს, უმაღლესში ჩაირიცხოს, იაროს ფოქსტროტის საცეკვაოდ, დატოვოს ყოფილი ცხოვრება. თარაშმა მაშინათვე უარი თქვა საყვარელზე, რომლის გრძელი ნაწნავები ქართველი ქალის სილამაზის სიმბოლო იყო. მიჯნური წარსულისაკენ ეზიდებოდა ქალს, მან კი არ შეისმინა თხოვნა თარაშს ძველი საქართველო უყვარდა თამარში, მას უკვე მოყირქებოდა ევროპული ცხოვრება. როცა ხელში შერჩა თანამედროვე ქალი, რომელსაც სურდა გაეგო ამ ცხოვრების გემო, როგორც ალბათ ერთ დროს, ევროპის გაცნობამდე, თარაშს, მან უარი თქვა, ხაზი გადაუსვა მის სიყვარულს.

გულწრფელი სიყვარულით არის გამსჭვალული თამარისადმი არზაყან ზეამბაიაც, მათ შორის ისტორიულად არსებული ზღუდე თუმცა დაამსხვრია რევოლუციამ, მაინც დარჩა ერთგვარი ფსიქოლოგიური ატმოსფერო, რამაც თამარს თარაშ ემხვარი ააჩრევინა, კომუნისტ ზეამბაიას კი უმტკივნეულოდ გადაატანინა მიჯნურის დაკარგვა და ცოლად ძაბული შეართევინა, თუმცა სიყვარულმა იმ ზომამდე მიიყვანა, რომ მზად იყო, საყვარელი ძიძიშვილი მოეკლა, მაგრამ დროზე მოთოკა

გრძნობები.

ტრაგიკულად დასრულდა თარაშისა და თამარის სიყვარული. ამ დიდ გრძნობას უნდა შეერიგებინა ემხვარებისა და შერვაშიძეების გვარი (როგორც ორბელიანები და ბაგრატიონები „დავით აღმაშენებელში“), რომლებსაც სისხლი მართებდათ ერთმანეთისა. ეს ასეც მოხდებოდა, დროს რომ ხელი არ შეეშალა. „თამარის და თარაშის სიყვარული გამითებული რეალობაა. ისინიც ისევე ჰგავდნენ ერთმანეთს, როგორც ერთმანეთს ჰგავდნენ ვისი და რამინი, ლეილი და მიწუნე, რომეო და ჯულიეტა“¹ „მთვარის მოტაცებაში“ არაერთხელ იხსენიებიან კაპულეტი და მონტეკი, როგორც ბედისწერის მაცნენი. „ვის სჭირდებოდა ამ საუკუნეში კაპულეტისა და მონტეკის რომანტიული ამბავის ნაგვიანევი განმეორება“, — ფიქრობდა სიკვდილის გზაზე დამდგარი ემხვარების უკანასკნელი ნაშიერი. რომეოსა და ჯულიეტას მსგავსად თარაში და თამარიც ერთ ღამეს იღუპებიან, მაგრამ ერთმანეთისაგან შორს. ქალს ეზმანება მწვანე ცხენი და ზედ შემჯდარი ჩონჩხი — სიკვდილის სიმბოლო. ამ დროს, მართლაც, თარაში არაბიაზე ამხედრებული ებრძვის აზვირთებულ ენგურს. მასთან ერთად არაბიას — სამეგრელოში საუკეთესო ცხენის დაღუპვა წერტილს უსვამს წარსული დროის არა მარტო აღამიანებს, არამედ წეს-ჩვეულებებსაც. ისინი იმსხვრევიან ენგურთან, რევოლუციასთან შეჯახებისას. თამარიც ახალმა დრომ დაღუპა. მისი ფსიქოლოგია ვერასოდეს შეეგუებოდა მცირე, თუნდაც გარეგნულ ცვლილებებს, რაც მას XX საუკუნის 30-იანი წლების ტიპიურ ქალად აქცევდა. მან წინასწარ იხილა თავისი სიკვდილი პროფესორ ლოდერელის ლექციაზე და ისიც მანანა ანჩაბაძესავეთ ახალი ეპოქის გავრცელებულმა სენმა დაღუპა.

ნანობდა, მწარედ ნანობდა სამეგრელოში დაბრუნებული თამარი. ყოველ დღით ამოწმებდა, ხომ არ გაზრდილიყო თმა. ნაწნავეებში იყო მისი პარციალური სული, მათი შეკვეცით კი რეალური აღსასრული მოიმზადა. „კოლხური ფეტიშიზმის მკვლევარმა“ მაშინათვე შეიძულა იგი. ემხვარს ხომ ბავშვობიდანვე ახსოვდა დედის მიერ მონათხრობი ზღაპარი, თუ როგორ შეაკვეცა ეშმაკ მზეთუნახავს ოქროს თმები და რაინდს შესძლულა სატრფო. ამ ზღაპარშიც დაიხატა თარაშისა და თამარის ცხოვრების გზა.

მიუხედავად იმისა, რომ თამარი მორწმუნე ქრისტიანი ქალია, მის

1. სიგუა ს., კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 1980 წ., გვ. 241.

შეგნებაში მაინც შეიმჩნევა შორეული კოლხური წარმართობის კვალი რაც აშკარად ლუკიას გაელენის ბრალია. ამიტომაც ბრმად სჯერა მარჩიელისა, მუდამ გულზე ატარებს ოქროს ჯვარს, თუმცა მასში აღრეულ დაღუპული დედის ანდერძია განიფთხებული და ეს საგანი ორმაგად ძვირფასია მისთვის. ხუცესის ოჯახში აღზრდილი ქალისათვის მასში სიმბოლურად მოქცეულია გვაროვნული, ფეოდალური სიყვარული სიძველისა, რომლის უარყოფამ და ახლისაკენ გადადგმულმა პირველმა ნაბიჯებმა დაღუპა თამარი. სიმბოლურია ისიც, რომ სწორედ კომუნისტმა არზაყანმა დააკარგვინა ტარიელის ქალიშვილს ჯვარი და შემდეგ თარაშ გადასცა, რათა ავადმყოფი ქალისათვის დაებრუნებინა. ჯვართან ერთად — იმ ძველ საქართველოსთან ერთად იღუპებიან თამარი და თარაში უკანასკნელი ნაპერწკლები წარსული დროისა.

დედა მუდამ ჯვრით ხელში ეცხადება თამარს სიზმარში, გაჭირვებილ დროსაც სასაფლაოზე „უხმობდა სულგრძელსა და მოსიყვარულე დედას მწედ ჰყოლოდა სიცოცხლის უმძიმეს წუთებშიც“. უწმინდესი თილისმა დედის დაფიცება მისთვის.

სიცოცხლისაგან გათელილი და გაუხარელი თამარი ფეხმძიმობა გადაჰყვება. სენათში გახიზნული თარაშის თვალწინ სასიამაოო ფოთრქკლავს და მისი სახით იღუპება თამარის ტოტემი. შერევაშიძის ასულსაც დიდხანს არ უცოცხლია მას შემდეგ. თავისებური გააზრებაა რომანში ერთ-ერთ თავში „თვალახვეული პსიხე“. პსიხე თვით თამარია, მისი ეროსი კი — თარაში. მითის მიხედვით, ეროსმა სასიყვარულო ურთიერთობა გააბა პსიხესთან ისე, რომ მზის სინათლეზე არ ეხილ: იგი ქალს დების შთაგონებით, მან დაარღვია აღთქმა და ეროსი დაკარგა დიდხანს იღარდა, მაგრამ გულქვა და შმაგი გულისსწორი არსად ჩანდა. ასე დაემართა თამარ შერევაშიძესაც. მან ინანა, რომ არ დაუჯერა თარაშს საყვარელი მისოუსტის ნაფუხურებს ჰკოცნიდა იგი — „მიწა ექამ. თამარს და თარაშის ნათქვამი შეესმინა. აწი რა უნდა სიხარულს მი გულში“. განიცადა ისე მწარედ, როგორც მაშინ, როცა მარჩიელად გადაცმულმა არზაყანმა ჯვრის პოვნის სანაცვლოდ ნაწნავების შეწირვ მოითხოვა. შეიძლება ესეც იყო ერთგვარი ბიძგი ცრუმორწმუნე ქალისათვის.

თამარმა დაკარგა ყველაფრის რწმენა, მხოლოდ სიყვარული მიჰყვებოდა თან საფლავს. გულგატეხილი ქალი იქამდეც მივიდა, რომ თქვა, ქრისტეც კი ბუში იყო, ასე მძლავრად ჩაჭრილიყო მის არსებაში.

არა მარტო სიყვარული, არამედ თარაშისეული აზრებიც. იგი მზად იყო, დაეტოვებინა მამისეული სახლი და მარტოდმარტო გაეზარდა პირმშო, რომელიც ჯერ არ მოვლენოდა ქვეყანას. თავიდანაც ხომ მარტო იყო, „თამარი იმ ქალთაგანი იყო, ქალებთან მეგობრობას შეგნებულად რომ გაუბიძგებდა“. მან მოიგონა სკოლის წლები, ურთიერთობა ძაბულისთან, კაროლინასთან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი ერთადერთი მეგობარი დედის საფლავი იყო.

თამარმა ვერ შეძლო თარაშ ემხვარის რჩევის შესრულება, „უნდა მიეჩვიო ადამიანი, ისე გულგრილად მოიგონო შენი წარსული, როგორც ლოფორთქინა მოიძრობს ხოლმე თავის ხობოკვერას...“ — სწერდა მიწნური. და აი, ქალის წარმოდგენაში იღება ფანჯარა და შავადმოსილი დედა შემოდის, სასთუმალთან დგება, ხელში დაკარგული ჯვარი უჭირავს და თავისკენ უხმობს შვილს. ერთ საღამოს კი უკანასკნელად შეჰკივლა თამარმა: „დედა, მოიცა მოვდივარო...“ და ხერიპსის თვალწინ დასტოვა მისმა ტანჯულმა სულმა სხეული.

კაროლინა თამარ შერვაშიძის ძმის — ხერიპსის ცოლია. რომანის ავტორმა, რომელიც კარგად იცნობდა გერმანელი ხალხის სულიერ ცხოვრებასა და ფსიქოლოგიას, შესანიშნავად გამოძერწა მტრისები სამშობლოდან შორს წასული გერმანელი ქალისა, რომელსაც, ალბათ დიდმა სიყვარულმა აარჩევინა აფხაზთა რძლობა, თუმცა ვერ შეძლო დაექაყოფილებინა ძველ ტრადიციათა მოთხოვნილებები. ამიტომაც იტყვოდა ხოლმე ბაბუა ტარიელი — ხერიპსის მამა — მტრისასო ასეთი აშარი რძალი.

როცა ხერიპსმა კაროლინა მოიყვანა, ყველაფერი ეუცხოვებოდა პროტესტანტ ქალს. განსაკუთრებით გააოცა იგი ლუკაიას რიტუალებმა და მას „ჰაიდე“ — წარმართი შეარქვა. ქალი ხერიპსივით მუდამ იქვის თვალით შესცქეროდა აფხაზურ ჩვეულებებს, მაგრამ შემდეგ და შემდეგ, როგორც განათლებული ადამიანი, დაინტერესდა ამ უძველესი კულტურით და არაერთხელ უსაუბრია ამ თემაზე თარაშ ემხვართან. „ხუთი წელია, რაც მე აფხაზების რძალი ვარ და ხუთას წელსაც რომ ვიცოცხლო, თქვენს ჩვეულებებს ვერასოდეს შევეგუები“, — ამბობდა გაოცებული კაროლინა, რომელსაც უჩვეულოდ ეჩვენებოდა აფხაზთა ყოველი ჟესტი, მეტყველება, გარეგნობა და სხვა.

როგორც განათლებული ქალი, კაროლინა დიდი ინტერესით ეცნობა უძველეს მდიდარ ისტორიას. თარაშა და მას შორის ურთიერთობის

ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. გაოცებული ათვალიერებს იგი თბილისს მუზეუმში ყოველ წარწერას, ნივთსა და გამოსახულებას და დეტალურ განმარტებას მოითხოვს. განსწავლული ადამიანის თვალით შესცქერა მათ ქალი და ხედება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათ მსოფლიო კულტურისათვის.

განსხვავებით ევროპელი ქალებისაგან, კაროლინა უფრო მდგრად ხასიათისაა. იგი ერთგულია თავისი ოჯახისა და შეძლებისდაგვარად იცავს მის ტრადიციებს. თავდავიწყებით უყვარს თავისი ერთადერთი გოგონა — თათია, პატივს სცემს ქმარს, მაგრამ მაინც ვერ შეუძენია გრძნობათა ის სიმყარე, რომელიც ახასიათებთ ქართველ ქალებს. იგი აშკარად თაყვანს სცემს თარაშს, ამას თამარიც კი ამჩნევს; უყვარს ყურადღებულ ცენტრში ყოფნა, კომპლიმენტები, თავადური პირფერობა — „ადამიანს საამური ტყუილიც რომ პირში მითხრას, უხეშ სიმართლეს ისა სჯობიაო“ — ეს ვაჟურად გაკრეპილი ოქროსთმიანი ქალი, რომელიც გამოირჩევა არისტოკრატიული მანერებით, სასიყვარულო ქსელის გაბმასაც აქვს თავილობა და ეს მის გრძნობათა სამყაროზე არავეითარ გავლენას ახდენს. აი, რას სწერდა კაროლინას თარაშ ემხვარი მახვშის კოშკიდან როცა თავის დონეჟუანურ სიას აცნობდა: „შესაძლოა მე თქვენს წინაშე გამოძიწინოს ერთგვარი უგულობა, მაგრამ მე ვგრძნობდი, თქვენც ისევე ზერელედ მეტყეოდით, როგორც მე თქვენ ყველას ერთად და სათითაოდ თქვენ მაინც თქვენი ქმარი გიყვარდათ, თქვენი თათია და ოჯახი.“ კვალად არ დაუტოვებია ქალის შეგნებაში თარაშთან გატარებულ ღამე ქორწილის შემდეგ. ეს იყო უბრალო, ჩვეულებრივი შეხვედრა „ცივილიზებული ევროპელი ქალისა“. მისი აზრით, ქართველი მანდილოსნები შესაბრაღისები არიან. „ცოდვაა თქვენებული ქალი თქვენ ტირანები ხართ, სულ ერთია, მამა იქნებით, საქმრო, თუ ქმარი თქვენ არ იცით, რა მოითხოვთ ქალებისაგან. თუ თავისუფალი ქცევა გამოიჩინა, კახაბაო იტყვიან, თუ თავი შეიკავა, პურიტანიაო და თქვენ გავიწყდებათ, რომ თქვენი ქალები ორ ცეცხლს შორის არიან. აგერ ორიოდღე ფეხის ნაბიჯზე ჩადრია და პარემი. თქვენ უკიდურესი აზიების და ევროპელის კაპრიზები ურთიერთში გაქვთ არეული, როცა ქალი საყვარლად გინდათ, მისგან თავისუფალ ქცევას მოითხოვთ, როცა მას ცოლად გაიხდით, მერე აზიურ კარჩაკეტობას.“

მიუხედავად გარეგნულად მზიარული ბუნებისა, კაროლინა მაინც არ არის უდარდელი ადამიანი. სამშობლოს მოწყვეტილ ქალს, არ შეიძლებაოდა როდესმე მაინც არ ეგრძნო ნოსტალგია. როცა თარაშმა

შერვაშიძეების სახლში სტუმრობას უკლო, თამარმაც შეამჩნია, რომ მოიწყინა მუდამ მხიარულმა ქალმა, რამდენი წელი იყო ბიანინოსთან არ მჯდარიყო, ახლა კი ყოველ საღამოს უკრავდა ბახსა და ჰენდელს, „ხანაც ფანჯარასთან იჯდა მღუმარი, გერმანიასა და თავის ქალწულობას იგონებდა ჟამიდან-ჟამზე.“ ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მოსამსახურედ ევროპელმა ქალმა რუსი დაშა მოიყვანა, რომელთანაც ოდნავ მაინც შეეძლო დაეოკებინა მშობლიური გარემოს მონატრება. ბაბუა ტარიელს კი ეგონა, საყვარლებთან ბარათების საგზავნად უნდაო ასეთი ქალი.

სათუთი მეგობრული სიყვარულით უყვარს კაროლინას თავისი მეუღლის და — თამარი. მათ მართლაც ძალიან ახლო ურთიერთობა აქვთ. რძალი, როგორც ცხოვრებაში უკვე ჩახედული ქალი, ცდილობს, ხელი გაუწოდოს ყოველგვარ გასაქირში, მაგრამ თვით თამარი ბოლომდე გულწრფელი არ არის მასთან, ამიტომაც სწერს კაროლინა თარაშს, „ქართველი ქალი უზომოდ გულჩათხრობილიაო“ და სთხოვს, შეიცოდოს სატრფო, შეიბრალოს, ინახულოს ავადმყოფი ქალი. თამარის სიკვდილი მისთვისაც ისეთივე დიდი ტრავმა იყო, როგორც ხერაბისათვის.

კაროლინა თავისებური ხასიათის ქალია, მას ძალუძს, მხარი აუბას ყოველივე ახალს. მისი ქმარიც უკვე ხალხში გასული ექიმია და ძველი თავადური ამპარტაუნებისა არაფერი შერჩენია. ამიტომაც მწერალი არ ღუპავს ხერაბის ოჯახს. კაროლინა მეუღლესთან ერთად განაგრძობს არსებობას, მაგრამ უკვე გადაგვარებული სახით. ისინი გაითქეფებიან იმ ხალხში, რომელსაც ხელთ უპყრია მომავლის დროშა და მათი ოჯახი გახდება რიგითი წევრი ახალი საზოგადოებისა. ასეთი სულისკვეთებით გაიზრდება პატარა თათია, რომელსაც მხოლოდ გვარი თუ მოაგონებს თავის არისტოკრატიულ წარმოშობას.

„მთვარის მოტაცებაში“ აშკარად ჩანს, რომ კიდევ მცირე ხანი და თავადაზნაურობა საბოლოოდ დატოვებს სამოქმედო ასპარეზს. ის ნაწილიც, რომელიც რევოლუციას გადაურჩა, ფსიქოლოგიურად სახეს იცვლის. ეს დაცემა, რომელიც პირველად გ. ერისთავმა ასახა და XIX საუკუნის ლიტერატურაში ძირითად მოტივად იქცა, არისტოკრატიის მთლიანი განადგურებით დამთავრდა. „მთვარის მოტაცებაში“ ამის ნათელი მაგალითია ფარჯან-ნიანების ოჯახი, რომლის მხოლოდ ნამსხვრევები დარჩენილა თბილისში.

დალეულა, დაპატარავებული არმადარ ფარაჯანიანი, თარაშის მამიდა. ოჯახში აღრევა სუფევეს, უწესრიგობა და უსუფთაობა ბატონობს. ჩაღის

ფასად გაუყიდათ საგანძური, აურაცხელი ოქრო-ვერცხლი და პატიოსანი თვლები. „აქ არც ერთი საგანი თავის ადგილზე არ იდგა, არც ერთი ნივთი ჭეროვნად არ იყო მოვლილი და ყოველი მათგანი მჭევრად ამხელდა უცილო ნგრევისა და რღვევის მათიანეს“. ეკონომიკურ გაქირვებას დაურღვევია ოჯახი. დაზიანებული არმადარი მხოლოდ კატებთან ალერსში პოულობს შვებას. საცოდავად გამოიყურება მისი სტუმართა საზოგადოებაც. მკითხველი მაშინვე ხვდება, რომ აქ თავი მოუყრია არმადარივით უკანასკნელ ნარჩენებს ძველი თავადური გვარებისა. საუბარში ნოშრევან ფარაჯანიანიც, არმადარის ქმარი, თავის წოდებას აბამბულებს, მაგრამ ცოლს რატომღაც სჯერა, რომ განათლებული კაცობრიობა არ დაუშვებს კერძო საკუთრების მოსპობას, არც წოდების გაუქმებას, სანამ განათლებულ ქვეყნებში თავადები იქნებიან ჩვენი ჩვენი მოგვეცემაო. სახლის წართმევისას ჯერ საფრანგეთის იმედი ჰქონდა ქალს, მერე ინგლისისა და იაპონიის, მაგრამ არ გაუმართლდა.

ერთადერთ იმედად ქალიშვილი ანული შერჩენია არმადარს. მიუხედავად სიღატაკისა, მაინც იცავს გვაროვნულ ეტიკეტებს და სამარცხვინოდ მიიჩნია, ფარაჯანიანის დიდებული გვარი, რომელსაც დაშახურობა ჯერ კიდევ XII საუკუნეში მოუპოვებია, დაუნათესაედეს ვილაც მანჯგალაძეს. მოხუცს გულს უკლავს შვილის ფუქსავატური ხასიათი, „ვის გაუგონია ქალი კრებებზე დადიოდაო, გადაგვგვაო ანულიმ, სიბერე გაგვიმწარაო ანულიმ, ევედრება თარაშს მამიდა არმადარ, ჩააგონეო რამე ანულის, „ზაქსში“ მაინც ნუ წაყვებაო „იმ ოჯახდაქცეულ“ მანჯგალაძეს, ძია ნოშრევან ვერ გადაურჩებაო ამ ამბავს“. როცა ქალი გაიგებს, რომ ანული ინსტიტუტიდან გამოურიცხავთ, ეამება, რადგან ქმარსაც გაუხარდებოდა ეს, მაგრამ როცა გაანალიზებს, როგორ იმოქმედებდა ეს შვილზე, ეწყინა მაინც და ფერი ეცვალა. ასე გაორებული არმადარი და არ იცის, როგორ წარმართოს ქალიშვილის მომავალი ბედი.

თითქოსდა არმადარ ფარაჯანიანის განმეორებაა თამარ ბაგრატიონი, ერეკლე მეორის შვილიშვილის შვილი, რომელსაც წარსული დიდების ნაშთად მხოლოდ ჯერ კიდევ მშვენიერი ქარვისფერი თვალები და კისერზე უქმად დაკიდებული ლორწეტი შერჩენია. მის სახეზე თარაშ ეზვარმა მხოლოდ „აწ გარდასულ მშვენიერებისა ნამუსრევი“ ამოიკითხა. სიბერეს გაენადგურებინა ამაყი მანდილოსნის სინატიფე, საქსონიურ ფაიფურის დამას დაშავესებოდა. დროს გაეტება ბაგრატიონის ქალი,

მიუხედავად შერჩენილი ძველებური კულტურული მანერებისა, სახლის თაობაზე უბდებოდა წანწალი იგი გაუთავებლად წუწუნებდა გადასახადებსა თუ სხვადასხვა „უსამართლობაზე“ — ძლივს შეარჩინეს ორი ოთახი. მის შემყურე თარაშს უნებლიედ აგონდება კლარჯეთელი ბაგრატიონები. „რა ცოტას ნიშნავს მარტოოდენ სახელი და გვარი? ამ ქალსაც თამარსავით რქმევია, იგიც თამარივით ბაგრატიონი ყოფილა, მასაც თამარივით მშვენიერი ხელები ჰქონია, ვარძიის, ზარზმის, ბეთანიის ფრესკებს დამშვენებოდა ოდესმე ეს ხელებიც.“ დაშრეტილა, განადგურებულა უბრწყინვალესი ფეოდალური გვარი. თამარ ბაგრატიონის თვალებით იყურება მისი დიდი მატთანე, სადაც აშკარად ვკითხულობთ, რომ ფარნავეზიან-ბაგრატიონთა უკანასკნელი ნაშვიერი ახალმა დროებამ მათხოვრად აქცია.

არმადარ ფარაჯანიანის სტუმართა საზოგადოებას მოულოდნელად კიდევ შეემატება ერთი წევრი. ეს არის ანული — ნოშრევან ფარაჯანიანის ერთადერთი ასული, რომელიც უკვე რეალური ნიმუშია გადაგვარებული თავადისა. თუ მის მშობლებს ძველებური გარეგნობა და მანერები მაინც შერჩენიათ, მას არაფერი აქვს საერთო ოთახში მყოფ ადამიანებთან გარდა ნათესაური კავშირისა. „იგი ნაძალადევი ღიმილით შეეგება სტუმრებს — სახე გაფითრებოდა ანულის, დასრულებულიყო, თეძოები დასქელებოდა, თმები უწყესრიგოდ ჩამოსწეწოდა ღაწვებზე, საკმად უსუფთაო ბრეტელები მოუჩანდა ღრმად ამოჭრილ ჩითის ბლუზიდან, დონდლო ძუძუები უტოკავდნენ ზემოტანის შექანებისას. ქერტლი დაჰყროდა მხრებზე, შეკრეჭილ, თხელ თმებიდან ძირს დაცვენილი, კისრის გარშემო ოდნავ მოხაზული ნაოქების ორმაგი რგოლი გასჩენოდა. ღიმილის დროს თვალების უბესთან, ღაწვების გასწვრივ ჩითის ნაკვალევის დარად ეკეცებოდა კანი. ხელები არ ჰქონდა მოვლილი, ფრჩხილის ძირებს ზედ ემჩნეოდა მოშაო არშია წვირისა,“ — აი, პორტრეტი ქალაქელი ნათავადარი ქალისა.

ანული სკოლის მეგობარი იყო თამარ შერვაშიძისა. მათ ერთად გაეტარებინათ სიყმაწვილის ეს ბრწყინვალე დრო, ალბათ მაშინ ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, ახლა, სამი წლის შემდეგ კი საოცრად შეცვლილიყო ანული.

ანული ჩაითრია დიდი ქალაქის მშფოთვარე ცხოვრებამ, თამარი კი შედარებით დაიცვა პროვინციის სიწყნარემ, სადაც უფრო გვიან აღწევს ყოველივე ახალი. ფარაჯანიანების ასული დედაქალაქში ცხოვრობს და

პატიოსანი ქალები არც კი წარმოდგენია, ისევე „მონაზვნად“ ხომ არ დარჩიო, დასცინის თამარს, სიცოცხლის მთავარ მიზნად განცხრომა და ფუფუნება მიაჩნია, შენატრის მდიდარ ქმრიან მეგობრებს, რომლებიც მანქანით სეირნობას, აგარაკებსა და საყვარლებს არ იკლებენ. თვითონაც მიელტვის ასეთ ცხოვრებას, იცის, რომ დედამისივით ქედმაღლობით ვერაფერს მიაღწევს, სიყვარულსა და დაო-ჯახებასაც თავისებური თვალთ უყურებს „სისულელეა ეს სიყვარულის ამბავი. ეს რომანტიკოსებმა მოგვახვეთ ჩვენ ქალებს თავზე. მე მხოლოდ ერთ რამეში ვუჭერებ დედაჩემს, უტკუო ქალებს სჩვევიათო გრძნობის აყოლა, რომ ამბობს. მშვირებს რაც უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, ბოლოს მაინც შესძულდებათ ერთი მეორე. სიყვარულს კომფორტი სჭირია... მე არასოდეს გავთხოვდები სიყვარულით... არ მინდა მამაჩემის ოჯახის ნანგრევებს ქვეშ მოვექცე. ცხოვრება მინდა, ცხოვრება, სიხარული და კომფორტი... სიყვარული თვითონვე მოვა შემდეგ.“ ფუფუნებისკენ მისწრაფებამ ათქმევია ანულის უარი ჯორბენაძეზე, რომელიც უყვარდა. სრულიად გულგრილად შეხვდა იგი იმ ამბავს, რომ მის გამო მიჯნურმა თავი მოიკლა.

მიუხედავად დიდი ცვლილებიას, ანული მაინც გარიცხეს ინსტიტუტიდან, რადგან თავადის გვარი ჰქონდა. ამასაც მალე უშველა ქალმა, მეორე დღესვე ხელი მოაწერა მანჯგალაძესთან, გვარი გამოიცვალა, ამით აღშფოთებულმა ნოშრევანმა ყელი გამოიჭრა. ალბათ არც ამ ფაქტს უმოქმედია მაინცდამაინც მძიმედ ანულიზე და ავტორიც გვერდს უვლის ამას.

ანული ყოველნაირად „თანამედროვე“ ქალი გამხდარა. იგი დაბეჯითებით ცდილობს, თამარიც ამაირი გახადოს, შეაკრეჭინოს „სამარცხენო“ ნაწნაეები, სასწრაფოდ მოაწერინოს ხელი არზაყანთან, რათა ინსტიტუტში მიიღონ, მაგრამ შერეაშიძის ქალი ჯერ არ დაცემულა ამ დონემდე, არ ძალუძს, საკუთარი გამორჩენისათვის იზრუნოს ყოველთვის. ჰორებში გახვეული ქალაქელი „სტუდენტი“ კი თავისი თვალთ ზომავს. მასაც ხომ არ მოსწონს მანჯგალაძე, მაგრამ მაინც მიჰყვება, რადგან ის მდიდარია, რადგან „ზოგ-ზოგი მამაკაცი კიბოსა ჰგავს, სანახავად საძაგელია კიბო, სამაგიეროდ გემო აქვს კარგი“.

შეიძლება თუ არა გავამტყუნოთ ანული?! — არა! ყოველივე ეს მან ჩაიდინა თავის გადასარჩენად, მას რომ ალღო არ აეღო ახალი ცხოვრებისათვის, თამარივით დაიღუპებოდა. სიმბოლურია ისიც, რომ იგი, როგორც ბევრი მსგავსი, კომუნისტს მოჰყვება ცოლად, სამწუხაროდ, ეს იყო ერთადერთი გზა, რომელიც მომავალში სიცოცხლისუნარიანობას

ანიჭებდა მისი წრის ქალებს საქართველოში კი მიმდინარეონდა ის პროცესი, როცა, როგორც მარქსი წერდა, „ყველა გაქვავებული და ჟანგმოკიდებული ურთიერთობა და მისი თანმიმყოლი, ძველთაგან საპატიოდ მიჩნეული წარმოდგენა და შეხედულება ირღვევა, ყველა ახლად აღმოცენებული ძველდება, ვიდრე გაქვავებას მოასწრებს. ყოველივე წოდებრივი და უძრავი ქრება, ყოველივე წმინდა შემწიკვლული ხდება, და ადამიანები ბოლოს იძულებული ხდებიან, ფხიზელი თვალით შეხედონ თავიანთი ცხოვრების მდგომარეობას და თავიანთ ურთიერთდამოკიდებულებას“.

„მთვარის მოტაცებაში“ თავისებური ასახვა პოვა მაშინდელი ევროპის სინამდვილემაც. მას ძირითადად ვეცნობით თარაშ ემხვარის დღიურებიდან, სადაც თითქმის განუწყვეტლივ ფიგურირებს ელენ როსნერის სახე.

ელენ როსნერი ტიპიური ევროპელი, განათლებულ სამყაროში გაზრდილი, შედარებით მსუბუქი ყოფაქცევის ქალია. თავისი დანიშნული, რომელიც მდიდარი უშნო კაცია, მესობოტამიაში წასულა, ახალგაზრდა ელენი კი მთელი სიხარბით ეწაფება ცხოვრებისეულ სიტყბოს. მას ახლო ურთიერთობა აქვს თარაშ ემხვართან, რომელსაც თავიდან მასთან წმინდა მეგობრობა სურდა, მაგრამ ქალმა უარი უთხრა დანიშნულს და გულწრფელად შეიყვარა აზიელი ემიგრანტი. ელენიც იმ ქერა ევროპელი ქალების რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც „აღარ ჰყოფნით თვითმწვალებლური მოთმენა, ქართველ ქალებს რომ ამშვენებთ ჟამიდაჟამზე.“ ის მოურიდებლად ექცევა თარაშს, მზად არის, მისი სიყვარულისათვის თავიც გასწიროს, მაგრამ მისი ბედნიერება ზანმოკლე აღმოჩნდა. თარაშთან ერთად მოიარა მთელი რომი, განცხრომით ცხოვრობდნენ მაღამ ვიტელის — მისი დეიდის ბინაში. როცა გაიგო, რომ ემხვარი სამშობლოში აპირებდა დაბრუნებას, მიხვდა, რომ არც ისე უყვარდა იგი ვაჟს, მას კი ასე იზიდავდა ეს მეოცნებე ადამიანი, რომელიც პირველი მამაკაცი იყო, კლუნის მონასტრიდან გამოსვლის შემდეგ რომ გაიცნო პანსიონ სენ ჟერმენში. ადრე დაობლებულ ქალს მისმა ერთადერთმა პატრონმა, დეიდა ვიტელიმ, საქმროდ, ოჯახის ტრადიციისამებრ, კომერსანტი მუსიო რიშეპენ აურჩია.

ელენი, როგორც შთამომავალი აღმოსავლეთთან მჭიდრო კავშირის მქონე სოცდაგრის ოჯახისა, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ამ მხარისადმი ბავშობიდანვე და ამანაც უზიზღა თავისი ტრაგიკული

სიყვარულისა კენ. ისიც, როგორც მაშინდელი ევროპელების უმრავლესობა, ფიქრობდა, რომ სამშობლოში დაბრუნებულ თარაშს მაშინვე მოკლავდნენ ბოლშევიკები, მაგრამ მისმა ვედრებამ ვერ გასჭრა, გულისსწორმა არ ისმინა ხეყვნა და ერთ დღეს რომის წვიმამ და ელენის ცრემლებმა ერთად გააცილეს თარაშ ემხვარი.

არ უყვარდა თარაშს ელენ რონსერი, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებულს მაინც არაერთხელ მოგონებია მისი სახე. მას უნდოდა, ენახა ელენი, როგორც ქართველი ქალი. აი, რას სწერდა იგი მახვშის კოშკიდან: „შენ რომ აქ მყავდე, აქ გამოჩნდებოდა მართლაც შენი სიყვარული... ქსოვას, კერვას და ქარგვას გასწავლიდნენ სევანის ქალები... ვიცი, შენ ყოველივე უცნაურის მოყვარული ხარ. შენ უთუოდ შეგიყვარდებოდა ჩვენი სევანეთი.“

ელენ რონსერსაც იგივე ბედი ეწია, რაც თარაშის სხვა სატრფოებს — ანა მარია ფესტნერს, უდროოდ გარდაცვლილ ელვირა ფოკინერსა და სხვას, ვისი სახელებიც უკვე აღარც ახსოვდა ემხვარს. ისინი „თავიანთ დიდ სიყვარულს ერთ ჭიქა შოკოლადზე ჰყიდნენ... და „უცხოეთის პრინცებს“ რომ მოეღიან, პირველ შეხვედრილ მოხეტიალეს დაეკიდებიან ხოლმე კისერზე. ასე გაბრუებული არიან ისინი ბულვარული რომანებითა და სენტიმენტალური ლექსებით“, — ფიქრობდა თარაში.

ყველაზე მეტად სერიოზული თარაშისათვის ელენ რონსერითა და თამარ შერვაშიძით გატაცება იყო, მაგრამ ევროპელ ქალს აკლდა ის, რაც თამარს ამშვენებდა და პირუკუ. ამასთანავე, აფხაზი კაცი ელენისათვის ვერასოდეს დათმობდა დედასა და საქართველოს, ბავშვობისა და სიყრმის მოგონებებს, ამიტომაც მათი სიყვარული თავიდანვე განწირული იყო.

„მთვარის მოტაცებაში“ დახატულ ქალთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გლეხის ქალს — ძაბულის, უბრალო, კეთილ, სათნო ქალიშვილს. „ძაბული მეგრელი ქალია, გულისხმიერი და ტკბილი, ისევე ტკბილი, როგორც ბარის მეგრული, ისევე ნაზი, როგორც მეგრული შოუ ნანა, საღი და მარტივი, როგორც მეგრული ჩონგური.“ ადრე დაობლებულ ქალს მარტოკა უკისრია ოჯახის გაძლოლა, დაძმებზე ზრუნვა. ცხოვრობს პატარა ღარიბულ ქოხში, თან დღედაღამ შრომობს, საბეჭდ მანქანაზე მუშაობისაგან ხელები გატლანქებული, მარტოდმარტო შებნია ცხოვრების უკუღმართობას, შორს დარჩენილა არზაყანთან და თარაშთან გატარებული უდარდელი ბავშვობა, მათთან ერთად თამაში

და სკოლაში სირბილი.

ძაბული გამოყვანილია, როგორც შრომისმოყვარე, პატიოსანი, გულისხმიერი ქალი. თავისი ქცევით სხვებისაგან გამოირჩევა იგი, მუდამ თან სდევს უბრალოება და სიკეთე. მას ბავშობიდანვე უყვარს არზაყან ზვამბაია, მისი სიყრმის მეგობარი, მაგრამ არ ამჟღავნებს გრძნობებს, მხოლოდ გულისსწორის დაკარგვის სიმწარემ გამოააშკარავებინა ყოველივე. არზაყანს კი თამარ შერვაშიძე შეჰყვარებია. იგი გონებაში პარალელს ავლებს ამ ორ ქალს შორის, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო გარეგნობით, არამედ შინაგანი სულიერი ბუნებითაც. ძაბული არასოდეს გააწვალებდა არზაყანს ისე, როგორც თამარი, არ დაგესლავდა მწარედ. იგი უფრო დამყოლია და მორჩილი, ცხენიწყლის თათლივით ტკბილი სიტყვა ამოსდის პირიდან. მხოლოდ მისთანა ქალი თუ შესძლებდა გლეხის ცხოვრების უღლის გაწევას, სისხლბორცეულად შეეთვისებოდა ზვამბაიების ოჯახს, თამარი კი სხვა იყო. ახალი დროც ვერ ამოაგებსო უფსკრულს თავადსა და გლეხს შორის, — ამბობდა კაც. არზაყანის მშობლები მონდომებულები იყვნენ, რძლად შემოეყვანათ ძაბული, რომელიც აკენიდანვე დაენიშნათ კიდევ.

თარაშ ემხვარიც აშკარად ხედავდა, თუ რა დიდი ზღვარი იყო ძაბულისა და თამარს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ქალი მეგობრობდა კიდევ. ისინი ურთიერთის ანტიპოდებად ეჩვენებოდა მას. „თამარში გვაროვნული ჯიშის მეტად მოსჩანდა, ძაბულის აღნაგობაში მეტი სირბილე და ქალური უშუალობა. სიცილი მაინც ისე ედებოდა სახეზე ძაბულის, როგორც მოწმენდილ ცას რიყრაყის ხელით შენატრქევეი ვარდისა წყალი. თამარი კი ისე ილიმებოდა, რომ სახის მისის ზემო ნაკვეთები არც-კი შეტოკდებოდნენ და ველარც სიცილი ჩქმალავდა იღუმალის დარდის იერს — როცა ძაბული იცინოდა უთუოდ იტყოდით: ამ სიცილის გადღმა დამალული არაფერი! და სიცილის დროს მელავნდებოდა მისი ბალღური სიკეთე“; თუმცა არც ცხენის მართვა ემარჯვებოდა, არც დახვეწილი კულტურა, არც ნაირნაირი კაბები ეცვა, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა ქალურობასა და მომხიბვლელობას.

ძაბული მკაცრად არის დარწმუნებული თავის გრძნობებში. მას შეუძლია სიკიცხლევით მიიტანოს სიყვარულის სამსხვერპლოზე. როგორც კი არზაყანის ავადმყოფობას გაიგებს ერთგული ქალი, სამსახურს მიატოვებს, ობლებს შეატოვებს სახლ-კარს და დღედაღამ თავს დასტრიალებს საყვარელ ადამიანს, მისი დაკარგვის შემდეგ კი ჭვალოს კაბას შეიკერავს, ქვრივად გამოაცხადებს თავს და მარტო დარჩენილ

მოხუც ხათუნას არ მოშორდება. რომანის თხრობაში შექრილი ავტორი, რომელიც თავადაც შეძრულია ამ ამბით, წერს: „ხოლო მე, ამ უბედური ამბების ავტორი დავლონდი ფრიად და სასოწარკვეთილმა ეს გადაწყვეტე თხრობა შემეწყვიტა საესებით.“ ასე გამოიყენა დაბულის მამისეული ფაცა, ჩაქრა ფუტი, რადგან ორივე უმცროსი ძმა პელაგისგან დაეხოცა.

ვაჟკაცივით შრომობდა ზემბაიების ოჯახში ქალი, თან არზაყანზე ფიქრი არ სცილდებოდა არასდროს. მის იარაღს თვალისჩინივით უვლიდა, უნაგირი სასთუმლად ედო, მწარე ცრემლები ახრჩობდა სატრფოს ცხენის, არაბიას, ხილვაზე; ხათუნასთან ერთად მუშაობდა არზაყანის მიერ ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობაში, კოლექტივის ყანებში ვაჟკაცს უტოლდებოდა. დაოჯახებაზე არც უფიქრია, სასტიკად უარყო ქუჯის სიყვარული და პირველი გრძნობის ერთგული დარჩა. იმედს არ კარგავდა, რომ დაბრუნდებოდა არზაყანი.

უზომო იყო დაბულის სიხარული, როცა ცოცხალი, უვნებელი არზაყანი შინ დაბრუნდა. გულშეღონებულს არც კი სჯეროდა ასეთი ბედნიერებისა, მაგრამ მაინც წინააღმდეგობა გაუწია ვნებაბორეულ ვაჟკაცს, რადგან პატიოსნება სიყვარულზე ძვირფასი იყო. რომანის ამ თავს „დედალი ბელურა“ ჰქვია და თვით ბელურა სიმბოლოა (ტოტემია) დაბულის, უბრალო, ჯანსაღი გლეხის ქალისა, რომელმაც არაერთ გაჭირვებას გაუძლო.

საბოლოოდ იმარჯვებენ დაბული და არზაყანი. ისინი თავიანთი ეპოქის ღვიძლი შვილები არიან, ეს მათ დარჩათ მომავალი. რეალობამ ასეთი დასასრული მოითხოვა. სიხარულის ცრემლები მოადგება დაბულის, როცა არზაყანი ეტყვის, ხელი მოვაწეროთო. ბედნიერი ქალი ერთადერთ საგარეო კაბას დაუწყებს ძებნას. დაბულისა და არზაყანის შეუღლებით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ახალი ცხოვრების დასაწყისს.

დედაშვილური სიყვარულის სათუთი გრძნობით არის გამთბარი მთელი რომანი. თითქმის ყოველ გმირში იხატება იგი. მღელვარებისაგან ათრთოლებული ხსნიდა დედის წერილს თარაში. რა ძვირფასი იყო ის წვრილი უმნიშვნელო ამბები, მოხუცი რომ იწერებოდა, მერე მთელი კვირა უბით ატარებდა, სანამ მთლად არ გაიცრიცებოდა ქაღალდი. დედის ალერსი ენატრებოდა უცხოეთში გადაკარგულ შვილს.

თამარ შერვაშიძესაც მუდამ დედა უდგას თვალწინ, გაჭირვების ჟამს მის საფლავს მიაკითხავს ხოლმე; სიკვდილის წინაც დედა მოელანდა საბრალოს.

თითქოს თარაშის განცდებია გალექსილი ლექსში, რომელიც ეპიგრაფად უძღვის რომანის ერთერთ თავს — „ჭანგგამოცლილი მიმინო“, რომელშიც იგი დედის გარდაცვალების ამბავს იგებს, დედისა, რომელმაც არაერთ გაჭირვებას გაუძლო.

ოქტომის სასახლეში ერთადერთი მოახლის, ცირუნისა, ამარა დარჩა მათა, როცა მისი ქმარი შვილთან ერთად რევოლუციის შემდეგ გაქცეულ ძველ მთავრობას გაჰყვა ევროპაში. მარტოდმარტო სდარაჯობდა ქალი ოჯახს, რათა კერია არ გაეციეებინა და „ფუძის ბატონისათვისაც“ მოეწყო. მერე კი სახლიც წაართვეს და ერთი პატარა ოთახილა შეარჩინეს ბოლშევიკებმა. აწვიმდა ჭერს, შემკეთებელიც არავინ იყო, მაგრამ ყოველივეს მოთმინებით იტანდა მათა, იტანდა ერთადერთი შვილის სიყვარულისათვის, რომელიც უკვე ცხრა წელი იყო არ ენახა. დროდადრო წერილებით ხმას მიაწვდენდა, სხვის ბაღში თურაშაულის დარგვას, საკუთარში მათალოს თესვა გერჩიოსო.

რაც დრო გადიოდა, უფრო მეტ დამძულობას ამჩნევდა თარაში დედის ნაწერს, აშკარად ჩანდა, თუ რა დიდი სულიერი ტანჯვა ახლდა თან მის ბრატს. არასოდეს ჩივილი არ დასცდებოდა მათას ბაგეს, მხოლოდ ბოლოს თუ მიაწერდა: „ნუთუ ისე უნდა მოგვედო აქ ოქტომში, რომ შენთვის თვალის შევლებას ვერ ველირსოვო?“

მათა სათუთად იცავდა თავისი ოჯახის ტრადიციებს, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ყოველივე ეროვნულს, ძველ ნივთებსა და ხელნაწერებს, ზრუნავდა თავისი ოჯახის მომავალზე. „თუ ჩემი სიყვარული არ გამოგლევია, უცხოელი ქალი არ შეირთო, რადგან უცხოელი ქალი ჩვენს წესებს არასოდეს შეეგუებაო და მე ამის ჭავრს გადავყვებიო,“ — სთხოვდა იგი შვილს.

უზომო იყო ძაძებში მოსილი დასწეულბუღი მოხუცის სიხარული, როცა მისმა „გულიკომ“ შემოაბიჯა სახლში. აუხდა დიდი ხნის ოცნება — თარაში დაბრუნდა ოქტომის იავარქმნილ სასახლეში და ხედავს, რომ მტუტისფერი დასდებია ერთ დროს ლამაზი ქალის თმებს, „ნაოქვები მომატებია, უბეები ჩაღრმავებია, დაწვისთავეებზე, ყურის არეში ნაოქვები ზედმისევიან და მისუსტებული კისრის გარშემო სამკეცი რგოლი შემოვლებია (მუხთალ სიმების მანიაკი გარდაუვალი)“. ის და სამიოდე ხანდაზმული ქალი დარჩენილა ემხვარების უძველესი გვარიდან, ამიტომაც მოწადინებულია მათა, დააოჯახოს „გვარისა და დედის იმედი“. აცრემლებული შეჰყურებს იგი მამისეულ ჩოხაში გამოწყობილ თარაშს — „სწორედ ასეთი იყო ჯანსუღი, როცა ახალმა სასიძომ მათას

მამის, შერგილ დადიანის ოჯახში შემოაგელვა პირველად ცხენი... მიეახლა ვაჟს და აკოცა, აკოცა, მაგრამ არც კი იცოდა იმ წუთში, ეს მისი ვაჟი იყო, თუ საკმრო რჩეული? ან თუ სიზმარი ხომ არ ყოფილა მისი ჯ აფთხ და ცრემლით საფხე სიცოცხლე? ...წყლიანი თვალები მოიფშვნიტა მაიამ. ხედავს, არა, ეს მისი საფიტარი გულიკია, ჭადარივით ტანკენარი, ეს მისი სიცოცხლეა, სასო მომავლისა“.

დღედაღამ დასტიროდა საბრალო მაია სვანეთში ძიძიშვილთან და მორდუსთან ერთად გახიზნულ თარაშს. ჭიშკარს გასცქეროდა ჭალი და ყველას ვეფდრებოდა, ჩემი მისოუსტის ამბავი ხომ არ გაგიგიათო რამე, ან გაზეთებში თუ რამე სწერიან? ორჯერ შეიტხადა შვილი, მერე ოქტომბერში გაცივდა, ორშაბათ საღამოს ილოცა, მეორე დღით კი მკედარი იბოვა ცირუნამ. ემხვარების ჭერივებმა და მოახლემ მიაცილეს იგი სამარემდის. ცხოვრებას გამოაკლდა კიდევ ერთი თავადის ჭალი, რომლის ბედი არაერთისათვის განმეორდა მაშინ.

თარაშმა შინ გამოიგლოვა დედა, საფლავეც არ უნახავს, ბალღივით ჭეითინებდა გულდამწვარი. მაიას ხელშენავლები ნივთების ხილვა სევდით ავსებდა შვილის სულს. მაგიდაზე დარჩენილიყო „ქართლის ცხოვრება“, თამარ მეფის სიკედილის ადგილას ჩარჩენოდა სათვალე. საბინინის „საქართველოს სამოთხეში“ იბოვა დედის წერილი, რომელიც გარდაცვალების წინ დაწერა. მაინც არ დაეჯერებინა ფიზიკურად და სულიერად გატეხილ მოხუცს შვილის სიკედილი. „მე გაგაჩინეო ჩემი გულის იმედად, არ მჯერაო თუ ოდესმე მოკედები შვილო, სიკედილს რა უნდა შენთან, მე მაქვსო შენს მაგიერად სიკედილისათვის გაწვდილი თავი... შეიბრალეო უბედური დედა, კიდევ მომწერეო... შენთვის ვილოცავო უკანასკნელ წუთებში. შენი ხელნაწერი, შენი დიდი შრომა საწერი მაგიდის უჯრაში სძევსო“, — წერდა მაია და სთხოვდა შვილს, არ გატეხოო ურთხელის კარადა, შენს ცოლს გამომადგებაო, არც კათალიკოსის ეტრატი წაიკითხო — „ვარდანძე-ემხვარები, ესე მსმენია, ერიდებოდნენო ამ ეტრატის კითხვას... ნუ ამოსწყვეტო ვარდანძე-ემხვარების ძველთაძველ გვარს...“ ჩანს, რომ დედა უმაღლავდა შვილს ეტრატს — მრავალი საუკუნის წინათ ემხვარების მიმართ თქმულ წყველას, რომელიც XX საუკუნეში აღსრულდა საბოლოოდ. სამარეში თან ჩაიტანა მოხუცმა ჭალმა შვილზე ფიქრი და ზრუნვა.

მაიასავით თავდადებული დედაა ხათუნაც, არზაყანის დედა, დიასახლისი კაც ზვამბაიას შეძლებული ოჯახისა. იგი ტიპიური სახეა

უბრალო თავმდაბალი გლეხის ქალისა, რომელსაც ქმრის სახელის ხსენებაც კი ცოდვად მიაჩნია და სიტყვის შებრუნებაც არასოდეს უკადრებია. დღედაღამ ოჯახზე ფიქრობს ხათუნა, „უდროოდ ჭალარა გაერია მას შემდეგ, რაც ყაჩაღების და ქურდების საღვეწად მოაველინა პოლიტსამმართველომ არზაყანა“. მას შემდეგ აერია ოჯახი, რაც უფროსი ვაჟი კომკავშირში შევიდა, არც კოლექტივში უნდოდა შესვლა, მაგრამ შვილს მხარი დაუჭირა. არზაყანის „გაბოლშევიკებაშ“ სასტიკად გააბრაზა მამა, ორ ცეცხლს შუა ჩავარდა ხათუნა, ღამით ხატის წინ დაჩოქილი ლოცულობდა შვიდი შვილის დამკარგავი დედა, ევედრებოდა ღვთისმშობელს, მიეტევებინა არზაყანისათვის ასეთი სათუთი სიყვარულით უყვარდა მას ქელეში და პატარა ჯამუც.

ქმრისა და შვილის დაკარგვამ სულ გადარია საბრალო ქალი. ქელეშისა და ჯამუს შინ არყოფნისას ყოველ დღე გამოქონდა ქმრის, ვაჟისა და გაზრდილის ნიშანი: არზაყანის ჩაბალახი, კაც ზვამბაიას ჩოხა და თარაშის ძველი კოსტიუმი, თხილნარში გაიტანდა და მოსთქვამდა, ლოყებს იხოკავდა.

შვილივით უყვარდა ხათუნას თავისი გაზრდილი თარაშ ემხვარიც. ერთად ზრდიდა მასა და არზაყანს. მარცხენა ძუძუ არზაყანისა იყო, მარჯვენა — თარაშისა და ასე განუყოფელი იყო ხათუნასათვის ეს ორი ადამიანი, როგორც მისი სხეული. „შენ არ გავდიო კუდაბზიკა თავადიშვილებს, ვინც ძიძასა და მამაძუძეს არ კადრულობენო“, — ასე დასტიროდა ხათუნა თარაშს და აქებდა მის რაინდობას, დიდკაცობას, თავმდაბლობასა და განათლებას. ასეთი ქალი იყო ტაია შელიას მეუღლეც, სავარსამიძის ძიძა. იგი და თარაშის ძიძა თავისებური პროტოტიპებია ერთმანეთისა, ისე გვანან ერთმანეთს.¹

ხათუნას უსაზღვრო სიკეთე ძაბულისთან დამოკიდებულებაშიც მჟღავნდება. მას გულწრფელად ეცოდებოდა ობოლი ქალი, რომელიც ვაჟეკაცივით შრომობდა ზვამბაიების ოჯახში. ყოველნაირად ცდილობდა მოხუცი, მდგომარეობა შეემსუბუქებინა მისთვის და დედობრივ მზრუნველობას არ აკლებდა.

მაია და ხათუნა — ეს ორი ქალი განასახიერებს ნაწარმოებში უკვე განვლილ საუკუნეს. პირველი იღუპება, მეორე კი — განაგრძობს სიცოცხლეს.

1. ცანავა ა., კოსტანტინე გამსახურდია და ხალხური შემოქმედება, თბ., 1970 წ., გვ. 8.

„ვაზის ყვავილობა“

„ვაზის ყვავილობაში“ მთელი სისრულითაა მოცემული სოციალისტური საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება, ხალხის შრომა XX საუკუნის 30-იან, 40-იან წლებში. რეალური შტრიხებით ხატავს მწერალი ომის საშინელ სურათებს, იმ ტანჯვა-წამებას, რომელიც გამოიარეს ადამიანებმა საკონცენტრაციო ბანაკებში, ბრძოლის ველზე და ზურგშიც, სადაც უსაშინელეს ადამიანად შავი ბარათების მომტანი ფოსტალიონი ითვლებოდა. მაგრამ გაჭირვებას სძლია გარჯამ, კელაე აყვავდა ვაზი — სიცოცხლემ სიკვდილზე გამარჯვება იზეიმა. „რომანი შეიცავს დიდი ჰუმანიზმის რთულ ფილოსოფიურ კონცეფციას. სწორედ ამიტომ „ვაზის ყვავილობა“ შეიძლება დავაყენოთ მსოფლიო ლიტერატურის იმ შესანიშნავ კმნილებათა გვერდით, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მძაფრად გამოხატავს ადამიანის კეთილშობილ მისწრაფებებს და რომელთაც ასახეს ბნელზე ნათელის გამარჯვება, ჰუმანიზმის გამარჯვება.“ კელაე დგას ბერძენა — საქართველოს ძლიერების სიმბოლო, დგას და გადაჰყურებს ვაზნარებს, მარტოდ დარჩენილა ცხრა მუხის ადგილზე, სადაც ახლა ამაყად შრიალებს ვაზი — სიუხვისა და ნაყოფიერების სიმბოლო — ახალ ნერგებში იწყება სიცოცხლის განახლებული ფეთქება.

იზრდება და მშვენივრდება სოფელი. ცხოვრების ძნელ გზას შესდგომიან მისი შვილები, დულს წინააღმდეგობებით აღსავსე სინამდვილე. „მთელი რომანის მანძილზე მკითხველი გრძნობს მძლავრ სასიცოცხლო სიმფონიას და მძლე ლაიტმოტივად ჩაესმის ქართველი კაცის გაუტეხელი სულის ამონაკენისი: „კიდევაც დაიზრდებიან“.²

საინტერესოა რომანში გამოყვანილი გმირების წრე. აქ უკვე არსად არის წოდებრივი უპირატესობის ხსენებაც. მის ნაცვლად კი თავი წარმოუჩენიათ ცხოვრების ანტიპოდებს, როგორებიცაა — აბრია უჯ ი-რაული, კობერიძე და სხვები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ გამდიდრებაზე ფიქრობენ და არავითარი საქვეყნო საქმე არ აწუხებთ. ახალ დროს თავისებური ურთიერთობა გაუბამს ადამიანებს შორის. საზოგადოებაში უფრო წინ წამოწეულა ქალი, როგორც პიროვნება ამაღლებულა მისი როლი ცხოვრებაში, იგი უკვე გასცდენია საკუთარ ეზო-კერას და ხალხში გასულა. უფრო მრავალფეროვანია მისი

1. შუშანია ე., კონსტანტინე გამსახურდიას სამწერლო გზა, თბ., 1970წ., გვ. 99.

2. უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწ. I, თბ., 1984 წ., გვ. 336.

ფსიქოლოგიური სამყარო და არავის უკვირს, რომ ქალი კოლექტივში შრომობს, კრებებზე დადის, თავისი ნებით ქმნის ოჯახს. მხოლოდ მოხუცები თუ მოიგონებენ ძველ დროს, მაგრამ მათ სიტყვას უკვე აღარ ძალუძს ოდნავ მაინც მიაყენოს ჩრდილი თანამედროვე საზოგადოებას.

კომკავშირელი ქალის სახე კ. გამსახურდიას შემოქმედებაში, მხოლოდ „ვაზის ყვავილობაში“ გვხვდება. ეს არის რომანის მთავარი მოქმედი გმირი ნუნუ უჯირაული — ცხოვრებისაგან დაჩაგრული ობოლი გოგონა, რომელიც სოფლის მოწინავე საზოგადოებამ, კოლმეურნეობის კომკავშირულმა ორგანიზაციამ აღზარდა. დედა ადრე გარდაეცვალა, მამამისი — გობრონი, ვაჩანაძის ნამოჯამაგირალი უღარიბესი მწყემსი, გალოთებული; ღვინის ვაჭარ კობერიძეს თბილისში გაუტყუებია იგი, ვერც აქ მოუყიდებია ფეხი, შინ დაბრუნებულა და თან ქალაქელი მეკუბოვის ქალიშვილი ქეთუა მოუყვანია. მალე ბნელიანი მალხაზიც დაიბადა და „თეთრი ცხელებით“ დაავადებულმა გობრონმა თავი ჩამოიხრჩო. ასე დარჩა ნუნუ ზღაპრული ეთერივით აშარი დედინაცვლის ხელში, რომელიც დღენიდაც გერის გაგდებას ცდილობდა, მაგრამ ობოლს კომკავშირის რაიკომი პატრონობდა. „რაკი სიყრმიდანვე შეიცნო ნუნუმ, მხოლოდ და მხოლოდ პარტია და ხელისუფლება იყო მისი ერთადერთი ქირისუფალი ამ ქვეყნად, კოლმეურნეობაში თავგამეტებული შრომით აპირებდა თავის მხრივ მადლობის გრძნობის დამოწმებას“. გაბედულად ისმის მორცხვი გოგოს სიტყვები კოლმეურნეობის კრებაზე, რომელიც მხარს უჭერს ვაზის გაშენებას რომანში თავიდან ბოლომდე ჩანს ნუნუს აქტიური მეზრდოლი სული, არცერთ საქმეში უკან არასოდეს დაუხევია მას. „მოდით, ჩვენ შრომაში გამოვიჩინოთ ის სიმამაცე, რომელიც ჩვენს წინაპრებს არაერთხელ გამოუჩენიათ ომებში,“ — ასეთი სიტყვებით მოუწოდებდა იგი თანასოფლელებს.

ობოლობა არ აკმარა ბედისწერამ ნუნუს ამ ლამაზ ქალს, რომელიც კორინთელმა ლეონარდო და ვინჩის „რაკინის მანიაკიან ქალს“ მიაშგავეს, მხოლოდ გარეგნობა და სათნო გული უბოძა ბუნებამ. მისი „სპილენძისფერი სახე და დიდრონი მუქლურჯი თვალები ფერთა უცნაურ სიმფონიას ქმნიდა. ამას ზედ ერთვოდა შვინდივით წითელი ზემოტუჩის კუთხეებში პაწია, ოდნავ საჩინო ბუსუსები და მარცხენა ლოყაზე ხალი“. მშვენიერებით დაჯილდოვებულ ქალს ბედნიერების მოსაპოვებლად დიდი ხნის ბრძოლა დასჭირდა. შეიღწლედის

დამთავრებაც ვერ შეძლო უბედური ცხოვრების გამო, თუმცა ფრიადოსანი იყო, დედინაცვალმა არ აცალა სწავლა. გულის დარდს შრომაში იკლავდა ნუნუ.

ბევრს მოსწონდა სოფელში ლამაზი ქალიშვილი, მაგრამ მუდამ თავდაპირილი არავის იკარებდა ახლოს, არც ქორაობის საბაბს აძლევდა ხალხს. მთელი გულწრფელობით შეიყვარა მან გოდერძი ელანიძე, რომელიც მისმა გამბედაობამ მოხიბლა თავიდან. უსაზღვროდ ბედნიერი იყო ნუნუ, ადამიანი, რომელსაც ახლობელი არავინა ჰყავდა და საკუთარი „შინაც“ აღარ გააჩნდა. ეგონა, ყველაფერი თავისით მოგვარდებოდა, თანაც უკვირდა, უღმობელი მწერლები რატომ ხატავენო უბედურად შეყვარებულ წყვილებს, რატომ ასრულებენო მათ ისტორიებს ტრაგიკულად და მაშინ არც წარმოედგინა, თუ რა დიდი გამოცდა ელოდა მის სიყვარულს. გოდერძის სიყვარულმა მიაცემინა ცრუ ჩვენება გამოძიებლისათვის. ხელი გადააფარა მიჯნურს, რადგან იცოდა, სამაგიეროს მიუზღავდა იგი კანკრეს ნუნუნზე თავდასხმისათვის. არა, არ შეშინებია ქალს, მისი ვაჟკაცური ბუნება მაშინაც გამოჩნდა, როცა საკუთარი პატიოსნების დასაცავად ხმლით დაჭრა კანკრე. ასეთი შეუდრეკელი იყო იგი შრომაშიც. ჯერ მერგოლური იყო, მერე ბრიგადირად დააწინაურეს და თავგანწირულმა მუშაობამ შეაძლებინა ნუნუს, წაქცევაზე მიმდგარი მამისეული ოჯახი წამოეყენებინა. ქალის „ვაჟკაცურმა თავიანობამ“ უფრო გაამწარა დედინაცვალი, რომელსაც სურდა, გერი კობერიძისათვის მიეთხოვებინა, მაგრამ არ გამოუვიდა.

უბედურება უბედურებაზე ემატებოდა ნუნუს. ათასი წერილმანი თუ სირთულე ხელს უშლიდა მისა და გოდერძის ხელის მოწერას, მერე ომმა მოსტაცა საყვარელი ადამიანი და მარტოდმარტო დარჩენილი შეება ღუბჭირ ცხოვრებას. შვილს გოდერძის პაპის სახელი — მიქელა დაარქვა. დედობრივი სიყვარული მხრებზე აწვა ქალს, თანაც მალხაზსაც უვლიდა, ვერც გოდერძის ოჯახს აკლებდა ყურადღებას და კოლმეურნეობაშიც ძველებური შემართებით შრომობდა. არც გოდერძის დაკარგვის ცნობამ გატეხა ქალი, მაინც სჯეროდა ძაძებში გახვეულს, გამოჩნდებოდა სადმე პატარა მიქელას მამა. თუ გაიგებდა, სადღაც ფრონტიდან წერილები მიუღიათო, კარდაკარ ჩამოივლიდა, გოდერძიზე ხომ არაფერი იცინაო. უჭირდა ნუნუს და რა მწარე იქნებოდა მისთვის მწუხარება, როცა აბრია მ და ქეთეთამ ბავშვი მოპარეს და გველებს მიუგდეს დასაგესლად. აქ კი ბედმა გაუღიმა ნუნუს, სოფლის დახმარებით უვნებელი იპოვა პირმშო.

მთელი სოფლისათვის სამაგალითო იყო ნუნუ. მისი შრომა და შემართება ნიმუშად მოყავდა თავმჯდომარეს, ამიტომ ქალები ამრეზილი უყურებდნენ ამ „წინამასწარას“. მხოლოდ დეიდის ჩამოსვლამ შეუშუბუქა მდგომარეობა ქალს და ამიტომაც გულწრფელად შესთავაზა კორინთელს დახმარება ობოლი ბავშვის აღზრდაში. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა მისი სათნო გული, გულუბრყვილო მისწრაფება — აკეთოს ქვეყნად სიკეთე, თესოს კეთილი საქმე.

წვალებაში და ცრემლებში გაიარა დრომ. დამთავრდა ომი. სოფელმა ამოისუნთქა. „გოდერძი კიდევ ერთხელ შეიმცხადეს მისმა მახლობლებმა. ნუნუს უკვე სავსებით გაუთეთრდა თმები...“ და მოულოდნელად დაბრუნდა დასახიჩრებული, დამუნჯებული გოდერძი და სიხარულით ააქსო მრავალტანჯული ქალის გაუფერულებული ცხოვრება. სამჯერ აჩვენა ნუნუმ ქმარი თბილისელ ექიმებს, მაგრამ არაფერი ეშველა. მხოლოდ ვაზის სიყვარულმა, ვაზის ყვავილის ღვთაებრივმა ყვავილობამ აადგმევინა გოდერძის ენა. კანონზომიერიც იყო ასეთი ლამაზი დასასრული. სათნო, ლამაზ, გამრჯე ქალს, რომელიც მთელი სიცოცხლე ბედნიერებას დაეძებდა და ის კი მდელზასავით უსხლტებოდა ხელიდან, არ შეიძლებოდა არ მიეღწია მიზნისთვის.

ნუნუ თავისებურად აგრძელებს ძაბულის („მთვარის მოტაცება“) მიერ დაწყებულ ხაზს. ძაბული მასავით უბრალო, მშვენიერი, ერთგული ქალია, თუმცა არ არის ნუნუსავით გათვითცნობიერებული, მოწინავე იდეების ადამიანი, მაგრამ ეს მისი დროის ნაკლი იყო.

რომანში ნუნუსთან დაკავშირებით ერთგვარი შეუსაბამობაც გვხვდება, ჩანს ავტორს მექანიკური შეცდომა დაუშვია. „დედამისი ნუნუს ამქვეყნად გაჩენას გადაჰყვა.“ — ნათქვამია პროლოგში, შემდეგ კი თავში, რომელსაც „თავდასხმა“ ჰქვია, აღნიშნულია: „თავისი გარდაცვლილი დედის საყვედური მოაგონდა ნუნუს, ათი წლის წინათ ნათქვამი: „შენი სიჯიუტე შენვე დაგლუბავს, ნუნუ“. მის გაჩენას შეწირული დედის სიტყვები შვილს არ ეხსომებოდა (ნაწილობრივ ასეა სუსქიასთანაც).

რომანის მეორე დადებითი გმირი ქალია სუსქია მინდელი, უბრალო მეთონის ქალიშვილი, რომელიც ტიპიური სახეა დაბალი წრიდან. გამოსული მაშინდელი ინტელიგენციისა მისი და ვახტანგ კორინთელის აშბავი პარალელურად მიჰყვება გოდერძისა და ნუნუს თავგადასავალს და მხოლოდ ზოგჯერ გვხვდება შეხების წერტილები.

სუსქია, როგორც გარეგნულად, ისე შინაგანი ბუნებითაც, ძალიან ჰგავს ნუნუსს. ისიც მასავით ადრე დაობლდა დედით და მამასთან იზრდებოდა. წმინდა ნინოს სასწავლებელში სწავლისას გაიცნო მან ვახტანგ კორინთელი და უზომოდ შეუყვარდა, ვაჟი კი სხვას ეტრფოდა. როცა ვახტანგი პარიზს წავიდა სასწავლებლად, სუსქიას საწამლაგი დაუღლეია და ძლივს უხსნიათ სიკვდილის პირს მიმდგარი გოგონა მაშინ, მერე კი შერიგებია ცხოვრების კანონს, ინსტიტუტში შესულა და პედიატრი გამხდარა. ქალს საოცრად უყვარდა თავისი პროფესია და ბავშვები, სიცოცხლესაც არ დაზოგავდა მათთვის; კარგმა მუშაობამ თავიდანვე გამოაჩინა იგი და თელავში თუ მიმდებარე სოფლებში ყველა აფასებდა. ექიმ მინდელს, რომელიც არასოდეს დაიზარებდა, თუნდაც ფეხით, შუალამეს მისულიყო ავადმყოფთან. მისი სათუთი სული ვერ აპატიებდა თავს, რომ არ გაეკეთებინა იმის მაქსიმუმი, რაც შეეძლო. გათხოვებაზე კი არც უფიქრია, ისე შეეპარა თმებში ქალარა შემოდგომა. ცხოვრობდა ღარიბულ ქოხში მამასთან ერთად და არასოდეს უჩიოდა სიღარიბეს.

სულიერად და ფიზიკურად მშვენიერი ქალი ალალად ახმარდა ოჯახს თავისი შრომით მოპოვებულ ლუკმას. სიკეთე და სათნოება უფრო მეტ მიმზიდველობას მატებდა მის სილამაზეს. „მთელი მისი აღნაგობა, მისი გულმკერდი და ვნებიანად ამობორცევილი ტუჩები... მოაგონებდნენ ამ ქალის მნახელს ნაყოფსავსე კახურ შემოდგომას, როცა ყურძენში იძალებენ ქარვის ფერები...“ მის თმებს გადაჰკრავდა ელვარება ისეთი ალისა, როგორსაც ცეცხლშეგზნებული ვაზის წალამი გადმოსცემს ხოლმე.“ ამ შედარებას არაერთხელ იმეორებს მწერალი სუსქიას მშვენიერი შემოგრაგნილი ნაწნავების დასახასიათებლად.

გვიან მოაკითხა ბედნიერებამ სუსქიას, სიყვარულის ანთებიდან თერამეტი წლის შემდეგ და ნუნუსავით ხელიდან გაუსხლტა მასაც. მოვალეობის დიდმა გრძნობამ და ბავშვების სიყვარულმა ამოიყვანა იგი გველეთში სამუშაოდ. „სამი სიცოცხლეც რომ წილად მერგოს ამ ქვეყნად, ბავშვთა ჯანმრთელობისათვის ბრძოლას შევალევდი სამივეს. ჩემი ცხოვრების უდიდეს ჯილდოდ მიმაჩნია, როცა ჩემს მიერ განკურნებული ბავშვები შემხვდებიან ხოლმე...“ — ამბობს სუსქია და რა დიდი სითბოა ამ სიტყვებში. მხოლოდ ასეთ ქალს შეეძლო გაეწირა თავი ნუნუს პატარა მიქელას გადასარჩენად, რასაც მისი სიკვდილი მოჰყვა. მანამდე კი, როცა ან ის უნდა დარჩენილიყო ცოცხალი, ან შვილი, გულდამწვარი ამბობდა: „მე სხვისი ბავშვები

სიკვდილს გადაშირჩენია მრავალგზის, რა იქნება ჩემი შვილისათვის რომ მოვეკვდე—“

ომის დაწყება მწვავედ განიცადა კორინთელის ოჯახმა, სადაც სუსქიას მოსელამ სულ სხვა ატმოსფერო შექმნა. იდუმალმა სევდამ დაისადგურა სოფელში და შიშმა სუსქიას გულშიც შემოაბიჯა. მისი ერთადერთი ძმა ავთანდილი ფრონტზე იყო და ამიტომაც მუდამ ფოსტალიონ გეოს შიში ჰქონდა ფეხშიმე ქალს, შავი ბარათი ხომ არ მოაქვსო ჩვენთან, გულიც კი მისდიოდა ამ „სიკვდილის ანგელოზის“ დანახვაზე. ამანაც იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე.

სწორედ ქორწინების ღამეს შემოიჭრა კორინთელის ეზოში ფურიერები, „სასოწარკვეთილი ყვიროდა“ იგი. ეს კი თავიდანვე მოასწავებდა ამბის ტრაგიკულ დასასრულს. „დავით აღმაშენებელშიც“ ხაზგასმულია: „მთიულეთში ცუდადა გვაქვსო დაცდილი კაცთა სამყოფელისადმი შემობლავლება ირმისა“. ფურიერები სუსქიას ტოტემია. სწორედ მისმა შებლავლებამ გამოაღვიძა ავადმყოფი ქალი, ირმის ტბის ქაობში კანკრემ მოჰკლა იგი და რამდენიმე დღეში სუსქია მინდელიც დაემშვიდობა სიცოცხლეს. „ვახტანგ კორინთელმა დაკრითა თავის ბაღში შემორჩენილი უკანასკნელი ვარდები და როგორც ქორწილის დღეს, თავზე გადააყარა მინდელის ქალს, ასე რომ პირაღმა მწოლარეს მოუჩანდა მხოლოდ შუბლი და თავის გარშემო შემოგრაგნილი ნაწნავები. ისინი უკვე აღარ მოაგონებდნენ კორინთელს საამურ ფერს ალისას, რომელსაც გამოსცემს ხოლმე ცეცხლშემოგზნებული წალამივანისა.“ ვაზისა, რომელიც სიმბოლოა სიუზესა, ნაყოფიერებისა, ნიკო მირიანაშვილსაც ხომ ნაყოფიერების ქალღმერთს აგონებდა სუსქია მეუღლის სურვილისამებრ ვახტანგმა იგი თავის ბაღში, უნაბის ქვეშ დაკრძალა, საყვარელ მიწას მიაბარა საყვარელი არსება, ადამიანი, რომელმაც ნამდვილი ბედნიერება აგრძნობინა.

სხვა პერსონაჟი ქალებიდან რომანში განსაკუთრებით გამოირჩევა ვახტანგ კორინთელის პირველი ცოლის — მედეასა და მისი დედის — ვარას სახე.

მედიკო თავისებური ბუნების, ევროპულ კულტურას ზიარებული ქალია, რომელსაც აბსოლუტურად არ გააჩნია პატრიოტიზმის გრძნობა. თუმცა ეს ქართველისათვის საერთოდ არაა დამახასიათებელი, მაინც იმ გამონაკლისებმა, რომლებიც ცხოვრებამ იცის, ლიტერატურაში პოვა ასახვა. ერთ-ერთი პირველი მწერალი, რომელმაც ასეთი ქართველი

ქალი გვიჩვენა, შიო არაგვისპირელია. მის ნოველაში „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“ გამოყვანილი ქალი იდეური წინაპარია მედიკო ვაჩნაძისა, რომელიც ისე გადაუგვარებია ფუფუნებასა და პარიზულ ცხოვრებას, სამშობლოც კი დავიწყებია და მხოლოდ პირად ბედნიერებაზე ფიქრობს. „ის სამშობლო, რომელსაც შენ ეტრფი, ჩემი აზრით უბრალო ფიქციაა, ჩემი სამშობლო ის არის, სადაც ჩემთვის ხელსაყრელი წესწყობილებაა, ლამაზი მთები და ხევები ვოგენებშია, ბევრია, ხოლო შვეიცარიაში უფრო მეტი,“ — ეუბნება იგი ვახტანგს „ყოველი ასე თუ ისე კულტურული ადამიანის სამშობლო მხოლოდ დიდი ქალაქია,“ — ასე მიაჩნია მედეას და საშინლად ეჯავრება ბერმუზა, სადაც არც კომფორტია და არც ისეთი ცივილიზებული სამყარო, როგორც პარიზში. კაბების გამომწეურების გარდა სხვა საქმე ვერ უპოვიათ მასა და ვარას. უკმაყოფილოდ შესცქერის მედიკო სოფელში მომხდარ ძვრებს. „საერთოდ მერჩია, ისეთ დროს დაებადებულყავ, როცა ეს ყოველივე მზად დამიხვდებოდა...“ — აცხადებს იგი და ვერც აქაურობას იტანს და ვერც იმ „თხუპნია გლეხის გოგოებს“.

მედეა იყო ერთარდერთი იმედი ვაჩნაძეთა გაღარიბებული ოჯახისა, რომელიც უკანასკნელ გროშებს ითვლიდა პარიზში. ამიტომაც მდიდარ საქმროებს ეძებდა მამიდა ეფემია, რომელიც სასტიკად უკრძალავდა „ქართველ პრინცესას“ ემეგობრა ვახტანგთან, იმ „საწყალ სტუდენტთან“, რომელიც უზომოდ იყო შეყვარებული მედიკოზე. ისინი ბავშვობიდანვე ერთად იზრდებოდნენ, ერთად სწავლობდნენ, მაგრამ სუსტი ნებისყოფის ქალიშვილი, რომელიც აშკარად ხედავდა თავისი ოჯახის მდგომარეობას, უშნო მილიონერზე ლუსიენ შარკუტიეზე გათხოვდა. ერთი მხრივ, მან თითქოს მსხვერპლი გაიღო ახლობლებისათვის, მაგრამ მეორე მხრივ უზრუნველყო თავისი ბედნიერება, რომელსაც ფუფუნებაში ხედავდა. შემდეგ თითქოს კვლავ მოიგონა მედიკომ ძველი სიყვარული, მიატოვა ქმარი და საქართველოში გაჰყვა კორინთელს, მაგრამ ეს დაუფიქრებელი ნაბიჯი, რომელიც სანანებელი გაუხდა, არ იყო გამოწვეული არც მშობელ კუთხეში დაბრუნების ინტერესით და არც უდიდესი სიყვარულით. ქალს უბრალოდ მოაგონდა თავისი სიყმაწვილე, უფრო ლამაზი ახალგაზრდა ვაჟის გვერდით გატარებული დღეები, მაგრამ პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში კვლავ უარყო იგი, აჰყვა დეიდა ვარას შეგონებებს, მიატოვა „ლარიბი მეცნიერი“, რომელმაც ვერ შეძლო მოეწყო მედეასათვის ცხოვრება „ქართველი პრინცესა“ კვლავ პირველ ქმარს დაუბრუნდა, რაც ყოველად

მიუღებელი იყო ქართველი ქალისათვის, მაგრამ ჩვეულებრივი — ცივილიზებული ევროპელისათვის. მედია ბოლომდე მოტრფიალე დარჩა ფუფუნებისა, იმ ძვირფასი ქინკებისა და ბრილიანტებისა, რომლის გამოფენაც ასე ფასობდა პარიზის მაღალ საზოგადოებაში. კელაე იძალა მისმა სუსტმა ნებისყოფამ, სამშობლოს სიყვარულისაგან დაცლილი ადამიანის გულში სხვანაირი ამღლებული გრძნობა არც დაიბუდებოდა, ამიტომაც მედეას „სილამაზე უფრო დახატულს წააგავდა, ვიდრე ხორცშესხმულს...“ სულიერი სიცარიელე მის გარეგნობასაც ჩრდილს აყენებს მკითხველის თვალში.

უცნაური ქალია დეიდა ვარაც, ძველმოდურ ფრანგულს რომ ჩაურთავს ხოლმე მეტყველებაში თავისი არისტოკრატიის ზაზგასამეღად მასაც ისეთივე აზრი აქვს სამშობლოზე, როგორიც მედეას „სამშობლო? სამშობლო მხოლოდ გონებაზეზღუდულ ადამიანებს უნდა უყვარდეთ, ძვირფასო. არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას სამშობლო ისევე ესაჭიროება, როგორც მეხუთე ფეხი სახედარს. მუშებსა და გლეხებს თუ დასჭირდებათ, ძვირფასო, ის, რასაც შენი ქმარი სამშობლოს ეძახის. ჩვენ დადიანები, გლეხს მეგრელს ვუწოდებდით. აქ აღმოსავლეთშიაც, ქართველი და გლეხი სინონიმები იყვნენ. იცი თუ არა, ძვირფასო, რომ ჩვენს ოჯახებში ცუდ ტონად ითვლებოდა ქართული ლაპარაკი?“ — ეუბნება იგი მედეას. სადამდე დაცემულა ამ ქალის სული. აღმაშფოთებელია მისი ყოველი ფრაზა. ქართული ენისა და საქართველოს შეურაცხყოფასაც კადრულობს იგი, პიროვნება, რომელსაც არ გააჩნია არავითარი ადამიანური გრძნობა.

ვარა უკან მისტირის წარსულ დიდებას, იმ დროს, როდესაც თვითონაც მედეასავით ლამაზი იყო, მაგრამ ისიც ფუფუნებასა და ანგარიშიანობას ეძებდა ქორწინებაში. მიუხედავად უამრავი სამიჯნურო თავგადასავლებისა, უსაქმურ უღარიბეს თავად ჯორჯადეს არგუნა იგი ბედმა. ქმარი მუდამ სოციალისტებს დასდევდა, მათ ეხმარებოდა. რევოლუციამ მთლად მოუღო ვარას იმედებს ბოლო. „რევოლუციამ დამსაჯა, კოლმეურნე ქალების ტრიკოებს მაქსოვინებენ დადიანის ქალს,“ — ამბობს იგი.

ვარა გაბუდებით „ზრუნავს“ დისწულზე. მისი აზრით, წარმოუდგენელი იყო, ვაჩნაძენათ პრინცესამ კომუნისტი მეცნიერი როგორ გამოჩნრიკა პარიზში, მდიდარი ქმარი კი მიატოვა ამიტომაც თავისებურ „შეგონებებს“ არ იშურებდა იგი მედიკოსათვის, ყოველი ღონეს ხმარობდა მასა და

ვახტანგს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად. სჯეროდა, რომ „სილამაზე ის უშრომლად და უეშმაკოდ მიღებული კაპიტალია, რომლის პროცენტებით ლამაზი ქალები არამცთუ კომფორტით ცხოვრობენ, თავიანთ სიბერესაც უზრუნველყოფენ ხოლმე,“ დედობა კი ზედმეტ ტვირთად მიაჩნდა.

მხოლოდ ვარასნაირი ადამიანები შეხედნენ ომს გახარებულნი, მხოლოდ მისნაირ ქალს შეეძლო ჩადინა ბოროტება ოდნავი ყოყმანის გარეშეც. მცირედი გამართლებაც არ შეიძლება მოეუძებნოთ ვარას, რომელიც ირონიით აძაგებდა ყოველივე სიახლეს. თუ კიდევ შეიძლება მედიკო მივიჩნიოთ ოჯახური აღზრდის, ფსიქოლოგიური ატმოსფეროს მსხვერპლად, ვარა შინაგანი ბუნების გამო თავიდან ბოლომდე უარყოფითი პერსონაჟია.

თითქოს ვარას განმეორებაა ნუნუს დედინაცვალი ქეთუა. მათ შორის მხოლოდ წოდებრივი განსხვავებაა. თბილისელი მეკუბოვის ქალი, რომელიც გალოთებულმა გობრაონმა შეირთო ცოლად, საშინელი კაპასი დედაკაცი აღმოჩნდა. ავადმყოფი შვილის შეძენამ კიდევ უფრო გაამწარა იგი და ობლად დაჩინილ გოგონაზე იყრიდა ჯავრს. კოლექტივში არასოდეს გასულა სამუშაოდ, მუდამ ავადმყოფობასა და ბავშვის მოვლას იჩემებდა ზარმაცი ქალი და მხოლოდ ქორაობაში ატარებდა დღეებს. მუდამ „ქალაქის ბედნიერ ცხოვრებას“ იგონებდა და იმის ცდაში იყო, როგორმე მოეშორებინა გერი, სახლ-კარი გაეყიდა და თბილისს გადაბარებულყოფა. ამიტომაც უნდოდა, ნუნუ კობერძისათვის მიეთხოვებინა ხარბად ათვალიერებდა იგი სასიძოს მიერ გამოგზავნილ საჩუქრებს, სათითაოდ იზომებდა და სიამაყით ყვებოდა, თუ როგორ ძარცვავდა მამამისი ხალხს „შავი ღლის“ ხარჯზე და მას ნაირ-ნაირ კაბებს უკერავდა.

არც უბედური შვილის საცოდაობა აწუხებდა ქეთუას. დაუფიქრებლად გაჰყვა იგი ორცოლგამოცვლილ, მასავით გაიძვერა ნოქარს — უშვერიძეს, რომელიც ზედსიძედ აპირებდა შემოსვლას უჯირაულების ოჯახში. სახლ-კარის გაყიდვის საკითხმა ცხარე დავა გამოიწვია. გამუდმებით ჩხუბობდნენ მთერალი უშვერიძე და ქეთუა. არ იცოდნენ, როგორ გაეგდოთ ნუნუ და პატარა მიქელა. მერე კი უპატრონოდ დატოვა ქეთუამ მალხაზი, თვითონ კი ქმართან ერთად ქალაქს წავიდა. იმავე კვირას დაბრუნდა იგი — უშვერიძეს ავლაბარში ეცემა და ქუჩაში დაეტოვებინა ქალი, რომელიც ღირსიც იყო ამისა.

ქეთუას, რომელსაც საკუთარი შვილი არ ჰყვარებია, საშინლად სძულდა პატარა მიქელა. ეს იმიტომაც, რომ გოდერძის მუდამ სამუშაოდ

გაჰყავდა „ავადმყოფი ქალი“. ტირილით რომ მომკედარიყო ბავშვი, მაინც არ მოხედავდა აშარი დედაკაცი. მხოლოდ მასავით ბოროტს შეეძლო განეზრახა მიქელას მოპარვა და ქალაქში ვინმესთვის მიჩეჩება, რათა კობერიძესთვის მიეთხოვებინა ნუნუ, მერე კი აბრისს დახმარებოდა ბავშვის დაღუპვაში.

შედარებით მკრთალად არის დახატული „ვაზის ყვავილობაში“ მერგოლური ნათია თარალაშვილი, ნუნუსავით გამრჯე კომკაეშირელი, მაგრამ ენაგესლიანი; კორინთელის მოსამსახურე მათა — კეთილი, სათნო დედა; ქეთუსავით ჭორიკანა მარუა, ახალგაზრდა ქალი — თეთრო უჯირაული, რომელიც ძალად გაათხოვეს გვარის უზუტესებმა, მაგრამ გაექცა ქმარს და შინ დაბრუნებულმა მაინც იპოვა მისი წილი ბედნიერება და ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაება.

საინტერესოა გერმანელი ქალის — ფრიდა შტამლერის სახე, რომელიც საკონცენტრაციო ბანაკის ექიმი, პროფესორის ასისტენტი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ფაშისტებთან მსახურობს, მაინც ვერ შეგუებია იქ გამეფებულ ბოროტებას მან კარგად იცის, რომ ეს ომი, უბედურება და სიკვდილი გერმანელი ხალხის ბრალი როდია. „ეს მათ დამიღუპეს ჩემი საყვარელი ძმა“, — ეუბნება იგი გოდერძის და ჰიტლერისა და ჰიმლერის პორტრეტებზე ანიშნებს მის მამინაცვალს, რომელიც ამ საკონცენტრაციო ბანაკს განაგებს, საყვარლად გაუხდია ფრიდა, რომელსაც არაერთხელ შეუწყვია ხელი პატიმრებისათვის ბანაკიდან ტყვეების გაქცევაც მისი დახმარებით მოხდა. მკითხველი ხვდება, თუ რა სათნო, კეთილი ქალი იქნებოდა ფრიდა, ეს ომი რომ არ ყოფილიყო, ფაშიზმი რომ არ ყოფილიყო, რომელმაც ასეთი საშინელი მოვალეობის შესრულება დააკისრა მას.

ქალთა სახეები კ. გამსახურდიას ნოველებში

კ. გამსახურდიამ ექსპრესიონისტული იდეები განსაკუთრებით ნოველებში ჩააქოვა, თუმცა არც რომანები დარჩნენ მისგან გარიყულნი. ეს ლიტერატურული მიმართულება, რომელმაც მძლავრად მოიკიდა ფეხი ხელოვნების სხვა დარგებშიც, მეტად მახლობელი აღმოჩნდა მწერლის სულისათვის, რომელიც კარგად იცნობდა გერმანულ სამყაროს. ექსპრესიონიზმის სამშობლოსთან — გერმანიასთან, მის კულტურასთან დაახლოებული შემოქმედი იზიარებს რა კ. ედშმიტის დებულებას, რომ „სამყარო არსებობს, უაზრობა იქნებოდა მისი თავიდან გამოგონება“, წინ წამოსწევს ადამიანის, როგორც ბუნების უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი პირშმოს, დედამიწაზე ღვთის ხატის, მისი ზეციური სულის ნაწილის პრობლემას. ბუნება რეალურად არსებულია, მაგრამ ადამიანის გარეშე იგი არარაობაა, რადგან მის გარეშე ამ სამყაროში დაიკარგებოდა ღვთიურობის მარცვლი.

გალაქტიკების გადასახედიდან ადამიანი თითქოს ჩვეულებრივი არსებაა დედამიწისა, რომელიც სხვა ცოცხალი წარმონაქმნებისაგან მხოლოდ შედარებით განვითარებული აზროვნებით, მახსოვრობით განსხვავდება. იგი ერთადერთი არსებაა ქვეყნად, რომელმაც იცის, ვინ არის მისი ღიდედა და პაპა, ასე განსაზღვრავენ ბიოლოგები. მწერლისთვის კი ის ზეციური სულის ნაწილია, რომლის შინაგანი სამყაროს ბნელ ხვეულებში მხოლოდ ღმერთს თუ შეუძლია შეღწევის. შემოქმედი ცდილობს, სწორედ ამ თვალთახედვიდან დაანახოს მკითხველს ქვეყანა.

კ. გამსახურდია ცდილობს, სუბიექტივიზმზე გავლით გვიჩვენოს საზოგადოების ნიღბებს მიღმა არსებული სამყარო. შემოქმედი გმირთა ხატვის უდიდესი ოსტატია, განსაკუთრებით გამოკვეთილად აქვს შესრულებული ამა თუ იმ ეპოქის ადამიანის გარეგნული ფიგურა თუ სულიერი სამყარო. რომანებთან შედარებით ნოველები ამის ნაკლებ შესაძლებლობებს იძლევა, მაგრამ პრობლემას მწერალმა შესანიშნავად გაართვა თავი. შედარებით მოკლე სიუჟეტურ ქარგაში შემოქმედი იშვიათი სილამაზით ხატავს გმირებს და თუ მათ აკლიათ ხასიათის რაიმე შტრიხი, რაც შეიძლება ნაწარმოებში მოქმედი პირის

მეორეხარისხოვნებით იყოს განპირობებული, ისეა გაკეთებული, რომ მკითხველი ხვდება, თუ რა იგულისხმება სტრიქონებს მიღმა და როგორი ადამიანი იქნებოდა ის სინამდვილეში. ყველა ისინი რეალური პერსონაჟები არიან, მათ ქცევებში და აზრებში არაფერია დაუჯერებელი. რა ოსტატურად გვიჩვენებს მწერალი ადამიანის სულის გაორებას (ნოველა „ტაბუ“). იმდენად სარწმუნოა ყოველი ფრაზა, რომ ლამის არის ფიზიკური გაორებაც დაიჯეროს მკითხველმა და ყოველივე ეს პიროვნების სულიერი განწყობის უკეთ ჩვენებას ემსახურება.

საოცარი სიზუსტით გვიჩვენებს მწერალი ქალთა სახეებს, დიდი ხატოვნებით აღწერს მათ ფსიქოლოგიას, შინაგან სამყაროს. როგორც ცნობილია, მამაკაცისათვის ძალზე ძნელია მანდილოსნის ფაქიზი სულის შეცნობა, მწერალი კი ბრწყინვალედ ახერხებს მის გათავისებას. მწერლის მიერ წარმოდგენილი ქალთა სახეები სრულყოფილი რეალური ტიპებია, რომელთა ქცევებში, მანერებში, აზროვნებაში, ფიქრებსა და ოცნებებში უნაკლოდ არის წარმოდგენილი ქალურობის არსი. რა დიდ სიღრმეზე უნდა შეესწავლა შემოქმედს ცხოვრების გარეგნული და შინაგანი მიულწეველი კუთხე-კუთქულები, რომ ასეთი შედეგისათვის მიეღწია.

კ. გამსახურდიას ნოველებში ქალი მარადიულობის, სიცოცხლის უსასრულობის უფაქიზესი სიმბოლოა. ის არის ყოველივე მშვენიერის, ამაღლებულის, უშმინდესის სახე ამ ქვეყნად, რომელშიც ცხოვრების მარად განახლების ღვთაებრივი ძალა სიკვდილის ბნელ ზრახვებს შეებნია. ნოველაში „საათები“ საათი — დრო — სიცოცხლე ქალია, როგორც „ღია დარჩენილი თვალები მარადისობისა,“ როგორც სიცოცხლის მამოძრავებელი ძალის ამქვეყნიური ხატი და ანარეკლი. „საათზე უფრო ღრმა სიმბოლო მე არ მეგულება! თვალწინ მიდგას ღრმად მოხუცებულის დამკნარი სახე... ნელა, ნელა ეპარება ამ სახეს ორი ვარდისფერი პაწია თითი შვილის-შვილისა, უცაცუნებს ბებიას სახეზე და ნაოქს უსწორებს!“ და სანამ ეს თითები ნაოქებს ასწორებენ, ახალი ენერგიით ავსებენ ქალს — ამქვეყნიური არსებობის ძალას, სიცოცხლის ზეიმი არასოდეს დასრულდება.

ნოველებში გამოყვანილი ქალები იმ ეპოქის ჰაერით სუნთქავენ, რომელშიც ცხოვრობენ. ისინი საოცრად გვიანან თავიანთ დროს. თუმცა უნდა აღინიშნოს არსებითი განსხვავება ევროპელი ქალებისა და ქართველი მანდილოსნების ხატვის მანერაში. ეროვნული ტიპები

ყოველთვის ატარებენ ძველ ისტორიულ ელფერს. ყოველ მათგანს გასული საუკუნეების საქართველოს ბეჭედი აზის. მაგრამ მაინც დროის ცვალებადობა ემჩნევათ უპირველესად მანდილოსნებს, როგორც მამაკაცებთან შედარებით უფრო ემოციურ პიროვნებებს. ამიტომაც აკეთებს მწერალი ასეთ შედარებას ნოველაში „დიდი იოსები“: „ქუჩის ტალახში ამოიგლაგნა მშვენიერი ბერბერა და დაემსგავსა თავადის ქალს, ჟამთა სიახით მრეცხავ ქალად გადაქცეულს.“ თავისი დროის ელფერს ატარებს ის „ფერწასული, სქელთქოიანი დიასახლისი“ მთელი ოჯახით რომ გაურბის თბილისიდან განსაცდელს, ასევე სტუდენტ გივის საყვარელი ახალგაზრდა, რომელზედაც მწერალი ამბობს: „ეს უთუოდ ქართველი ქალია, რომელსაც პირველად შეუცდა ფეხი ასეთ რესტორანში (სჩანს ატავისტური გრძნობების ძალას აპყოლია).“ „ქალი ოდნავ მორცხვობდა, მაგრამ მაინც ჩინებულად იფერებდა თავის მდგომარეობას. იგი იქნება უთუოდ მომავალი ქართველი მეტრესების, ხასების წინაპარი, ისინი ალბათ თავიანთ ზოლას, ან მოპასანს იპოვიან.“

უკვდავებაა ქალი ნოველაში „მშვენიერება.“ ახალგაზრდობის, ბედნიერების მარადიული საწყისია მზეთუნახავი — „უთეთრესი თოვლისა.“ „შენ თუ უკვდავებას ეძებდი, ჭაბუკო, ეს მე ვარ, — მშვენიერებაა ჩემი სახელი, რადგან ყველაფერს და ყველა ხმას, ყოველივეს, ჩემს გარდა წარხოცავს ჟამი. ასეთი ვარ შექმნის პირველი დღიდან და ასეთი დავრჩები უკუნითი უკუნისამდე. მე ვარ თავად ბედნიერება და უჭკნობი სიცოცხლე სამყაროსა.“ სწორედ ის არის უღამაზესი საოცრება, რომელსაც დაუმარცხებია შიში, სიბერე და სიკვდილი მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები კვდებიან, იბადებიან და იღუპებიან, უსასრულოა იგი — ქალი, სიცოცხლის მარადიული საწყისი.

ქალისადმი უდიდესი სიყვარულის გამოხატულება იყო მწერლის დამოკიდებულება საკუთარ მეუღლესთან — მირანდა ფალაგანდიშვილთან. გარდა იმისა, რომ შემოქმედმა საუკეთესო შრომები უძღვნა მას, იგი შემოჰყავს ნოველაში „მტრების მეგობრობა.“ მეუღლის თხოვნას: „თუ ჩემი პატივისცემა გექნებათ, ამიერიდან მშველს ნულარ მოჰკლავთ. ასე იგულისხმეთ, თითქოს მე მესროდეთ ტყვიას“-ო, მწერალმა ასეთი ქცევით უპასუხა — „იმ დღიდან მე მშველზე ნადირობა აღვიკეთეთ.“

ძველებური ღიღების შარავანდედით შეეგება XX საუკუნეს მადამ როსტრუპი — ნოველა „პორცელანის“ მთავარი გმირი. ხელოვანთა

მასკარადზე შეხვდა იგი ავტორს, რომლის ნიღაბი იყო ოდისეი იგი განასახიერებდა ფერია კალიპსოს — ზღაპრულ ნიმფას, რომელიც, გადმოცემით, შვილი წელი ძალით აკავებდა ოდისეეს და მხოლოდ ზევსის ჩარევამ გაანთავისუფლა გმირი. ამოტამაც ღმერთებზე განაწყენებულია მშვენიერი ქალღმერთი. შემთხვევითი არ იყო მადამ როსტრუპისათვის ეს ნიღაბი. ლამაზი, მომხიბვლელი სევდიანი ნიღბით მისი სულის განსახიერება იყო და არა მარტო მასკარადზე, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, თითქოს სცენაზე მისთვის განკუთვნილ როლს ასრულებდა მიმზიდველი ქალბატონი, რომლის მშვენიერება მხოლოდ ნიღაბი იყო დიდი სულიერი ტანჯვისა. „მე მუდამ ერთი და იგივე ვარ“, როგორც სინამდვილეში ისე ნიღბოსანთა საღამოზედაც, — ამბობს იგი.

ყოველმა ადამიანმა თავისი სულის სიღრმიდან რომ შეხედოს ქვეყანას, გააცუტოს ნიღბების სიმრავლე. შეუძლებელია, ჩასწვდე პიროვნების შინაგან სამყაროს ეს მხოლოდ ღმერთისა და უფლის რჩეულთა ხვედრია არავინ ცხოვრობს ამქვეყნად უნიღბოდ, რომლის სახეს არა მარტო სული, საზოგადოებრივი წყობა და ურთიერთობებიც ბევრად განაპირობებს. ალბათ ერთმანეთის სულის ვერწყდომის უნარმა შექმნა ამდენი მოჩვენებითობა, შიშმა საკუთარი თავისა და ერთმანეთის წინაშე და სულიერად გაშიშვლებული, უნიღბოდ მხოლოდ უზენაესის წინაშე აღმოჩნდება ადამიანი.

ის ბავშვური სიცილი, წკრიალა ხმა, ასე რომ ხიბლავდა მწერალს, შირმა იყო გაჭირვებისა, მადამ როსტრუპის სამკაულები რომ აჩენდნენ. მეოცე საუკუნემ — ამ ბოზოქარმა ეპოქამ აღმოჩენებისა, რევოლუციებისა და ცვლილებებისა, მისი დროის შესაფერისი ნიღაბი არგუნა უძველესი ბარონების გვარის წარმომადგენელს, მაგრამ საკმაოდ შეურყია სულიერი სამყარო.

ბარონესე ფონ შტაინ ქალიშვილობის გვარი იყო მადამ როსტრუპისა. მისი წინაპრები არისტოკრატიის ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ და მათი ცისფერი სისხლის ტალღები ბრწყინვალედ გამოიხატებოდა მომხიბვლელი ქალბატონის გარეგნობასა და ქცევებში.

მადამ როსტრუპს ვერაფერს მისცემდა XX საუკუნის გახმაურებული ქალთა ემანსიპაცია. მასა და მის წინაპართა ქალებს ალბათ არასოდეს აკლდათ ადგილი საზოგადოებაში, არც განათლება, არც უფლებები და არც გარეგნული ბრწყინვალეობა მხოლოდ ჯიუტმა რეალობამ, ეკონომიკურმა

და პოლიტიკურმა გარდაქმნებმა უხეში ნაბიჯებით შეაბიჯა მის ცხოვრებაში და თითქოს ცდილობს საზოგადოების ქუჩეში შეაწმინდოს მის წმინდა ოცნებებს.

მადამ როსტრუპი ხელოვანი ქალია, განათლებული და საინტერესო ფსიქოლოგიის მქონე. ქეშმარიტების ძიებაა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მიზანი. აქაც, როგორც ნოველაში „ლილ“ გაკრთება საინტერესო ფილოსოფიური საკითხი, რომ თვალი ატყუებს ადამიანს. „ჩვენი სინამდვილე მტკნარი სიცრუე ყოფილა. კიდევ ყოფილა მეორე სინამდვილე, ხელოვნება კი მესამე სინამდვილეა, მხატვრის მიკროსკოპში დანახული. ამ შეგნებამდის მე ათიოდე წლის წინათ მივედი და ირაციონალის ფერების შეხამება დავიწყე. მაშინ სად იყვნენ ექსპრესიონისტები? მე მათდა დამოუკიდებლად მივაგენი ირაციონალ ექსპრესიონიზმს“, — ამბობს ხელოვანი ქალი, რომელიც თავის შემოქმედების უკვდაყოფას პორცელანის ჭურჭლის დეკორაციებში ცდილობს. უკიდევანოა მისი ფანტაზია და ოცნების უნარი, მაგრამ იცის, რომ ქვეყნად უდიდესი ხელოვანი მხოლოდ ბუნებაა და „როგორც სიტყვითი, ფერადობითი ისე ტონალი ხელოვნებანი ვერ იძლევიან ისეთ ფაქიზსა და რხეულ ნიუანსებს“... ამიტომაც ვერც ერთ დარგს ვერ შეჰგუებია იგი. მიკროსკოპში დანახულმა სინამდვილემ მიახვედრა, რომ „ხელოვნება დღესაც ბანალურ რეალიზმში იხრჩობა“ და ვერასოდეს მიაღწევს ქეშმარიტ სრულყოფილებას.

„რა ძლიერია პოლარულ უკიდვრესობათა ლტოლვა საგნებში“, — ამბობს ავტორი და ჩრდილოეთში დაბადებული ქალის სამხრეთზე ოცნებას ადარებს ჰაინეს ნაძვის ხეს, მზით გაბრწყინებულ ბზაზე რომ ფიქრობს. იგი აღმერთებს ინდოეთის, იაპონიისა და ჩინეთის ბუნებას, ხელოვნებას, ზღაპრულ ფერებს. თითქოს მასში საერთოდ არ არსებობს პატიოტრიზმის შეგნება და მისი გონებისათვის XX საუკუნის კოსმოპოლიტიზმს გაუყრავს ფრთა. როგორ არა ჰგავს იგი აზიელ და თუნდაც ქართველ ქალებს, რომელთაც ასე დიდი ოსტატობით აქნდაკებს კ გამსახურდია. ის გარეგნობით, სულით, ოჯახითა და მის გარშემო მოფუსფუსე საზოგადოებითაც წმინდა ევროპელია, რომელიც უკვე ველარ იცავს წინანდელი ბარონების ტრადიციებს, თუმცა მისი ოჯახი ყოველი ძალებით ცდილობს, შეინარჩუნოს ძველი არისტოკრატიის ეტიკეტი. მადამ როსტრუპის ცხოვრებიდან აშკარაა, რომ ისტორია მალე შეამჭიდროვებს ბრწყალებს მათ გარშემო და ისინი შეიძლება ქართველი „შემოდგომის აზნაურთა“ ყოფაში აღმოჩნდნენ, რასაც ჩაის

პორცელანის გაყიდვაც ადასტურებს. ალბათ სერიოზული გაპირება ჰქონდა ვალებში ჩაყარდნილ ოჯახს, ასეთი ნაბიჯი რომ გადადგა. პორცელანი ხომ მათი წინაპრების ხსოვნა, მთელი წოდების სიმბოლო იყო. მისი დაკარგვით მადამ როსტრუპმა გაწყვიტა კავშირი წინა საუკუნეებთან.

თითქოსდა მყუდრო ოჯახის ლამაზი დიასახლისი იყო მადამ როსტრუპი, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. მისი ოჯახური იდილიის უკან დიდი სულიერი მღელვარება იმალება. „ძველი, ტრადიციული, გერმანელი ბარონის ოჯახი, რომელიც თავის დეკადანსის მწუხარში მისტიკით, წმინდა ხელოვნების იდეალებით და არისტოკრატიული ესთეტიზმით იკვებება“, — ასეთი შეფასება მისცა მწერალმა ამ ოჯახს მშვენიერი საღამოების შემდეგ.

თითქოს ერთმანეთს ავსებენ მადამ როსტრუპი და მისი მეუღლე. „მე ბარონ როსტრუპი მიტომაც შემეყვარდა, რომ ის უფანტაზიო კაცია“, — აცხადებს ქარბი ფანტაზიით აღსავსე ქალი და გატაცებით უმბობს მეგობარ მწერალს, როგორ დაინტერესდა იგი ქმრის პროფესიით — ბაქტერიოლოგიით და მისმა მიკროსკოპმა საინტერესო სამყარო აღმოაჩინა. სულ სხვა თვალთ დაინახა მან სამყარო. ბარონ როსტრუპიც მოიხიბლა აღმოსავლური კულტურით. „ჩემმა ირაციონალ ფერადებმა მას აღმოსავლეთის კულტურა შეაყვარა, მისი საკითხავებია ახლა: უფანიშადები, ლაოძე და იაპონური მითოლოგია“, — ამბობს ქალი. აზროვნების ასეთი ურთიერთშეთანხმება მართლაც ბედნიერების ერთ-ერთი ფაქტორია ცოლქმრულ ცხოვრებაში, მაგრამ მათი სიყვარული უკვე ჩამქრალი იყო და ეს ორი პიროვნება მოვალეობის გრძნობით ერთმანეთს შეჩვეულ არსებებს უფრო მოგვაგონებენ. ამიტომაც მოხიბლა მადამ როსტრუპი ლამაზმა ახალგაზრდა მწერალმა დასავლეთიდან და მათი ურთიერთობა ისე გაღრმავდა, რომ როგორც ავტორი ამბობს, „ისეთი რთული გახდა, რომ მრავალთა შორის ყოფნა ჩვენ აღარ შეგვეძლო, უნდა მოგვეძებნა სადმე კუნძული, სადაც მარტო ვიქნებოდით“.

პორცელანის გაუჩინარებით გულდაწყვეტილი მწერალი გულში ასე მიმართავს ქალს: „შენც ფეხი შესდგი, მეგობარო, უკულტურობის მილიპულ გზაზე, ქაღალდის ნაგლეჯებით მოფენილ გზაზე“ — პორცელანის დაკარგვასთან ერთად მშვენიერმა მანდილოსანმა კავშირი გაწყვიტა თავის წარსულთან და მუზეუმს თითქოს მთელი მისი წოდება ჩაბარდა.

იღუმალებით მოცული ქალაი კლარა. ნოველიდან „კლარა“. მოვლენათა, ადამიანთა და საგანთა ქაოსში თითქოს მოულოდნელად გამოკრთება იგი, როგორც დაბურულ ტყეში მზის მკრთალი სხივი, რომელიც იმედად მოველინება წყვილიადში ჩაკარგულ ნათელზე მეოცნებე ბალახებს. კლარას გამოჩენას მკითხველი ნაწარმოების დასაწყისიდანვე ელის აზრების აურზაურში მაინც დახეტილებს რაღაც იღუმალი იღუა იმისა, რომ ამ არეულ ცხოვრებაში, გაორებული მწერლის არსებაში უნდა გაჩნდეს ისეთი რაღაც, რაც წესრიგში მოიყვანს ორომტრიალს, სიცოცხლის აზრს დაუბრუნებს ადამიანს.

კითხულობ ნოველას და თითქოს რწმუნდები, რომ ყველა ნაომარი ქვეყანა ტყუბისცალივით წააგავს ერთმანეთს. როგორ ჰგავს მაშინდელი ბერლინი ომით გატანჯულ საქართველოს. მწერალი ადამიანთა საზოგადოებაში ეძიებს სულიერ ხსნას. მათ სახეზე განგებას მუქი ფერით წაუწერია გაჭირვება, გაურკვეველობა, დაბნეულობა იმით, რომ საზოგადოებამ არ იცის, რა ელის წინ, როგორ დააღწიოს თავი ამ სირთულეებს. მისი ყოველი წევრი დღევანდელი დღით ცხოვრობს და ფუსფუსით მოელის ხვალეს.

მთელი საზოგადოების სახეს ქალებიც განსაზღვრავენ. ნოველაში მატარებელი ცხოვრების სიმბოლოა. „მისი საროტანი ელასტიურად ირხევა გაქანებული მატარებლის რიტმულ სრბოლას აყოლილი“, — წერს ერთ-ერთ მგზავრ მანდილოსანზე მწერალი და თითქოს ხაზს უსვამს, რომ სიცოცხლის გამაღებულ სრბოლას ეწყობა როგორც ბავშვიანი ლამაზი ქალი, ისე სამი შავგვრემანი მანდილოსანი, რომელთა „მსუქანსა და მოკლე თითებზე მსხვილი ბრილიანტები ციაგობენ ელექტოს შუქით გაბრწყინებულნი“ — და როგორც ვაგონში მყოფი ბულდოგი წააგავს თავის პატრონს, ბურჟუას ცოლს, რომელსაც ნუშისოდენა იაგუნდი ჰკილია ყელზე, ისე „სახეგაწითლებული ღიპიანი მამაკაცები და მუთაქასავით მრგვალი დედაკაცები“, თავიანთ საზოგადოებას განასახიერებენ.

მწერალი თითქოს გაზრბის გაურკვეველ რეალობას და თავშესაფარს ეძებს თავის გოგონასთან — ქალთან, რომელიც ჯერაც ახალგაზრდა კაცს პირველ ქალარას უპოვის. „ხანდახან შესაძლოა ერთი საათის მანძილზე საუკუნის წამება განიცადოს ადამიანმა.“ — ამ ხატონად თქმული სიტყვების მიზეზი არ იყო მხოლოდ კლარას დაკარგვა. ნოველაში ეს იღუმალებით აღსავსე ქალი საერთოდ ბედნიერების სიმბოლოა, რომელიც იმედის სხივად შემოიჭრება მატარებლის არეულ

საზოგადოებაში და მოაქვს რწმენა უკეთესი მომავლისა.

ნაწარმოებში თავისებურად გაბნეულია აზრი, რომ ქალი მომავლის საწყისია, ქალი სიკეთეა, თავშესაფარია, იმედია, მასშია ხსნა და განახლება. საუკუნეების მანძილზე ერთმენეთს ეჯახებოდა ორი გაგება დედაკაცის არსობისა — ქალი, როგორც პირველყოფილი ცოდვის ავტორი და ქალი, როგორც სამყაროს საწყისი და მხსნელი, მესიის მშობელი, მარად ქალწული, წმინდა და ამაღლებული. მაინც მეორემ გადასწონა, რადგან დანაშაულში ღვთის წინაშე მამაკაცსაც ლომის წილი ედო და ის მთელი კაცობრიობის უბედურებად გაიაზრებოდა. კაცსაც შეუწოდო უფალმა და ქალსაც. ამის დასტურია ის, რომ მან სულიწმინდა დედაკაცში ჩასახა და გააჩენინა იესო — ღმერთკაცი მამაკაცის სახით, რომელმაც კაცობრიობის ცოდვა გამოისყიდა. — და მაინც უზენაესმა პირველად ქალი გააღვთიურა.

ჩემ წინაშე კიაფობდა ორი სიკეთით სავსე სხივიანი თვალი, მეც თვალი გავუხსწორე, მისი უტყვე მზერა დავიკირე ანაზღეულად — ჩვენ შორის სიჩუმე დადის, დადის და ენა მიმოაქვს ჩვენმა სხეულებმა არ იციან, თუ რას მოუთხოვრებენ ერთმეორეს ჩვენი სულები“ — წერს ავტორი და მასში იღვიძებს მოღუბნებული ენერგია, დღიური ჯაფისაგან დაქანცულ სხეულში ინტერესი იზუღებს. ექსპრესიონისტული ხასიათის ნოველაში ზღვის ტალღასავით შემოიჭრება დუმილის ფილოსოფია და ერთმანეთისაგან აცალკევებს სულსა და სხეულს.

მწერლისთვის კლარა სილამაზის, სიწმინდის, სიყვარულის, სიკეთის განსახიერებაა, მას სწორედ ეს სახელი უნდა რქმეოდა. ბრწყინვალე თვალებში შემოქმედი სულის სიმშვენიერეს კითხულობს. იგი მისი ოცნების ქალია და სწამს, რომ გაუგებს, სჯერა, რომ გაიზიარებს მის გასაკვირს — „...ჯერ სავსებით ახალგაზრდას სიკვდილის შხამით მომეწამლა საწუთროება. ახლა სიკვდილი არ მჯერა, როცა გიყურებ, კლარა, და თუ ჭარმაგი ერის ნაშვირი ვარ, მაგრამ მთების შემძრავი ენერგია მახრჩობს მიტომაც მგელია ჩემს გერბზე გამოხატული, კლარა“. იგი ახალი ენერგიით ივსება, მზადაა, წარმოუდგენელი სიდიდის საქმეებს შეექიდოს და ყოველ მის ნამოქმედარს ამ ლამაზი ქალის სახელი უწოდოს. მაგრამ კლარა ადამიანთა ბრბოში იკარგება. იგი სწორედ ის ლურჯი ფრინველია, რომელსაც ვერავენ დაეუფლება, წმინდა გრაალია, რომელიც უახლოვდება და კვლავ ეკარგება თავგამეტებულ რაინდებს

— და მაინც ვინ არის კლარა — ზღაპრული ქალი?! — სიკეთის, სიწმინდის, ახალი ენერგიის, აღორძინების საწყისი, იმედი იმისა, რომ

ამ ქაოსს წესრიგი შეცვლის და საზოგადოებას სიკვდილი არ უწერია, რომ სიცოცხლე მასავით მშვენიერია, იდუმალი, უსასრულო, შეუტნობელი და მარადიული. — და ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს აეტორმა მომხიბვლელ ქალში ჩააქსოვა.

კლარა იმ არლანას იდუმალი ხატებაა, ოცნებებში რომ დაექცა ფოტოგრაფი (ნოველა „ფოტოგრაფი“), თითქოს ქერა, ლამაზი სტელას სულის გაგრძელებაა, რომლის სიკვდილმა ცხოვრების აზრი დაუკარგა ხელოვანს.

თითქოს „კლარაში“ გათამაშებული სცენა მეორდება ნოველაში „ფოტოგრაფი“. კვლავ მატარებლის ვაგონში ავტორს თვალწინ წარმოუდგება ლამაზი ქალი. იგი მონუსხულივით შესცქერის „მის ფართესა და ლურჯ თვალებს, მის ხანგრძლივსა და ნაღვლიან შემოხედვას“ და უსიტყვოდ ეხმიანება მის სულს. „თვითკმაყოფილ, ლურჯ თვალებში ფოტოგრაფმა ამოიკითხა ნებიერი შინაგანი ხედვა“. მასშიც ოცნების აღრაუნა დაინახა, მაგრამ ბედისწერა ჯიუტად ედგა წინ, „იგი ვაგონში უნდა დარჩენილიყო და შორიდან ემზირა, თუ როგორ გაეყრებოდა მას უცხო მშვენება“. ის მართლაც წავიდა, ხალხის ბრაზში დაიკარგა მისი ნარნარი სხეული, მაგრამ დატოვა ლამაზი ოცნება — მიზანი ცხოვრებაში ბედნიერების პოვნისა.

ქალს, როგორც სიცოცხლის, იმედის სიმბოლოს წარმოსახავს ავტორი, როცა ამბობს, რომ მხოლოდ მაშინ იგრძნობს ადამიანი, რას ნიშნავს ქალი, როცა ის ნაკლებია (სცენა გემზე) და ქვეყანა მაშინ დაილუპება, როცა იგი თვის ზნეობრივ და მორალურ სახეს დაკარგავს. სწორედ ამით დაიწყო ფოტოგრაფის მშობლიური სოფლის ტრაგედია. სიძვის ისტერიით შეპყრობილი იქაური დედაკაცები საზოგადოების დაკნინებასა და გახრწნას განასახიერებენ და ტრიალებს ისეთი საშინელება, რომ „ღმერთი... მოკვდა“.

არეულ სოფელს თითქოს ნათლის ნაპერწკალად შემორჩა კუტი მართაია, რომელიც ძველებურად კითხულობდა ფსალმუნს. ცრემლი მოადგა მონაზონყოფილს ფოტოგრაფის დანახვაზე, მოაგონდა, ბავშვობაში რომ ფსალმუნებს აკითხებდა. მის ტანჯულ თვალებში წმინდანის იერი დაინახა მან, სტელას მიერ ნაჩუქარი ოქროს უეტონი უბოძა, ბავშვები წყალს რომ მოგიტანენ, იმათ აჩუქეო, უთხრა აცრემლებულს.

„ყველაფერი ბავშვებს უნდა აჩუქო კაცმა“, — ამბობს კეთილი

მართაია, რომელსაც ჯერ კიდევ ღრმად ამჩნევია ძველი ღროის დიდებისა და სიწმინდის კვალი, მაგრამ მალე ახალი ღრო, გაურკვეველი ცხოვრება — „ღელე ღვართქათით მოვარდა. ნაშუალამევზე კუტი მართაიას ფაცხა წალეკა“. მის ხსოვნად მხოლოდ ფსალმუნი შემორჩა სოფელს, რომელსაც ალბათ მნათე მათეიას მეტი არაეინ მოიკითხაედა. მართაიას დაღუპვით ახალმა ღროებამ ბოლო მოუღო წარსულის უკანასკნელ ნაშთს, რომელიც ჯერ კიდევ სიკეთისა და პატიოსნების ლამპრად ბეუტავდა სოფელში. მის შემდეგ უფრო დარია სენმა ხელი ბავშვებსა და დედაკაცებს, რადგან სწორედ მათით იწყება ცხოვრების არსი.

ავტორი ნადვლიანი ტონით მოგვითხრობს, რომ ისტერიით დაავადებულ, ავბორცი ქალებით სავსე ქვეყანას არ შეიძლება მომავალი ჰქონდეს. „ყველას ჰყვარებია უკვდავება“, — მწარე ირონიით ამბობს ფოტოგრაფი, როცა ისტერიანმა დედაკაცებმა სურათის გადაღება ისურვეს, რათა ქალაქშიც ენახათ ისინი.

კიდევ ერთხელ მოვლანდა ფოტოგრაფს მისი საოცნებო არლათუნა. მკედლის ბრმა ქალ მზენარში დანახა იგი, „მეტი სინათლეც მავნებელია“, — ასე ანუგეშა მან ქალწული და გაეცალა სოფელს სწორედ ქალი — სიცოცხლის საწყისი, იმედი და პატიოსნება, იყო მიზეზი იმისა, რომ ფოტოგრაფი ასეთ დასკვნამდე მივიდა: „ქვეყანა სურათის გადაღებად არა ღირსო“, თუმცა მაინც არ დაუკარგავს რწმენა, რომ „სინათლე ქვეყანას ეფინება“. ცხოვრებიდან მართაიას მსგავსი ადამიანების წასვლამ და უზნეობის აყვავებამ გააბატონა შავი ფრინველი, რომელიც სიკვდილისა და უბედურების სიმბოლოა ნოველაში და ვინ იცის, ვის როდის და სად წამოეწევა — და რომლის წინაშეც ყველაზე ბოლოს „ფოტოგრაფი მუხლებზე დაეცა. თაყვანი სცა ჯოჯოხეთის სიძეს“.

ექსპრესიონისტული სულისკვეთებითაა განმსჭვალული ნოველა „ლილ“, თუმცა აშკარა ნატურალისტური ხაზმოსმაეც ჩანს. ადამიანის ფიზიოლოგიის უხეში, ექიმ შარუხიასეული აღწერა უნებურად ბადებს კითხვას: — მაგრამ სული? ნუთუ ადამიანი მხოლოდ „სისხლით სავსე ტყავის ტომარაა“... და მწერალი მონდომებით ეძიებს ნოველის გმირთა სულიერი სამყაროს ღრმა კენჭულებს, თუმცა მაინც ვერ ისრულებს საწადელს, რადგან „არაფერი ისე არ გვატყუებსო, როგორც თვალი“. შემოქმედს არ უნდა, დაიჯეროს ექიმის მიერ მოყვანილი ჰელმპოლციის სიტყვები.

ნოველა ატარებს მისი ერთ-ერთი მთავარი გმირის სახელს — ლილ. მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო „სოხუმის პრიმადონა“ — ექიმ აქესენტი შარუხიას ცოლი. ბედის ორომპტრიალს საქართველოში გადმოესროლა ძველი უნგრული გვარის წარმომადგენელი ქალი, რასაც მის მშვენიერ მარჯვენაზე ძველებური ღერბიანი ბეჭედი მოწმობდა. ლილის პირველი ქმარი ნოვაკი ყოფილა. უცნობია ქალის წარსული, მაგრამ ნოველიდან აშკარაა, რომ იგი მხიარული, გულდია, ადამიანებისადმი მიმნდობი პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია, იმდენად დაუახლოვდეს მეგობარს, რომ სასიყვარულო ფლირტის გაბმაც აფიჭრებინოს. ამაში მომხიბლავი სილამაზე უწყობს ხელს, თუმცა მისი ქცევები, ფსიქოლოგია და სულიერი სამყარო მეტად განსხვავდება ქართველი ქალისგან.

„ეს ქალი მართლაც ჯადოსნური სილამაზის პატრონი ყოფილა“ — ასეთი იყო მწერლის შთაბეჭდილება ლილთან პირველი შეხვედრისას. „მე საოცრად გამახელა ამ დედაკაცის კადნიერმა მოპყრობამ, რაც ჩემს ღონეუვნურ პრაქტიკაში ერთხელაც არ მიგემნია. ექიმის ცოლი ჩინებულად იფერებდა თავის მეფურ სილამაზის უპირატესობას, მაგრამ ზედმიწევნით სინაზით უღიმოდა მის გვერდით მჯდარ თავადყოფილს“ —

თავდადასავლებითაც გამორჩეული იყო „სოხუმის პრიმადონა“. „შარშან საცოდება გოგი მონიავამ ზღვაში შეაგელვა თავისი ცხენი და თავი დაიხრჩო, ამბობენ სულ იმ ქაჯი დედაკაცის გულისათვის“, — ასე მოიხსენია იგი ცირუმ, თუმცა საზოგადოებაში მოარულ აზრს ექიმ შარუხიას მოქცევა უწყობდა ხელს. ამ გულცივ ადამიანს, რომელსაც „მოხრილი, კეხიანი ცხვირი, ვიწრო შუბლი, წითური თმა, წითურივე წარბები, ლოპინარის ფერი, წერილი თვალები, საკმაოდ ფართე, სატირის ყურები“ ჰქონდა, მაინცდამაინც არ ეტყობოდა ღიდი სიყვარული მეუღლისადმი. ესთეტიკური სილამაზის შეგრძნება კი ალბათ ღიდი ექნებოდა ექიმს, რადგან მშვენიერი ლილ პირველი ქმრისთვის წაურთმევია. იმედგაცრუებული მეუღლის სასაცილო პოზა მიუღია მას და არაფერში არ ზღუდავს ქალს, არც უცხო მამაკაცისათვის საკუთარი ცოლის შიშველი სხეულის ჩვენებას თაკილობს, როცა ამას არც ერთი ქართველი არ იზამდა. მისი და ლილის ურთიერთობაში, რაც ერთი შეხედვით საზოგადოების თვალში მეტად თავაზიანი და ურთიერთპატივისცემით გაჟღენთილი სჩანს, ღიდი პიროვნული ტრაგედია იმალება. არ შეიძლება ლილ ბედნიერი ყოფილიყო, ამიტომაც მიელტეოდა იგი სულიერ მეგობრობას. თუმცა ნოველაში

მთელი სისრულით არ არის ნაჩვენები მისი სულიერი სამყარო, მკითხველზე იგი სათნო, განათლებული, კეთილი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომლის ქცევებში ბევრია ევროპული, ქართველი ქალისათვის თუნდაც შეუფერებელი რამ, მაგრამ ის არ არის ავხორცი, უზნეო ადამიანი, უღირსი ქმრის მოღალატე და არისტოკრატიული მანერებით იფერებს მეფურ სილამაზეს, რომლის მიღმა რაქიტინი სხეული იმალება. „ახლა ხომ ხედავთ, რა ძნელია რაქიტინი ცოლის ქმრობა და როგორ გვატყუებს ჩვენ თვალი?“ — ეუბნება ჰელმპოლცის ფილოსოფიაზე „შეყვარებული“ ექიმი უკვე გულაცრუებულ მიჯნურს და სულაც არ უფიქრდება, როგორ ძნელია ცოლობა გულცივი, შეუხედავი მეფისტოფელისა, რომელიც თავისი ლამაზი მეუღლისაგან უზადო მშვენიერებას მოითხოვდა. მიუხედავად გარეგნული ურთიერთ-პატივისცემისა, ლილ ვერასოდეს იქნებოდა მასთან ბედნიერი.

მიუხედავად ადგილობრივი ენის შესწავლისა, ლილ მაინც ევროპელი ქალია, ქართველი მანდილოსნისაგან ძლიერ განსხვავებული. თუმცა ჩანს, რომ ადგილობრივი ადათწესები სოხუმში არც თუ ისე ცუდად შეუთვისებია, მაგრამ მის მანერებში მაინც იგრძნობა არაქართველობა. სწორედ სითამამემ და ექიმ შარუხიას მეულისადმი დამოკიდებულებამ შექმნა უამრავი ჭორი „სოხუმის პრიმადონაზე“ და რაინდობაში გამოწრთობილი ვაჟკაცები გაუმიჯნურა ღვთაებრივი სილამაზის ქალს.

„რალაც იღუმალი ნელსურნელება ამ სახელში“ ლილ — ეს სახელი ცისფერის, ამალღებულის, რომანტიკულის ასოციაციას იწვევს და სწორედაც შეეფერებოდა მის პატრონს, ამიტომაც დაივიწყეს მისი ნამდვილი სახელი ქრისტინე. ... და მაინც ამ ქალის მშვენიერების მიღმა დიდი სულიერი ტრაგედია იმალება ავტორი ნოველის მკითხველს ღრმად აფიქრებს — რატომ წავიდა ასე უჩუმრად ჯამლეთი ქალაქიდან, ნუთუ შეაძულა მას ლილი „ორივე ფერდებიდან მოხრილი, საშუალოდ თითის სისხოდ ამოზურცული ძვლების“ ხილვამ? ალბათ სიტუაციის უფრო გამწვავებას მოერიდა იგი მას აშკარად შეეცოდებოდა ეს ლამაზი ქალი, რომლისთვისაც არსთაგამრიგეს ირონიითა და ცინიზმით აღსავსე ექიმ შარუხიას ცოლობა დაუკისრებია ტვირთად. ის არ აიცრუებდა გულს ისეთ მშვენებაზე, რომელმაც ათქმევინა: „აჰ, სილამაზე! რამდენი წაპალი, რამდენი მელანი, რამდენი სიტყვა დახარჯულა მის გამოსახატავად, მაგრამ მისი საუნჯე შეუცნობლობის შეიღბეპდიანი წიგნია ჯერაც“. ნოველის გმირი აუცილებლად თან წაიღებდა ნათელ მოგონებებს ლამაზ

სოხუმურ საღამოებზე, რომლებიც მან ულამაზეს, მაგრამ იდუმალ, „ტრაგიკულ“ ქალთან გაატარა, ქალთან, რომელიც მარტო იყო ამ უცხო ქალაქში, გულწრფელად ეძიებდა სულიერ სიმშვიდეს, მაგრამ მაინც ერთგული იყო უღირსი ქმრისა და ცდილობდა, ექვეები არ აღეძრა მისთვის.

მხოლოდ ერთხელ გაიღვებს ნოველაში ქალის პატრიოტული შეგნება, ლილ უნგრეთს გადასწვდაო საუბარში. თუმცა ავტორი ერთგვარ მსგავსებას ხედავს უნგრელებსა და ქართველებს შორის, ქალი მარტოა ამ უცხო მხარეში და მეგობარი არ ჰყავს, არც ქმარს ესმის მისი. სამშობლოს მოგონებად მის მარჯვენას ძველებური უნგრული ღერბიანი ბეჭედი ამშვენებს. „მე არ მგონია კნიდოსელი აფროდიტეს მოტეხილი მარჯვენა ამ ხელზე უფრო ლამაზი თუ იქნებოდა“, — შენიშნავს მწერალი.

ლილის მარტობა იმაშიც გამოიხატება, რომ ის და მისი ქმარი სულიერად განსხვავებული ადამიანები არიან. მათ სხვადასხვანაირი შინაგანი სამყარო, ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები და ფილოსოფიური წარმოდგენები აქვთ. თუ აქვსენტი შარუხია მთლიანად იზიარებს პელმპოლცის მოძღვრებას, რომ ადამიანი საძაგელია, სისხლით სავსე ტომარაა, რომლისთვისაც ერთი წაბორძიკება კმარა, რომ მთლად დაირღვეს და სისხლად და თელგამად იქცეს, ლილისთვის ადამიანი უმღლესი მშვენიერებაა. „იციოთ რა, — ეუბნება იგი შემოქმედს, — მე არც პოეტი გახლავართ, არც თუ რიტორი — მაგრამ უნდა მოგახსენოთ, თქვენ, პოეტები და სილამაზის მონადირენი, ერთ რამეში სცდებით: რამდენი ხოტბა თქმულა ხორციელი მშვენიერების გამო, მაგრამ არც კალმით, არც წამლით, არც ყალბით, ხორციელი სილამაზის გადმოცემა სავსებით ჯერ არავის შესძლებია. როგორ შეედრება ტილოზე და ქალაღზე გადატანილი, ან მარმარილოში და ბრინჯაოში განსახიერებული სილამაზე იმ სილამაზეს, რომელსაც სული უდგია, რომელსაც პულის უცემს, სისხლი და ხორცი აქვს შესხმული, რომელსაც შეგიძლიათ შეეხოთ, სიტყვო იგრძნოთ, იყნოსოთ და ნელსურნელებით დატებით“. ამ სიტყვებში იხატება ქალის პოეტური სული, რომლის აზრები პოლარულად საწინააღმდეგოა ექიმ შარუხიას შეხედულებებისა. ავტორის თქმით, ეს უშნო კაცი იყო „გულგამოქმული სკეპტიკოსი, რომელსაც ცაზე ღმერთი არად მიაჩნდა და ადამიანები სძაგდა ან ებრალებოდა“ და კვლავ სამშობლოსა და ოჯახისაგან გაქცევაზე ოცნებობდა მასა და ლილის არ შეიძლებოდა ჰყვარებოდათ ერთმანეთი.

მათი ურთიერთობის მიღმა დიდი სულიერი ტანჯვა იმალებოდა უთუოდ.

ლილის სილამაზე თითქოს ორმაგად ჩანს პროვინზორის შეუხედავი ცოლის გვერდით. „თითქოს კონტრასტისათვის განზრახ აერჩია ექიმის ცოლს ასეთი ჯოჯოხეთის მაშალა თავის მენახედ“. ისინი ხშირად დადიოდნენ ერთად ნასამზარალზე ყვითელი ჩემოდნით ხელში ესტუმრებოდა ქალი ლილს და ზღვაზე მიდიოდნენ საბანაოდ. პროვინზორის ცოლის უტყუი ინერტიული ხატება თითქოს მკვეთრად აჩენს მისი მეგობრის სილამაზეს, მომხიბვლელობას, საზოგადოებაში მუდამ გამოკვეთილი ადგილის პოვნის სურვილს, მისწრაფებას მოძრაობისაკენ, სიცოცხლისა და თავისუფლებისაკენ, რომელსაც იღუმალი ხლართებით ბოქავს ექიმი შარუხიას ეგოისტური ხითხითი. თუმცა ქალი მაინც ზრუნავს ქმარზე, ალბათ სურს, გარდაქმნას მისი ერთფეროვანი სიცოცხლე; ამიტომაც ეუბნება სტუმარს: „ძლიერ დაგიმადლებთ, თუ აქვსენტის გამოაცოცხლებთ, იგი მთლად ჩაეფლო ერთფეროვან პროვინციულ ცხოვრებაში. უზომოდ ლოთობს, ან უზომოდ მუშაობს“.

ნოველაში „ლილ“ თითქოს გაიხაზა ზღვარი ახალი და ძველი თაობის ქალებს შორის. XX საუკუნის საოცარმა გარდაქმნებმა, ქალთა ემანსიპაციამ ბევრი რამ შესცვალა ცხოვრებაში და არა მარტო უკეთესი მიმართულებით. ქართველებმა არა ერთი დადებითი თვისებაც დაკარგეს. ნოველაში თავისებურად გაიღვებს მწერლის უმცროსი ბიძაშვილის, ნინუცას სახე, რომელსაც ბებიასებური ნადირობის კინი ჰქონდა. „საცოდავ ნინუცას სადღა სცალია სანადიროდ, საბეჭდ მანქანაზე მუშაობით სამკეცი ტყავი აქვს თითებზე გადამჭვრალი“, — ამბობდა ბიცოლა და ნატვრითი კილოთი იგონებდა ძველი ქართველი ქალების ხატებას — „შენი დიდედა, მარშანიას ასული, ყაბარდულ ლაფშაზე რომ შეჯდებოდა, მწვერებს რომ წინ გაიგდებდა, ან მიმინოს ირაოს რომ აქნევინებდა“...

კ. გამსახურდიას ნოველებში საოცნებო ხატად ჩანს ძველი ქართველი ქალების ვაჟკაცური სახე, რომლებიც რაინდობაში ტოლს არ უდებდნენ მამაკაცებს. სწორედ ისინია მწერლის იდეალი და მათი ულამაზესი გარეგნობის, განათლებისა და საზოგადოებრივი როლის წარმოდგენისას XIX-XX საუკუნეების გახმაურებული ქალთა ემანსიპაცია არაარაობად მოგვეჩვენება. საქართველოში მანდილოსნები არასოდეს ყოფილან ისე კარჩაკეტილნი, როგორც ეს ევროპაში იყო და მუსულმანურ სამყაროსთან ხომ შედარებაც არ შეიძლება. ამას დიდი ისტორიული ტრადიციები უწყობდა ხელს და კიდევ ნაციონალური, წმინდა

ქართული არსი. ქართველი ქალები — ერთგვარ ზღვარზე მდგომნი ევროპასა და აზიას შორის — ამ ორი დიდი კულტურის გავლენის გარეშე არ დარჩენილან, მაგრამ სულ სხვა იყო მათი როლი და ადგილი საზოგადოებაში, უფლებები და შეხედულებები, სულ სხვა იყო მათი ფასი ქართულ შეგნებაში და უფრო განსხვავებული — მისადმი დამოკიდებულება და პატივისცემა. ალბათ არც ერთ ერს არ შეუძლია დაიქაღნოს იმ უდიდესი ღირსებით, რასაც ქართველი ქალის კლემამოსილება ჰქვია და რასაც ძნელად თუ გაიგებს ქართულ სინამდვილეს სათანადოდ არ ნაზიარები ადამიანი. XX საუკუნემ ბევრი რამ წარხოცა მას, თუნდაც დაიკარგა პატივისცემა ქართველი ქალის მანდილისა (მოსისხლეებს რომ გაჰყრიდა ხმაღამოწვდილთ), მაგრამ მაინც შერჩა ეროვნული არსი. — და ისმის კითხვა: სჭირდებოდა თუ არა ემანსიპაცია თამარის სამშობლოს ქალებს, გმირი დედოფლების, სახელოვანი მანდილოსნების (მაია წყნეთელი, თინა წაგვისელი...) ჰევქავაძეთა და ორბელიანთა ულამაზესი და განათლებული ასულების ქვეყანას, სადაც ყველამ — გლეხმა თუ თავადმა — იცოდა მისი ვალი ერისა და მამულის წინაშე და ეს იყო უმთავრესი არსი ყოველი ქართველის ცხოვრებისა.

— თუმცა ქალის უფლებების შელახვის ფაქტიც აქვს მწერალს მოცემული ნოველაში „ტაბუ“, მაგრამ ეს არ იყო ტიპიური ქართული სინამდვილისათვის. ლომკაცია ბისკაიას მიერ სიტყვის შებრუნებისათვის ცოლის ცხირის მოჭრა და სხვა ქალის შერთვა არ არის აღქმული როგორც ჩვეულებრივი მოვლენა. საზოგადოებაში იგრძნობა, რომ ეს საშინელი ფაქტი სოფლებელმა შეაფასეს როგორც მხეცობა, აღვირაბსნილობა, საშინელი უზნეობა და ბოროტება, რომელსაც ღმერთმა სამაგიერო მიუზღო. მანამდეც, „ვიდრე ლომკაცია ბისკაია ცოლს მოიყვანდა, ხარბედიების ქალებს მოსვენება არ ჰქონდათ“ — ამბობს ავტორი და ყოველივე ეს ამ ავხორც ადამიანს ცოდვებში ეთვლება. მსგავსი შემთხვევა ქალთა ემანსიპაციით ქებულ ევროპაშიც შეიძლებოდა მომხდარიყო, თუმცა ეს არ იქნებოდა ტიპიური. აღნიშნული ფაქტი უფრო ბოროტების შედეგია, ვიდრე ქალთა უფლებების საყოველთაო შეზღუდვისა. სოფელში ხომ ხვარამზეც ცხოვრობდა — „ულვაშებიანი ქალაბიჭა, ქალს ეძახდნენ ხვარამზეს, მაგრამ ცხენოსნობასა და ნადირობაში ერთი ვაჟკაცი ტოლს ვერ უდებდა. ოჩობედა ქმარი და-ჯაბნებული ჰყავდა და ყოველ ვაჟკაცს ისე აბუჩად იგდებდა, როგორც თავის თანამეცხედრეს“. საოცარი ქორები დადიოდა ამ ქალზე — მგელზე ამხედრებული უნახავთო იგი ჰეჭეთობა ღამეს.

მხოლოდ მისნაირ ვაჟეაც ქალს შეეძლო ეთქვა მამაკაცებისათვის: „თქვენ მამაკაცები კი არ ყოფილხართ, არამედ დიაცები, მაღალი ფაფახები რაღათ გინდათ— თუე თქვენს კაცობას, თქვე თხაწვერებო, ლაფდასმულგებო“.

— და მაშინ, როცა „მამაკაცები დედაკაცობას ნატრობდნენ“, ხვარამზემ მთელი სოფლის გადარჩენა განიზრახა, მაგრამ ეშმაკმა სძლია მას, წითელწვერა მაცდური სატანა დაეუფლა ქალს და მისი სიყვარულის ნაყოფი — მორიელი შვა არავინ იცოდა სოფელში, მართალი იყო თუ არა ეს გახმაურებული ამბავი, მაგრამ ეშმაკის შიშით შეპყრობილებმა ქადაგის რჩევით ხელფეხშეკრული ქალი მდინარეში გადაადგეს, წყალმაც არ მიიღო და სამგზის დადაღეს, დაანგრის მისი სახლი და ეს ვაჟეაცი ქალი ბნელ ცრურწმენებს შეეწირა ალბათ.

ხვარამზეს სახეში იხატება მწერლის იდეალი ქალი — ძველი საქართველოს დიდებული შარავანდედით მოსილი, ლამაზი და ვაჟეატური სულის. — თუმცა ხვარამზეს ვერ გაუგო სოფელმა, ეშმაკის თანაზიარად მიიჩნია, იგი მანც იწვევს ერთგვარ თანაგრძნობას მკითხველში. ნამდვილ სიყვარულს დანატრებული ქალის შეცდომა ის იყო, რომ მან დაუჯერა ეშმაკი მამაკაცის მაცდურ სიტყვებს: „შენ არც ქალი ხარ და არც კაცი, ხვარამზე მზეთუნახავო, მაგრამ შენი ბეჭები უფრო განიერია, ვიდრე ბისკაიას ვაჟების მზარბეჭი, შენ არც ქალი ხარ და არც ვაჟი, მაგრამ შენი მუცელი უფრო თეთრია, ვიდრე გვირილა, სატურიას სერზე მოსული, ხვარამზე მზეთუნახავო“. ხვარამზე ეშმაკმა დაღუპა, მასში კი არ იყო ბოროტის ნატამალიც კი.

ბისკაიას ცოლის დასჯის ამბავს თავისებურად უკავშირდება ხათუნას ამბავი ნოველიდან „ქოსა გახუ“. თუმცა ის არ არის ნაწარმოების მოქმედი გმირი, მის ისტორიას ნახუცარი იონა ჰყვება, მაგრამ ქართული სინამდვილისათვის მეტად შემზარავია ის, რომ ხათუნასა და მისი ძმის, მანუჩარ ბატონიშვილის სიყვარულმა, უფრო კი ამ ბოროტი კაცის ავხორცობამ ქვეყნად ტაგუ სამუგია შვა. ალბათ კანონზომიერი იყო ხათუნას სიკვდილი. მისი არსებობა ასეთი სამარცხვინო დალით არ შეიძლებოდა არც ეს იყო დამახასიათებელი მაშინდელი ყოფისათვის. ამბავი მოთხრობილია, როგორც ერთ-ერთი საშინელება, არაკად რომ ჰყვებიან ხოლმე ხალხში. ხათუნა 12 წლამდის ძიძასთან იზრდებოდა მანუჩარი მაშინ 15 წლის ყოფილა დაჟმა ერთიმეორეს გადასჩვეოდა და დატრიალდა ტრაგედია აბლობლები შეეცადნენ, დამალათ ყოველივე

რომ არავის გაეგო ეს სამარცხვინო რამ.

ქალის დაფასება ყოველთვის იცოდნენ საქართველოში. დიდი სიყვარულით იგონებს მეუღლეს ისეთი ეშმაკი კაციც კი, როგორიც ტაგუ სამუგია იყო. „თათიას სულს გეფიცებით, — ამბობს იგი, — ეს ნამდვილია და ზოგი რამ თათიასთვისაც არ გამიმხელია. თქვენ იცნობდით, ალბათ ტატაშ ანჩაბაძის ქალს — თათიას, განსვენებულს ჩემს ოჯახობას. მის მერე მე სხვა ქალი არ ვინდომე და ასე ვარ დღემდის“ — და დიდი სიყვარულით იგონებს, თუ როგორ მოიტაცა საყვარელი ქალი.

სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოა ქალი ნოველაში „ქალის რძე“. სწორედ იმ უნარით, შვას ახალი სიცოცხლე, ამარცხებს იგი სიკვდილს, ფიზიკური არსებობის დასასრულს, რასაც ამ სამყაროში ყველაფერი ემორჩილება — სულიერიც და უსულოც.

ქალი ის ძალაა, რომელსაც შეუძლია გარდაქმნას ისეთი სკეპტიკოსიც კი, როგორიც თამაზ ვარდანძე იყო — ადამიანი, რომელიც დაეძებდა სიკვდილს, ის კი გაურბოდა.

„ადამიანი პატარავდება განუსაზღვრელობის პირისპირ“, — წერს ავტორი — ბუნების პირისპირ მარტოდმარტო დარჩენილი მონადირე. უსასრულობის შეგრძნება ისადგურებს, როცა ადამიანი მარტო რჩება სამყაროში საკუთარი სულისა და სხეულის ამარა, გრძნობს მის უმწეობას; იძულებულია, თვალი გაუსწოროს იმ ჭიუტ სინამდვილეს, რომ ის ერთი რიგითი ცხოველია, თუნდაც მოაზროვნე და ღვთის რჩეული. იგი ისეთივე უსუსურია ამ პლანეტების უსასრულობასა და უკვდავებაში, როგორც ჭიანჭველა მის თვალში, რომელიც შეიძლება ნებისმიერმა გამვლელმა სრულიად შეუგნებლად გასრისოს. „რა ცოტა სჭირია ჩვენს სულს, რომ ჩამოზნეოდეს უტეხი მამაკაცობის თვალია შუადღე,“ — აღმოხდება მწერალს. ასეთივე პიროვნებაა თამაზ ვარდანძეც, რომელიც სად არ უტარებია ბედის ორომტრიალს და ძალზე ხშირად უნატრია: „მოვედ, სიკვდილო!“ მაგრამ გადარჩენილა. ალბათ ნადირობისას მარტოობის შეგრძნებამ და კაცის შემოკვდომის ტრაგიკულმა განცდამ გააღვიძა მასში ცხოველი. არა, ის არ იყო მკვლელი, არც სისხლი სწყუროდა. „ვისაც სისხლის ეშინია, იგი ვერასოდეს ვერაფერს შეჰქმნის. არც მე მეკრძალება სისხლისა“, — თითქოს მისი ვაჟკაცობის ხაზგასასმელად და ღვთის წინაშე დანაშაულის მისაჩქმლად ამბობს იგი. „დაღამდა. წასვლას ვაპირებ, მაგრამ ცხედარი

არ მიშვებს“, — ამბობს ის და იცის, რომ ნება არ აქვს, მისი თანამოძმის ცხედარი, თუნდაც მოსისხლის, უპატრონოდ დააგდოს ამ სიტუაციიდან ჩანს, რომ იგი არ არის ბოროტი ადამიანი და კიდევ ნანობს, რომ იძულებული გახდა, ვიღაც ყაჩაღი თათარი მოეკლა. საშინელმა ძრწოლამ შეიპყრო უსასრულო უდაბნოს წინაშე მარტო დარჩენილი კაცი, მის ცნობიერებაში გაცოცხლდა ბავშვობაში გაგონილი ამბავი ქაჯებსა და ავ სულელებზე. იგი მიჰყვება მოკლულის დაქრილ ძაღლს და აი, იგი დგას მიწურის შესასვლელთან, სადაც მაღალი ქალის ლანდი ჩანს.

„რამდენადაც საზიზღარია დაშინებული მამაკაცი, იმდენად შშმენიერია შემკრთალი ქალი“, — ამბობს ვარდანძე და მასში კვლავ იღვიძებს ცხოველური ინსტიქტი. „მას ისედაც ფერმკრთალი სახე ჰქონდა. ჩადრნატარები მუსლიმანი ქალების სინაზე გადაკეროდა სახეზე. თითქოს უსიტყვოდ ეგრძნო, რომ მე ვიყავი ამ ბნელ ღამეში საშინელი უბედურების მაცნე, ისე შეძრწუნებული მიყურებდა ეს ქალი, როგორც ბნელეთიდან გადმოხვეწილ სატანას“. მის ნაკვთებში ვარდანძე მოკლული ქმრის შტრიხებს ხედავს.

საოცრად ლამაზი იყო უცნობი თათარი ქალი, „ბედისწერას ჰგავდა ჩადროსანთა შორის უნატიფესი. უხეში ჭვალის ტანისამოსიც ვეღარ ჰფარავდა მისი ტანის კენარობას და დიდებულებას, თავშლის უბეებიდან გრუზი გიშრის ზილფები გადმოსკდომოდა სწორედ აყვანილ გამართულ მხრებზე უდაბნოს გველებივით წამოსეული“. ამ მიმზიდველ გარეგნობაში იხატება ქალი — დედა, ქალი — ერთგული მეუღლე, ქალი — ღარიბი კერიის სითბო და იმედი, ოჯახის პატრონი. ის თითქოს წინასწარ გრძნობს მოახლოებულ უბედურებასა და განსაცდელს. თავშლით თავდაბურული უჩინრად ატირდა იგი და მისმა „გლოვის ქანდაკსავით“ ჩამოსხმულმა ხატებამ უცნაური პატივისცემა აგრძნობინა ვარდანძეს. იგი მზად იყო, დავარდნოდა ფეხებთან, ელიარებინა ყოველივე და დამორჩილებოდა უდიდეს სასჯელს. ამ „უშიშარ რაინდს“ სინანული იპყრობს და მასში იფეთქებს ადამიანური შეგრძნება, რომ მას ხელებზე სისხლი ეცხო. მაგრამ ორიოდვე წუთში კვლავ იღვიძებს ბრძოლის ჟინი, ცხოველური ინსტიქტი, რომ მისი ქმრის მეკვლედი, უკვე ქალისა და მთელი მისი საკუთრების ბატონ-პატრონი იყო — და დაიწყო უაზრო ბრძოლა საწადელის ასასრულებლად. „ხვლიკისფერი, დიდრონი, მშვლის თვალები გაახილა, შემოძვინდა, როგორც ორი ღამის პეპელა ფარფალებდნენ მისი გრძელ წამწამიანი თვალები. სწორედ ასეთ თვალებზე უთქვამს ბრძენს, „მშვილდოსნობა აფხაზთაგან უსწავლიათო“. ტანსაცმელ-

შემოხვეული, დალურჯებული ქალი გაშმაგებული ებრძოდა მომხდურს. მხოლოდ პატარა ბავშვის ტირილმა გამოაცოცხლა ბურანიდან ვარდანიძე. როცა ქალმა პატარას ძუძუ მოაწოვა, იგი ჩაფიქრდა საკუთარი გულის სიღრმეში: „უხედავდი, მე აღარ მქონდა არავითარი ძალა, რომ ამ ქალს მოვშორებოდი, ვიდრე იგი ჩემი არ გახდებოდა და ახლა წასვლა... რაც ნებსითი კოცნა მივიღე ამ საოცარი, ჯიუტი ქალის ბაგიდან?“ – კვლავ თავდავიწყებას მიეცა ვაჟკაცი და მხოლოდ ქალის რძემ გამოაღვიძა. როცა პირი რძით აეფსო, იგი მიხვდა საკუთარ დანაშაულს, კვლავ მოაგონდა, რომ იგი ადამიანია, დედის მუცლიდან ნაშობი და მასაც უწოვია იმ უცნობი ქალის შვილივით რძე, რომ ის ცხოველი კი არა, მოაზროვნე არსებაა და ღვთის უდიდესი ქმნილება, საზოგადოების წევრი და უზომოდ მძიმე ვალი აწევს ხალხისა და უფლის წინაშე. იგი ისეთივე ცოდვილი კაცია, როგორც ის მოკლული ყაჩაღი და უფლება არა აქვს, ფეხქვეშ გათელოს ადამიანური ღირსება. ქალის რძემ ვარდანიძე კვლავ რელიურ ცხოვრებას დაუბრუნა. მან შეიცნო მისი ყოვლისშემძლე ძალა. ვაჟკაცმა მორჩილად მოიხარა ქედი უწმინდესი ქალის რძის წინაშე და თითქოს წყლით შეეცადა გამოერეცხა საკუთარი ცოდვები და მის არსებაში გაიელვა ზიზღმა საკუთარი ქცევისადმი: „მედივარ, მივიჩქარი, არ ვიცი საითკენ. ჩემს თავში ირევა წინაღამინდელი თავგადასავალი, შუბლგანგმირული კაცის გასისხლიანებული სახე, კოშმარული ღამის სიცხადე და ზმანება, მაგრამ ყველაფერზე უფრო გულისამრევი იყო ჩემს შეგნებაში: „ჩადროსანთა შორის ულამაზესი ქალის რძე“ –

XX საუკუნის 80-90-იანი წლების გადასახედიდან ძალიან ძნელია, გაუგო კ. გამსახურდიას ნოველის — „გამოუყენებელი ბინოკლის“ — ერთ-ერთ მთავარ გმირს — ლუიზას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოზოქარმა ეპოქამ ადამიანების, განსაკუთრებით ქალების ფსიქიკისა და გარეგნობას თავისებური ელფერი მისცა, საზოგადოების მეტად განსხვავებული თაობები შვა, მას მაინც ჩვენი თანამედროვე ჰქვია. თუმცა ის უფრო მწერლის თანამედროვე მანდილოსანია (ნოველა 1934 წელს დაიწერა) და სრულიად არ ჰგავს ნაომარი საქართველოს ქალებს, რომელთა წინაშე უამრავ გასაჭირთან ერთად ქართველობის გადარჩენის პრობლემა დგას ლუიზას მსგავსები უფრო 80-იანი წლების დასაწყისამდე იარსებებდნენ, მაგრამ არა, შეიძლება დღესაც არიან, მაგრამ იმდენად მცირე, რომ საზოგადოებაში საერთოდ არ ჩანან.

ლუიზასნაირ პიროვნებებს უზრუნველყოფილ ეკონომიკურ პირობებში წარმოშობს განდიდების წყურვილით შეპყრობილი უნიჭო ადამიანების ფენა. რომელთა აშკარა თაყვანისცემას ხელოვნებისადმი სულის სიღრმეში მაინც შურის საფუძველი აქვს. სწორედ ეს გრძნობა უშლის ხელს ადამიანს კრიტიკული თვალთშეშვით საკუთარ თავს. ყოველ ნიჭიერ ახალგაზრდას აწუხებს თვითდაუკმაყოფილებლობის შეგნება, რომ მან სათანადოდ ვერ თქვა ან ვერ შექმნა, ან კიდევ ვერ მოასწრო ის, რაც სურდა. ნოველის გმირი ანტითეზაა ასეთი პიროვნებისა. ის განზოგადებული სახეა საზოგადოების გარკვეული ნაწილისა, რომელიც თავისი უნიჭობის გამო თავსაც იტანჯავს და გარშემო მყოფთაც აწვალებს, ამიტომაც წერს ავტორი, რომ ნოველაში აღწერილი ამბავი „ეხება არა მარტო ლუიზას, არამედ უნიადგო ოცნებით შეპყრობილ თითო-ოროლა სხვა ახალგაზრდა ადამიანსაც“..

ლუიზა ნოველაში ცნობილ ალბინისტ გარსევანის მეგობარი ექიმის მეუღლეა. მუსიკაზე თავდავიწყებით შეყვარებულ ქალს დაუკარგავს ზომიერების გრძნობა და საკუთარი „მოწოდების“ მეტი ცხოვრებაში არაფერი აღელვებს, სწავლობს კონსერვატორიაში, მაგრამ გამუდმებით იჭრება გამოცდებზე და მხოლოდ ნათესავების პროტექციის წყალობით რჩება გაურიცხავი. „ერთი სიტყვით დაგეტანჯა ლუიზაშ“, — ამბობს მისი ქმარი აბესალომი და გულდაწყვეტილი უსმენს მწერლის შეფასებას: „მუსიკა ხომ ბუზბალტერია არაა, ყოველ კაცს რომ შეეძლოს მისი შესწავლა და მერე მისი გამოყენება? დამეთანხმები აქ მონაცემებია საჭირო, ტალანტი და კიდევ ერთი რამ, რაც ყოველ ხელოვანს ჰქარბად ესაჭიროება — შრომის დიდი უნარი“. ლუიზას კი არც ერთი მათგანი არ აქვს, ამიტომაც უთქვამთ პროფესორებს, თავი დაანებოს მუსიკას. მაგრამ ქალი დაჟინებით ურახუნებს პიანინოს და დაუსრულებლად შეუძლია, მხოლოდ საკუთარ ოცნებებზე ილაპარაკოს, სადილობის დროსაც არ იშორებს ვაგნერის, ბახის, ვერდისა და სხვათა ნოტებსა და ბიოგრაფიებს, მუსიკოსობა მარტო თეატრებში სიარული და ბახის ორგელის, ვაგნერის ბაიეროტისა და სხვა ისტორიული ადგილების მონახულება ჰგონია.

აბესალომის უნიჭო მეუღლე მარტო არ არის. მას მზარს „უმშვენებს“ ორი ამხანაგი, რომელთაც „თავი შესწირეს მუსიკას“, დატანჯეს მშობლები და ახლობლები, არც გათხოვდნენ, არც სხვა რამ ისწავლეს. ავტორი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ თუ ადამიანმა თავისი შემოქმედებითი ძალები ცხოვრების ვერც ერთ სფეროში ვერ

გამოამჟღავნა, არ გააჩნია სათანადო ნიჭი, უნარი, თავის ოჯახს უნდა მიხედოს. ამით მაინც უნდა მოიხადოს ვალი ერისა და ღვთის წინაშე და გაამართლოს მისი ამქვეყნიური მოვლინება. თუმცა ყოველი პიროვნების სულიერი მოთხოვნილებათა, ორივე სფეროში იმოდევნოს ასეთია ქალის ბუნებაც, მას ვერც მხოლოდ საზოგადოებრივი შრომა დააკმაყოფილებს და ვერც მხოლოდ — ოჯახური. ამ ერთიანობის გარეშე აზრი ეკარგება ყოველ წარმატებას; რაც არ უნდა ფასეული იყოს იგი ზალხისათვის, ადამიანის შინაგანი სამყაროსთვის სრულფასოვანი არ არის.

კ. გამსახურდია განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ პიროვნების უდიდესი ტრაგედიაა, როცა ის შრომის შედეგად საკუთარ ნიჭს ვერ აღმოაჩენს და „აკვიტებული ჟინით შეპყრობილი — ქალი, რომელსაც შეეძლო ტექსტილის საქმეს დაუფლებოდა, ვიღაც-ვიღაცების რჩევით პიანისტობას მოინდომებს“. ასე დამართა ლუიზასაც, თავნება გაყოყოჩებულ ქალს, რომელსაც არ სურს, დაიჯეროს საკუთარი უნიჭობა და ამით გაუბედურებული ხელს უშლის მეუღლეს, რომელიც ნიჭიერი ექიმია, მაგრამ შრომის პირობები არ გააჩნია.

თითქოს შემთხვევითობის მიზეზით შეიქმნა აბესალომისა და ლუიზას ოჯახი. ასეთი ქალი ვერავის მოუტანდა ბედნიერებას. ალბათ დიდი ბრძოლის შემდეგ შესძლებდა აბესალომი ცოლის დაყოლიებას, რომ სვანეთში წასულიყვნენ საცხოვრებლად, სადაც თავის საყვარელ საქმეს ღირსეულად გაუძღვებოდა ექიმი და დისერტაციას დაწერდა. „ორი სხვადასხვა ბუნების ადამიანი ნებით თუ ნებლიეთ ერთ უღელში შებმულიყვნენ, დღისით თუ ღამით ებრძოდნენ ურთიერთს.“ — ასეთი იყო გარსევანის დასკვნა, რომელიც კარგად ხედავდა, თუ როგორ მოუვლელი რჩებოდა ოჯახი, როცა ექიმი მესტიაში გზავნიდნენ. ამ „დიდ ხელოვან“ ქალს არც ცხოველების სიბრალოლი ჰქონდა და არც ბუნების სილამაზის შეგრძნების უნარი. „დამშეული ძროხა ბოსელში ბლაოდა, წიწილები გუბეში იხრჩობოდნენ, ლუიზა კი ჩემთან ტიკტიკებდა, აქებდა ვერდის, ვაგნერს და ფალიაშვილს, ისედაც ქებულებს“, — წერს ავტორი და მკითხველისათვის ცხადი ხდება, რატომ არ აღირსა მან ლუიზას შვილი. ამ ქალში არ ჩანს დედის ხატება. ასეთი სულიერი სამყაროს მანდილოსანს არ შეიძლებოდა ჰყოლოდა „— შვილი, რომელიც უმტკიცესი დუღაბია ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში.“

კ. გამსახურდიას შემოქმედებაში ქალები უმეტესად ლამაზები არიან. ამას თავისთავად ისტორიული ტრადიციაც უწყობდა ხელს. ქართველის

შეგნებაში მანდილოსანი ყოველთვის მიმზიდველი, კდემამოსილი, სიწმინდისა და სამაგალითო ზნეობის განსახიერება იყო. ქართულ სინამდვილეშიც თავისებურად დომინირებდა ანტიკურ სამყაროში გახმაურებული აზრი: „ლამაზ სხეულში ლამაზი სულიაო“. ასეთია ადამიანის ფსიქიკური წყობაც. ლუიზას შინაგანი სულიერი სამყაროს ანარეკლია მისი გარეგნობაც. „ის არც ლამაზი იყო — რომელი ლამაზი, ეს დაბალი, სქელი, კისერმოკლე და ქართულ „ო“-სავით ფეხებმოქცეული დედაკაცი იმ თოჯინებს ჰგავდა, ავლაბრელი ხელოსნები რომ აკეთებენ ხოლმე ბაზარზე გასატანად. მორგავით დამსხვილებულ ხელებზე კოტიტა თითები ესხა. სწორედ ისეთი, როგორიც კლავიშებს არ უდგება არასდროს. საულვაშეზე შავი ბეწვი ამოსვლოდა, ახლად შედერილ ბიჭუნას რომ ამოსდის ისეთი“.

ლუიზა ოცნებობს, მოიაროს გამოჩენილ მუსიკოსებთან დაკავშირებული ისტორიული ადგილები და საშინლად განიცდის, რომ მეუღლემ, რომელიც, მისი აზრით, მოსაწყენი ეჭიმა, ყოველგვარ პოეზიას, მუსიკასა და რომანტიზმს მოკლებული, მოიყვანა სენანეთში — დათევბის ბუნაგში. „რა ყრია ბუნებაში, ეს მყინვარები აქ წოლილან მილიონი წლებით ჩვენამდე და ჩვენს შემდეგაც აქ იჭნებიან იმდენსავე ხანს. ჩვენ კი თუ დრო არ ვიხელთეთ და არ დავტკბით, ხატის პეპლებივით გაეკრებით. ბუნება მე მესმის ბეთპოვენის კლავირიდან რომ გრიგალები ავარდება, ან ის ქშული წყლისა, რომელიც ქიანურებიდან, ვიოლინებიდან მოისმის...“ აი, ლუიზას შეხედულება. ასეთი წარმოდგენის ქალს არ შეიძლება, მუსიკაც სათანადოდ ესმოდეს და ხელოვნებით მისი გატაცება საზოგადოებაში „მოდას აყოლილი“ პიროვნების მსჯელობას უფრო ჰგავს, ვიდრე სიყვარულს. მას არ ესმის, როგორია საყვარელი საქმის კეთებით განცდილი კმაყოფილება, ამიტომ არ შეუძლია, გაიზიაროს ქმრის წარმატება.

სტუმრის თვალმა კარგად ვერ შეამჩნია, ლუიზასა და აბესალომს შორის გამართულ ბრძოლაში რომელი იყო გამარჯვებასთან ახლოს. ნოველის ბოლოს ჩანს, რომ მაინც თავნება ქალის ჟინიანობამ სძლია, ოჯახი თბილისში დაბრუნდა და კვლავ თავიდან დაიწყო ტანჯვა. მაგრამ ცხოვრება გრძელდება აბესალომში, რომელიც უბინოკლოდაც ხედავს თავისი ცოლის სისულელეებს, კოლხეთში აპირებს წასვლას მაღარაისთან საბრძოლველად.

„მარტო წიგნები, უნივერსიტეტი და თეატრი როდი აყალიბებენ ახალგაზრდა ადამიანს, არამედ უშუალო შეხება ცხოვრებასთან,

რომელიც თავადაც უდიდესი უნივერსიტეტია“, — წერს ავტორი, რომელმაც ლუიზას სახით გვიჩვენა თანამედროვე ქალი, რომელიც ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გარეშე დარჩა თავისი უნიათობის გამო და ცხოვრებაში „უიღბლო ნიჭიერი მუსიკოსის“ როლი სურს გაითამაშოს, მაგრამ აღარ გამოსდის. ის უცნაური თავგამოდებით ოცნებებში მიჰყვება ილუზიებს, რადგან, როგორც ავტორი აღნიშნავს, „ქეშმარიტი ხელოვანი ისე იოლად და მარტივად ქმნის თავის ნაწარმოებს, ყოველ კაცს ჰგონია ამას მეც გავაკეთებდიო — და არაფერი ისე სასაცილოდ არ აჩენს ადამიანს, როგორც ხელოვნება, როცა მისდამი მოწოდება კაცს არ გააჩნია“.

ლუიზა არც ტალანტით იყო დაჯილდოვებული და არც შრომის უნარით. შეიძლება მასშიც იყო მისწრაფება, ნიჭი, რომელიც სათავეშივე ჩაკლა მუსიკის სიყვარულს გადაყოლილი ქალის შეუფერებლობამ, ამის საწყისი კი მის გარშემო მყოფ საზოგადოებაში, იქ გამეფებულ იდეათა სამყაროში უნდა ვეძიოთ, სადაც ლუიზა პიროვნებად ჩამოყალიბდა.

ავტორი შეფარვით აქილიკებს მის თანამედროვე საზოგადოებრივ წყობას, სადაც ადამიანის პროტესტის, ცხოვრების ადგილს. მოწოდებას განსაზღვრავდნენ „მმართველნი ამა ქვეყნისა“, როცა პიროვნებას საკუთარი სურვილით, მოწოდებითა და ნიჭის მიხედვით კი არ უნდა ეღვაწა, არამედ „ზევიდან“ მითითებით. იმაზე იყო დამოკიდებული, მთაში იმუშავებდა თუ ბარში, თუ სად რა პროტესტის ადამიანი იყო საჭირო. ამიტომაც ამოტივტივდა მაშინდელ საზოგადოებაში ლუიზასაირი „ნიჭიერი“ ხელოვანები, რომლებიც პროტექციით იკვალავდნენ გზას და სადღაც ცხოვრების კუნჭულიდან ძლივს გამოადწიეს აბესალომის მსგავსმა ნიჭიერმა შრომისმოყვარე ადამიანებმა, რომელთაც თავისუფალი შრომის პირობები არ ჰქონდათ.

„გამოუყენებელ ბინოკლში“ გამოყვანილი ქალი, თავისი საზოგადოების ღვიძლი შვილია. თუმცა ავტორი მას მხოლოდ უარყოფითი მხრით წარმოგვიდგენს, მაინც აშკარაა, რომ ლუიზას „დაღუპვაში“ ლომის წილი მაშინდელი საზოგადოებრივ ფსიქიკას, შეხედულებებს ედო.

უცხოეთში დაკარგული მზეთუნახავების წარმომადგენელია მანანა არიშიანი, ერთ-ერთი მიმზიდველი გმირი მოთხრობისა „ევროპა გალიაში“. ეს ნაწარმოები უფრო ნოველაა, რომლის ქარგა რომანის ერთ-ერთი ნაწილი იქნებოდა ალბათ, სადაც უფრო გამოკვეთილად გამოჩნდებოდა მანდილოსანთა გაღერა, როგორც ეს კ. გამსახურდიას

დიდებულ ბელეტრისტიკაში მოხდა.

ერთი შეხედვით, მანანა არიშინი მარიამ დედოფალს („დავით აღმაშენებელი“) ჰგავს. ორივენი დაუტანჯავს უცხოეთში მარტოობას, სამშობლოზე ოცნებას ამოუღამებია თვალები და უბედობას ცრემლებით დაუღარავს მათი მშვენიერი სახე. ამ უღამაზეს ქალთა შეგნებაში მძაფრად იელვებს პრაუტესტის გრძნობა, მაგრამ არსთაგამრიგეს, ჭიუტ რეალობას უხილავი ღვედებით შეუბოჰავს მათი ხელები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მარიამ დედოფალი უფრო სრულქმნილი სახეა. მისი ბოხოქარი სული, დაუდგომელი ბუნების უდიდეს იდეალებს ეწირება, სამშობლოს სიყვარულმა გადაძლია მის არსებაში ჩვეულებრივი ადამიანური ვნებები. მან შეძლო გაეკეთებინა ის, რაც ვერ ძალუძდა ვერც ერთ ქალს. ამიტომაც, დიდოსტატი მწერლის საოცარი ფერებით სხივმოსილი, რომანში მთელი თავისი ბრწყინვალეობით წარმოდგება დიდებულ მარიამ დედოფალი — კიდევ ერთი ტრაგიკული ფიგურა საქართველოს ტანჯული ისტორიისა. მანანა არიშინი მხოლოდ შორეული აჩრდილია მისი, თუმცა საფიქრებელია, რომ ისიც, როგორც ნამდვილი ქართველი ქალი, მოცემულ სიტუაციაში ნაკლებს როდი იმოქმედებდა. მათ გარეგნულ სიმშვენიერესთან ერთად მსგავსი სულიერი შტრიხებიც აქვთ.

გ. გამსახურდიას შემოქმედებაში ხშირია იდუმალებით აღსავსე შეხვედრა უცხო ქალებთან. ასეა ნოველებში „ფოტოგრაფი“ და „კლარა“. იგივე სიტუაცია მეორდება აქაც. „ხანდახან უცხო ქალაქში ქალს შენიშნავ, მასთან გაცნობა მოგნატარება, შესაძლოა შეხვდე კიდევაც ორ-სამჯერ. ხანდახან პირისპირ მიგაგდებს შემთხვევა, ერთი საღამო, ერთი „საღამო ან დილამშვიდობის“ გინდა უთხრა, რადგან მისი თვალები არა გევანან უცნობის თვალებს, მის შემოხედვაში უამრავი სევდაა, არც თავხედური გამოცნაურება გინდა შეჰკადრო, რადგან იგი სულ სხვაა, ვიდრე ათასნი, იგი უცნობია, მაგრამ მრავალ ათას ნაცნობზე უფრო ძვირფასი. მერე გაშორდები მას დაუბრებელივით... მასავით დაიკარგები და თან გაგყვება საოცარი, გაუმხელელი დარდი უცნობი, უტყვი და მშვენიერი ადამიანისადმი. ამ ტრფიალში გაცილებით მეტია, ვიდრე ეროტიული გრძნობა“, — წერს ავტორი. „ზღვაში ჩანთქმული კიმილასავით“ დაკარგული ლამაზი ქალი მოულოდნელად გააცნო მას ერთ-ერთმა ნაცნობმა — რუდოლფ მანტოიფელმა.

მეტად მომხიბვლელი ჩანდა შავ სამოსში გამოწყობილი მანანა არიშინი. მხოლოდ ერთხელ ნახა იგი ურდოელმა თეთრებში. „ხალები

უცნაურად ეხამებოდა მის დადგერეშილობას, ოდნავს და სოლიდურ აღნაგობას— ჟანგისფერი იერი გაენელებინა ოდნავ წაცხებულ პუდრისა და სტეარინის შუქის სინათლეს, ასე რომ, სახეს მისას ძველთა ძველი სპილოსძვლისფერი გადასდიოდა ნუშისგულის სითეთრესა და ნარინჯის სიყვითლეს შორის მერყევი“... „სძლის პირივით ტკბილი“ იყო მისი ხმა და გერმანულს ბალტიური დიალექტით ლაპარაკობდა. „ჩვენს ულამაზეს ქალებს რქმევიათ მანანა“, — ამბობს არშიანის ქალის სილამაზით მოხიბლული ურდოელი, რომელსაც მისმა მშვენიერებამ საქართველო მოაგონა.

მანანას ხატებაში მშვენიერი გრძელი წამწამების მიღმა „ქართლისოდენა მოწყენა“ იმალება, სწორედ ისეთი, სამშობლოს დანატრებულ მხატვარს — ვახტანგ ურდოელს რომ აწუხებდა. ქალის მშვენიერებაში მან საქართველოს სივრცე დაინახა, თითქოს იგი მისი ქვეყნის ციური — მანანა ყოფილიყო, უცხოებაში გადმოხვეწილი, კელავ საყვარელ სამშობლოს რომ მიეღტვოდა. „ასეთ აივნებს რომ დაეინახავ, გლიცინიის მტევნებით დაბარდულს, საქართველო მაგონდება, ქართული აივნები და ტალავრები ყურძნით დახუნძოლული— მე სიამოვნებით წავიდოდი აქედან... ყოველი ქალაქი მშვენიერია, სადაც მშვენიერ გუნებაზეა ადამიანი“, — პასუხობს იგი ვახტანგს, რომელიც მიუნხენში, ამ მშვენიერ ქალაქში მოწყენის მიზეზს ეკითხება ქალს. მანანა მხოლოდ საქართველოში იქნებოდა ბედნიერი, ამას ისიც მოწმობს, რომ უცხოეთში ხანგრძლივ ცხოვრებას, სწავლას, არაქართველებთან ურთიერთობას, ოდნავდაც არ შეუცვლია მისი ქართული კლდემაძოისლება ის ნამდვილი ქართველი ქალია გარეგნულადაც და სულიერადაც, მხოლოდ ბედისწერას საყვარელი მამულიდან შორს გადაუსვრია. სისპეტაქე და ზრდილობა იგრძნობა მის ყოველ მიმოხერაში და ამ საოცარი ახალგაზრდა ქალის მანერები აშკარად მიუთითებენ მანანას უმთავრეს ღირსებაზე — რომ ის ქართველია. „როცა არშიანის ქალის თეთრი და პატარა ხელი თავის ძალოვან მარჯვენაში ჩაბლუჯა ურდოელმაც, თავადაც შეკრთა ოდნავად (რადგან იგი ქალებთან ფამილიარობას არ იყო ჩვეული, არცთუ აეყარა ჭერ მისთვის ევროპას ის უცნაური რიდი, რომლითაც ექცევა ხოლმე ქართველი ვაჟკაცი განსაკუთრებით ახლად გაცნობილ ქალს)“. მანანას დახვეწილი ქცევა უდიდეს მოწიწებას და კრძალვას იწვევდა, თითქოს მასში იდუმალად გადმოსულიყო ულამაზესი ძველი ქართველი მზეთუნახავების ხატება.

სამშობლოსგან დაშორებულმა ქალმა ურდოელის სურათებში

იგრძნო მიახლოება მშობლიურ გარემოსთან. ნოსტალგიით შეპყრობილი ეს ადამიანი ამყობდა, რომ ქართველმა მხატვარმა ასე ასახელა ქართული ხელოვნება.

სათუთი გრძნობით უყვარდა მანანას დედა. დაქვრივებული ქალბატონი რუსუდანი ცოლად გაჰყოლია ადოლფ ჰოფმანს და თან წაუყვანია ორი ქალიშვილი — მანანა და ნინო. შვილივით აღუზრდია ქმრის ობლად დარჩენილი გერი, რომელიც მის პირველ ცოლს მოჰყოლია. რევოლუციური ძვრებით აბობოქრებულმა რუსეთის იმპერიამ წარუმატებელი საქმეებით გაამწარა გერმანელი მეწარმე. მან ვერც ერთ პროვინციაში ვერ შეძლო საქმის გაშლა, რის გამოც დატანჯა ოჯახი. რუსუდანი სამი გოგონას თანხლებით დაჰყვებოდა უზნეო მეუღლეს რუსეთის ამა თუ იმ გუბერნიაში, კინაღამ შეეწირა ჰოფმანის სისასტიკეს. გაბოროტებული მუშები შინ მიუვარდნენ კარელიაში, მაგრამ ქართველი ქალის სათნოებამ და სიკეთემ იხსნა ყველანი. „ქალბატონ რუსუდანს „ღვთის ქალს“ უწოდებდა დიდი და მცირე, თავზე გადაგვეფოფრა ყმაწვილებს.“ — ამბობს მათილდა ენგელჰარტი, რომელსაც ნამდვილი დედობა გაუწია რუსუდანმა.

რამოდენა ტკივილი უნდა დატეულიყო რუსუდანის გულში, რომ უსიტყვოდ აეტანა უსაშინელესი ტრაგედია. როცა ის, მანანა და მათილდა სიკვდილის პირზე მიაყენა ტროპიკულმა ციებამ, მალიოვანის რელიგიური სექტის უზნეო გავლენის ქვეშ მოქცეული ადოლფ ჰოფმანი ნინოს გაუმიჯნურდა უბედურმა ქალმა თავი დაიხრჩო. „რუსუდანს კრინტიც არ დაუძრავს ამის გამო, ეს მიიღო, როგორც საშინელი განაჩენი ბედისწერისა. ენა ჩაუვარდა, მთელი წელიწადი ასე იყო, მერე საშინელი შაკიკი დაემართა დღემდე ასე იტანჯება, მორფით იბრუნებს სულს, არც შავი გაუხდია დღემდის“. მკურნალობის მომიჯნავეებით მიუნხენში გადმოხიზნა შვილები რუსუდანმა. რა კეთილი ქალი უნდა ყოფილიყო იგი, რომ შვილივით შეეყვარებინა დაობლებული მათილდა. არც მანანასა და არც მის საუბარში არა ჩანს, რომ დედას ისინი ერთმანეთისაგან გაეჩრჩია. ამიტომაც ხაზგასმით აღნიშნავს რუსუდანის დედაშვილურ მოპყრობას მათილდა: „რუსუდანი ფრიად სათნო და კეთილშობილი ქალია. მან დედის მაგივრობა გამიწია ცხოვრებაში. ამიტომაც მარად ტკბილად სახსენებელია ჩემს მიერ“, მაგრამ სჯერა, რომ განგებას ვერსად წაუვა ვერაეინ. ალბათ სწორედ ამ ფატალიზმმა გადაატანინა შვილის საშინელი სიკვდილი. მოუხედავად იმისა, რომ რუსუდანი არ მოქმედებს ნაწარმოებში, მკითხველზე

უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც კიდევე ერთი ტანჯული ქართველი მზეთუნახავი უცხოეთში, კიდევე ერთი ტრაგიკული პიროვნება, რომელმაც მიუხედავად უბედობისა, ქართული სულიკეთებით აღზარდა გერმანელი გოგონაც კი. იგი ნამდვილი ქართველი დედაა, რომელსაც მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, მყუდრო, თბილი ოჯახი ვერ ელირსა. მანანასა და მათილდაში იღუმალ გამოკრთის მისი სულის სიმშვენიერე.

მანანა და მათილდა ჯერ თბილისში სწავლობდნენ, მერე კი გიმნაზია მიუნხენში დაამთავრეს. სწორედ ამან და ოჯახში გამეფებულმა ქართულმა სულმა აზიარა გერმანელი გოგონა საქართველოს სიყვარულს. ჯერ კიდევე მოსწავლეები იყვნენ, როცა ურდოელით დაინტერესდნენ. ამის მიზეზი მხოლოდ მხატვრობა არ ყოფილა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმასაც, რომ ის ქართველი, ე.ი. მათი თანამემამულე იყო. „მანანა ასე ამბობდა თქვენს გამო, რაიმე რომ გავგიჟირდეს ამ უცხოეთში, მმასავით გამოგვექმნაგებაო“, — მოუთხრობს მათილდა ვახტანგს და აქაც იგრძნობა წმინდა ქართული სულის სიმშვენიერე. მანანამ იცოდა ქართველი ვაჟკაცის რაინდობის შესახებ. ამ იმედის საფუძველს მხოლოდ ქართულ გარემოში აღზრდილი ადამიანი თუ გაიგებს. ეს ის გრძნობაა, ტარიელსა და ასმათს რომ აკავშირებდა ერთმანეთთან, რაზედაც არაერთხელ თქმულა ლიტერატურაში, მათელიო ხელოვნებამ არ იცისო მსგავსი შემთხვევა. შეიძლებოდა მანანასა და ვახტანგის ურთიერთდამოკიდებულება ამალღებულ სიყვარულში გადაზრდილიყო, რისი საწყისებიც აშკარაა ნაწარმოებში, მაგრამ ამის გარეშეც მათ აერთიანებთ სრულიად უცხო ადამიანებს შორის დამოების ქართული ტრადიციის შეგნება, რასაც ახლაც ცოტას როდი შეხედებით ჩვენს ეროვნულ სინამდვილეში. ალბათ ამ გრძნობამ უბიძგა მათილდასაც, ყველაფერი დაწერილებით მოეთხრო ურდოელისათვის.

ორივე ახალგაზრდა ქალი ხელოვანია. მანანა კონსერვატორიაში სწავლობს, მათილდა — მინანქრის მინიატურის ოსტატობას სახატვრო აკადემიაში ეუფლება. ამან თავისებური გავლენა იქონია როგორც მათ გარეგნულ სახეზე, ასევე სულზე. „საერთოდ, ტალანტია ერთადერთი ბედნიერება“, — ასეთი იყო მანანა არიშიანის აზრი. როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, ის იყო ნიჭიერი მუსიკოსი, მის სინაზეს კიდევე უფრო მეტ მიმზიდველობას მატებდა თავმდაბლობა. როცა იგი სტუმრებმა ბეთოვენის პიესის შესასრულებლად იხმეს, „მანანა გაინაზა (როგორც ეს სჩვევიათ ხოლმე ასეთ შემთხვევაში მუსიკოსებს,

განსაკუთრებით ქართველ ქალებს მათ შორის)“. — და ეს უმანკო არსება უნდა გამხდარიყო მანტიოფელის ცოლი. ასე გადაეწყვიტა ქალბატონ რუსუდანს. მალე ჰოფმანი ჩამოდიოდა და დედას სწორედ ეს მიაჩნდა შვილის გადარჩენის ერთადერთ გზად. მისი აზრით, ქალიშვილს დააბინავებდა ისეთ ადამიანთან, რომელსაც რაღაც შეხების წერტილები ჰქონია საქართველოსთან, კარგად იცნობდა ამ ქვეყნის იტორიასა და კულტურას, თუმცა მასზე არასწორი წარმოდგენა ჰქონდა „ეს ხალხი ოდესღაც დიდი ყოფილა. ახლა ნამუსრევია დარჩენილი — ფრიად თავქარიანი აზნაურობა ჰყავთ, გარუსებული ინტელიგენცია — რა ლიტერატურა, ან რა ხელოვნება ექნება ასეთ დაჩაივებულ ერს“ — ასეთია მანტიოფელისეული შეფასება ქართველი ერისა. ნაწარმოებიდან ამჟღავნა, რომ მანანა, რომლისთვისაც საქართველო სალოცავი ხატი იყო, ვერასოდეს შეეგუებოდა კოსმოპოლიტ ქმარს, რომლისთვისაც „სამშობლო სენტიმენტალი მწერლებისა და ისტორიკოსების მონაგონი ზღაპარია. ადამიანებს გიმნაზიის სკამებზე ჩასჩიჩინებენ ამ გრძნობას, ამავე სკამებზე ავიწყდებათ მათ ეს ამბავი“. მისი აზრით, „ადამიანზე უფრო დიდი ეშმაკი ჯერ არ შობილა ამ მიწაზე“. კითხვაზე, რატომ მსახური ქალი არა გყავსო, კაცი ასე პასუხობს: „ქალს როგორ შემოეფეშებო სახლში“. მანანას გვერდით კიდევ უფრო იკვეთება მისი სიმპნინჯე. და თითქოს ბედისწერაა, რომ ომი დაიწყო, რომ ევროპა გაღიაში მოემწყვდია, რომ ურდოელი ვერ გაემგზავრა მიუნხენიდან... და მკითხველს რატომღაც სჯერა, რომ ვახტანგი აუცილებლად დაეხმარება უცხოეთში ნოსტალგიით შეპყრობილ უბედურ ლამაზ ქალს, რომელსაც იღუმალის სიმბათია აკავშირებს ნიჭიერ მხატვართან.

ნოველაში მიმზიდველი სახეა მანანას ნახევარ-და — მატილდა ენგელჰარტი, ქართულ სამყაროს ნაზიარები გერმანელი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც გულწრფელად უყვარდა თბილისი, რაშიც უმთავრესი ღვაწლი მის დედობილს მიუძღვოდა. „ჩვენ არ დაგვცალდა თქვენს მშვენიერ საქართველოში გაგვეტარებინა ჩვენი ბავშვობა“, — ეუბნება იგი ვახტანგს. ის არა მარტო ახლობელი იყო მანანა არიშანისა, არამედ სულიერი მეგობარიც. მანაც საკუთარ მხარებზე გადაიტანა ოჯახის მთელი ტრაგედია და როგორც მისი საუბრიდან ჩანს, ყოველმხრივ ცდილობს, მანანას დაეხმაროს, გული არ ატკინოს, ამავე დროს გულთბილი მადლობით მოიხსენიებს ქალბატონი რუსუდანის დამსახურებას მის წინაშე. იგი სიცოცხლით აღსავსე ქალია, რომლისთვის ახლოა ვაჟკაცური ქართული სული. „თავად არ ვიცი, რათ გაიბნეთ ეს

ყველაფერი, — ეუბნება იგი ურდოელს, — მაგრამ ასე მგონია თქვენ შორეული არა ხართ ჩვენთვის. თუმცა პირადად არ გიცნობდით, მაგრამ გეახარებდა თქვენთან შეხვედრა. მე მჯერა, რომ ადამიანთა გულებს შორის ხშირად ღუმოლსაც მიმოაქვს სიტყვა“. ამას ამბობდა ქალი, რომელმაც საკუთარი მიმინაცვლის მაგალითზე დაიწერა, რომ „არც ერთი მხეცი ისე საშიში არაა, როგორც ზოგიერთი ადამიანი“.

მატილდა ხელოვნებაზე უზომოდ შეყვარებული შემოქმედია. არც მუსიკისაგანაა შორს, ეს ალბათ მანანას გავლენა იქნებოდა. მის არსებაში აშკარად იგრძნობა არიშიანის ჭლსა და ქართულ სამყაროსთან ურთიერთობის კვალი. უფრო სწორად, ის სწორედ ასეთი განწყობით აღზარდა დედობილმა. მატილდა დახვეწილი მანერების ზრდილობიანი ახალგაზრდაა, რომელსაც ქართული ქალური თავმდაბლობა ახასიათებს. სწორედ ამას მიაქცია ყურადღება ურდოელმა, როცა პირველად გაეცნო მატილდას. როცა მისმა მეგობარმა ალბერტმა მას ქალი წარუდგინა, „მატილდა ენგელჰარტს მთელი სახე აენთო ისე, თითქოს მზეარეში მჯდარაო მარტის თვეში ხანგრძლივად ვახტანგს გაუკვირდა ეს ამბავი, რადგან ევროპაში იშვიათად ვინმე შეხვედრია ქალთაგანი, ვისაც გაწითლება სჩვეოდას ხოლმე ასეთ შემთხვევაში“.

„ფროლან მატილდა ფონ ენგელჰარტ“ არ იყო მანანასავით მომხიბვლელი მას, „— არ ჰქონდა მაინც და მაინც კლასიკურად ლამაზი სახე — მიუხედავად მისი საკმაოდ ზორბა აღნაგობისა, სინატიფე და სიტფო, უაღრესად ქალურ კეკლუცობასთან შერწყმული, გამოსკვიოდა მის ახალგაზრდულ და ჯანსაღ ბუნებისაგან“ — მისმა სიახლოვემ ურდოელს აფორიაქებული სული დაუმშვიდა, თითქოს „შორეული და უცხო ტომის ნაშიერი როდი ყოფილიყო მისთვის, არამედ ძველი მეგობარი და მესაიდუმლე“. მატილდას ხატებაში ავტორმა მოგვცა იშვიათი შერწყმა ქართული და გერმანული ხასიათისა. სწორედ მისნაირი იქნებოდა საქართველოში გაზრდილი გერმანელი ქალი. ამიტომაც ანსხვავებს იგი ურდოელსა და ალბერტ დე მალერბს, რომელსაც მოსწონს ეს მხიარული მხატვარი ქალი. სწორედ ვახტანგის ქართველობამ განაპირობა მატილდას გულდია საუბარი მასთან, რის შემდეგაც იგი ჯენტლმენურ სიტყვას სთხოვს თანამოსაუბრეს, რომ ალბერტს არ უამბობს.

„არიან ისეთი ადამიანებიც ამ ქვეყნად, რომელნიც მოვლენ, პირველი შეყრისთანავე შეგხვდებიან თავიანთი ტფილი და გულმართალი ღიმილით, შემოგხედავენ, გაგიცინებენ და ასე გეგონება,

შენ მათი მეგობარი იყავი მას შემდეგ, რაც თავს ახსოვხარ, მათი სულის სიტყვო და ცეცხლი გაგრძნობინებს იმ ადამიანურ სიზარულს, დედის, ცოლის და მოსიყვარულე დის სიახლოვეს რომ აღმეგრის ხოლმე მამაკაცს ასეთი იყო მართლდა ენგელჰარტის ასული“, — ასეთ დასკვნას აკეთებს ავტორი, რითაც ხაზი ესმება ურდოელის რაინდულ დამოკიდებულებას ამ ქალისადმი.

უმეტესად გულჩათხრობილ მანანასთან შედარებით მართლდა უფრო მზიარული, უშუალო პიროვნებაა, რომელსაც ადვილად შეუძლია ურთიერთობის დამყარება ადამიანებთან. თავისი დახვეწილი მანერებით ის ნამდვილი არისტოკრატი ქალია, თუმცა მის მზიარულ ქცევაში იდუმალი სევდა იმალება „ვისაც ბავშვობა ჩამწარებია, მთელი ცხოვრება უმრუდდება შემდეგში“, — ამბობს იგი და თითქოს ემზინა მომავალი ცხოვრებისაც.

გერმანელი საზოგადოების ქალთა კოლორიტულ ფიგურებს წარმოგვიდგენს ავტორი ფრაუ მაიორის, მისი და შარლოტეს (რომელიც უიმედოდ იყო შეყვარებული ურდოელზე) და პანსიონში მომუშავე ბერტას სახით. ნაწარმოებში აშკარაა განსხვავება ევროპული და ქართული სამყაროს ქალებს შორის. როგორ არა ჰგავს მანანას არც ერთი მათგანი, თუნდაც ფრაუ ლუიზა ბენდერი, რომელიც მხოლოდ ნაწარმოების დასაწყისში გაკრთება ურდოელის ფიქრებში. ცისფერთვალა, ქერა ლამაზი გერმანელი ქალის ეშმაკობა ვერ გაერკვია მზატვარს. „ვის გაუგონია ასეთი გაურკვეველი ფლირტი? ვისკენ უძევს გული ფრაუ ბენდერს, ვერც ალბერტსა და ვერც ვახტანგს ვერ გაურკვევიათ ჭრაც. ორივეს ეპატიჟება ხოლმე 5 საათის ჩაიზე, სუარებზე, გამოფენებზე, ოპერაში, კაფე სიმპოცისიმუსში ერთად დადიან“. ხელოვნების მოყვარული ქალი შემოქმედთა წრეში მოტრიალე ლამაზმანი ჩანს. მშვენიერი ბავშვების დედა ყოფილა იგი, მაგრამ მისი სული ნარკვევში არ ჩანს.

პირველი კლასის პანსიონის მფლობელია ფრაუ მაიორი, გერმანელი პრინცებისა და ჰერცოგების პორტრეტებით რომ მოუწითავს კედლები. არც თუ ისე არისტოკრატიული მანერებით არის გადატვირთული მისი ქცევები. ეს „გოლიათი დედაკაცი, რომლის ფიგურის მონსტრუალობას სპილოს ავაღმყოფობა ფანტასტიკურ აღნაგობას აძლევდა — მუდამ სასტიკად და მედიდურად ექცეოდა თავის მდგმურებს“ — მათ ახარისხებდა წოდების, ეროვნებისა და წარმომადგენლობის მიხედვით თუმცა საქართველოსა და მის თავადაზნაურობაზე ოდნავი წარმოდგენაც არ გააჩნდა, ვახტანგ

ურდოელს განსაკუთრებული ყურადღებით აჯილდოვებდა, ალბათ მასში მხატვრის შეუდარებელ ნიქს აფასებდა. „ყველაზე სოლიდური აზნაურები ამ ქვეყნად გერმანთა ხალხებს ჰყავთო“, — ამბობდა იგი და ჭერ პრუსიელებს ანიჭებდა პრიორიტეტს, მერე ბავარიას, ვირტენბერგს, ინგლისსა და ბოლოს სკანდინავიას. რომელი და სლავ აზნაურებს არასმქონე ბარონებს ეძახდა. ზეპირად იცოდა ბოლო 25 წლის მანძილზე მის პანსიონში მცხოვრები „საპატიო გვამები“, პირადად ემსახურებოდა მათ ხოლმე და უწმინდეს რელიქვიასავით ინახავდა მათ საჩუქრებს. უტიტულოთა და უღვაროთა მიმართ ქედმაღალი იყო, ამიტომ ვახტანგმა და ალბერტმა „პანსიონ კომურგის პერსეფონე“ შეარქვეს. იგი საკმაოზე მეტად ამაყობდა თავისი პანსიონის პოპულარობით და ყოველმხრივ ყურადღებას აქცევდა მდგმურების ზნეობას, რომ ვინმეს საექვო ქალები არ მოეყვანა და მისი დაწესებულების რეპუტაცია არ შეებღალა, ამის დარაჯად მას ბერტა დაეყენებინა. „მე არა კათოლიკებს და არა პროტესტანტებს ჩემ სახლში არ ვუშვებ, ინგლისელი კათოლიკენი ჰო და ჰო.“ „მერმე ეს ხალხები ბინძურებია, — ამბობდა ფრაუ მაიორი ბალკანელებზე, რუსებზე, ებრაელებზე. — კალოშებით დაბრაგუნებენ დერეფნებში, ნოხები დამისვარეს, გობელენები გამოიხრეს, ჩემი გობელენები ხომ იცით, ვერსალის გობელენებს ეჯიბრებიან“ და მოჰყვებოდა უთავბოლო რასისტულ ამპარტავნობას.

ფრაუ მაიორის ფსიქოლოგიასა და მუშაობის სტილში გერმანული პუნქტუალობა გამოსკვევის, დიდი გულისყურით ადევნებს ყოველ წერილმანს თვალს. მისი მარჯვენა ხელი იყო ბერტა, რომელიც დიასახლისივით მონდომებით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას. თუმცა მისი გარეგნული სახე მოწესრიგებული და კულტურულია, მის მიღმა მაინც იმალება თავისუფალი ყოფაქცევის ქალი. „საღამოობით ჭარისკაცები მოდიოდნენ მასთან სამზარეულოში, სადაც იგი ბატონების ნასუფრალით კვებავდა ხოლმე თავის მიჯნურებს“. ამ საიდუმლოს ერთგულად ინახავდა ფრაუ მაიორის ახალგაზრდა და, „ფრიად გულკეთილი და სათნო შარლოტე“, რომელიც უიმედოდ იყო შეყვარებული ურდოელზე. პანსიონის დიასახლისმა იცოდა ეს, მაგრამ თითქოს განზრახ ვერ ხედავდა ქალიშვილის ნამტირალეე სახეს. დიდი მონდომებით აცხობდა შარლოტე ნამცხვრებს ვახტანგისათვის, ოღონდაც ვენეციაში მიმავალი მხატვრის ყურადღება მიექცია. ამან მეტად უხერხულ მგომარეობაში ჩააგდო. ზრდილობიანი, მორიდებული ქალი ვახტანგიც ხედავდა, როგორ აფორიაქებული იყო შარლოტა, ის „იდგა

მორჩილი და თავმოდრეკილი — ეს ტლანქი, ხელებდაწითლებული შარლოტე გამოცვლილიყო საესებიტ“. მას დღენიადგ სამზარეულოში უბდებოდა მუშაობა, ახლა კი „მას ყოველი თმის ღერი უბრწყინავდა, თვალებში უცნაური ელვარება ჩასდგომოდა, შვეწოდა კიდევაც უზომოდ შეფაქვლა ღაწიებისა და ბროწეულის ყვავილივით წითელი, ბეჭედივით ვიწრო ტუჩპირი, დიდი სიამაყისა და უბიწოების იერსა ჰქონდა მის აღნაგობას“. მისი ქცევა მკითხველს აფიქრებინებს, რომ ეს მან მოიპარა ურდოელის სამგზავრო ბილეთები, რომ გულის რჩეული ვენეციაში არ წასულიყო. თუმცა ვახტანგს არავითარი საფუძველი არ მიუცია ქალისათვის, არც ყურადღება გაუმახვილებია მასზე, იგი მაინც ყოველმხრივ ცდილობდა ვაჟის გულში მისი გრძნობების პასუხი გამოეწვია.

ქალთა ეროვნული სახეებია გამოყვანილი კ. გამსახურდიას შესანიშნავ ნოველში „ხოგაის მინდია“, სადაც მოქმედ გმირთა ღრმა ფილოსოფიური აზროვნების საწყისიდან არის დანახული მთელი რეალური სამყარო. ყოველი გმირის თვალთახედვა და ბუნების აღქმის შესაძლებლობა განსხვავებულია.

ხევსური ქალის ტიპური სახეა სამძივარა, სახელგანთქმული ბელადის — ხოგაის მეუღლე. ის მართლაც ღირსეული თანამეცხედრეა მისი, კაცისა, რომელიც ყოფილა „მრავალნაგადი გეომარი, იგავმოუწვდენელი მსროლელი და მოკეჭნავე“. ნოველის დასაწყისშივე შემოჰყავს იგი ავტორს. ხანჭლით დასერილი მოიყვანეს სახლში ხოგაი. თავზე დასდგომია გამწარებული ქალი მომაკვდავ ქმარს და მთელი ცხოვრება მისი გმირობითა და ვაჟკაცობით გაამაყებული, ახლაც — ბოლო წუთებშიც იმაზე ზრუნავს, რომ საიქიოსაც სათანადო ღირსებით გაისტუმროს თანამეცხედრე. იგი მკაცრი დამცველია წინაპართა წეს-ჩვეულებებისა და მათ მიმართ დიდ პატივისცემასა და ცოდნას ამჟღავნებს. „საყვარელ ფრანგული წითელ-ყვითლად მოოქვილ ზანდუკში ჩაპკეტა სამძივარამ, რადგან უპატრონოდ დარჩა ხოგაის ხრმალი. ვერც ბერდია, ვერც უთურგვა ორივე ხელითაც ვერ შემართავდნენ მამისეულ ფრანგულს, ხოლო მინდია, სიყრმიდანვე ქისტების მმუსერელი“, ახლა სრულიად შეცვლილიყო. სწორედ ეს აწუხებდა სამი ვაჟის დედას. ამიტომაც „იჭდა კერასთან სამძივარა, უჩინარ ცრემლს ღვრიდა, ბორგავდა ზანდუკში ჩაკეტილი ხმალი ხოგაისა.“ „როს მაკვდა თავის ყვერფენ-კერაში მაძაი? დიაც ხომ არ იყუ?

ნაპრევვიან მავიდა ქისტეთიდან,“ — სიამაყით ეუბნება იგი მინდიას.

სამძივარა კეთილი, სათნი დიასახლისია, მფარველი ანგელოზივით რომ გადაჰფარებია ხოგაის გარეშე დარჩენილ ოჯახს. მასში მყარად გაუდგამს ფესვები ოჯახის, ხალხისა და ქვეყნის წინაშე მოვალეობის შეგნებას. უმთავრესი კი მისთვის ქმარზე შურისძიებაა. ის ვერ მოისვენებდა, სანამ ვაჟებს მეუღლის სისხლს არ ააღებინებდა. თავაუღლებლად შრომობდა იგი, მაგრამ ისევ და ისევ „მთელი ღამე ესმოდა დიაცს, თუ როგორ დრტვინავდა მოუსვენრად ხოგაის ხმალი.“ გულს უკლავდა საბრალო დედას მინდიას უცნაურობა. ხახმატის ხატს შეავედრებდა შვილს ხოლმე მორწმუნე დიაცი, შესთხოვდა წმინდანებს დახმარებას — და როცა კვლავ „გონთმოსულს“ ნახავს სამძივარა მინდიას, მასში ისევ აენთება სიხარული და ნატვრა შურისძიებისა. „ასეც მაგეკლას მოსისხარი მამის შენისა!“ — ცრემლმორეული ეუბნება შვილს, როცა მოკლულ ჯიხვს შემოიტანს იგი.

სამძივარა სწორედ ისეთ მანდილოსანთა განზოგადებული სახეა, რომელთაც საუკუნეების სიღრმიდან დიდი სისათუთით დღემდე მოიტანეს ნამდვილი ქართული სული და ტრადიციები. ის პატრიოტი ქალია, მებრძოლი განწყობის, ოჯახის კარგი წინამძღოლი, მაგრამ მინდიას შეგნების დონემდე ვერ ამალღებულა.

ერთგვარი სიბრალეულის გრძნობას იწვევს ხოგაის მინდიას ცოლი აშექალა, რომელიც გაუკაპასებია ქმრის უცნაურობას. ის აკვანშივე დაუნიშნავთ და როცა ქისტების ტყვეობიდან დაბრუნდა მინდია, ერთი წლის შემდეგ მოჰგვარეს ქალი მისივე ძმებმა. „ქმარმა პირველსავე ღამეს არ ისურვა პატარძალთან წოლა, ნავახშმევს „ჯინში“ ჩაწვა ვაგლახად მოკრუნჩხული აშექალა.“ ადვილი როდი იქნებოდა ხევსური ქალისთვის ცოლობა ისეთი მეუღლისა, რომელსაც სხვა უყვარდა. მაინც ერთგულად ეწეოდა ოჯახის ჭაპანს გაწბილებული დიაცი, რომელსაც უზენაესმა დედობის ბედნიერება არ აღირსა.

უნაზესი ფერებითაა დახატული ულამაზესი ქისტი ასული — ხადიშათ, მინდიას გულის რჩეული და ოცნების ქალი. ადრე დაქვრივებულიყო მისი მამა — ოდესღაც ნახევსურალი ვაჟკაცი ალდიძე, „წამოსწრებოდა ერთადერთი ქალი ხადიშათი, და-ძმა ეგონათ მამა-შვილი უცხოთა.“

საოცრად ლამაზი იყო ქისტი ქალი. „ალისფერი ტალავარი ეცვა ხადიშათს, წითელ-ყვითლად მოქარგული შეიდიშები, წითელი მაშიები, გრძელი საყურეები ამშვენებდნენ მის სალუქს, თეთრყირმიზ სახეს და

ხმა ჰქონდა ხადიშათს, ხატის ზარივით წკრიალა ხმა ყელ-მკერდი — ნუშისგულივით თეთრი. თმა ჰქონდა ხადიშათს ისეთი მოყვითაწო, როგორსაც ძროხის შარდით იყენებენ ხოლმე ხევსური ქალები. ხევსურეთშიაც გავარდნოდა სახელი მის სილამაზეს, „მზისფერ“ ქალაი ჰყავსო აღდიძეს, ქისტს.“

გულწრფელი, ამაღლებული გრძნობით შეპყვარებოდათ ერთმანეთი მინდისა და ხადიშათს. განგებამ არ ისურვა მათი ერთობა. სიმძიმისა და სიხარულის მწარე გრძნობა წვადა ხევსური ვაჟკაცის გულს, როცა მოაგონდებოდა „მზისფერი ქალა“, თუ როგორ ეხუტებოდნენ ერთმანეთს ზამთრის ბნელ ღამეში ხადიშათი და იგი — მისი ძმობილი. სიყვარული მაინც გადაძლია სამშობლოს მონატრებამ. არავითარ შეზღუდვას არ გრძობდა მინდია აღდიძის სახლში. მას შეეძლო სამუდამოდ დარჩენილიყო საოცნებო ქალის გვერდით, მაგრამ ნოსტალგია მოჰქადავდა ვაჟკაცს, ამიტომაც გამოეცა ტყვეობას, რომელშიც 7 წელიწადი დაჰყო. ერთ-ერთი თავდასხმის დროს გამოიტაცეს იგი ძმებმა, მაგრამ ქისტებში გატარებულმა დრომ წარუშლელი დალი დაასვა მის სულს. ხადიშათის სიყვარული ტანჯავდა ლანდდაკარგულს.

როგორც „დიდოსტატის მარჯვენაში“ შორენას სულის ნაწილია ირემი, „ხოგაის მინდიაში“ ხადიშათის ტოტემია არჩვი, ხარ-ჯიხვი. გაზაფხულზე „გული აუჩვილა მინდიას ამ არჩვის ბღავილმა, ხადიშათი მოაგონდა, თავისი სწორფერი, ქისტეთის მთებისაკენ გადაიხედდა. იჯდეს ეგებ ხადიშათი ციხის ჩარდახზე, მზვარეში, წინდასა ქსოვდეს და კმუნვიდეს თავის სწორფერის გამო — მურყანის ძირში ია შენიშნა, ხადიშათის თვალებივით მორცხვად მზირალა“ როგორც ნებიერაა შორენას ტოტემი, რომლის მოკვლით მეფემ კოლონკელიძის ასული მოკლა, ასევე მინდიამ ხარჯიხვის განგძირვით, ხადიშათი დაღუპა. განგებამ საკუთარი ხელით მოაკვლევინა ხოგაის ძეს საყვარელი „მზისფერი ქალა“. „დიდოსტატის მარჯვენაშიც“ გიორგი მეფემ არა პირდაპირ, მაგრამ მაინც ლომის წილი დაიდო შორენას სიკვდილში. მეფე ნებიერას დაღუპვის შემდეგ თავადაც იღუპება, რადგან მის სიცოცხლეს აზრი აღარ აქვს, მინდიაც ხარჯიხვის მოკვლის შემდეგ კარგავს ჯადოსნურ ძალას, მას კვლავ უბრუნდება საკუთარი ლანდი და ის უკვე განწირულია. გულისსწორის მოკვლით, ფაქტიურად, მეფემაც და მინდიამაც თავი მოიკლეს ორივემ ვერ შეძლო არსებული საზოგადოებრივი წარმოდგენებისა და კანონების გადალახვა. „თოფსაც არ გაისერის ხოგაის მინდია, საქონელს დააბრუნებინებს, ქისტების შემორიგებას

მოახერხებს ალდიძის მეოხებით, აშექალას უშვილობას დაუდებს ბრალად, თავად კი ხადიშათს შეირთავს, მზისფერს,“ — ასეთი იყო ხევსური ვაჟკაცის მიზანი, მაგრამ შეცდა, მწარედ შეცდა იგი. ცალხელა დოლაის ციხეში გამომწყვდეულმა მინდიამ უკანასკნელი ტყვია შეაგება პირველსავე ქისტს, გვიან მოეგო გონს, ეუცნაურა ხევსურული სამფარეშოსანი ჯავშანი, „მუზარადი მოხდა თუ არა ცხედარს, მყისვე შეიცნო მზისფერი ხადიშათ,“ „— სატევარი გაიძრო და მარცხენა ძუძუს ქვემოთ დაიკა ვადამდის.“

ვაჟკაცობაშიც ჰგავდა ხადიშათი შორენას და სილამაზეშიც. თითქოს ერთურთს გაჯობრებია ეს ორი მშვენიება და ვერ ცერთს უჯობნია. „ხომ ასეთი პირმშვენიერი იყო ხადიშათი, ვაჟკაცს ტოლს არ უდებდა იგი სამამაცო საქმეში. გადაიცვამდა ქისტურ ჩოხას, ხრმალს შემოირტყამდა წელზე, მხარზე თოფს გადაიდებდა, ჭირითში, ნადირობაში ეჯობებოდა ვაჟკაცებს, სამეკობროდ წასული მამასთან იბრძოდა მხარდამხარ. როცა ალდიძე, მინდია და ხადიშათ კაზაკების სტანიცებში გადადიოდნენ, მთელ რაზმეულებს უმკლანდებოდა ეს სამი მხედარი. ხევსურული მუზარადი და ჯავშანი ენატრებოდა მუდამ“ „ამიტომაც გაუგზავნა ხევსურული აბჯარი მინდიამ ქალს, „არ ავნებსო ამიერიდან ყაზახის ტყვია.“

შემოსევებისა და შეტაკებების სცენებში განსაკუთრებით იგრძნობა ქალების აქტიურობა. თითქოს ავტორს განზრახ გამოუყვანია საბრძოლველად ამდენი დედაკაცი, რათა დაგვანახოს, რომ ოდითგანვე ქალები საკუთარი კერიის სიბოის არა ერთგული შრომითა და სიყვარულით ინახავდნენ, არამედ ხმლითაც იცავდნენ. ამ მხრივ არსებითი განსხვავება ხევსურ და ქისტ მანდილოსნებს შორის არ არის ჩანს, რომ ჯერ კიდევ არ წაშლილა ის საერთო ტრადიციები, რაც ოდესღაც დიდებულ გაერთიანებულ საქართველოში არსებობდა და რაც სარწმუნოების შეცვლამ გაათერმკრთალა, თუმცა მთლიანად ვერ წარმოცა ნოველაში ჯერ კიდევ მძლავრობს ის საერთო კავკასიური სული, ოდითგანვე რომ მოსდგამდა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებს. ვაჟკაცობაში ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ნანაი აფშინაური (წინ რომ მოუძღოდა შეიარაღებული დედაკაცების რაზმს) და ყიბილა ბელადის უმცროსი ცოლი, თვალმშვენიერი შუანეთი (მამაცურად რომ ებრძოდა მომხდურ ხევსურებს). „—დედაკაცს ცალ ხელში ატირებული ბალლი ეჭვა, ცალითაც სატევარს უღერებდა...“ — ასე იყო ხევსურეთშიც და ქისტეთში. ვინ იცის, რამდენი აფთარაულის ლელაისავით ატირებული ქალი იცავდა ხმლით საკუთარ შვილებსა და

ოჯახსა

ნოველაში კარგად არის ნაჩვენები, თუ რა როლი ეკისრებოდათ ქალებს რელიგიურ რიტუალებში. ათენგენობას „ხელის კოშკთან“ მოგროვილი ქალები სანთელსაწირს მიაართმევენ ხახმატის დობილებს“. სტექურას რუს სალოცავად მოდიოდნენ ვერცხლის ფარანგიანი, წითელ-ყვითელი შიბებით მოკაზმული დიაცები. მწვერის საფლავის ხატის წინ უშვილო დედაკაცები იკრიბოდნენ, საკლავი მოჰყავდათ და ნაყოფიერებას შესთხოვდნენ განგებას. მცირე ხატის ნიშთან ქალები ბატკნის სისხლში ინათლავდნენ ხელებს და მდინარის გაღმა ხორცსა ხარშავდნენ. ასეთი იყო ხატის წესი. მამაკაცები და დედაკაცები მდინარის სხვადასხვა მხარეს ათევდნენ ღამეს. მაგრამ უძველესი წესები თანდათან კარგავენ ძველ სიმტკიცესა და ელფერს — და აი, როცა შეზარხოშებულ კაცებში ატყდა ჩხუბი, „სტექურას გადღმა მოქცეულმა დიაცებმა ხატის წესი დაარღვიეს, სტექურა გადმოლახეს და ჩაერივნ მებრძოლებს კივილით. მზექალა წიკლაურმა მანდილი ჩაუგდო ორ მხარბეჭიან ხევსურს — შვიდი ცოლი წელში ეცა შვიდ ვაჟკაცს, დიაცების დანახვაზე უარესად გამბეცდნენ მოშულენი, უწყალოდ იღვრება მოლზე ხევსურის სისხლი. იდაყვი ჰკრეს გამწავებელ დიაცებს, ზედ გადააბორეს წაქცეულთა და მათ მანდილებს, გამძაფრებულნი ეკვეთნენ ურთიერთს.“

„ხოგაის მინდიაში“ გამოყვანილი ქალები იმ გოროზი მთების სულით არიან აღსავსენი, ქისტეთსა და ხევსურეთს რომ დასცქერის გარდა სიმშენიერისა და ქალური სინაზისა, ისინი სიყვარულის, ერთგული ოჯახის მფარველი ანგელოზები არიან. მათთვის უმთავრესი ღირსება ვაჟკაცობაა. ისინი მამაკაცებზე ნაკლებად როდი იბრძვიან. მათი სიმაძაქე და გამბედაობა არნახულ საოცრებებს ახდენს სწორედ ასეთი დედაკაცები არიან მწერლის იდეალები. ქალი და იარაღი, მანდილოსანი ბავშვითა და იარაღით ხელში — ამის წარმოდგენისას თვალწინ გვეხატება ქართველის დედა თასითა და ხმლით — და კიდევ ძველი ჩინური იეროგლიფები. ქალისა და ბრძოლის, ომის აღმნიშვნელი ეს სამწერლო ფიგურები მხოლოდ ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქალის აღმოსავლურ გაგებაში ყოველთვის დომინირებდა ვაჟკაცური და მებრძოლი სულის შეგნება.

დედობა ქალის უდიდესი ღვთიური ჯილდოა და უწმინდესი ამქვეყნიური ღირსება. ის მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და მასში სულაც არ იგულისხმება მხოლოდ იმის გაგება, შეგქდლოს ამქვეყნად სიცოცხლე

მოაეწიო. ადამიანური სული ღვთის განგებით ევლინება საამქვეყნო სამყაროს და უდიდესი მადლია, რომ ეს ქალის სხეულში იწყება. თუმცა დედაშვილური სიყვარული აღზრდის შედეგია და სწორედ ამ გრძნობის სიდიდე და სიმწარე განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან, რომელშიც არანაკლებ ძლიერია ეს ინსტიქტი, მაგრამ მოკლებულია მახსოვრობის უნარს.

კ. გამსახურდიას ნოველებში ერთ — ერთი უძლიერესი გრძნობაა დედაშვილობა. მწერალს უზომოდ უყვარდა თავისი დედა და ამ უწმინდესი გრძნობის აჩრდილი გასდევს მის ყოველ ნაწარმოებს — ლექსს, ნოველას, რომანს — ამ სინაზითა და გულწრფელობით არის განმსჭვალული 1928 წლის დეკემბერში დაწერილი ლექსი „REQUEM“:

„მეც მყავდა დედა, ის წავიდა, მარტო დამტოვა,

ვის მივაკითხო? აღარ არის ამ სააქაოს.

მახსოვს აქ იყო, ისიც ვიცი, რომ აღარ მოვა,

ვის მივაკითხო? ამ ბნელ ღამეს, თუ მრუმე ქაოსს?

— მე სიხარულის საუნჯენი გადამეკეტა, ვარამის გესლით გავითანგე
და მოვიშხამე,

ეგებ ზეცაში მან კარავი თუ გაიკეთა,

ან წილნაყარი იყოს ეგებ გარდასულ მზეთა,

და დაეუფლა მის უკვდავ სულს უკუნის ღამე.“

ეს სათუთი მიძღვნა გარდაცვლილი დედისადმი უდიდეს სევდას აღძრავს ადამიანის სულში. დამწუხრებული ავტორი ბნელ ღამესა და ცის ნათელში ეძებს მის ხატებას. მაგრამ მიუხედავად ფიზიკური აღსასრულისა, უკვდავია დედის სული, რადგან იგი საწყისია ახალი სიცოცხლისა და შეიძლება, არა ერთსა და ორის, არამედ მრავლის. — და ასეა უსასრულოდ, „უკუნისი უკუნისამდე.“

დედის ხატება იდუმალ მუდამ თან სდევს შვილს ყოველ დროსა და მდგომარეობაში. მას ღმერთივით მოიხსენიებენ. „ვაი, დედაო,“ — იტყვის მწუხარებისას ადამიანი და „ახ, დედაო,“ — აღმოხდება აღტაცებულს. — და ეს „ღმერთო ჩემოსავით“ ღამაზი მიმართვა გაღვთიურებულია ყოველი კაცის არსებაში. უპირველესი, რაც აგონდება ავტორს მკედართან შეხვედრისას ნოველაში „მკედართან შეხვედრა,“ ეს დედაა. „ეგებ ამ კაცს მოხუცი დედა ჰყავს, სახლში ზის მოხუცი, თავის ხელსაქნარს აკეთებს და არც კი იცის, რომ მისი შვილი აგერ ჩემს თვალწინ ჰკიდია ხეზე.“ — შეძრწუნებული ფიქრობს იგი დედის ნაქარგი თილისმასავით თან სდევს სამშობლოდან გარდახვეწილ

უცნობ რაინდს, რომლის საკინძის ძირში „ქართული დედაბრული ხელით ამოქარგული დანჯორეული ასოებით ეწერა: „ჯამუ“ (ჩანს მოხუც დედას დაუწერია),“ ფერადი ძაფით ნაქარგი გახუნებული იყო — წერს მწერალი ნოველაში „ჯამუ“ „ნუ გეშინია, მე მოვალ დედა.“ — ამ სიტყვებით აღმოხდა სული ბრგე ვაჟეაცს. „მე მინდოდა ჯამუს დედისათვის მემცნო ეს ამბავი, ჩავედი კიდევაც იმ სოფელში. მაგრამ უკანასკნელ წუთში გამბედაობამ მილაღატა, აგრე დავასკვნე: დეე, სიკვდილამდის ელოდოს-მეთქი გამწარებული დედა უკუღმართ გზაზე დაღუპული შვილის მოსვლას,“ — ასეთი იყო შემოქმედის აზრი, რადგანაც არაფერი და არაფინ ისე საცოდავი არ არის, როგორც პირმშოზე გამწარებული დედა, რომლისთვისაც უდიდესი ბედნიერებაა, როცა საკუთარი შვილების ხელით დაიმარხება. განა იქნება რამე დედის გლოვაზე მწარე?! ავ დედინაცვალს შეტოვებული, მამის ხელით მოკლული ახალგაზრდა ვაჟეაცის სხეული საშინელი სანახავი იყო შემოქმედისათვის (ნოველა „დათვი“) და ის გულდაწყვეტილი ამბობს: „...ისხდნენ და სდუმდნენ ქალებიც, რადგან გლოვის წამომწყები არაფინ სჩანდა, დედის ხმა აკლდა ამ სამგლოვიარო გარემოცვას, ამითაც აუტანელი იყო ეს დუმილი.“

დედაშვილურმა უკვდავმა სიყვარულმა შეახსენა თავი თამაზ ვარდანოძეს (ნოველა „ქალის რძე“), როცა პირი საოცარი ძუძუს რძით აეცსო, მან ის გამოარკვია ბურუსიდან, ჩამოაშორა ცხოველურ ინსტიქტურ მისწრაფებას და მოაგონა ის უდიდესი მოკრძალების გრძნობა, რომლის ღირსია დედამიწაზე ყოველი დედა — ახალი სიცოცხლის მშობელი, რომლის აუწონავი და გადაუხდელი ვალი აწევს ყოველ ადამიანს.

ზღაპრული შარავენდებით არის შემოსილი დედის სახე ნოველაში „მშვენიერება“, სადაც დედოფალი მაგდანა თითქოს ქართული ზღაპრებიდან გადმოსული ღვთიური სულია. ყოველი დედის გულისწადილია გამჟღავნებული მის ქცევაში. ერთადერთ პირმშოს სიბერის, შიშისა და სიკვდილის ხსენებისგანაც კი იცავდა ქალი, თითქოს ასე სურდა მისთვის ბედნიერების მინიჭება, მაგრამ მაინც ვერ შეძლო.

„ჯამუში“ აღწერილი ამბის მსგავსია ნოველა „ქართული ჩაბალახის“ ეპიზოდი, როცა ქართველი ჯარისკაცი, რომელიც მისი სამშობლოს სიმბოლოდ და მოგონებად დედის მიერ გამოტანებულ ქართულ ჩაბალახს ატარებდა, ასე მიმართავს თანამებრძოლს: „გურიაში დედა მყავს მოხუცებული, მე არ მინდა ჩემი სიკვდილი გაიგოს დედა, დაე,

იცოცხლოს კიდევ ცოტა ხანს, ცოცხალთა შორის მიგულოს ეგების.“

დიდების ბრწყინვალე მარაგანდვით მოსავს დედას კ. გამსახურდია ნოველაში „დედავ, მისტიურო ქალო!“, სადაც ავტორმა შესანიშნავად გამოხატა საკუთარი გულის ნადები. მის ფიქრებში ზღაპრული, მართლაც მისტიური ფერებით იხატება შემოქმედის დედა, უბრალო, მაგრამ საოცარი სულის სპეტაკი ადამიანი, რომელმაც სამშობლოს გენიოსი მწერალი აღუზარდა. უძველესი ავესტას მოხუცი მოგვის თვალებით შემოსქერის ის მის პირმშოს, რომელიც სინათლის მწვერვალებისაკენ აუსროლია, ძუძუებიდანაც სინათლე უწოვებია მისთვის. ეს მას უბიძგებია სიმაღლისაკენ შვილისათვის, მეშვიდე ცის იღუმალებისათვის უზიარებია იგი. ავტორი ცდილობს, გადალახოს მასა და დედას შორის არსებული ზღვარი, რომელიც ბავშვის დაბადებიდან სულ უფრო და უფრო იზრდება და ბოლოს მათი საბოლოო დაშორებით მთავრდება. „მინდა ვიტყვო, რომ მე ასე ახალგაზრდა ვარ, ასე მოხუცი დედა მყოლია. კითხულობ ჩემს ნაწერებს, გული მტკივა: ჩემი არ გესმის. მომეცი ხელი შენ მიწასთან უფრო ახლო ხარ, მაქამე მიწა ნაციები და ნესტიანი,“ — მიმართავს იგი დედას — ბუნებასა და ადამიანს შორის დამაკავშირებელ მარადიულ ძალას — და საოცარი პოეტური ნიჭითა და მუსიკალურობით შექმნილ ნოველაში კვლავ გაისმის „რეკვიემი“ დედის უკვდავი სულის სადიდებლად, რომელსაც ასე მიმართავს შემოქმედი ლექსში „ისლის სახლი“: „შენ მაჩვენე მზის სიახლე და ზღაპრების მხარე.“ ჩემი სისხლი შენსკენ იწევს, ჩემი სისხლი ჩქარი“..

კ. გამსახურდიას თავისი ლექსის ნაწყვეტი წაუშმღვარებია ნოველისათვის „დამსხვრეული ჩონგური“:

„-ველარ ვნახე შენი სახე, ველარ მოგისწარი.

ისლის სახლი, ისლის სახლი, ქარი, ქარი, ქარი...“

„დედა ოდიშურ რიკულებიან აივანზე ჩონგურს უკრავდა,“ ბიჭუნა კი რიკტაფელს თამაშობდა. რამდენი სინაზე და სიყვარულია ჩაქსოვილი გამოთქმაში „გულო, აქ მოდი!“ „შენი მხიარული ყიჟინა მელირსა, და რაღად მინდა ეგ მტირალა ჩონგური?“ — ამ სიტყვებით დაამსხვრია ჩონგური ცრემლმორეულმა. — და აი, რა გაიგო გადიასგან უკვე წამოზრდილმა ბავშვმა: „ჩონგური უჩუქნია თურმე დედისთვის აგურისფერჩოხიან მამაკაცს, რომელიც მისი სიყვარულისათვის სატევრის წვერზე წამოეგო. ქალი სხვაზე გაუთხოვებიათ. ქალს უნუგეშო სიყვარულის ვარაშს უქარებდა თურმე ფერად სადაფებით მოოქვილი

ჩონგური.“ ამით დადასტურდა უდიდესი ჭეშმარიტება, რომელიც ცხადია ყველა სალადმოაზროვნე ადამიანისათვის, არ ასებობს დედ-შვილურ სიყვარულზე ძლიერი გრძნობა, მასთან თვით უსაბუთო და უმტკიცესი ქალვარული სიყვარულიც კი არაფერია. სწორედ მან დააიწყო დედის დაღუპული გულისსწორი, რადგანაც ქალის სიცოცხლის არსი, მიზანი და შედეგი შვილის ბედნიერებაზე ზრუნევა. „განა შენ არ შემაყვარე შენი ნამზითი „ვეფხისტყაოსნის“ სიტყბო?“ — მიმართავს მწერალი დედას და ამ მეტად ლამაზი ნოველის ბოლოს კვლავ გაისმის ცრემლიანი რეკივით „ვაჟე, შენმა სიკვდილმა ჩემი გული ისე დაამსხვრია, როგორც ჩემდამი სიყვარულმა შენი მტირალა ჩონგური. უძილო ღამეების საშინელი მელანქოლიით დასეტყვილი დღე და ღამე ფეიქრობ, დედიკო, შენთვის. სიხარული გაეყარა ჩემს სულს, დემარტოხელდი — და არ მესმის, როგორ იქნება, რომ ჩემი ხმა შენ ველარ მოგეწოდეს? როგორ იქნება, ძვირფასო დედა, რომ ჩვენ გაგეთიშოს თუნდაც სიკვდილმა?“

კ. გამსახურდიას აზრით, დედობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ამიტომაც იყო, რომ მწერალმა დედად ვერ წარმოიდგინა ვერც ლუიზა, ვერც ლილ, ვერც მადამ რასტრუბი თუ სხვები. ამიტომაც აკლია მათ ქალურობას ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი თვისება — დედობრივი სინაზე. მწერლის უდიდესი სიყვარული საკუთარი დედისადმი, ღრმა პატივისცემის შეგრძნება მის მიმართ გასდევს ყველა ნასწარმოებს „ქოსა გახუში“ დედას მოწიწებით იფიცებს ისეთი ეშმაკი და ქამელეონი პიროვნება, როგორიც ტაგუ რამუგაა და ეს სიტყვები უშვინდეს თილისმად არის წარმოდგენილი ყველგან. „ფიცოდი, ჭანსულ აგირბა აუგად არ დაიფიცებდა დედის სულს“, აუცილებლად მოიკლავდა თავს, — ამბობს ავტორი. აღსანიშნავია, რომ ამ ფიცის უდიდესი ძალის ზეგავლენის ქვეშ არიან თვით მეფეებიც კი (რომანებში) და ასეა ალბათ ყოველი ადამიანისათვის. „ამაღამ დედაჩემი თუ ვნახე სიზმარში, ყოველივე კარგად იქნება,“ — წერს შემოქმედი ნოველაში „ჩამუ“ და უეცრად გვაგონდება ვახტანგ ურდოელის („ვერობა გალიაში“) დედის მონატრება, მისი და თარაშ ეზვარის („მთვარის მოტაცება“) საოცრად ლამაზი ოცნებები დედანზე.

საქართველოა განსაზიერებული იმ მოხუც დედაში (ნოველა „დიდი იოსები“), გულამოსკენილი რომ ტიროდა გაქურდული, მაგრამ ვის ეცალა მისთვის. „გერმანელების ეკლესიის ეზოში ბაღის სკამზე დაესვა ვილაცას იჯდა და სტიროდა ჩუმად, ადგილის დედას მიაგავდა

საქართველოსას, საკუთარი შვილების მიერ გაძარცვულსა და ყელგამოჭრილს.“

ნოველებში ეპიზოდურად გაივლებს ეფემიასა („დათვი“) და უბრალო რუსი ქალის — მარიას („ვერცხლის ბეჭედი“) სახეები, რომლებიც სიუჟეტური ქარგის უფრო მეტი სიცხადით გამოხატვას ემსახურებიან. მუდამ ბიბლიის კითხვაში გართული, ავადმყოფების შზრუნველი, მოფუსფუსე უბრალო მოხუცი ქალია მარია, რომელმაც ორ ქართველ ვაჟაკს (და არა მარტო მათ) შეუნარჩუნა სიცოცხლე.

სასიქადულო ქართველი პოეტის კოტე მაყაშვილის ქალიშვილის — მაროს ამბავი გაივლებს ნოველაში „დიდი იოსები“. აი, რას უაზრობს სტუდენტი იოსებ: როცა თბილისს მეთერთმეტე არმია მოადგა, კოჭრის მიდამოებში „—მანქანები იბრძოდნენ თხუთმეტი დღე. ჩემს თვალწინ სანიტარულ ეტლს დაეცა ყუმბარა და თვრამეტი წლის ქალწული, შროშანივით ნაზი არსება, ჭიანჭველასაც რომ არ გასრესდა ფეხით, აიტაცა ასეთმა ყუმბარამ და იმ ადგილზე მხოლოდ ადამიანის სხეულის ნამუსრევები ვიპოვნეთ მერე.“ თუმცა ქალის ეინაობა მითითებული არაა, მკითხველი ადვილად შეიცნობს მასში მარო მაყაშვილს, საქართველოსთვის წამებულ გმირ ქალიშვილს.

ქალთა სახეები კგამსახურდიას ესეებში

„ქალი - ყოველი არსის გვრგვინა“ -

გოგოე

ქალი, როგორც სიცოცხლისა და შემოქმედების წყარო, მეტად მიმზიდველად იხატება კონსტანტინე გამსახურდიას ესეებში ნიჭიერი კრიტიკოსის თვალთახედვით იმზირება ავტორი მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში და მისი საიდუმლოებების იდუმალ ხვეულებს სწვდება. კონსტანტინე გამსახურდიას განსაკუთრებით იზიდავს ის ქართველი თუ უცხოელი სიტყვის ოსტატები, რომელთაც გარკვეული კვალი დაამჩნიეს მსოფლიო კულტურის საგანძურს.

მსოფლიო ლიტერატურის კორიფეთა ნაღვაწის მიმოხილვას კონსტანტინე გამსახურდია შოთა რუსთაველით იწყებს „აპოლოგია რუსთაველისა“ გამსკვალულია უდიდესი სიამაყის გრძნობით. მწერალი აღფრთოვანებულია, რომ რუსთაველის გენიას გაუოცებია მთელი კულტურული მსოფლიო. „შვიდი საუკუნის მანძილზე იდგა ბნელში ქართული პოეზიის იგავიუწვდომელი ორფეოსი, პოეტთა შორის ბრძენი უდიდესი, ბრძენთა შორის მოძღვართმოძღვარი“, — წერს კონსტანტინე გამსახურდია და მიმოიხილავს იმ ზოგადსაკაცობრიო საკითხებს, რომელთა წყალობით „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო რენესანსის საწყისად არის მიჩნეული.

თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ ძლიერაა გამოხატული ქალის კულტი, კონსტანტინე გამსახურდია ცალკე არ ეხება პერსონაჟ მანდილოსნებს იგი მიმოიხილავს იმ უნივერსალურ ადამიანურ გრძნობებს, რომლებითაც უზვად არიან დაჭილდოვებული პოემის გმირები მათ შორის უმთავრესია სიყვარული. ქალი, როგორც მიზეზი და წყარო ამბავლებელი, წმინდა გრძნობისა, მიჯნურობაში განმსაზღვრელი ფიგურაა. კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, ადამიანის სულის ეს მშვენიერი თვისება რუსთაველთან პლატონური გაგებითაა წარმოდგენილი. „პლატონისათვის სიყვარული ბიოლოგიური, გრძნებითი საწყისი როდია, არამედ მშვენიერის, სიქველის ჭვრეტისა და შეცნობის ეროსი“, — აღნიშნავს იგი.

კონსტანტინე გამსახურდია სიყვარულის საკითხში მეტად საინტერესო პარალელებს ავლებს რუსთაველსა და ისეთ მსოფლიო კორიფებს შორის, როგორიცაა ლეონარდო და ვინჩი, ჰომეროსი, დანტე იგი აღნიშნავს, რომ, დასახელებულ მოაზროვნეებთან შედარებით, რუსთაველთან „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები „გაღმერთებულნი როდი არიან, არამედ თხემიდან ტერფამდე ადამიანური ვნებებით აღჭურვილნი“ წარმოგვიდგებიან და ყოველი მათგანი დაბატულია, „როგორც ასტრალური არსება, ან ღვთაების თანაზიარი“. ეს სიტყვები თავისთავად ეხება პოემის პერსონაჟ ქალებსაც, რომლებიც არც უფლებრივად, არც გარეგნულად და სულიერად არ განსხვავდებიან მამაკაცებისაგან, პირიქით, ერთგვარი უპირატესობაც კი აქვთ მინიჭებული, როგორც მშვენიერების, კდემამოსილ სიმბოლოებს, რომელთათვის თავდადება უდიდესი პატივი და ღირსება იყო ყოველი რაინდისათვის.

„მწერალთა გენია სხვა რაღაა, თუ არ უაღრესად თანადროულობასთან ერთად მარად უკვდავი დარჩეს კაცთა ხსოვნაში“, — აღნიშნავს კონსტანტინე გამსახურდია „დანტე ალიგჰიერიში“ და ნაშრომის IV თავს უძღვნის ფლორენციელი გენიოსის გულის სწორს, შემოქმედების სათავეს, შთაგონების წყაროსა და ღვთაებრივ ქალს — ბეატრიჩეს, რომელიც „ღვთაებრივი კომედიის“ ერთ-ერთი მომხიბლავი სახეა. „დანტე - მკვლევართა შორის თვით დანტეს მუზა და მისი პირველი მიჯნური ბეატრიჩეც დღემდის დაუცხრომელი პოლემიკის საბაბადაა გამხდარი. ბეატრიჩეს სახელი დანტეს შემოქმედების თავკიდურია და ისტორიკოსთა მიერ წარსულის ზუსტი და ექვემოთნეული შეცნობა თუ რამდენ სიძნელესთანაა დაკავშირებული, ამის საბუთად თუნდაც ბეატრიჩეს სახელის გარშემო ატეხილი კამათიც კმარა“.

მიმოიხილავს რა დანტეს მკვლევართა აზრებს, კ. გამსახურდია იზიარებს სკარტაცინის შეხედულებას, რომ ბეატრიჩე რეალური პიროვნებაა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა დანტეს ცხოვრებაში. ამის დასამტკიცებლად ამ დიდი იტალიელი მწერლის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „ვიტა ნუოვა“ ანუ „ახალი ცხოვრებაც“ კმარა.

როგორც კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს, არ არის მთავარი, რა ერქვა შემოქმედის ტრფობის ობიექტს, ვინ იყო იგი, მართლაც თუ იყო ისეთი ზებუნებრივი არსება, როგორც „ღვთაებრივი კომედიის“ კეთილი სულიც უმთავრესია, რომ „ბეატრიჩეს სახელთან დაკავშირებულია დანტეს მთელი შემოქმედება, რომელიც XIII საუკუნის სიბნელიდან ანათებს ჩვენს გულებს მარადუამულად მოგიზგიზე ცეცხლის მთიებით“.

ეს იყო იდეალური ქალისადმი ტრფობის ძლიერება, სიყვარულის უსაზღვრო ენერგია, რომლითაც სუნთქავს ყოველი სტრიქონი და ფრაზა „ღვთაებრივ კომედიაში“. ამ სპექტაკი მიჯნურობის სიმაღლიდან, ნათელი ჰუმანიზმით ნასაზრდოები პიროვნული ღირსებების თვალთახედვიდან არის დანახული ადამიანური პრობლემები, ცხოვრების წერილმანი ნიუანსებიც კი.

კონსტანტინე გამსახურდია თავისებურ პარალელს ავლებს დანტე ალიგიერსა და შოთა რუსთაველს შორის აღნიშნავს რა განსხვავებას მათ შორის, ასევე აცხადებს, რომ „ერთ რამეშიც უცილოდ ჰგვანან ურთიერთს რუსთაველი და დანტე, ორივეს პოეზიის პირველადი სტიმულია მარადქალური ელემენტი (L'elernel Feminin). ეს არის მხოლოდ, რუსთაველი უფრო ფხიზელია, ასე ვთქვათ, უფრო პოზიტიური. დანტეს ტრფიალი ამ მარად ქალურისადმი უკვე რელიგიურ ექსტატიურობაში გადადის.“ ქალისადმი ტრფობაა ამ ორი გენიოსის შემოქმედების საფუძველი. მათ სიყვარულის პლატონური გაგებაც აერთიანებთ. ქეშმარიტი მიჯნურობის დამახასიათებელი მათთვის არის „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა.“

დანტესა და რუსთაველის ურთიერთშედარებისას კონსტანტინე გამსახურდია მიმოიხილავს რენესანსის პერიოდის საზოგადოების თავისებურებებს. აღნიშნავს, რომ უმთავრესი ამ დროს იყო სწრაფვა ადამიანის პიროვნების თავისუფლებისაკენ და ეს უპირველესად სუსტი სქესის წარმომადგენლებს შეეხო. „განსაკუთრებით საყურადღებოა ქალის გათანასწორების იდეალი“. იტალიაში ქალები სწავლობდნენ, მეცნიერებას ეუფლებოდნენ, ეს განსაკუთრებით ითქმის ფლორენციაზე. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ქვეყნებზეც, სადაც კი მაღალია რენესანსის ძლიერმა ტალღამ „ცხადია, ბერძნულ და ირანულ კულტურათა შემდეგ არაბულმა მოახდინა ზეგავლენა ქართულ კულტურაზე, ასე რომ, საცხებით ბუნებრივად რენესანსული მსოფლიო გაგება უთუოდ იტალიაზე ადრე საქართველოში დაიწყებოდა. ამ რენესანსული იდეების ასპექტში საცხებით გასაგებია თამარის მეფედ გახდომა და რუსთაველის „ლეკვი ლომისა სწორია“, ან თუნდაც ის ფაქტი, რომ დანტეცა და რუსთაველიც ქრისტიანული ასპექტიზმის საუკუნეებში ქალის დეეფიკაციას რომ ბედავენ“. თუ იტალიელი ქალები XIV-XV საუკუნეებში იჩენენ მომეტებულ აქტივობას პოლიტიკასა და ლიტერატურაში, ქართველებს ამ დროს უკვე ამის დიდი ტრადიცია ჰქონდათ. თამარის გამეფების ფაქტიც ქართული სინამდვილისათვის

მაშინ მოულოდნელი არ იყო. თუ მანამდე ქალის მეფობა ისტორიაში არ დასტურდება, მანდილოსნებს მაინც ენიჭებოდათ განმსაზღვრელი როლი.

თუ დანტეს ბეატრიჩე იდეალიზირებული ღვთაებრივი სახეა, რომელსაც მწერალი არა თუ მაშაქაც უთანასწორობს, არამედ მასზე წინაც კი აყენებს, რუსთაველის ქალები უფრო იდეალური თვისებებით შემკული მიწიერი არსებებია, რომლებიც პირისპირ შესცქერიან რაინდებს. დანტესათვის ადამიანი ორჯერ იბადება, მისი მეორედ მოვლინება არის ქალისადმი სიყვარული, რის შემდეგაც მისთვის „ახალი ცხოვრება“ იწყება.

ბეატრიჩეა ის ქალი, რომელიც საწყისია დანტე ალიგიერის მართლაც ღვთაებრივი შემოქმედებისა, იგია არსი მწერლის სიცოცხლისა და მარადიული სულიერი მეგზური, რომელმაც საიქიო მოატარა პოეტს და მისივე დახმარებით მან „ღმერთი იხილა“. მწერალი ხოტბას ასხამს ქალის სიყვარულს, „რომელიც ძალას აძლევს მზესა და ვარსკვლავებს“. ალბათ არც ერთი შემოქმედი არ დარჩენილა სიყვარულის ყოვლისშემძლე გავლენის გარეშე... და სწორედ ამის შედეგია არაერთი საოცარი ხელოვნების ნიმუშის არსებობა, რომლებიც კიდევ ერთხელ გვიდასტურებენ ადამიანის შესაძლებლობების უსაზღვროებას, რადგან „სიყვარულია თავად ღმერთი ამქვეყნად“, — უთქვამს დიდოსტატს არც გოეთე დარჩენილა ამის გარეშე, გოეთე — რომელსაც აღმერთებდა კ. გამსახურდია.

აღოჩინების ხანის უბრალო ქალის სახეებს ხედავს კონსტანტინე გამსახურდია ლეონარდო და ვინჩის შემოქმედებაში „როგორც პოეზიაში დანტემ, ფერწერაში ლენარდომ წამოაყენა წინ დიდი პრინციპები ადამიანობისა, ჰუმანიზმისა“, — წერს კონსტანტინე გამსახურდია ნაშრომში „ლეონარდო და-ვინჩი“, — „ლეონარდოს „წმ ანნა“, რომელიც ბატკანთან მოთამაშე იესოს ზედ დასცქერის, არც მის ზემოტანის ხორცშესხმულობაში, არც მის სახეზე, რომელსაც ღიმილი შესდგომია თვალის გუგებში, ტუჩპირის მახლობელ კუნთებში, არაფერია „წმინდანური“, ასე შეეძლო რომელიმე ფლორენციელ უბრალო ქალს გაეღიმა, რაიმე საამური სანახაობის მაცქერალს.“

რა გავლენა უნდა მოეხდინა ფრანჩესკო დელ ჯოკონდას ცოლს ლეონარდო და-ვინჩის სულზე, რომ საოცარ მხატვარს უკედავი „ჯოკონდა“ შეექმნა, ქალის სახის ის მიმიკა დაეჭირა, რომელსაც არც ღიმილი ჰქვია და ვერც იმას ვიტყვით, არ იღიმებაო, ეს არც

სანდომიანი გამოხედვაა და არც ირონია, ის უფრო ადამიანის სულისა და სახის ისეთი გამოხატულებაა, რომლის შესატყვისი სიტყვები არ მოიძებნება და მხოლოდ ვიზუალურად უნდა აღვიქვათ და მხატვრულ ტილოზე შევიგრძნოთ. —და აქ უცებ გვაგონდება ლეონარდო და ვინჩის ფრაზა: „—თვით ოცნებაც ვერა ხედავს ისეთ შესანიშნავ საგნებს, როგორსაც თვალში—“

არაერთი შემოქმედის ფანტაზია აუფორიატებია „ჯოკონდას“. დღემდე არ წყდება კამათი, რატომ და რას უღიმის ჯოკონდა და საერთოდ არის თუ არა ეს ღიმილი. კონსტანტინე გამსახურდია, წამოაყენებს რა საკუთარ ვერსიას, აღნიშნავს: „ეკლესიისა და არისტოკრატიის მიერ დადგენილი ეტიკეტები ნებას არ აძლევდნენ „წარჩინებული კაცის“ ცოლს ფრივოლური განწყობილება გაემჟღავნებინა, მაგრამ რენესანსის ჟამინდელ მხატვარი შეუჩნდა მას და მოჰგვარა ისეთი ღიმილი, რომლითაც დასცინის იგი როგორც გამოშვრალ ეკლესიურ დოგმებს, ისე აზნაურულ ეტიკეტებს“. ქალის რენესანსული თავისუფლების გამოხატულებად მიიჩნევს კონსტანტინე გამსახურდია ლეონარდოს „მადონა ბენუა“-საც, რომლის სახეზე გამოსჭვივის ის ხალისი და სიკასკასე, „რომლითაც ახალგაზრდა დედა შესციცინებს თავის პირმშოს“.

აშკარაა, რომ შორენასა და დედისიმედის მხატვარი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მკითხველისათვის ქალის კოლორიტული მკვეთრი ფიგურის ჩვენებას.

„მისი ბიოგრაფია ისევე საინტერესოა, როგორც მისი პოეზია“, — წერს კონსტანტინე გამსახურდია და კრიტიკულ წერილს, რომელსაც „ჯორჯ ბაირონ“ ჰქვია, ეპიგრაფად გოეთეს სიტყვებს წაუძღვარებს: „შეხედეთ მას, არავის ქვეშევრდომია იგი“. მართლაც არავის ქვეშევრდომი ყოფილა ბობოქარი სულის პოეტი. ის მხოლოდ საკუთარი იდეებითა და მიზნებით ცხოვრობდა და თავისუფლებას დანატრებული, ჭერ მიულწვევლსა და ხელთუქმნელზე მეოცნებე, საოცარ სიურპრიზებს უწყობდა თანამედროვე ინგლისის საზოგადოებას. ეს ნიჭიერი პოეტი არა მარტო სიცოცხლეში, არამედ გარდაცვალების შემდეგაც ხშირად გამზდარა ჭორისა და ათასგვარი მითქმა-მოთქმის საბაზი, ახლაც იდუმალებითაა მოცული მისი პიროვნება და თუმცა კონსტანტინე გამსახურდია წერს, რომ „ბაირონის ტემპერამენტი უაღრესი სიზუსტით შესწავლილია როგორც მისი ბიოგრაფიის, ისე პოეზიის

მიხედვით“, ბევრი რამ არის აუხსნელი ამ გენიოსი შემოქმედის ცხოვრებაში, ქცევაში თუ ფსიქოლოგიაში და დღესაც კამათის მიზეზადაა ქცეული.

უდიდესი პოეტური ნიჭითა და მშფოთვარე ცხოვრებით ჯორჯ ბაირონი მისი თანამედროვე ინგლისის საზოგადოების მთავარი გმირი იყო. ამას მისი არისტოკრატიული წარმომადგელობა უწყობდა ხელს. იგი მუდამ პოპულარობით სარგებლობდა და განსაკუთრებით ქალთა საზოგადოების ყურადღების ცენტრში იდგა. მშვენიერი სქესის წარმომადგენლებთან მას თავისებური ურთიერთობა ჰქონდა. ამან წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო პოეტის ცხოვრებაზე, არამედ შემოქმედებაზეც და განმსაზღვრელი როლი ითამაშა ბრწყინვალე პოეტური ქმნილებების შექმნაში.

პირველი ქალი, რომელმაც ზეგავლენა იქონია ჯორჯ ბაირონის ცხოვრებაზე, მისი პიროვნების ფორმირებაზე, იყო დედა — შოტლანდიელი გორდონების გვარის წარმომადგენელი, კატარინა, სტიუარტების შორეული ნათესავი. იგი ფრიად ექსცენტრიული ქალი ყოფილა, რომელიც მუდამ დიდი გულისწყრომითა და რუდუნებით ეპყრობოდა შვილს. ამიტომაც ბაირონი დედას ვერ შეეგუა. ისინი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს ხასიათით. დედა თავგამოდებით ეჩხუბებოდა თავნება შვილს, მაგრამ მალე იძულებული ხდებოდა, გამოსარჩლებოდა ჩარჩ-ებრაელების ხელში ჩაეარდნის პირშოს. ბაირონის წარმოდგენაში, მიუხედავად ცუდი ურთიერთობისა, დედა მაინც ავტორიტეტი უნდა ყოფილიყო. ის შვილის მკაცრი კრიტიკოსიც იქნებოდა. როცა პოეტმა 1806 წელს გამოსცა პირველი ლექსების კრებული, „ძლიერ მოწადინებული იყო: როგორმე დედამის არ ჩავარდნოდა ხელში...“

9 წლის ჯორჯს პირველი რომანი ჰქონდა მის ნათესავთან, შოტლანდიელ შერი დუფფთან. ჯერ 16 წლისაც არ იყო, როცა მწარედ განიცადა გულის სწორის გათხოვება. „ეს სიყვარული სიკვდილამდის არ გამქრალა ბაირონის გულში. საბერძნეთის გათავისუფლების უბადლო გმირი სამიჯნურო ბარათებს უგზავნის თავის ბავშვობის სატრფოს“.

„მერი დუფფთან გამიჯნურების დღიდან სიკვდილამდის უდიდეს ზეგავლენას ახდენენ ქალები არა მარტო ბაირონის გულზე, მის ბედისწერაზედაც“, — წერს კონსტანტინე გამსახურდია, — „უხეშად, უდიერად ექცეოდა იგი თანატოლების უმრავლესობას, სამაგიეროდ ვისაც გულს გაანდობდა, ისეთივე სინაზით და რუდუნებით ეპყრობოდა,

როგორც თავის ნათესავ ქალებს“.

1803 წელს 15 წლის ჯორჯი ეცნობა ნიუსტიდში მისი კოშკის მახლობლად მცხოვრებ მერი ჩევორსს, რომელიც ღვიძლი შვილიშვილი იყო იმ აზნაურისა, „დაწყველილ ლორდს“ რომ შემოაყვდა ღუელში. 18 წლის დანიშნული ქალიშვილისა და ბაირონის ამბურულმა ურთიერთობებმა ათასგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. უცმაცოფილო იყო ჯორჯის დედაც. როცა მერიმ ბაირონს სახსოვრად ბეჭედი აჩუქა, ამან უთანხმოება ჩამოაგდო პოეტსა და ქალის საცმკროს შორის.

ერთი წლის შემდეგ მერი და ჯორჯი ერთმანეთს დაშორდნენ. ისინი ბოლოს ენსლეის სერზე შეხვდნენ. „გვიან, თავის ლექსში „სიზმარი“ ლორდ ბაირონმა გამოამჟღავნა ის საშინელი გულისტკივილი, რომელიც მერი ჩევორსთან გაყრამ მოჰგვარა პოეტს. ამ უიმედო სიყვარულმა ძირეულად შეუცვალა გუნება ჯორჯს“.

მერი ჩევორსის შემდეგ ბაირონი უახლოვდება თავის ნახევარ დას ავგუსტას, რომელიც „პოეტის მეგობარი და მესაიდუმლე იყო ბაირონის მთელი სიცოცხლის მანძილზე“. თუმცა კონსტანტინე გამსახურდია ნაწილობრივ იზიარებს პოეტის თანამედროვეთა შორის გავრცელებულ აზრს, რომ დაძმას შორის სამიჯნურო ურთიერთობა იყო, მაინც ეს ნაკლებად სარწმუნოა როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა ჰქონოდა ქალებთან გენიოს პოეტს, მაინც დაუჭერებელი ჩანს მისი და ავგუსტას მიჯნურობა. ამ ქორის მიზეზი ბოროტი ენები და მოშურნეთა მითქმა-მოთქმა იყო ალბათ.

1807 წელს საუსეველს ჩასული ბაირონი სწავლის ნაცვლად სამიჯნურო ავანტურებს მართავს „განსაკუთრებით მერი ჩევორსის უნუგეშო სიყვარულის შემდეგ ცინიკურად ეპყრობოდა ლორდ ბაირონი ქალთა სქესს, მაგრამ საზოგადოებაში ძლიერ მორცხვი იყო: არ უყვარდა საზოგადოება, არც საზოგადოებას უყვარდა მაინცდამანიც თავხედი და ექსცენტრიული ლორდი, რომელსაც ცა ქუდად არ უჩანდა და დედამიწა ქალაქმად“.

პოეტის გარშემო ქორების ორომტრიალი კიდევ უფრო გამჟღავნდა, როცა ლონდონელი არისტოკრატია დაინტერესდა იმ იდუმალი ახალგაზრდა ქალწულით, რომელიც ქაბუყის ტანისამოსში გადაცმული დაჰყვებოდა ბაირონს სანადიროდ, საჭეიფოდ და გასართობად ამ ორომტრიალიდან იგი თავისი ლექსების კრიტიკამ გამოარკვია და წერს გესლიან ლექსს — „წვრილფეხა კრიტიკოსებს“.

1808 წელს ნიუსტიდის კოშკში დაბრუნების შემდეგ პოეტმა

მოინახულა გათხოვილი მერი ჩევორს. ამ შეხვედრას მიუძღვნა მან ლექსი „ბედნიერი ხარ“. ზოგიერთი ბიოგრაფის ცნობით, მიჯნურები კიდევ ხედებოდნენ. ამის შედეგი იყო ლექსი „ქალს, რომელიც მეკითხებოდა: რატომ მივდივარ მე ინგლისიდან“.

მოგზაურობისასაც არ დაჰკლებია ბაირონს მანდილოსანთა ყურადღება, „ლორდის ფორმაში გამოწყობილი ბრწყინვალე დენდი ცხენს დააჯირითებს პროსპექტზე და პორტუგალიისა და ესპანეთის სატახტო ქალაქების ულამაზესი ქალები აღტაცებაში მოჰყავს“. იერეც დე ლა ფონტერაში უმიჯნურდება ადმირალ კორდოვას ქალს, მალტაში კი — მადამ სმის, რომელსაც ვენეციაში გაათვრებული ეარშიყებოდა ნაპოლეონი. სმისისადმი სიყვარული ბაირონმა „ჩაიღო ჰაროლში“ უკვდავყო.

მთელი ცხოვრება დასტიროდა ბაირონი მერი ჩევორსის გაუმართლებელ სიყვარულს „მერი ჩევორსის სიყვარულმა შესაძლოა ისეთი დანაშაული ჩამადენინოს, რომელიც ჩვენს საუკუნეს უთუოდ გააოცებსო“, — წერდა იგი თავის მეგობარს 1811 წლის 11 ოქტომბერს და ამავე დღეს დაუწერია ლექსი ვინმე ტირცასადმი. ამ პიროვნებას პოეტი ხშირად უძღვნიდა ლექსებს, მაგრამ მისი ვინაობა დღემდე გაურკვეველია. „ტირცას ხსენებაზე ბაირონი საოცრად აენთებოდა, უჩვეულოდ დელაევდა“. თომას მურის ცნობით, ტირცა იყო მერი ჩევორსი, რომელსაც აღმოსავლეთიდან გამოგზავნილ ლექსებსა და ბარათებში იხსენიებდა მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალი არც ფიზიკური სილამაზით, არც გონებრივი მონაცემებით გამორჩეული არ ყოფილა, პოეტს მაინც მისი უზომო სიყვარული ჰქონდა. როგორც კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს, „მერი ჩევორსის სიყვარულით გამთბარია ბაირონის ლირიული შედევერები და საუკეთესო ეპიური ქმნილებანი“. „როცა ჩემ ცოლზე ჭვარს ვიწერდი, საკურთხეველთანაც მერი ჩევორსის ლანდი თვალწინ მედგაო“, — ამბობდა პოეტი. სწორედ მერისთან სიყვარულის ნაყოფი იყო მედორა, რომელიც ავგუსტამ იშვილა. გოგონა ძალიან ჰგავდა თურმე ჟორჟს.

1812 წელს ბაირონი ცოლად ირთავს მისს ანნა იზაბელლას მილბენკს. ქალი მოელოდა, რომ გარდაქმნიდა პოეტის ცხოვრებას. მან იცოდა ბაირონის წარსული, მისი სასიყვარულო ისტორიები, ეგონა ყველაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ ჭერისწერის მეორე დღესვე ქმარმა განუცხადა: შურისძიების მიზნით დავიწერეო ჭვარი.

ქორწინების შემდეგ „ებრაულ მელოდებში“ კვლავ იელვა მერი ჩევორსის სახემ. შემოქმედი მალე გამოუტყდა თავს, რომ ის არ იყო

შექმნილი ცოლქმრული ცხოვრებისათვის. მან მიატოვა ფეხშიმე მეუღლე და ლონდონს წაეიდა, რათა კვლავ განეგრძო ძველებური ცხოვრება.

ამტყდარმა ოჯახურმა ორომტრიალმა, კვლავ საშინელი ჭორები წარმოშვა საზოგადოებაში. ბაირონი ეცადა, საქვეყნოდ ემართლებინა თავი, მაგრამ ავეგუსტას, მედორასა და მერი ჩევიორსის სახელის გატებას მოერიდა. ყველაფერი დასრულდა 1817 წელს ცოლთან განქორწინებით. თუმცა ავეგუსტა და ლედი ბაირონი შერიგდნენ, სიტუაცია მაინც არ უმჯობესდება და პოეტი ინგლისიდან მიდის.

სწორედ ამ პერიოდში ბაირონთან დაახლოებას ესწრაფვის მწერალ გოდვინის ქალი — კლარა, რომელსაც პოეტი ხედება ჟენევაში შელისთან ერთად. აქვე გაიცნო მან მადამ დესტად, თუმცა არ მოსწონდა იგი. პოეტს მელანქოლია ეძალება. მიდის იტალიაში, სადაც კვლავ გართობას ეძლევა. „ქალები ორნაირ დამოკიდებულებას იჩენენ მისდამი, ერთნი არ მალავდნენ თავიანთ აღტაცებას „დონ ჟუანის“ ავტორისადმი, მეორენი — თავიანთ აღშფოთებას და „შოკინგს“, — წერს კონსტანტინე გამსახურდია და არა ერთი მაგალითი მოყავს პოეტის „დემონური“ ზეგავლენისა მშვენიერთა სქესზე.

ვენეციაში მუშაობდა პოეტი „ჩაილდ პაროლზე“, აქვე წერს „ოდას ვენეციისადმი“, ასრულებს „დონ ჟუანს“, „მაზეპას“ და სხვა ლექსებსა და პოემებს. მის ამდროინდელ შემოქმედებასაც ეტყობა ქალების ზეგავლენა. პოეტი ებმება სასიყვარულო თავგადასავლებში ტერეზა გვიჩიოლისთან. ალბათ ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ რავენაში ბაირონი დაინტერესდა იტალიური ენითა და კულტურით. თარგმნის დანტეს „ჯოჯოხეთს“. ბაირონი ძლიერ გაიტაცა მშვენიერმა ტერეზამ ის ამ იტალიელი ქალის ქმრობასაც ნატრობს, ოღონდაც იმ პირობით, რომ მისი ცოლი საზოგადოებას მოშორდეს „პოეტი აღიდებს „აზიის უშველებელ გონებას“, რომელიც ქალს პარემში ამწყვედევს და ამ გზით მას მომეტებულად აბედნიერებს“. ბაირონი ძლიერ იოლად ჭრიდა ამ საკითხს. ქალი ლამაზი უნდა იყოს. „ცოტა ცეკვა იცოდეს, ცოტა მუსიკა. ლოცვანი ხელში ეჭიროს. წირვას არ დააკლდეს, ბოსტანს მოუაროს, შინ იჯდეს და პოეზიითა და პოლიტიკით თავი არ აიტკიოს“. „ეს იყო მისთვის იდეალური ცოლის ცხოვრების დიეტა“, — ასეთ შეფასებას აძლევს კონსტანტინე გამსახურდია ბაირონის იმდროინდელ წარმოდგენებს.

ქალის სულიერი სამყაროს გავლენა ბაირონის შემოქმედებაზე

აშკარაა პირველი დანახვისთანავე. ბობოქარი ბიოგრაფიის მქონე გენიოსის მხატვრული მემკვიდრეობა მართლაც ასეთი უნდა უნდა ყოფილიყო. „მელანქოლიით გულგასენილი, იგი ულამაზესი ქალების საზოგადოებაში იქარვებდა გულის ქირს. მართლაცდა, არც ერთ პოეტს ასეთი ჭადოს-ნური ზეგავლენა არ მოუხდენია მშვენიერ სქესზე, როგორც ბაირონს... ვენეციის ულამაზეს ქალებს აცახცახებდა მის დანახვაზე... ფრად რიგორისტულად განწყობილი ლონდონელი არისტოკრატი ქალები მითქმა-მოთქმის დროს აღშფოთებაში მოდიოდნენ ბაირონის შლეგური დებოშებისა და დემონური ავანტურების გახსენებაზე, მაგრამ სათითაოდ ყოველი მათგანი გულჩათხრობილად ოცნებობდა თავზნებლადებული პოეტის სიყვარულისთვის“. პოეტზე უნუგემოდ შეყვარებულმა ლედი კაროლინე ლემბმა მწერლობას მიჰყო ხელი და დაწერა რომანი „Glenarvon“.

ქალის ტრფობა იყო პოეტისათვის წარმმართველი შემოქმედებითი ძალა. სიკვდილის წინაც, 1824 წელს, როცა ტროპიკული ციებით დაავადებული ბაირონი აგონიაში იყო, მისი ცხოვრების უახლოეს თანამგზავრებს ახსენებდა — ავგუსტას, ლედი ბაირონს, ადას, მერის და კლარას ასე დაასრულა ბობოქარი სიცოცხლე გენიოსმა პოეტმა, რომელიც „არ ეძებდა სახელს სამაგიეროდ სახელი და დიდება გამოემართნენ მის საძებრად“.

გოეთეს ცხოვრებას კონსტანტინე გამსახურდიამ ორი კრიტიკული წერილი უძღვნა — 1949 წელს „იოჰან ვოლფგანგ გოეტე (დაბადებიდან 200 წლისთავის გამო)“, 1928 წ. — „გოეტე“ და კიდევ ბიოგრაფიული რომანი 1932-34 წლებში — „გოეტეს ცხოვრების რომანი“. გარდა იმისა, რომ გატაცებით თარგმნიდა მის ნაწარმოებებს, დიდი ინტერესით სწავლობდა ბიოგრაფიას ამიტომაც არის, რომ კონსტანტინე გამსახურდია საზღვარგარეთელ მწერლებს შორის განსაკუთრებით გოეთეს შემოქმედებითაა დაინტერესებული. ის ღირსეულად აღიღებს და თაყვანს სცემს ამ ღმერთკაცს. კონსტანტინე გამსახურდია ისეთი გატაცებით წერს გოეთეზე, როგორც მოძღვრის სიდიადით გაამაყებული მოსწავლე დაწერდა მასწავლებელზე.

როგორც გამსახურდია აღნიშნავს, პირველი ქალი, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა გოეთეზე, ეს იყო მისი დედა — ფრანკფურტელი პატრიციის იოჰან ვოლფგანგ ტექსტორის ქალი — ელისაბედი. მიუხედავად იმისა, რომ ავტობიოგრაფიაში მწერალი

უფრო ხშირად მამას იხსენიებს, მას დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დედისა. სურდა, დაეწერა ამ სათნო ქალის ორესტეა, რომელიც ფრაგმენტად დარჩა დედისგან გადმოცემა შემოქმედს „საოცარი გრძნობიერება, დიდი ფანტაზია, ჩველი პოეტური გული, სიყვარული პლასტიურ ხელოვნებათა, მუსიკისა და პოეზიისადმი მძაფრი შეგრძნების ნიჭი და ნუკბარი ჰუმორი, რომლის წყალობითაც აროდეს შექმუხნილა ხანგრძლივად ამ გულით წარმართი ოლიმპიელის მაღალი შუბლი“. როგორც კონსტანტინე გამსახურდია წერს, „ჩინებული ზღაპრების მომთხრობი იყო ფრაუ აია, დიდი თეატრალი, მუსიკისა და სიმღერის ნიჭით დაჯილდოვებული, მაგრამ ერიდებოდა სცენაზე გამოსვლას, ეზარებოდა ხელში საწერ-კალმის აღება. მსახიობი ქალი კუნიკე ამოწმებს, რომ ფაუსტის არია: „ტულეს ერთი მეფე იყო“ ჯერ კიდევ გოეტეს დედას უმღერია შვილისათვის დედამ შეაყვარა გოეტეს თავისი ბავშვობა“.

დიდად უხაროდა დედას გოეტეს წარმატებები, მისი პოეტური ზრდა და მიღწევები. მის აზრს დიდ ანგარიშს უწევდა შემოქმედი ამიტომაც დედას უგზავნიდა ახალ ხელნაწერებს. „გოეტეს სიყრმის არე ისევე პოეტური იყო, როგორიც მისი დედის ნაზი და გულისხმიერი ბუნება“, — წერს კონსტანტინე გამსახურდია და გვიაზივებს, თუ რა სიამაყის გრძნობით დაესწრო დედა მაინის ფრანკფურტში ვოლფგანგის „გოტც ფონ ბელინზინგენის“ პირველ დადგმას.

უდიდესი გავლენა მოახდინა გოეთეზე დედამ მის მიერ მოთხრობილი გერმანული ზღაპრები ღრმად დააჩნდა მის ფანტაზიასა და შემოქმედებას „დედის ნაზი რუდუნებით შეფუთული პატარა ბიჭუნა“, — ასე მოიხსენიებს საკუთარ თავს გენიოსი პოეტი საოცარი სითბოთი აღსაყვს ინგლისურ და ფრანგულ ბარათებს სწერდა იგი დედასა და დას — კორნელიას. ისინი პოეტს უახლოეს მეგობრებად მიაჩნდა.

ბაირონივით მღელვარე იყო გოეთე სიყვარულში. „იგი მუდამ შეყვარებული იყო, რადგან პოეტი მუდამ შეპყრობილი, შეყვარებული უნდა იყოს, და ფანატიური სიყვარული არსობისა და საგნისადმი — პოეზიის აუღმღვრეველი სათავეა“, — წერს კონსტანტინე გამსახურდია და მართლაც, არც ერთ სასიყვარულო თავგადასავალს გოეთესთან უკვალოდ არ ჩაუვლია.

პირველად ყმაწვილი გოეთეს გული აუტოკებია ერთი მელუქნის ნათესავ ქალწულს — გრეტეს მამა განრისხებულია და აღშფოთებულია ნადრევი სიყვარულისათვის „უზნეო დაბალ პიროვნებებთან“. ყმაწვილი

ავად გამზდარა გრეტეს შემდეგ პოეტის გულში დაისადგურეს ლიზეტე რუნკელმა და შარიტას მიიქსნერმა. ამ უკანასკნელს სტუდენტი გოეთე მგრძნობიარე წერილებს წერდა მერე უკვე მამაც აღარ ერეოდა.

„სენტიმენტალი გერმანელი ბიოგრაფები, გოეთეს თაყვანისმცემლები, გასაოცარის სიზუსტით გვიხატავენ გოეთეს საყვარლებს: ამ დარგში უშველებელი ლიტერატურა არსებობს ტრივიალური სათაურებით: „გოეთეს საყვარლები“, „გოეტე და ქალები“, „გოეტეს მიჯნურობანი“, „გოეტეს სამიჯნურო უსტარები“, „გოეტე და სიყვარული“ და ასე დაუსრულებლად“.

სტუდენტი გოეტე ლაიპციგში ათი წლით უფროს ქალს უმიჯნუ რდება ეს იყო კეტჰენ შონკოფი, ლიტერატურულად განსწავლული პიროვნება, მეტად სასიამოვნო და საინტერესო მოსაუბრე. მას პოეტი „პატარა წმინდანს“ ადარებს, იზიდავს მისი სილამაზე და გონიერება. შემდეგ იწყება ჩვეული სასიყვარულო სცენები — ექვიანობა, ცრემლები, წაყიდება, კვლავ შერიგება, როგორც პირად ბარათებში ამბობს გოეთე, კეტჰენი „ანგელოსია“, თვითონ კი — „შლეგი“.

გოეთეს შემდეგი გატაცებაა ფრიდერიკე ოზერ, ხელოვნებათა აკადემიის დირექტორის ქალი. „ყვავილს ოდნავ შეუღალავს მისი მშვენიერი სახე და ამიტომ ფრიდერიკე ოზერ სწავლას დასწრადეზიდა. უწვრთნია სული მშვენიერ ხელოვნებასა და მწერლობაში“. მას უძღვნა შემოქმედმა მრავალი ლირიკული ლექსი. საერთოდ მთელი ახალგაზრდული ლირიკა საყვარლებისადმი მიმართული. ლაიპციგურ პერიოდს ეკუთვნის გოეთეს შედევერები: „ლამე“, „პეპელა“, „საქორწილო სიმღერა“, „ცვალებადობა“, „სიყვარულის სვე“, „მთვარისადმი“. მათში აშკარად ჩანს მშვენიერი მანდილოსნების სიყვარულით ანთებული პოეტის გული.

1770 წელს, კეტჰენ შონკოფის გათხოვების შემდეგ, გოეთე მეცნიერებას ეძღვება. მაგრამ აქაც თავს იჩენს ქალი. იგი თავის მეგობარ კლეტენბერგის ასულთან ერთად კითხულობს შვედ მისტიკოსს — სვედენბორგს სწავლობს ბუნებისმეტყველებას, ალქიმიას, ქიმიას, ფილოსოფიას, მიემგზავრება შტრასბურგს, უახლოვდება აქაურ ლიტერატორთა, მეცნიერთა, ხელოვნების მოყვარულთა და თეატრალების წრეს ზენზენჰაიმში შეუყვარდა გოეთეს 18 წლის გერმანელი გოგონა ფრედერიკე ბრიონ, „რომელსაც მრავალი მშვენიერი ლექსი უძღვნა ჭაბუკმა და ათეული წლების შემდეგ მოხუცი გოეტე საოცარი დეტალებით იგონებს როგორც ამ სიყვარულის დიდსა და მცირე

ეპიზოდებს, ისე ფრედერიკეს აღნაგობის ყოველ დეტალს“. ამ ბედნიერ განცდებს მიუძღვნა მისი „მშვიდობით“, „როგორ მახარებს მე ეს ბუნება“ და ხალხური სისადავით დაწერილი შედევრი — „ვარდო, ვარდო“. ამ უკანასკნელში ის ფრედერიკეს ტრაგედიას უნდა გულისხმობდეს. ლექსში ვარდი ევედრება ქაბუქს, არ მოწყვიტოს, მაგრამ იგი არ ინდობს „გოეტე აღიარებს, რომ მას უთუოდ მიუძღვოდა ბრალი, ისეთივე ბრალი, როგორიც ფაუსტს — გრეტენის ტრაგედიაში“, მაგრამ უმთავრეს დაშინებულ პოეტი ბუნებას მიიჩნევს, რადგან მას ისე შეუქმნია მამაკაცი, რომ „მარად ქალური გეზიდავს ჩვენ“.

1771 წელს გოეთე წამოვიდა შტრასბურგიდან. ფრედერიკე დარდისაგან ავად გახდა. მათი მიმოწერა ქალის სიკვდილამდე, 1813 წლამდე არ შეწყვეტილა. სწორედ მის სიყვარულს უძღვნა პოეტმა „პოეზია და სინამდვილე“.

1772 წელს გოეთე უმიჯნურდება „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანის“ გმირის — ლოტესის პროტოტიპს — შარლოტტე ბუფს. სწორედ ამავე ხანებში გაიცნო ვეცლარში ქაბუკი იერუსალემი, რომელმაც უნუგეშო სიყვარულისაგან თავი მოიკლა. სწორედ ეს გახდა მიზეზი შემოქმედის ერთ-ერთი ბრწყინვალე რომანის შექმნისა. ამ ახალგაზრდა კაცს განასახიერებს ვერტერი, ხოლო მისი გულის რჩეულს — შარლოტტე ბუფ. „ვერტერის ლოტე ალბერტზე იყო დანიშნული, ლოტე ბუფ — კესტნერზე, გოეტეც ისევე უნუგეშოდ იყო შეყვარებული, როგორც მისი ვერტერი“. სინამდვილიდანაა აღებული მეორეხარისხოვანი გმირებიც. „დარჩენილია ლოტე ბუფის პორტრეტიც. იგი სინატიფის, სინაზის და სილამაზის განსახიერებაა“. გოეთე მუდამ დიდი სიყვარულით იგონებდა ვეცლარში გატარებულ დღეებს.

მხოლოდ გოეთე როდი იყო ლამაზმანებით დაინტერესებული. ქალებიც დიდი ცნობისმოყვარეობით უპყრებოდნენ ნიჭიერ, მომხიბლავ პოეტს. „სახელოვანი მწერლები, მეცნიერები, ლიტერატორები, კომპოზიტორები, მხატვრები, ლამაზი ქალები — ყველა მოწადინებულია პირადად ნახოს ახალგაზრდა გენიოსი“. აი, როგორ წერდა მასზე ერთი არისტოკრატი ქალი: „დიდძალ სტუმრების წრეში მისი საუცხოო თვალები ოდნავ დაფანტულად რონინობენ სათამაშო მაგიდის, ორკესტრის არენასა და საზოგადოებას შორის. ხანაც საოცარი ვნებით ატოკებულ რომელიმე კვლელს ქერა ქალს ეარშვიება ეს დიდი ბედნიერებაა, თავის დროის საუკეთესო ადამიანთან ცხოვრობდე“. გოეთე საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო ყოველთვის როგორც ჩანს, მისთვის

განსაკუთრებით ფასეული იყო მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა თვალსაზრისი და წარმოდგენა მასზე. ქალებთან დამოკიდებულებაში ის ძალიან ჰგავდა ბაირონს. ჯერ კიდევ 1766 წელს მისი ერთი ნაცნობი წერდა: „მთელი მისი პოეზია და საქციელი გაზომილია მისი მოწყალე ქალბატონებისა და საკუთარი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.“

ლოტეს შემდეგ გოეთე დაინტერესდება მადამ ლაროშით, ქალბატონ იაკობით და ახალგაზრდა ქალწულ სუსანა მაგდალენ მიუნხით: „პარალელურად ლიტერატურულ და ესთეტიურ თანაზიარობას (ეგონებ ეროტიულსაც) უწევენ მას გეროკის ასულნი, რომელთაც მთელი სიცოცხლის მანძილზე შერჩათ ეპიტეტი „ჩვენ გოეტეს იდეალისამებრ შექმნილნი“, — წერს კონსტანტინე გამსახურდია. მაგრამ ყოველივე ამან პოეტს ვერ დაავიწყა შარლოტტე ბუფ. მისი ხატება საწოლ ოთახში ეკიდა პოეტს როცა ქალი გათხოვდა, პოეტს სურდა, ჩამოეხსნა „ძველი ხატი“ და დაემარხა, მაგრამ „გუნება შეეცვალა“ და გათხოვება მიულოცა მალე ყოველივე დაავიწყა დიუსელდორფელი ვაქრის ქალიშვილმა — იოჰანნა ფალმერმა, რომელიც გოეთეს დედას ენათესავებოდა.

გოეთეს მეგობარი ქალებიდან მაღალი წრის წარმომადგენელი პირველი მანდილოსანი იყო ლილი შონემან. მისი უსაზღვრო სიყვარულის ზეგავლენით დაწერა მან დრამა „სტელა“, სადაც ორი მამაკაცის ერთი ასულისადმი ტრფიალის ტრაგედიაა ასახული. „ლილის გარს ერტყა თავყანისმცემლების მთელი ლაშქარი, ექსტრავაგანტური კავალერები, მუსიკოსები, არისტოკრატები, ლიტერატორები“. ეს ახალი სამიჯნურო ავანტიურა აისახა ლექსში „ლილის პარკში“. „ლილის სიყვარულმა კვლავ დააბრუნა „ვერტერის“, „გოცის“ და „პრომეთეს“ ავტორი იმავე საზოგადოებაში, რომელსაც იგი კილავს ვერტერის პირით.

სწორედ ამ დროს ურჩია ვოლფგანგს დედამ, დაოჯახებულიყო და „ზომიერი, გონიერი, მშვენიერი, გამრჩე საცოლვე სიბილლა მიუნხ“ მოეყვანა, მაგრამ ლილის სიყვარულმა სძლია. ისინი ბედნიერნი არიან და თავდავიწყებით ერთობიან, სურვილისამებრ ატარებენ დროს. ერთ-ერთ წერილში ის წერს: „ლილი მშვენიერია, როგორც ანგელოსი და, ღმერთო ჩემო, რამდენად უფრო კარგია იგი, ვიდრე სიტყვა „მშვენიერი“ გამოხატავდეს“. ეს დიდი გრძნობა აწერიან პოეტს „ერვინს და ელმირეს“, „კლოდინ ფონ ვილლა ბელლას“, „— რომლის გმირი ქალი შონემანის პოეტური განხორციელება უნდა ყოფილიყო“.

შეყვარებულთა ოჯახების ახლობელის — დოროთეა დელფის შემადგომლობით, გადაწყვეტენ შეუღლებას გოეთე გამოსცდის თავის სიყვარულს, მიდის, შორდება ლილის მოინახულებს იტალიას, მაგრამ ამ ქალის ხატება არ შორდება. ფრანკფურტს ჩამოსული თავის დანიშნულთან ერთად ოფენბახს მიდის, მაგრამ აქ მძლავრობს შიში დოჯახების წინაშე და პოეტი დღიურში ჩაიწერს: „მშვიდობით, ლილი, მშვიდობით“. თუ რატომ დასცილდნენ შეყვარებულები, არაერთი ვერსია არსებობს. კონსტანტინე გამსახურდიას ალბათ სამართლიანად მიაჩნია, რომ ამის მიზეზი იყო გოეთეს შიში ოჯახური უღლის წინაშე. „თუმცა ისიც უნდა ითქვას: რომელმა ღმერთმა უწყის, თუ რატომ სცილდებიან ერთი-მეორეს შეყვარებულნი“, — დასძენს მწერალი.

როცა ღრმად მოხუცი პოეტი ლილის შვილიშვილმა ინახულა, გული აუჩქროლდა გოეთეს: „მე ვხედავ ჩემს ძვირფას ლილის ხელმეორედ განსახიერებულს, და ისე მგონია, კვლავ მეხებოდეს მისი თავბრუდამხვევი მშვენიერების ალმური. არსებითად იგი იყო პირველი, რომელიც მე ასე ღრმად მიყვარდა. შემოძლია ვსთქვა — პირველი და უკანასკნელი. სხვა გატაცებანი მასთან შედარებით ზერეღე იყო და მსუბუქი, და მეც არასოდეს ისე ბედნიერი არა ვყოფილვარ, როგორც იმ დროს, როცა ლილი მიყვარდა“.

გოეთე დაუახლოვდა ჰერცოგს და უკვე ცნობილი პოეტი ცხოვრების ზენიტს აღწევს — ულამაზესი საყვარლები, უშველელელი სახელი, ბრწყინვალე კარიერა, „ლეგაციის პრჩევის“ ტიტული და მაღალი თანამდებობა. გერმანული პუნქტუალობით აღჭურვილი მკაცრი მოხელე 1782 წელს საიმპერიო დიპლომით აზნაურობას იღებს. ჰერცოგის სასახლეში მის გულს იპყრობს დიდად განათლებული ლამაზი ქალი — მადამ ფონ შტაინ, რომელმაც „შინაგანი ინტიმი და უნაზესი მეგობრობა“ მიანიჭა შემოქმედს გოეთეს საყვარლებიდან ის ყველაზე განათლებული, გონებამახვილი, ლამაზი ქალი იყო გაშმაგებული ეტრფოდა პოეტი ამ „45 წლის სასახლის დამას“. არსებობს მათი მიწერ-მოწერის მთელი წიგნი, რომელიც, კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, „გოეტეს შესასწავლად უფრო დიდი მასალაა, ვიდრე მრავალტომიანი გამოკვლევა, ჰეკიანი პროფესორების კალმით ნაწერი. მსოფლიო ლიტერატურაში, თამარისა და ბეატრიჩეს გარდა, არც ერთ ქალს არ რგებია ამდენი ხოტბა, გენიოსის ჩანგით შეთხზული“. მას პოეტმა უამრავი ლექსი და წერილი უძღვნა, ის იყო პირველსახე იფიგენიისა, ლეონორესი. შემოქმედი თავადაც გაცოცხლებული იყო ამ საოცარი ქალის

ზეგავლენით მის სულზე. „მე ვერაფრით ამიხსნია ის დიდი გავლენა, რომელსაც ეს ქალი ჩემზე ახდენს, თუ არ სულების მიგრაციით. დიახ, ჩვენ ოდესღაც ქალი და კაცი ვიყავით ალბათ. მე სხვა სახელი არ მეგულება ჩვენთვის — წარსული — მერმისი და ყოვლადობა“, — წერდა იგი.

გოეთე დარდის გადასაყრელად ლაიპციგს მიემგზავრება, მონახულებს კეტხენ შონკოფს, ფრედერიკეს, მომღერალ კორონა შროტერს, მაგრამ შარლოტე ფონ შტაინის სიყვარული მალე აბრუნებს ვაიმარში. „ფრედერიკე-ლილისადმი მიძღვნილ ლექსებს მიემატა ურიცხვი ლექსები და ბარათები, შარლოტე ფონ შტაინისადმი მინაწერი“. ეს ქალი თითქოს „ბედისწერას გამოუგზავნია მისთვის, მის შემოქმედებაში მთვლემარე პოტენციალური ძალების გასაძლიერებლად, მისი სულის თავაწყვეტილი, უჩაითო დემონის დასაოკებლად“. მაღამ ფონ შტაინ თანა სდევს შვერალს შემოქმედებით ცხოვრებაში. დიდ მონაწილეობას იღებს გოეთეს გონებრივ მუშაობაში. „მე ჩვენს წმინდანს ვკითხულობდი და შენზე ვფიქრობდი“, — წერს იგი ქალს.

იტალიაში მოგზაურობისას გოეთე რომში ეცნობა „მშვენიერს, განათლებულს, გონებამახვილ ანჯელიკა კაუფმანს“, რომლის სალონშიც იკრიბება პოეტის თაყვანისმცემელთა ლაშქარი. ანჯელიკა დროდადრო ფრაუ ფონ შტაინის მაგივრობასაც სწევს. ის ხატავს „იფიგენიის“ ილუსტრაციებს ვაიმარს დაბრუნებულ გოეთეს შარლოტე დაბერებულად ეჩვენება. ამავე წლის ბოლოს ცოლად ირთავს მეყვავილე ქალს — ქრისტინა ეულპიუს.

„ისე არაფერი ახასიათებს ადამიანს, როგორც საყვარელი ქალი“, — წერს კონსტანტინე გამსახურდია და შთამბეჭდავად მოგვითხრობს, თუ როგორ მიიყვანა ხელოვნური ყვავილების ქარხანაში მომუშავე ქრისტინე „მინისტრ გოეტესთან“ გაჭირვებამ. მან დახმარება ითხოვა გოეთეს მოეწონა იგი და უძღვნა ლექსი: „ვიდოდი ტყეში მარტოკა ჩემთვის“. სასახლის დამები ჭორაობდნენ და ელოდნენ, როდის გააგდებდა პოეტი ამ „უღირს დედაკაცს“, მითუმეტეს, ჯვარდაწერილებიც არ იყვნენ. „პოეტი კი გულმოდგინედ უმღეროდა თავის პენელოპეს და ხატავდა მას ათასგვარ პოზაში“. ქალმა 1789 წელს პირველი ვაჟი აიუქა. მეორედ იტალიაში წასვლამ შემოქმედს უფრო მძაფრად აგრძნობინა სიყვარული და ერთგული პენელოპე ქრისტინას მოგონებებს უძღვნა „რომაული ელეგიები“.

თანდათან „ეპარებოდა სიბერე გულით წარმართ ვაიმარელ მოგვს პოეზიისას“. 1810 წელს მიწნური ლოტე კესტნერი ეწვია მას და გოეთემ იგრძნო ცივი სიბერე.

1821 წელს მარიენბადში მინერალოგიური კვლევა-ძიებით გართული გოეთე უმიწნურდება 18 წლის ულრიკე ფონ ლევენცოვს. მოხუცი პოეტი გაიტაცა ამ გრძნობამ, რომელმაც ჯანმრთელობაც აღუდგინა და იგი გრძნობამორეული თავდავიწყებით ცკევავს ქალწულთან. მოცლილი არისტოკრატია კორით აივსო, დაქორწინდებიანო გოეთე და ულრიკე ამით ჰერცოგი და მისი ამაღაც დაინტერესდა, მაგრამ წინ აღუდგა ქალის დედა. ამ ტრაგიკულ სიყვარულს მიეძღვნა პოეტის შესანიშნავი ლექსი — „მარიენბადის ელეგია“.

პოეტის სული კვლავ ააფორიაქა ვაიმარში ახალი სატრფოს, პოლონელი პიანისტი ქალის — მარია შჩიმანოვსკას ჩამოსვლამ და ახალი გრძნობებით შთაგონებული შემოქმედი კვლავ განაგრძობს „ფაუსტზე“ მუშაობას, ეწევა საბუნებისმეტყველო კვლევა-ძიებას.

თავის კრიტიკულ ნაშრომში „გოეტე“ კონსტანტინე გამსახურდია მიმოიხილავს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებებსა“ და „ფაუსტს“. ამბავილებს რა განსაკუთრებულ ყურადღებას ამ უკანასკნელზე, მეტად საინტერესო პარალელებს ავლებს გოეთესა და ბაირონს, გოეთესა და შექსპირს შორის და მწერლის პიროვნებიდან და მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე თავისებურ კომენტარებს აკეთებს საინტერესოდ მსჯელობს მწერალი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე, რომელთა შორის ყრუ კედელია აღმართული, უფსკრულია გათხრილი და „ამ უფსკრულის გაღმა-გამოღმა დგანან ქალი და ვაჟი“, დაშნაშვე კი ბუნებაა მიმოიხილავს რა ფაუსტის პიროვნულ თვისებებს, მის ქალთან დამოკიდებულებას, ასე ახასიათებს კ. გამსახურდია: „იგი მარტოხელა შერკინებია მსოფლიოს ურთულეს პრაბლემებს, საყვარელ ქალთან მას მხოლოდ ეროტიკული ორგიები აკავშირებს“.

„ვისაც გოეტე — ფენომენის შეცნობა უნდა, მან გოეტე უნდა განიცადოს, როგორც პარმონიული, ორგანიული მთლიანობა“, — წერს კ. გამსახურდია და ამ მთლიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევს იმ ქალთა საზოგადოებას, რომელიც გენიოსი პოეტის გარშემო ტრიალებდა და უდიდეს გავლენას ახდენდა მის პოეტურ შესაძლებლობებზე, მთელს მხატვრულ მემკვიდრეობაზე. მწერლის აზრით, ქალი იყო ის ლამაზი შთაგონება, რომელმაც გოეთეს არა ერთი გენიალური

ნაწარმოები შეაქმნევინა.

დედის უდიდეს გავლენაზე საუბრობს კონსტანტინე გამსახურდია წერილში „ანატოლ ფრანს“. „დედა“ — იყო უკანასკნელი სიტყვა მწერლისა ანატოლ ფრანსის დედა ნაზი, ფაქიზი, სენტიმენტალური ქალი ყოფილა, რომელსაც ადრევე შეუგნია ელინური სამყაროს სიმშვენიერე, ჩასწვდომია ჰომეროსსა და ბერძნულ ტრაგედიებს. იმ კეთილისმყოფელ ფაქტორებს შორის, რომლებმაც განმსაზღვრელი როლი ითამაშეს ფრანსის ცხოვრებაში, კონსტანტინე გამსახურდია დედას ასახელებს, თუმცა მწერლის შემოქმედებას უიმედო სიყვარულის კვალიც ამჩნევია.

დიდი ცოდნითა და ღრმა წვდომის უნარით დაჯილდოვებული ქართველი მწერალი კრიტიკულ წერილებში უდიდესი გულისყურით მიმოიხილავს მსოფლიო ლიტერატურის კორიფეთა ნამოღვაწარს. ის შემოქმედის სიდიადეს გმირთა ხატვის მანერაში ხედავს. „ახლა ენახოთ, როგორი დავიდარობით, რა სიმკვეთრით აგვიწერს პოეტი ადამიანების აღნაგობას, მათ მიმიკას, მათ სამოსელს, მათ საქციელს და მათ მიხერა-მოხერას“, — წერს იგი გოგოლისადმი მიძღვნილ ნაშრომში და ამავე თვალთახედვით მიმოიხილავს ქალთა სახეებსაც. ამ კრიტიკიუმიტ აფასებს იგი ანა ანდრეევნას „რევიზორიდან“, არისტოკრატ ქალებს ნოველიდან „პორტრეტი“. ასევეა განხილული თომას მანის „ბუდენბროკები“, ბალზაკის „მამა გორიო“, „შაგრენის ტყავი“, „გობსეკი“. განსაკუთრებით მიუთითებს, რომ ბერნსის ცხოვრებაში ერთგული თანადგომა გაუწია მისმა მეუღლემ კონსტანტინე გამსახურდია იბსენთან დაკავშირებითაც აღნიშნავს, რომ იგი ოჯახისა და ქალის საკითხით იყო გართული. მის უკვდავ ქმნილებებს აშკარად ეტყობა დედა — ნორვეგიისა და სიჭაბუკის სატრფო — სოლვაიგის განუყრელი აჩრდილები. „1865 წელს იბსენი და მისი მეუღლე სჟუზანა თორეზენ ქრისტიანიაში შემშვილობდნენ“.

თავისებური როლი ითამაშა ქალმა ბალზაკის ტრაგიკულ ცხოვრებაში მწერალთან მიმოწერას იწყებს პოლონელი მემამულის ცოლი მადამ პანსკა. როგორც კონსტანტინე გამსახურდია წერს, „ხელოვნებისათვის ჯვარცმული“ შემოქმედი „წაეპოტინება ამ უკანასკნელ ხავსს.. აქაც ტრაგედია და ხელის მოკარვა მოელის ბალზაკს“. შეყვარებულები 10 წლის მანძილზე ხვდებოდნენ ერთმანეთს ხან

შვეიცარიაში, ხან გერმანიაში, ხან რუსეთში. ავადმყოფმა მემამულემ კარგა ხანს იცოცხლა და მიჯნურებმა დიდი განცდების შემდეგ დაიწერეს ჯვარი ბერდიჩევში. იმეამად ქალი „უკვე ხანში შესული დედაკაცია და ბალზაკს უკვე სიცოცხლე შემოადნა ხელში, როგორც შაგრენის ტყავი მის გმირს, რაფაელს“. მაღამ პანსკას მაინცდამაინც დიდი გავლენა არ უნდა მოეხდინა მწერალზე, კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, მათი ურთიერთობა უფრო ავანტიურა იყო, რომელსაც ხშირად ქმნიან ევროპაში ის ახალგაზრდები, რომლებიც ცოლის მზითვეით არიან დაინტერესებულნი.

წარმოგიდგენს რა ბალზაკის უკიდურესად გაჭირვებული ცხოვრების სცენებს, კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს: „ასეთი გაშწარებული ცხოვრება მოკლებული იყო იმ ელემენტარულ სიამოვნებასაც, რომელსაც ანიჭებს უბრალო მოკვდავსაც თუნდაც სიყვარული, ასე რომ თავისი ცხოვრების უკანასკნელ წუთებში ბალზაკი იძულებული იყო ასეთი მწარე სინამდვილე ელიარებინა: „მწერალმა თავი უნდა შეიკავოს ქალებთან ურთიერთობისაგან, ისინი მხოლოდ დროს აკარგებინებენ მას, მწერალმა უნდა იკმაროს მათზე წერა“. ასეთი იყო ბალზაკის აზრი მშვენიერთა სქესის წარმომადგენლებზე ამიტომაც მის შემოქმედებაში იგრძნობა კრიტიკული დამოკიდებულება საზოგადოებისადმი და განსაკუთრებით ლამაზი, მაგრამ ფუჭსავეტი ქალებისადმი. ბალზაკის მიერ დახატული „გრანდ დამები“ ყველაფერს კადრულობენ, მათ არც ოჯახის პრობლემები აწუხებთ, არც შვილები და მშობლები „ამ ქალებსაც ისეთი ზოოლოგიური ეგოიზმი და გაუვალე ამორალიზმი ამოძრავებთ, როგორიც მათ ქმრებს, რომელთაც სწამთ ერთადერთი ღვთაება: ოქრო“.

„ბალზაკის პოზიტიური ქალები, მეტწილად პროვინციელი აზნაურის ქალებია. ბურჟუაზიული დამა არც საყვარლად ვარგა, არც ცოლად და არც დედად–“ ქველმოქმედებითა და ზნეობრიობის საფარქვეშ დამალული ეს მანდილოსნები უდიდესი სიცხდით ჰყავს დახატული ბალზაკს და მას ამ სულიერად დაცემული ადამიანების წარმომშობად ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გაბატონებული ფულის კულტი მიაჩნია. კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, ბალზაკს უარყოფითი ხასიათების გამოკვეთა უკეთ ემარჯება, ვიდრე დადებითის. ის გესლიანი სარკაზმით წარმოგიდგენს მის თანამედროვეობას, „ქალთა შორის დედებს, დებს, სალონებში გარყენილ არისტოკრატ ქალებს, აზნაურების

ოჯახებში მეოცნებე შინაბერებს...”

—და ყოველივე ამის შემდეგ რა სიამაყით ისმის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და საზოგადოებრივი ღვაწლის უდიდესი შეფასება, სადაც ღირსეული როლი აქვს მიკუთვნებული ქართველი ქალის უკუდავ ხატებას „ქართველი ქალების მხატვრულ გალერეაში ოთარაანთ ქერივის სახე განსაკუთრებული ბრწყინვალებითაა შემოსილი. ქართველი ქალი, როგორც ბალავარი ქართული ოჯახისა და ჩვენი ნაციისა, ეს არის ამ მოთხრობის თავკიდეური“. ოთარაანთ ქერივი განსახიერებაა მთელი საქართველოსი, რომელიც ბედუქუდმართი ისტორიის მანძილზე მედგრად უმკლავდებოდა გასაჭირს მის არსებობას დასასრული მხოლოდ მაშინ უწერია, როცა მომავალ თაობას, საკუთარ პირმშოს დაკარგავს. ასე დაემართა ოთარაანთ ქერივსაც გიორგის სიკვდილის შემდეგ მისმა სიცოცხლემ აზრი დაკარგა.

სხვაც რომ არა, ილიას შემოქმედებას მხოლოდ ოთარაანთ ქერივის სახე დაამშვენებდა. ის განზოგადებული სახეა ნამდვილი ქართველი ქალისა, რომელსაც უყოყმანოდ შეუძლია, საკუთარი თავი მიიტანოს შესაწირად ოჯახისა და ერის სამსხვერპლოზე. სწორედ ამიტომაც არ აქვს მას სახელი. ის არის სპეტაკი მანდილოსანი, გულმხურვალე დედა, უსაზღვროდ ერთგული ოჯახისა და გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნისა, ფუძის კეთილი ანგელოზი, რომლის დიდება მხოლოდ ქართული თვალთახედვით უნდა გაიზომოს და აიწონოს. სწორედ ეროვნული პოზიციიდან მიმოიხილავს კონსტანტინე გამსახურდია ილია ჭავჭავაძის მთელ შემოქმედებას და მასში ოთარაანთ ქერივის უმნიშვნელოვანეს როლს.

ასეთივე თვალთახედვით განიხილავს კონსტანტინე გამსახურდია წერილში „ლადო გუდიაშვილი“ დიდი ქართველი მხატვრის შედეგს — „თამარი“. აქ შემოქმედი ქართული ეროვნული მხატვრობის ღირსეულ გამგრძელებლად წარმოგიდგება. მისი შთაგონება იქნებოდა არა მარტო ძველი ფრესკები, არამედ საუკუნეების მანძილზე გამობრძმედილი ქართველი ქალის, „ქართვის დედის“ სახე „თუ ქართული ფრესკის ოსტატები სათნოდ ხელაპყრობილ თამარს გვიხატავდნენ, გუდიაშვილმა პალას ათინასეული მრისხანება მიანიჭა მის სახეს და ხმლით აღჭურვა იგი, როგორც თავისი ხალხის თავისუფლების გულმამაცი ქომაგი. ასეთ მეომარ ქალად აღიღებს მას ქართული ხალხური პოეზია...“ თამარის სახეში გაერთიანებულია ქართველი ხალხის ოცნების იდეალური ქალის თვისებები. ის სწორედ

ძველი დიდებული საქართველოს ისეთი მანდილოსანია, რომელიც
დღესაც სჭირდება ჩვენს ქვეყანას და სჭირდება ძლიერ, როგორც
არასდროს. ეს სწორედ იმგვარი ქართველი დედაა, ნიკოლოზ
ბარათაშვილი რომ მიმართავდა გზნებით:

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,

კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!

რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ

სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!“

აი, რას წერს გუდიაშვილის ხელოვნებით მოხიბლული მწერალი
„მისი ქალები, განსაკუთრებით „შავ ნაკადულთან მჭიდვარე
მანდილოსანი“, „წითელ ხელთათმინანი ფერიდე“, „ქალი და ბუღბული“,
— მოგვაგონებენ ტიციანის, რაფაელის და რუბენსის ქალებს. საესებით
განსაცვიფრებელია მისი კიბეზე ჩამოშველი ანგელოზი, ქაშუეთის
ფრესკაზე გამოხატული. ეს ყოველივე ზეაღმტაცი ოსანაა, ცხოვრებისა
და სილამაზისადმი აღვლენილი“ – და ყოველივე ამის საწყისი ქართველი
ქალის ხატება იყო.

თავი მესამე

კ. გამსახურდიას მხატვრული ოსტატობის საკითხები

მხატვრული სახე სინამდვილის გამოსახვის თავისებური ფორმაა. ყოველი მწერალი მასში თავის ინდივიდუალურ ხელწერას ამჟღავნებს და სწორედ მისი შემოქმედებისა და ნიჭიერების შესაბამის ფიგურებს ხატავს მხატვრული სახე მოვლენის ცოცხლად გამოსახვის ძლიერი საშუალებაა და მკითხველში მძაფრ შთაბეჭდილებას იწვევს. ის სინამდვილის გრძნობად და განზოგადოებულ ფორმაში ასახვაა, თუმცა უმთავრესი მასში ინდივიდუალური თვისებების სიჭარბეა.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ქალთა სახეები სისხლბორცეული ნაწილია გმირთა განუმეორებელი სამყაროსი. ისინი მართლაც მშვენიერაა მწერლის შემოქმედებითი ნაღვაწისა. ყოველი ქალის სახის გამოქანდაკებას მწერალი უდიდეს შემოქმედებით ენერგიას ანდომებს. ის შესანიშნავად წარმოადგენს მათ სულიერ სამყაროს თუ ფიზიკურ გარეგნობას. მათში ნათლად ჩანს მწერლის ნიჭისა და შრომის შედეგი.

უნდა განვასხვაოთ გამოგონილ და ისტორიულ პიროვნებათა ხატვის უნარი. მწერალი ითვალისწინებს ისტორიულ წყაროებში დაცულ წერილმან ცნობებსაც კი და მდიდარი ფანტაზიის წყალობით ისე უბადლოდ წარმოადგენს, რომ მკითხველს მათი სახით მეტად რეალური, ცოცხალი გმირები წარმოუდგებიან თვალწინ. ეს განსაკუთრებით ითქმის მარიამ დედოფალზე რომანიდან „დავით აღმაშენებელი“.

მწერალი გამოგონებულ მხატვრულ სახეს იმიტომ მიმართავს, რომ ამ ზერხით უფრო თვალსაჩინოდ, უფრო ცოცხლად გამოხატოს ესა თუ ის მოვლენა, იდეა ან სათქმელი. კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანებში ისტორიული პირობების გარდა გამოგონილი პერსონაჟებიც შემოჰყავს, რაც ისე ოსტატურად ხდება, რომ ისინი სრულიად არ ტოვებენ აზარელურობის შთაბეჭდილებას ყოველ გმირს თავისი ცხოვრებისეული პროტოტიპი ეყოლებოდა უთუოდ, მაგრამ მისი შემოსევა ძველი ისტორიული მარაგანდელით, უკვე მწერლის ოსტატობის შედეგია. თავისებური სირთულე ახლავს ისტორიული პირობების ხატვასაც, რადგან ის მწირი ცნობები, რაც „ქართლის ცხოვრებაში“, სხვა ისტორიულ

ძეგლებსა თუ ზეპირსიტყვიერებაში შემონახულა, ძალზე მცირეა, რომ სრულყოფილი მხატვრული სახე შეიქმნას აქაც უდიდესი როლი ენიჭება შემოქმედის ნიჭიერებას იგივე შეიძლება ითქვას ნოველებზეც.

შრომაში „როგორ ვწერ“ კ. გამსახურდია გვიზიარებს რა თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიის საიდუმლოებებს, წერს „მე არ მწამს მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ფანტაზიისაგან გამოკვეთილი ხელოვნება ან ისეთი მარტოოდენ იმაჟინირებულ ტიპაჟს და სახეებს რომ ეწყარება მუდამ სინამდვილისაგან ამიღია ჩემი შემოქმედების პოეტური ანდაზა არც ერთი ლანშაუტი, არც ერთი ტიპი, არც ერთი სახე მხოლოდ ფანტაზიით არ მომიგონია“. იგი ცხოვრებაში ეძიებდა საინტერესო ტიპებს. მწერალს მის გარშემო მოუხსტყუს საზოგადოებაში უპოვნია ბრაჰმინი, თადა ლანდია, ხალილ ბეი, ფარეზი, ექიმი შარუხია და ლილ, ტაგუ სამუგია და სხვები და სხვები. ფანტაზიისა და რეალობის ოსტატურმა შერწყმამ მართლაც საოცრად რეალურ ადამიანთა სახეები დაახატვინა მწერალს. ყოველი სახის შექმნას თავისი ცხოვრებისეული იმპულსი ჰქონდა. ამა თუ იმ მნიშვნელოვანი მოვლენით შთაგონებული შემოქმედი საუცხოო პოეტურ კმნილებებს წერდა „დამსხვრეული ჩონგური“ 1924 წელს დედის გარდაცვალებამ დამაწერინაო, — იგონებს მწერალი; „ზარები გრიგალში“ კი მაშინ იქმნებოდა, როცა საყვარელი ძმა ალექსანდრე უკვდებოდა და საავადმყოფოში უთევდა ლამეებს.¹

ყოველივე ზემოთ თქმული განსაკუთრებით ეხება პერსონაჟ ქალებს. როგორც ცნობილია, მამაკაცებს ყოველთვის უჭირთ, ჩასწვდნენ ქალის ფაქიზ ფსიქოლოგიას. მათი ხასიათის სირბილე და ცვალებადობა, თავისებური ვაჟკაცობა და ემოციურობა, მრავალ სირთულეს ქმნის. თუმცა ძალზე ძნელია პიროვნების შინაგან სამყაროში ჩაწვდომა, სულ ერთია, კაცია იგი თუ ქალი როცა ადამიანი საკუთარ „მე“-ში ვერ ჩაღრმავებულა და გამუდმებით აწუხებს „შეიცან თავი შენი“-ს პრობლემა, რამდენი ოსტატობა და ხელოვნება სჭირდება მწერალს, რომ მკითხველის წინაშე რეალური დამაჯერებელი მხატვრული სახე წარმოადგინოს — ნამდვილი თუ თუნდაც გამოგონილი.

კ. გამსახურდია უდიდეს როლს ანიჭებდა გმირის სახის ხატვას ლიტერატურაში. ამას მოწმობს 1958 წელს დაწერილი წერილი „გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელა“. „ჩვენ უფლება გვაქვს ისტორიულ გმირს ზედმეტი სიკეთე მივაწეროთ, მაგრამ ზედმეტი ცუდის მიწერის უფლება არა გვაქვს“, — წერს შემოქმედი, — „როგორ შეიძლება

1. გამსახურდია კ., რჩეული თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1963 წ., გვ. 524.

საქართველოს მეფის ტაკიმასხარად გამოსახვა, უზარმაზარი, აბჯარ-ასხმული ვაჟკაცი დაინახავს ლელას და ისე მოეწონება, რომ ტირილს იწყებს? ეს შეუძლებელია“. „ახლა სექსუალური და ეგზოტიკური მომენტის გამო უნდა ითქვას, — განაგრძობს იგი, — მე ყველაზე ცოდვილი ვარ ქართველ მწერალთა შორის ამ მხრივ, მაგრამ ეს ეხებოდა ვიღაც ქალებს. როგორ შეიძლებოდა საქართველოს დედოფალი შევარდნილიყო აბანოში მდაბიო გლეხთან“. ჩანს, რომ ყოველ მანდილოსანს შემოქმედი ქართული თვალთახედვით ზომაეს. სწორედ ამ კუთხით უყურებდა და კრიტიკული თვალთა აფასებდა გამსახურდია თავის გმირებს უდიდეს მნიშვნელობას აძლევს იგი სახელის შერჩევასაც. „— წადით მთაში, რამდენი მშვენიერი სახელია...“ — წერს იგი და თავისთავად გვაგონდება მანანა, ლილ, შორენა, დედისიმედი, ზვარამზე და სხვები და სხვები. რამდენი დაკარგული საკუთარი სახელი აღადგინა კ. გამსახურდიამ. ყოველი მათგანი დაკავშირებულია გმირის შინაგან ბუნებასთან და მისი მხატვრული განსახიერების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. მაგალითად, ნოველაში „კლარა“ ნათქვამია „ეს სახელი წინათ არ მომწონდა, მაგრამ ეხლა საოცარი მუსიკალური ბგერა აქვს მას ჩემს სმენაში. კლარა! გახშირდა უბგეროდ ჩემს თავში და ახლად ბორბლების რიტმულ როკვაში სავსებით მკაფიოდ მომესმა მისი სახელი კლარა, კლარა...“ ნოველიდან „ლილ“: „ქრისტიანო? გავიფიქრე გულში თუ ქვეყანაზე სადმე სამართალი არსებობს, ამ ქალს ქრისტიანე როგორ უნდა ერქვას? ლილ. რაღაც იდუმალი ნელსურნელებაა ამ სახელში!“ ნოველა „ფოტოგრაფი“: „ფოტოგრაფმა გაიფიქრა: როცა ნიანგებზე სანადიროდ წავალ, ჩემს საცოლეს აღრავნა უნდა დავარქვა...“ უდიდეს ყურადღებას აქცევდა მწერალი მათ სამეტყველო ენასაც.

„შესანიშნავად არის გაკეთებული ლილეს პორტრეტი“ — წერს წერილში კ. გამსახურდია, — მე მგონია რომანი მოიგებს, თუ რუსუდანს, თამარს და ლაშას მოაცილებთ იმ ლაქებს, რომლებიც თქვენ მათ მიანიჭეთ“. სწორედ ასეთმა თვალთახედვამ, შემოქმედის კრიტიკულმა პოზიციამ შექმნა ის ბრწყინვალე მხატვრული სახეები, რომლებითაც ამჟამად არა მარტო მწერლობა, არამედ თეატრი და კინოც. კ. გამსახურდიას არც ერთი მთავარი გმირი არ იწყევს დაუმთავრებლობის თუ უცმარისობის შეგრძნებას.

მწერალს რომ განსაკუთრებით ემარჯვება ქალის პორტრეტის დახატვა, ამას მხოლოდ მთავარი გმირებიც დაადასტურებენ. აღწერისას შემოქმედი თითქოს გამჭოლი მზერით შეცქერის მათ და ყოველ

ნაკვთსა და მოძრაობაში სულის განსახიერებას პოულობს განსაკუთრებით აქცევს ყურედღებებს ჩაცმულობას, რომლის სტილი ნაწილია პიროვნების შინაგანი ბუნებისა; ფერების შეხამებას, მათ ურთიერთ-მიმართებას სხეულისა და სახის ნაკეთებთან, თვალებისა და თმების ფერთან. პორტრეტის ხატვისას მეტად მრავალფეროვან ეპითეტებს საოცარი შედარებები ცვლის, ამბობს მსგავსი სტილი, სიტყვათა მოხდენილი ინვერსია, მატერიალური განმეორებით ემოციური ზემოქმედების გაძლიერება. დასასრულს, ავტორი პერსონაჟის მიერ გამოთქმულ აზრსა თუ ჩადენილ მოქმედებას, მიხერა-მოხერასა და გამოხედვას მისეულ შეფასებას აძლევს მწერლის თვალსაზრისის შექრა გმირის პორტრეტის წარმოდგენისას პიროვნებას მეტ სიცხადესა და რეალურობას ანიჭებს გვაქვს არაერთი მაგალითი პოეტური თვითნებობისა.

ის, რაც ერთი შეხედვით არაქიზში იყო ან მანამდე უცნობი შეხამება სიტყვებისა, დღევანდელ მკითხველს შეიძლება ჩვეულებრივადაც მოეჩვენოს, რადგან კ. გამსახურდიას შემოქმედების სტილმა დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების წარმოდგენებსა და მეტყველებაზე. მან არაერთი სიტყვა აღუდგინა ან ახლად შეუქმნა ქართულ ლექსიკას და მეტად გაამდიდრა იგი დიალექტებიდან შემოტანილი ძველი ქართული სიტყვებით. ეს საკუთარ სახელებზეც ითქმის: შორენა, დედისიმედი, გვანცა, ხვარამზე, ვარდისახარი — მათ უკვე დაჰყარგვიათ სიძველის ელფერი.

პორტრეტის ხატვაში მწერლის ოსტატობა რომ წარმოვაჩინოთ, მოვიყვანოთ დედისიმედის სახე „სოსანისფერი აბრეშუმის საკო ეცვა ერისთავის ასულს, მარგალიტის ღილებით დამშვენებული, ოქროს სარტყელი წელზე ერტყა, დიდრონი სამაჯურნი მაჯებზე, და ამ საკომ მოაგონა დავითს დედისიმედსა და ნინასთან ერთად საქოთის ციხეში გატარებული დღეები, ციხის ეზოში აყვავებული ატმები და ის ბედნიერი გაზაფხული — ამ წუთში ისე ახლოს იჯდა, მის გასწვრივ იგი, ვისაც ატმის ყვავილისფერი მოჰკიდებოდა ლოყებზე“. ასეთი იყო დედისიმედი — „სათნო შროშანი ველისა“, „მტილი დაბნული და წყარო დაბეჭდული.“ — და ყოველივე ამის შემდეგ რა საცოდავად გამოიყურება დედოფალი რუსუდან. „ტაოელი აზნაურები შეფარვით გადახედავდნენ ხოლმე დაწვებგაპურტულ, ფერ-უმარილით მოკანზულ დედოფალს, საკანზავსაც ვერ წარებოცა წარბებისა და ლოყების არეში დარჩენილი ტალეები ნაბეწვარისა“ — და როგორც მოსალოდნელი იყო, „დედოფალი რუსუდან თავის ასაკისადმი შეუფერებელ ლტოლვილებს იჩენდა ამ

ბოლო ხანს სარწმუნოების მიმართ. ბერ-მონაზვნებით გაავსო სასახლე“.

ნადირობის ქალღმერთ არტემიდასაა შედარებული გვანცა („დავით აღმაშენებელი“) რომლის სახეს ამშვენებდა „ოდნავ წამოზოცვილი ბაგენი, ზემო ტუჩზე სირმისფერი პაწია, მთლად პაწია უღვაშები და თვალები ჰქონდა გვანცას სხვანაირი, წაბლისფერი კი არა არამედ სუფთა თაფლისფერი და წარბები ისეთი დადრეკილი, როგორც იმჟამინდელი ოსტატები უკეთებდნენ ხოლმე მინანქარზე დახატულ ღვთისმშობლებს.“ შამან ერისთავის ღირსეული ასულის „მთელს ანაგობაში გამოსჰვიოდა ის სიმამაცე, რომელიც ახალქალაქის, ფარცხისის და ანტიოქიის ომებში გამოეჩინათ შამან ერისთავსა და მის ვაჟს“.

შორენას („დიდოსტატის მარჯვენა“) სულის სიმშვენიერე იკვეთება მის „ნუშისგულივით თეთრ ხელებში“ და ანაზად გვაჟონდება აღორძინების ხანის მხატვრების მადონები, რომელთა სულის სინარნარე მართლაც საოცრად ლამაზ, ნაზ ხელებში ჩაუქსოვიათ ფერმწერებს, „უხაროდა გიორგის, მის გვერდით რომ მიჰქროდა ეკბატანის ვარდი“, — ასეთი ლამაზი მეტაფორით მოიხსენიებს შორენას ავტორი.

„განა მარტო ბგერების ლექსიკონია ბუნება? იგი აურაცხელი ფერადების ლექსიკონიც არის და ამ ფერადების საღაროს გასაღებს პოულობენ არა ბუნების მებასლები, არამედ გუდიაშვილის დარი მხატვრები“, — წერს კ. გამსახურდია წერილში „ლადო გუდიაშვილი“ და ვხედებით, რატომ იგრძნობა მისი შემოქმედებაში ზღაპრული ფერების სიჭარბე, ფერებისა, რომელიც ჯერ არც ერთ მხატვარს უხმარია და მათი საღებავებით გამოსახვა მხოლოდ რჩეულებს ძალუძთ. აი, როგორ აღწერს მწერალი შორენას სიმშვენიერესა და სათნოებას: „ველის ყაყაჩოსავით შეუწითლდა ლაწვები ქალს. თვალებიდან იელვა ზღვისფერმა სილურჯე“. „თავთუხისფერი თმები ჰქონდა შორენას, თვალებში უელავდა ლაზისტანის ზღვისა სილურჯე“... „ისეთი სიყვითლე გასდიოდა თავთუხისფერ კულულებს, როგორც ახლად გამოჩეკილ ხობხის ლაპებს გადაჰკრავს ხოლმე“. „ხატაური შავი აბრეშუმის სამოსზე გადმოიღვარა გამოხურებული ოქროსფერი თმა... გონების წამლები იყო მისი პირი, ბროწეულის ყვავილის ფერი, ოდნავ, ოდნავ გაბუტული ზემო ტუჩი საყვარლად აბურცვოდა გულნაწყენ ბავშვის ბაგესავით. წვიმის წვეთები მიშხეფოდა ლაწვებზე, მაგრამ ამ მშვენიერი სახის მნახველი ან როგორ იფიქრებდა ოდესმე, ცრემლებს თუ დაესეტყვა თვალმშვენიერი, ან ეს ლოყები, ძველთაძველი სპილოსძვლის ფერისანი?“

—და ბოლოს— მართლაც გარიჟრაჟი უნდა ყოფილიყო შორენას სიმბოლო ბუნებაში (როგორც ნებიერა — ცხოველებიდან), სწორედ ეს საოცარი სურათი უნდა დახატულიყო მისი პორტრეტის ფონად „ბოლოს მოაწია რიჟრაჟმა, ატყდა ნათლის ლიცილიცი გარედ, ყაყაჩოები დაათოვა მწვერვალებს ცამ, იფრქვეოდა იისფერი შუქი, როგორც ჩქერალები ფხოვის მთებიდან. შორენა ჩამოვიდა კედლიდან, ხატაური ფარჩის კაბა ეცვა ხშირი, ოქროსფერი თმები გადმოლერილიყვნენ მხრებზე, მოდიოდა ყაყაჩოების ველზე თავთუხის თაველებს ესროდა უტას, ყაყაჩოებსა და თავთუხის თაველებს“. სწორედ ასეთ ბუნებას უნდა შერწყმოდა შორენა. ავტორი საოცარი მომხიბვლელობით ხატავს ბუნებისა და ადამიანის მსგავს ჰარმონიულ კავშირს სხვა რომანებსა თუ ნოველებშიც.

კ. გამსახურდია მიმართავს დაპირისპირებისა და მხატვრული პარალელის გავლების ხერხსაც. ის ერთმანეთს ადარებს შორენას და ვარდისახარს, რაშიც უფრო მკაფიოდ იკვეთება ორივე პერსონაჟისათვის დამახასიათებელი თვისებები და მათი ავტორისეული შეფასება. ამავე დროს ცხადი ხდება იმ ძველი ეპოქის საზოგადოების თვალსაზრისი ორივეზე. ასევე დიდი ოსტატობითაა ერთმანეთს შედარებული ანული და თამარი, ძაბული და თამარი („მთვარის მოტაცება“). კონტრასტული დაპირისპირების საინტერესო ხერხით არიან წარმოდგენილი ლილ და პროვიზორის ცოლი (ნოველა „ლილ“).

დედისიმედოვით ატმის ყვავილებს ადარებს კ. გამსახურდია თამარ შერვაშიძესაც „მთვარის მოტაცებიდან“: „შეკავებული ჭრიალით გაიღო კარი და შემოვიდა ფეხაკრეფით თამარ. ატმის ყვავილისფერი ჩითის კაბა ეცვა თამარს და თავად მზესა ჰგავდა ატმების ბაღში შემოსულს“, — ასე შემოდის რომანში პირველად თამარი „ვიდრე თამარი ფანჯარასთან მივიდოდა, თარაშმა თვალი შეავლო მას, თითქოს პირველად ხედავდა ამ ქალს, მშვილდითად გადრეკილ, ამპარტავან წარბებს, გრძელსა და შავ წამწამებს მის სათნო სახეზე აღბეჭდილიყო ქართული მადონების თავშეკავებული ქალობა. ცხვირის ნესტოებში სამხრული გრძნობიერება მეღაენდებოდა ხოლო ზურგისა და ზემოტანის ხაზებში გარდამავალი ჭიშის რაფინირება ცხადდებოდა მას ოდნავ მოკლე წელი ჰქონდა, ხოლო თქოების ფორმა ამოწმებდა ჯერ უნაყოფო ქალწულის უფუფრეკენელობას. მან ისე გაიარა პიანინოდან ფანჯარამდის, თითქოს რომელიმე რიტუალურ ცერემონიის შესასრულებლად მიემერებო“. სახისა თუ აგებულების ყოველ ნაკვეთში, მოძრაობასა და მანერებში ქალის სათნო, ნარნარი სული იკვეთება.

მწერალი ოსტატურად უკავშირებს ერთმანეთს ქალის ხატებასა და მის გარშემო არსებულ ცოცხალ თუ არაცოცხალ ბუნებას, მთელ გარემოს, რომელსაც განსახიერება დედაკაცის სულიერ სამყაროსა და გარეგნულ სახეში უბოვია. ქალი ოჯახის ფუძის კეთილი მთავარი ანგელოზია. მოხუცი დედის სახე და ხასიათი იგრძნობა თარაშ ემხვარის ძველი სახლის აღწერილობაში, სადაც ყველაფერს საცოდავი მაიას იერი ადევს და ინასკვება საოცარი კავშირი ამ მოხუცს, მის წოდებასა და გარემოს შორის. აქაც მიმზიდველი ეპითეტებითა და ლამაზი შედარებებით აღწერს კ. გამსახურდია სათნო, კეთილი ქალის ხატებას, რომელსაც „მთლად ტუტასფერი გახდომოდა თმები“ – და აი, „ფრთხილად შეჰყურებს დედის სახეს თარაშ ემხვარი. ჰმ, მოხუცებულს ნაოჭები მომატებია, თვალის უბეები ჩაღრმავებია! ლაწვისთავეზე, ყურის არეში ნაოჭები ზედმისევიან და მისუსტებულ კისრის გარშემო ნაოჭების სამკეცი რგოლი შემოვლებია (მუხთალ სიბერის მანიაკი გარდაუვალი). მერე რა პატარა ამბებს უამბობს დედა!“ იავარქმნილი ოქქუმის სასახლის აღწერის შემდეგ მკითხველი თავისთავად მოელოდა, რომ მაია ასეთი იქნებოდა — ერთ დროს გოროზი, ამაყი არისტოკრატიის მინავლული, ჩამცხრალი ენერგიის განსახიერება.

ქალის იდუმალებაში ჩაწვდომის კიდევ ერთი მცდელობაა „დიონისოს ღიმილის“ II თავი. ეპოქისათვის დამახასიათებელი აურზაური, რომელსაც მეტყველების ამალღებულ სტილით, შინაგანი პოეტური ინტონაციით, გაძლიერებული მხატვრული განმეორებით აღწერს მწერალი, „კლარასა“ და „ფოტოგრაფის“ გაურკვევლობით აღსავსე საზოგადოებას გვაგონებს. „ჩემს ირგვლივ ფუსფუსებს მოსაუბრე, მომღიმარე სხეული. დედაკაცის სხეული ფარშევანგივით ბოლოგანიერი და ამაყი. მე არ შემძლია გულდამშვიდებით ეუმზირო მომღიმარე ქალს, და არსად ქალი ისე არ მადღელებს, როგორც პარიზში. ქალი აქ ინდივიდუალურად როდია წარმოდგენილი. კოკეტურად მომღიმარე დედაკაცების მასსა ქუჩებში, ფანჯრებში, ავტომობილებში, მიწისქვეშა მატარებლებში, კაფეებში, მუზეუმებში, უშველებელი მასსა სილამაზისა, პარფემისა, სხეულისა, ქალის სხეულის, რომელიც გეძახის, გახელებს, სულის მყუდროებას გირღვევს“ – ამ სიჩქარეში, ქაოსში კელავ წამოტივტივდება უცნობი ქალის, კლარას თუ არლაუნას, იდუმალებით აღსავსე მწერლის ოცნების ღიმილიანი დედაკაცის სახე, რომელშიც თავი მოუყრია მთელი ეპოქის გაურკვევლობა. – და ყოველივე ამის ფონზე ბრწყინვალე ხატივით გამოჩნდება ჯენეტ-ხანუმის პორტრეტი.

„მის სახეს რაღაც იდუმალი დარდის იერი გადაჰქვრია. თვალების ჩრდილები გაღრმავებია, თუმცა ეს მომეტებულ სინაზეს აძლევს მის ფართე, უმოძრაო, მელანქოლიურ თვალებს“.. და რა საუცხოო შადარებაა: „როკავდა ჯენეტის ტანი — ქარისაგან ატოკებული ნაძვი ურთხელებს შორის“..

- და კვლავ საოცარი ფერების სიმბოლიკა და კვლავ მოძრაობა, სიჩქარე ორომტრიალი: „ქალები ჩემს გვერდით, ჩემს წინ, ჩემს პირდაპირ, ჩემს უკან. მოძრავე, მრგვალი დაპუდრული კისრები, ლოყები. თვალები ღია, ცისფერი, მისაკისფერი, ლურჯი, რჩხია, სათის თვალები. აქ ვხედავ იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, ბალკანეთის მზის ბრწყინვალეობას და ნისლიან აისებს, ინგლისსა და შოტლანდიის ზღვების ფირუზნარევე ჭრიალს ქალების თვალებში.“ -და ფერთა სიუხვეში იკვეთება ლამაზი პოეტური ფიგურა თხრობისა, გრადაცია, რომლის დასაწყისი შეიძლება მოხდენილ ელიპსად მივიჩნიოთ.

მხატვრის ჯადოსნური ფუნჯის მოსმით ხატავს კ გამაახურდია მანდილოსანთა შესანიშნავ პორტრეტებს. ფერთა იდუმალეობა ჩაჰრილა ნუნუს („ვაზის ყვავილობა“) სახეშიც: „სპილენძისფერი სახე და დიდრონი მუქლურჯი თვალები ფერთა უცნაურ სიმფონიას ქმნიდა. ამას ზედ ერთვოდა შვინდით წითელი ზემოტუჩის კუთხეებში პაწია, ოდნავ საჩინო ბუსუსები და მარცხენა ლოყაზე ხალი“. აბა, რომელი მხატვარი შეეცდება, დახატოს სუსქიამთები, რომელებიც „მოაგონებდნენ კორინთელს საამურ ფერს ალისას, რომელსაც გამოსცემს ხოლმე ცეცხლშემოგზნებული წალამი ვაზისა“.

კ გამაახურდია განსაკუთრებულ მნიშვნელობას სახისა და აღნაგობის სიმშვენიერის გარდა ხელების სილამაზეს ანიჭებდა ასეა შორენასთან, დედისიმედთან თუ მარიამთან. „მე მუდამ შეყვარებული ვიყავი ვიღაც უცნობ ქალზე, იმ ქალს სწორედ ასეთი თეთრი, კასკაა კანი უნდა ჰქონოდა, ასეთი საფირონისფერი თვალები, ასეთი ხელები, სწორედ ასეთი ხელები“.. — წერს იგი „კლარაში“. შემდეგ „ლილში“ განაგრძობს ავტორი: ლილმა „თავისი შეუდარებელი ხელებით დამისხა იგი (მე არ მგონია კნიდოსელი აფროდიტეს მოტეხილი მარჯვენა ამ ხელზე ლამაზი თუ იქნებოდა)“.

„დავით აღმაშენებლიდან“: „ამ საღამოს მარიამ დედოფალიც დაჩრდილავ. ორბელიანის ქალმა „ხელებით, მხოლოდ ხელებით“, — ამბობდა შინაბერა შიმუნვარი შერვაშიძის ასული მზისავარ. ოდნავ, ოდნავ ტლანქი ხელები ჭონდა მარიამს მართლაც ლოპოტის

მარმარილოსავით თეთრი იყო წალმა მხარეს მისი [დედისიმედის] ხელი, ხოლო მეორე მხარეს ოდნავ ვარდისფერი, გრძელ-გრძელი თითები, ნუნების დასაწყისთან ოდნავ ზეაზნეკილნი“. ამ დახასიათებაში, ხელების ყოველ შტრიხში მისი მფლობელი ქალის სული ჩანს და უცებ გვაგონდება ლ. გუდიაშვილის ქართველი ქალების ნარნარი ხელები და თითები, სწორედ ისეთი, დედისიმედს რომ ჰქონდა: „ხელები რძიარძიასავით თეთრი, და გრძელი თითები, სწორედ ისეთი, როგორსაც ანგელოზებისას ჰხატავდნენ ხოლმე ფრესკის ოსტატები იმჟამინდელნი“. გიორგი მეფემ „როცა ჭიხვი გამოართვა, ნუშის გულივით თეთრ ხელებს დაჰხედა, ასეთი ხელებით მორთმეული საწამლაივც საამური იქნებაო ალბათ, ეს გაიფიქრა და გამოსცალა ჭიხვი“, ასეთი მშვენიერი იყო შორენას ხელები და სული. ლუიზას კი („გაოუყენებელი ბინოკლი“) „... მორგევივით დამხვილებულ ხელებზე კოტიტა თითები ესხა...“ ვარდისახარის („დიდოსტატის მარჯვენა“) შინაგან სამყაროს გამოხატავს ის, რომ მას — ოდნავ ტლანქი, თითქმის მამაკაცური ხელები ჰქონდა — ქართული კდემამოსილება შეიცნო ქალის არსებაში, როცა ურდ. აელმა („ევროპა გალიაში“), „არიშინის ქალის თეთრი და პატარა ხელი თავის ძალოვან მარჯვენაში ჩაბლუჯა“.

საინტერესოა ალიტერაციის შემთხვევებიც: „ცხრატბის ერისთავის მეუღლეს ცხრა ლამეც არ გაუთევიაო ქმართან“. („დიდოსტატის მარჯვენა“), ან კიდევ იქვე: „ყველაფერს შენ შემოგწირავ, შენ განაცვალებ, შორენა“, „ალის არილი“...

ქალის პორტრეტს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ნოველებში. თუ რომანებში უფრო ხშირია პერსონაჟის პიდაპირი დახასიათება, აქ უპირატესობა არაპიდაპირს ენიჭება. თუ შორენა, დედისიმედი, თამარი და სხვები თვით ტანსაცმლის ნიუანსებიდან დაწყებული დახასიათებულია ერთბაშად შექმნილ სიტუაციასთან და გარემოსთან შეფარდებით, ნოველებში ასეთი რამ იშვიათია. მოქმედი გმირის, უფრო კი ქალის, ხატება იკვეთება მთელი თხრობის მანძილზე, გარდა გარეგნული დახასიათებისა, მოქმედებებში, მეტყველებაში, ქცევის მანერაში იხატება მისი სულიერი სამყარო და ბოლოს წარმოგვიდგება ისეთი სრული პორტრეტი, რომლის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმ ამბებსა და პრობლემებზე, რაც ნოველის მიღმა დარჩა, შეიძლება თავისუფლად ვივარაუდოთ ქალის წარსული და მომავალი. ამას ხელს უწყობს ავტორისეული ჩართული აზრებიც.

ნოველებშიც უხვადაა მხატვრული შედარებები და ეპითეტები,

ფერთა საოცარი სიმბოლიკა აი, როგორ ახასიათებს უცნობ ქალს აეტორი „ქალის რძეში“: „ხვლიკისფერი, დიდრონი, მშველის თვალები გაახილა, შემომხედა. როგორც ორი ღამის პეპელა ფარფალებდნენ მისი გრძელი წამწამიანი თვალები. სწორედ ასეთ თვალებზე უთქვამს ბრძენს, „მშვილდოსნობა აბზაზთაგან უსწავლიათ“. მეტაფორა: „სპილენძისფერი ალის არილი საოცრად ლიცლიცებდა ღიმილის ელვით განახლეთ ბაგეზე იგავმიუწვდომელი მშვენება წარმოუდგა თვალწინ მხატვარს.“ — მზეთუნახავთა შორის უტურფესო, ედემის ვარდო, სანატრელო და სანუკველო, მწყურის ნექტარი შევისრუტო ტუჩისა შენის ტკბილი სურიდან, ედემის ვარდო, მზეთუნახავთა შორის უტურფესო“ („სიბრძნე სიცრუისა“). ეს ნაწყვეტი მდიდარია ღამაში ეპითეტებით, შედარებებით, არის მოხდენილი ჰიპერბოლა, პოეტური მიმართვა. ასეთი შემთხვევა ხშირია კ. გამსახურდიას პროზაში, რაც პოეტური სულისა და თხრობის მიმზიდველობის საფუძველია.

ღიმილნარევი ირონია იგრძნობა ლუიზას დახასიათებისას ნოველაში „გამოუყენებელი ბინოკლი“. „მე რაღად მინდა ეს ბინოკლი, ჩემი ცოლის სისულელეებს უბინოკლოდაც კარგად ვხედავ“ — ამბობს აბესალომი. ნაწარმოებში ქალის მახინჯი სულისა და გარეგნობის, სევანეთის გოროზი ბუნების ფონზე საბოლოოდ იკვეთება აზრი, რომ „არაფერი ისე სასაცილოდ არ აჩენს ადამიანს, როგორც ხელოვნება, როცა მისადმი მოწოდება ეცის არ გააჩნია“. ვიუტი ლუიზას პორტრეტის დასახატავად კ. გამსახურდია შესაბამის მხატვრულ ხერხს იყენებს. მხოლოდ ლუიზას თუ დამშვენებდა ასეთი შედარებები და ეპითეტები: „დაბალი, სქელი, კისერმოკლე და ქართული „ო“-სავით ფეხებმოკცეული დედაკაცი იმ თოჯინებს ჰგავდა, ავლაბრელი ხელოსნები რომ აკეთებენ ხოლმე ბაზარზე გასატანად მორგევიით დამსხვილებულ ხელებზე კოტიტა თითები ესხა. სწორედ ისეთი, როგორიც კლავიშებს არ უდგება არასდროს საულვაშზე შავი ბეწვი ამოსვლოდა, ახლად შეღერილ ბიჭუნას რომ ამოსდის ისეთი“. მგავსი ირონია შეიმჩნევა თხრობაში, როცა კ. გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენაში“ გიორგი I-ის კარის საზოგადოების ქალებს ახასიათებს, სწორედ იმ ქალებს, რომელთაც ცხვილოსციხის პატრონის მეუღლე ცოქალა, მეფის ხარკა, ამშვენებდა, „უზადოდ მშვენიერი სხეული ჰქონდა მას, მაგრამ თევზისებრ თვალები უქკუო გამომეტყველებას აძლევდნენ პატრონს, (ამიტომაც „თევზისფერი ძროხა“ შეარქვა მეფე გიორგიმ ცოქალას)“. რა უფერულია მთელი თავისი სიმდიდრითა და სიღამაზით მანდილოსანთა

ეს კრება შორენას გვერდით. ყოველი მათგანი ხომ ხელმწიფესთან დაახლოებას მიეღწეოდა მსგავსი შემთხვევები „მთვარის მოტაცებასა“ და სხვა ნაწარმოებებშიც არის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ირონია იგრძნობა ავტორის თვალსაზრისიდან. ის უმეტესად საკუთარი პოზიციიდან აფასებს მოვლენებს. კითხვისას არა ერთხელ შევიგრძნობთ კ გამსახურდიას ცინიკურ თუ ირონიულ გამჟღავნებებს ამას თუ იმ პერსონაჟის მიმართ.

შორენას ალეგორიული სახე იკვეთება ავაზაში, როცა ფარსმანი გააფრთხილებს მეფეს: „გაქცევა იცის-მეთქი შემოჩვეულმა ძუშ“, „ზოგიერთი დიაცი ამითაც ჰგავს, მეფეც ბატონო, ავაზას,“ — ასე უბასუხა გიორგის შეკითხვას მან და „ავაზას ხსენებაზე კოლონკელიძის ქალი გაახსენდა მეფეს, ფარსმანის იგავის შინაარსსაც მიწვდა...“

რაც შეეხება პერსონაჟის მეტყველებას, კ გამსახურდიას ნაწარმოებებში ის დახვეწილი, მაღალმხატვრული და საამო მოსასმენია. ეს ითქმის რომანებისა თუ ნოველების გმირ ქალებზეც. მიუხედავად იმისა, თუ რომელი ფენისა და საქართველოს რომელი კუთხიდან არიან ისინი, ყველანი ლიტერატურული ქართულით მეტყველებენ. ეს ალბათ ნაოცნებარის რეალურად წარმოდგენის მწერლისეული მცდელობაა. ასეც უნდა იყოს. ლიტერატურული ენა იყო და ყოველთვის იქნება საქართველოს ერთიანობის ერთ-ერთი ძლიერი საფუძველი და მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი ფაქტორი.

კ გამსახურდიას შემოქმედების ენობრივი თავისებურებები მეტად საინტერესოდ აქვს განხილული ბ. ჯორბენაძეს წიგნში — „ბალავარი მწერლობისა“, სადაც აღნიშნულია, რომ „ამა თუ იმ პერსონაჟის ლაქსათებისას კ გამსახურდია უამიდანეთაზე მიმართავს დიალექტიზმებსაც“, თუმცა ეს ძალზე იშვიათია. შესაბამისი კოლორიტის წარმოსაჩენად მწერალი იყენებს მეგრულ, სვანურ და აფხაზურ ფორმებსაც.

დიალექტიზმის იშვიათი, მაგრამ მაინც მრავლისმეტყველი გამოყენება ემსახურება პერსონაჟი ქალის სოციალური მდგომარეობისა და განათლების დონის წარმოჩინებას მაგალითად: „გააქენე ცხენი-ყვიროდა დიაცი... ოჩანის ციხეს მათველოს ჯარი“, „როგორ შემეძლო ტყვეს მეფის მიერ წარმოგზავნილი შინ არ შემეშო“, — ამბობს ვარდისაბარი. ან კიდევ: „მენა? — მენა ორი. ტყულები? — ტყულები. მიუგო დარცხენით დიაცმა“. „შენ ვინ იქნები, ქალავო?“ — კითხულობს მეფე გიორგი, როცა მის ვინაობას ფარავს აი, როგორ მეტყველებს „ხოგაის მინდიაში“ სამხივარა: „რაი მაგდის, მინდიავე, რაი? გირჩევ, გონს

მახვიდე, გონს. ცხენიჰამია ქისტებ ხომ არ გადაგარჯულეს? შგავსი მაგალითები კ გამსახურდიას შემოქმედებაში ძალზე მცირეა.

პერსონაჟი ქალების მეტყველებაში ელინდება მათი შინაგანი სამყარო, ნიჭიერება, აზროვნების უნარი, განწყობა და რეაქცია ამა თუ იმ მოვლენაზე, ოცნებები და შექმნილი გარემოების შეფასების უნარი. მხოლოდ მარიამს შეიძლებოდა ეთქვა („დავით აღმაშენებელი“): „იცოდე, ლიპარიტ, სხვის ქვეყანაში არ გაათხოვო ქალი, მე გვეყოფი მაგალითად თუნდაც, ორი კეისრის ცოლყოფილი ვარ, ნეტავ რომელიმე ქართველ მეჭადგისათვის მივეთხოვებინე განსვენებულ მამჩემს“. მწერლისეული მეტყველების ამაღლებული სტილი, თხრობის დარბაისლური, თავდაკერილი მანერა, საოცარი მხატვრული ხერხები — შედარებები, ეპითეტები, მეტაფორა თუ ჰიპერბოლა აქაც სამკაულებად მიმობნეულა. მხოლოდ მადამ როსტრუპს შეიძლებოდა ემსჯელა ასე („პორცელანი“): „აღმოსავლეთი ჩემი ოცნების ქვეყანაა. მე სულ ინდოეთის, იაპონიისა და ჩინეთის ფერები მელანდება. ჩვენი ცა, ჩვენი ზღვა, ფრიალ ღარიბია ფერადებით— ყველაზე უფრო დასავლეთ ევროპის ღრუბლები ღარიბების ბაღში გაფენილ შჩერებივით წვირიანი და დაგლეჯილი. მე იაპონელების და ჩინელების მხატვრობა მიყვარს. ისინი არასოდეს ხატავენ ჩიტს ისე, როგორც ეს ბუნებაშია, არამედ ჩიტს მუდამ ტრანზიტორულ მომენტში. საერთოდ ჩვენი ევროპული რეალიზმი მძაგს, ბანალური რეალიზმი“.

პერსონაჟის ენა — ეს არის ბოლო შტრიხი, რომელიც საბოლოოდ ასრულებს გმირის პორტრეტის წარმოდგენას, რითაც იგი საბოლოო სრულყოფას აღწევს და მკითხველის წინაშე ცხადად წარმოდგება რეალური სახე პიროვნებისა, რომელიც შემოქმედი მწერლის ნიჭიერების ნაყოფი და მისი სიდიადის დადასტურებაა.

—და კვლავ პოეტური გრადაცია („ფოტოგრაფი“): „მის გარშემო მწვანე შლიეფიანი ზანგის ქალები ცერებზე დადიოდნენ. ცეკვავდნენ. ხტოდნენ. როკავდნენ“— მხატვრული მიმართვა, პოეტური განმეორება და ლამაზი შედარებები: „შენ არც ქალი ხარ და არც კაცი, ხვარამზე მზეთუნახავო, მაგრამ შენი ბეჭები უფრო განიერია, ვიდრე ბისკაიას ვაჟების მხარბეჭი, შენ არც ქალი ხარ და არც ვაჟი, მაგრამ შენი მუცელი უფრო თეთრია, ვიდრე გვირილა, სატურთიას სერზე მოსული, ხვარამზე მზეთუნახავო“ („ტაბუ“). შთაბეჭდილებას აძლიერებს ლირიკული გადახვევა და მწერლის თვალსაზრისის შეკრა ეპითეტებით დატვირთულ დანახაობებში: „—მაღალი, აშოლტილი ქერა გოგონა თან ახლავს (ასეთ

ქერებს დასავლეთ საქართველოში შეხედებით ხოლმე). სექტემბერში მოწეული ჩალისფერი თმა, ისრიმისფერი თვალები. ისინი მე ვერ მამჩნევენ, მე კი ბნელი კუთხიდან ვაკვირდები ორივეს და დანამდვილებით ვამბობ: ეს უთუოდ ქართველი ქალია, რომელსაც პირველად შეუცდა ფეხი ასეთ რესტორანში (სჩანს, იგიც ატავისტურ გრძნობის ძალას აპყობია)“ („დიდი იოსები“). პარალელიზმი: „ხომ არაფერი ისე საინტერესო არ არის, როგორც გამიშვებული ადამიანი, არც თუ რამეა მასზე უსასიზღრესი ამ ქვეყნად“... („დიდი იოსები“). პოეტური მიმართვა: „ცრემლო! შენ ალამაზებ მწუხარებით დათუთქულ სახეს, ადამის მოდგმაში თვით უმახინჯეს კაცისშვილისას, ცრემლო! შენ რთვილი ხარ დაგოლვილ გულთათვის, ცით მონაბერი“. ...და ისევ საოცარი შედარებები, ეპითეტები, ფერთა ორომტრიალი („დიდოსტატის მარჯვენა“): „სამეფო ბაღში ირანული ვარდები გაშლილიყვნენ, სისხლივით წითელი ზოგნი, ნუშისგულივით თეთრნი, მოყვითალონი სხვანი, ყვითელი კი არა, ძველთუძველესი სპილოსძვლის ფერისანი. ჰყვოდნენ ბაღის ყაყაჩოებიც. სუსამზარები და ნარგიზები, ნაირ-ნაირი მიხაკები, რომელთა ფერების ასაწერად წამალი არ ეყოფოდა ადამიანის სიტყვას. იისფერნი, მზისფერი, სინგურისფერნი, ყრუნნი, მოწითანო, მოლურ-ჯო და საესებით ლურჯნი, კარაქისფერნი და ხოხბის ყელისფერნი, ფარშევანგის ბოლოსებრ მოხატულნი, ჰინდური ყვავილები ნაირ-ნაირნი ტალავერებზე მიშვებულნი იყვნენ ხატაური გლიცინიები და ხვიარები სხვადასხვა ჯიშისა“. ეს ზღაპრული აღწერილობა საოცრად მშვენიერი ბაღისა თითქოს სიმბოლოა, განსახიერებაა იმ ლამაზმანებისა, რომლებითაც ასე მდიდარია კ. გამსახურდიას შემოქმედება. „...ენის თაობაზე გამართული დიდგორის ბრძოლა მოგებულია და იგი კონსტანტინე გამსახურდიამ მოიგო“, — მართლაც სამართლიანად წერს ე. მაღრაძე წიგნში „გულითა მართალით.“

დასკვნა

კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების არსი და მიზანი შრომებელი ერის სამსახური იყო. მიუხედავად იმისა, რომ მეტად მძიმე პერიოდში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა, იცოდა, რომ მთელი ისტორიის მანძილზე ბედნიერი, დამშვიდებული ცხოვრება საქართველოს იშვიათად ჰქონია და მის საკეთილდღეოდ „კალმისმიერი გმირობა ისევე საჭიროა, როგორც ხმლისმიერი“.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში საოცარი მიმზიდველობით არის დახატული ქალთა სახეები. რომანებსა თუ ნოველებში მათი მრავალფეროვანი სამყაროა მოცემული. მწერალი დიდი ოსტატობით გვიჩვენებს ქალთა დადებითსა თუ უარყოფით თვისებებს, თუმცა ამ ადამიანებს აერთიანებთ ერთი, ყოველ მათგანში თავისი ეპოქის სულია ჩაღვრილი. მწერალი შესანიშნავად ხატავს ნამდვილ ქართულ ეროვნულ ტიპებს.

გარდა ქართველი მანდილოსნებისა, თავისებური ოსტატობითაა ნაჩვენები ევროპელ ქალთა სამყარო, უმეტესად საფრანგეთისა და გერმანიის საზოგადოებიდან, სწორედ იმ გარემოდან, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდია კარგად იცნობდა, მის ცენტრში ტრიალებდა და ნათლად ხედავდა აქაა თუ კარგს მწერალმა ორმხრივ ასპექტში წარმოგვიდგინა ისინი. განსაკუთრებით ნოველებიდან აშკარაა, რომ ავტორი მათ შესცქერის ერთი მხრივ, ქართველი კაცის თვალით და მეორე მხრივ, თანამედროვე ევროპელი საზოგადოების პოზიციიდან. აშკარა ხდება, რომ ეს ორი თვალსაზრისი მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან და საკმაოდ განსხვავდება თუნდაც ერთი და იგივე ქალის სახე ამ ორი თვალსაწიერიდან.

კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებში დიდი მხატვრული ოსტატობითაა დახატული მანდილოსნები, რომლებიც ამქვეყნიურ მშვენიერებასა და სიცოცხლის მარადიულობას განასახიერებენ და თავიანთ არსებაში ღვთაებრივ საწყისებსაც აერთიანებენ. ძველი აღთქმის მიხედვით, ქალი, როგორც სიცოცხლის შემოქმედი და სათავე, თვით ცხოვრებაა: „და უწოდა ადამ სახელი ცოლსა თვისსა ცხოვრება, რამეთუ იგი არს ღვთაება ყოველთა მაცხოვრებელთა“. ასეთივე თვისებებს ატარებენ კონსტანტინე გამსახურდიას ქალები რომანებიდან თუ ნოველებიდან.

კ. გამსახურდიას შემოქმედება — ეს არის მეტად რთული სამყარო

ორიგინალური გმირებისა და ხასიათებისა. შემოქმედმა ყოველ მათგანს შესაბამისი ქარგა და ფორმა მოუძებნა და ქალთა სახეების შესანიშნავი გალერეა შექმნა. დიდი ოსტატობით ხატავს მწერალი მათ გარეგნობას. კ. გამსახურდიას შემოქმედებით სამყაროში აშკარად ბატონობს სილამაზის კულტი, მანდილოსნების დიდი ნაწილი უმშვენიერესია. საოცარი სიტყვიერი სამკაულით ამკობს ავტორი ქალთა პორტრეტებს ისე, რომ ნებისმიერი მხატვარი შეძლებს მათი იერ-სახის სრულ დახატვას. მწერალი აქცენტს აკეთებს ხასიათის ყოველ მხარეზე და გვიჩვენებს პიროვნულ თვისებათა როგორც დადებით, ასევე უარყოფით შტრიხებს; მათი ინდივიდუალობა არ გამორიცხავს მსგავსებას საზოგადოებასთან. ყოველი მათგანის ბედს განაგებს ის გარემო, სოციალ-ეკონომიკური წყობა, რომელშიც ცხოვრობს და ისტორიული ეპოქაც თავისებურ ელფერს აძლევს მას.

ყოველ სტრიქონში იგრძნობა, თუ რა დიდი შრომა გაუწევია მწერალს, სანამ ასეთ სრულყოფილ სახეებს შექმნიდა. იგი ღრმად ჩაწვდომია ქალთა არსებას. ამას ისიც მოწმობს, რომ ამა თუ იმ პერსონაჟის სახე ნათლად ჩანს მის ლექსებში, ზოგიერთი მათგანისათვის ცალკე პოეტური ნაწარმოებიც მიუძღვნია. „ძაბული“ (1936 წ.) — გლეხის ქალი ძაბულია „მთვარის მოტაცებიდან“, „მგლოვიარე ასულისადმი“ (1928 წ.) — მარიამ დედოფლისა („დავით აღმაშენებელი“) და მანანა არიშანის („ევროპა გალიაში“) ასოციაციას იწვევს, 1919 წელს დაწერილი „ფოტოგრაფის“ საზოგადოებრივი ორომტრიალი და გაურკვეველობა გადასულა ლექსში „პარიზი 1919 წელს“, „REQUIEM“-ის (1928 წ.) დედა — ეს განზოგადოებული სახეა კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებში გამოყვანილი დედებისა, „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას“ (1938 წ.) — აქ შორენაა გამოყვანილი, თუმცა მასში შეიძლება დავინახოთ მშვენიერი ლილ, მადამ როსტრუპ. „რკჰმანის მონოლოგში“ (1938-39 წ.წ.) აშკარად იკვეთება დედისიმედის სახე, მასზე უიმედოდ შეყვარებული დავით აღმაშენებლის ფიქრები. ლექსის მეორე ნაწილში თვით ავტორი მიმართავს მეფეს, აქვე ეკითხულობთ პოეტურ შედარებებს, ხატოვან ფრაზებს „დავით აღმაშენებლიდან“: „სამარადღეამოდ დარჩი ჩემთვის დახშული მტილი“, „ტრემლი დიაცთა ლოდსატყორცნია, არავის შეჰყრია ჯერ მწუხარება, რომელიც დროს არ წარუხორცნია“. ლექსში „საქორწინო“ (1956 წ.), რომელიც მეგრული ფოლკლორის მოტივზეა დაწერილი, აღწერილია ის მდიდრული მზითვეი, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას

იშვიათი ოსტატობით აქვს მოცემული „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენასა“ და „დავით აღმაშენებელში“. შემოქმედის პროზაში თამამადაა შექრილი პოეტური ნაკადი, რაც უფრო მეტ მიმზიდველობას მატებს როგორც ნაწარმოებს, ასევე მის გმირებს, განსაკუთრებით კი ქალებს.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში გამოყვანილი თითქმის ყველა ქალი მხოლოდშობილია (ეს საერთოდ სხვა პერსონაჟებზეც ითქმის), ამით მათ უფრო მეტი როლი და პასუხისმგებლობა აქვთ დაკისრებული ცხოვრებაში. ბევრი მათგანის გაჩენას შესწირვია დედა (დიონისოც დედის სიკვდილის დროს დაიბადა). დედისერთობას თან გასდევს ერთგული მეგობრის, ქვშმარიტი სიყვარულის ძიების იდეა, რისკენაც ისწრაფვის ყოველი ქალი, მაგრამ მამაკაცის სიახლოვეს ბედნიერებას ვერ პოულობს. კონსტანტინე გამსახურდიასთან ვაჟკაცი დემონურ ძალას განასახიერებს, რომელიც არღვევს მშვენიერთა სქესის წარმომადგენელთა მყუდროებას თუმცა ნოველებში იკვეთება, რომ არც მანდილოსნები ახდენენ ნაკლებ ზეგავლენას მამაკაცის ცხოვრების გზაზე. მათ ხელშია ის თილისმა, რომელსაც ადამიანის პირადული ბედნიერება ჰქვია. ...და რადგან ცხოვრება ბრძოლაა დაუცხრომელი, კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებსაც რეალური დასასრული აქვთ, სწორედ ისეთი, როგორც ცხოვრებაში ხდება ხშირად, რადგან სიცოცხლე არასოდესაა აბსოლუტურად ბედნიერი და ის არასოდეს მთავრდება ქართული ზღაპრებივით ლამაზად.

კონსტანტინე გამსახურდიას ბელეტრისტიკაში ქალთა დიდი უმრავლესობა უძველესი არისტოკრატიული გვარების შთამომავალია და ნათლად წარმოგიდგენენ თავიანთი ცხოვრების დეკადანსს დაბალი წრის ქალები მათთან შედარებით მკრთალად არიან დახატული, თუმცა არც მათ აკლიათ სიცხადე და რეალურობა, მაგრამ მთავარ სიუჟეტურ ხაზს არ წარმართავენ. „მემკთიანენი ფრიად ტუნწად გვაწვდიან ცნობებს ხალხის ცხოვრების ვითარებათა შესახებ... ამ ქრონიკებში არ მოიპოვება სწორედ ის დეტალები, რომელნიც ეგზომ ესაქიროება ისტორიულ მასალაზე მომუშავე მწერალს ერის სოციალური წყობილების, წოდებათა ურთიერთობის გამოსავლენად და გამოსახატავად“, — წერს კონსტანტინე გამსახურდია და ამ მხრივ მწერლის გამტყუნება არ შეიძლება. გამართლებულადაც არ შეიძლება ჩაითვალოს ის შენიშვნები, რომლებსაც ამის გამო იძლეოდნენ კრიტიკოსები, თითქოს მწერალი ერიდებოდა ამ ფენის დახატვას ამ წოდების ქალთა სამყარო ჩვეული

ოსტატობით გვიჩვენა მწერალმა „მთვარის მოტაცებაში“, „ვაზის ყვავილობასა“ და არა ერთ ნოველაში.

რომელი წოდების წარმომადგენლებიც არ უნდა იყვნენ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ქალები, მათ არ იციან, რა არის მყუდრო ოჯახური ცხოვრება, წყნარი იდილია; სიცოცხლესაც ადრე ეთხოვებიან, თუმცა ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ავტორის იდეური ჩანაფიქრი — ამ მანდილოსნების წრე გნაგრძობს თუ არა ცხოვრებას, იმარჯვებს თუ არა იდეურად. ხაზი ესმება მებრძოლი პიროვნების ტრაგიკულ ხვედრს. არც მას რჩება ბედნიერი გზა, ვინც უკვალოდ იკარგება თბრობიდან (ელენ რონსერი, ჯენეტი, დედისიმედი, ვარდისახარი, მედეა, ნოველათა გმირი ქალები...) ასეთები მორალურად განადგურებული, რწმენადაკარგული ადამიანები არიან, რადგან ჯერ არავის გაუმარჯვნია ცხოვრების ორომტრიალთან, წუთისოფლის უკუღმართობასთან ბრძოლაში, რადგან სიცოცხლე „საათია და ციფერბლატი“ — რომელიც ერთხელ აუცილებლად გაჩერდება, ყველაფრის ბოლო სიკვდილია და დრო კი ყველაფერს წარხოცავს. ეს განწყობა განსაკუთრებით იგრძნობა მწერლის ადრეულ ნოველებში. ის ქალები კი, რომლებიც ცხოვრების სირთულეებთან ბრძოლაში გამარჯვებულები გამოდიან (ძაბული, ნუნუ-), თუმცა რჩებიან, მაინც ახალი წინააღმდეგობების მოლოდინში არიან...

როგორც თითქმის ყველა პერსონაჟი, ქალებიც უმთავრეს პასუხისმგებლობას, უპირველეს ყოვლისა, სამშობლოს წინაშე გრძნობენ, თუმცა გვხვდებიან ისეთი მანდილოსნები, რომელთა სულიერი სამყარო ლუიზას („გამოუყენებელი ბინოკლი“) აზრების მსგავსია. ეს ითქმის მედეასა და ვარაზეც „ვაზის ყვავილობიდან“.

მანდილოსანთა ბოხოქარ ცხოვრებაში მაინც ბედისწერაა განმსაზღვრელი. ერთგული, კეთილშობილი და მწარედ შეყვარებული ქალები უდრტყინველად ემორჩილებიან განგების განაჩენს, რადგან „ურმით დადის ბედისწერა ამქვეყნად“ — და არავინ იცის, როდის წამოეწევა იგი.

ნოველებისაგან განსხვავებით, რომანებში ყოველ ქალს გააჩნია თავისი ტოტემი, აქვს ნაწილი, სადაც მისი პარციალური სულია: შორენა, დედისიმედი, სუსქია — ფურ-ირემი, რომელიც ძველ ქართულ მითოლოგიაში მშვენიერების სიმბოლოა; ძაბული — ბელურა; ნუნუ — ვაზი; ჯენეტი — სმარაგდი; სუსქია და თამარ შერვაშიძე — ნაწნავები... ასევე შეიძლება დავაკავშიროთ მადამ როსტოპუ და

პორცელანი (ნოველა „პორცელანი“).

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში გამოყვანილი მანდილოსნები, როგორც მხატვრული სახეები, ენათესავებიან ერთმანეთს ეპოქა განსხვავებულ, დამახასიათებელ იერს აძლევს პერსონაჟებს, მაგრამ არსებობს შინაგანი დამაკავშირებელი ხაზი. მაგრამ ეს გარემოება ქალებს არ აკარგვინებს გარკვეულ ინდივიდუალობას, ხასიათის თავისებურებას, რომელიც მათ საოცარ გმირთა სახეებად აყალიბებს. იგრძნობა, რომ ისინი, როგორც საქართველო, შორეულ ეპოქაში იწყებენ ცხოვრებას, შემდეგ ვითარდებიან და იცვლებიან დროსთან მიმართებით. „დიდოსტატის მარჯვენის“ ესა თუ ის სახე დასრულებულ გამოხატულებას პოულობს XX საუკუნეშიც.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ნათლად ჩანს, თუ რა მაღალ დონეზე დგას დედაშვილური სიყვარული. მწერალს არ გამოუყვანია არც ერთი უარყოფითი დედის სახე. საწინააღმდეგო რამ არც იქნებოდა დამაჭერებელი ქართული სინამდვილისათვის გამონაკლისია მხოლოდ ქეთუა „ვაზის ყვავილობიდან“, თუმცა მასშიც იღვიძებს მოვალეობის გრძნობა და ცდილობს, თავისი ავადმყოფი შვილის მოვლა სხვას გადააბაროს, ასე რომ, მისი მთლად უყურადღებოდ დატოვება არ შეუძლია. ყოველ გმირს თან სდევს დედაშვილობის ფაქტიზი გრძნობა. ისინი, ფარულად თუ აშკარად, გულით დაატარებენ დედის სიყვარულს. ნოველაში „დამსხვრეული ჩონგური“ მიმზიდველად არის წარმოდგენილი წმინდა ქართველი მანდილოსნის შინაგანი სამყარო, რომელსაც უდიდეს ღვთიურ ჭილოდ დედობა მიაჩნია და ყველა გრძნობაზე წინ დედობრივ სიყვარულს აყენებს. მსგავს დედათა სახით ჩვენს წინაშე წარმოდგება ზნეობრივად ამაღლებული, წმინდა ქართველი ქალი, ქალი — როგორც მშობელი და ქალი — როგორც ძიძა, უანგარო მოსიყვარულე აღმზრდელი. ეს ორი მოვალეობა ხომ ქართველისათვის დედობრიობის ორი განუყოფელი მხარე იყო.

განცალკევებით დგანან უცხოელი ქალები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მათილდა („ევროპა გალიაში“) — გერმანელი ქალიშვილი, რომელიც საქართველოში აღიზარდა. სხვებთან შედარებით აშკარაა, თუ რაოდენ შეუუცლია იგი ქართულ სამყაროს. თუმცა მის შინაგან სამყაროში ბევრია მკაცრი გერმანული აზროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებები, ხასიათის თავისუფლება, მაგრამ ბუნებით მაინც სათნო ქართველი ქალია, რომელიც ევროპულსა და ქართულს შორის გარდამავალ საფეხურზე დგას. მსგავსი რამ

შეიძლება ითქვას ლილზეც, თუმცა ის უფრო ქართულ ადათ-წესებს შეგუებული ევროპელია და მასში არ ჩანს ქართული სულის სიმშვენიერე.

უცხოელი მანდილოსნების სახეებს კ. გამსახურდია ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოების დასახასიათებლად იყენებს. ისინი ძირითადად განზოგადოებული ტიპებია და მკითხველს წარმოდგენას უქმნიან იმ ატმოსფეროზე, რომელიც გამეფებული იყო რომში, პარიზსა თუ გერმანიაში.

ქალის ხატების გავლენის გარეშე არც კ. გამსახურდიას ესეები დარჩენილა. ავლენს რა მსოფლიოს ლიტერატურისა და ხელოვნების უდიდესი კორიფეების შემოქმედებათა ბრწყინვალე ცოდნას, მწერალი ნიჭიერი კრიტიკოსის თვალთ მიმოიხილავს მათ მხატვრულ მემკვიდრეობასა და ყოველ მათგანზე ქალის ძლიერ გავლენას. არა ერთ ხელოვანს შეაქმნევინა უკვდავი კმნილება უძლეველმა სიყვარულმა ოცნების იდეალური მანდილოსნის მიმართ — იქნებოდა ეს დედა, მიჯნური თუ საერთოდ მეგობარი. ყოველი მათგანის თავისებური ძლიერი გრძნობა, გარეგნული სილამაზე თუ სულის სიმშვენიერე უკვდავყოფილია დანტე ალიგიერის, გოეთეს, ბაირონის თუ სხვათა საოცარ კმნილებებში. კ. გამსახურდია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პერსონაჟი ქალის ხატვის უნარს. ამას განსაკუთრებით აღნიშნავდა იგი თავის კრიტიკულ წერილებში და ეს შემოქმედებიდანაც აშკარად ჩანს.

„როცა ისეთ ეროტიულ გენიოსებზე ვწერთ, როგორიც იყო გოეტე ან ლორდ ბაირონი, არ შეიძლება ის ქალებიც არ ვახსენოთ, რომელნიც მათ ყურადღებას იპყრობდნენ ამა თუ იმ ეპოქაში“, — წერდა კ. გამსახურდია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი მწერლის ეპისტოლარულ მემკვიდრეობასაც. „ჩვენ საუკუნეს შესაძლოა არც კი ესმოდა, თუ როგორი განუსაზღვრელი სინატიფით სწერდნენ თავიანთ გულის დედოფლებს სიყვარულის უსტარებს — გოეტე და ლორდ ბაირონი. მე პირადად ამ ეროტიულ მიწერ-მოწერას მეტის სიამით ვკითხულობ, ვიდრე მრავალ პოემას, თუნდა ტრაგედიას ამ პოეტებისას“, — აღნიშნავდა ის და ჩვენთვის უკვე ცხადი ხდება, თუ საიდან მოდის ქართველ თუ უცხოელ შემოქმედთა სულში ღრმად წვდომის ისეთი იშვიათი უნარი, როგორიც კ. გამსახურდიას ესეებშია მოცემული.

წერილში „როგორ ვწერ“ კ. გამსახურდია გვიზიარებს მწერლობაში საკუთარ გამოცდილებას. მისი და ქალების ურთიერთდამოკიდებულებაზე

მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი მანდილოსნებთან ურთიერთობას შემოქმედებითი კრიზისის დროს არჩევდა. როცა „წერაზე გული ამეყრება — წერს ის, — ლამაზმანებს აეიყოლიებ და კონცერტს მოვისმენ სადმე. როცა შემოქმედებითი მუშაობით გართული ვარ, ქალთა სიახლოვეს გავურბივარ (გავოცდი, როცა სევანმა მონადირეებმა მითხრეს ერთხელ: ჯიხვზე სანადიროდ წასვლის წინ მთელი კვირა ქალს არ მივეკარებიო)“. ასე ძლიერი იყო მშვენიერთა სქესის სამყაროს გავლენა მწერალზე, რომელიც წერის დროს ერიდებოდა საზოგადოებაში ყოფნასა და ღვინის სმას. ამიტომაცაა, რომ კ. გამსახურდიას ქალები ნაოცნებარისა და რეალურის პარმონიული შერწყმად.

კ. გამსახურდია ცხოვრებაში ეძებდა თავის გმირებს „პოეტური გამოგონება ყოველთვის უსისხლო და უსხეულო გამოვა, თუ მას მიწიერების ნელსურნელება არ გადაჰკრავს... ჯენეტ ხანუმისა და სავარსამიძის პროტოტიპები ევროპაში შემხვედრია 1914-16 წ., ასევე ბრაჰმინის, აბსენტუნგისა, თადა ლანდიასი, დოქტორ ფატენპურის, ნოიჰაუზის, ხალილ ბეის, ფარეზის, საქართველოში კი ტაია შელიას, ქოსა გახუს, ექიმ შარუხიას და ლილის, ტაგუ სამუგაისი და სხვათა და სხვათა (რა თქმა უნდა, სახელსა და გვარს ვცვლიდი მუდამ)“. სწორედ ამ დიდი შემოქმედებითი გამოცდილებისა და ნიჭიერების შედეგია ის შესანიშნავი ქალთა სახეები, რომლებიც სამკაულივით ამშვენებენ მწერლის შემოქმედებას.

თუ თვალს გადავავლებთ XX საუკუნის ბელეტრისტიკას და ერთმანეთს შევუდარებთ მ. ჯავახიშვილის, შ. დადიანის, ნ. დუმბაძის და სხვა მწერალთა შემოქმედებას, აშკარად გამოჩნდება ქალთა სახეების განსაკუთრებული მნიშვნელობა ისინი ხომ ეპოქის სულს განასახიერებენ. ქალთა ეროვნული სახეების ხატვის მანერა ყველა შემოქმედს თავისებური აქვს, მაგრამ მათში, უფრო მეტია კუთხური ნიშნები, ამა თუ იმ მხარისათვის დამახასიათებელი თვისებები. კ. გამსახურდიას ქალები კი უფრო ზოგადი ქართული ტიპები არიან. ეს განსაკუთრებით ითქმის მთავარ გმირებზე, როგორიცაა შორენა, დედისიმედი, თამარ და მისთანანი ისინი თითქმის საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა ერთიანობას განსახიერებენ და ნათლად წარმოგვიდგენენ, როგორი უნდა იყოს გარეგნულად და სულიერად კდემამოსილი ქართველი მანდილოსანი. ამ მხრივ ყველაზე უფრო ვასილ ბარნოვის თინათინს, შუქიასა და მისთანებს უახლოვდებიან ისინი (რომანები „მიმქრალი შარავანდედი“, „ტრფობა წამებული“—), თუმცა განსხვავებაც არის ეს ბუნებრივითაც,

რადგან ყოველ დიდ მწერალს გმირის ხატის თავისებური, სხვებისგან განსხვავებული სტილი და მანერა აქვს.

„გარეგანი მშენიერებისა და სილამაზის მიღმა იმალება ბევრი საიდუმლოება“, — წერდა მწერალი ნოველაში „ლილ“ და ეს ფრაზა შეიძლება ითქვას კ. გამსახურდიას შემოქმედებაში გამოყვანილ სხვა ქალებზეც. მათი სუსტი მხრები ათასგვარი თავგადასავლებით დაუტვირთავს დროის დინებას. ყოველი მათგანის შინაგან სულიერ სამყაროს გარეგანი იერი უდგას ნილბად ისინი ილწვიან, მოქმედებენ და იღუპებიან, რადგან ასეთია მკაცრი სინამდვილე, ასეთია ცხოვრება, სადაც „ისარია მბრძანებელი და ციფერბლატი“.

ბიბლიოგრაფია

1. გამსახურდია კ. რჩეული თხზულებანი, რეპრომეული, თბ, 1958-1967 წ.წ.
2. გამსახურდია კ. რჩეული თხზულებანი, იტრომეული, თბ, 1973-1985 წ.წ.
3. აბულაძე მ., კონსტანტინე გამსახურდია, თბ, 1976 წ.
4. არაგვისპირელი ზ. მოთხრობები, თბ, 1961 წ.
5. ასათიანი გ. თანამდევნი სულები, თბ, 1983 წ.
6. ბარნოვი ვ. ტრფობა წამებული, ბათუმი, 1984 წ.
7. ბიქრაძე ა. მითოლოგიური ენგაღი, თბ, 1969 წ.
8. ბენიშვილი დ. კრიტიკული ნარკვევები XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე ნაწ. I, თბ, 1967 წ.
9. ბიზანტინოლოგიური ეტიუდები, თბ, 1978 წ.
10. გიწერელია ა. რჩეული ნაწერები, თბ, 1962 წ.
11. გელაშვილი ა. მითოლოგიური ლექსიკონი, თბ, 1986 წ.
12. გეორგიკა, თარგმანი და განმარტებანი ს. ყაუხჩიშვილისა, ტ. V, თბ, 1965 წ.
13. გეორგიკა, თარგმანი და განმარტებანი ს. ყაუხჩიშვილისა, ტ. VI, თბ, 1966 წ.
14. გვერდწითელი მ. მწერლებზე და მწერლობაზე, თბ, 1989 წ.
15. დავით ილმაშენელი, გალობანი სინანულისანი, თბ, 1989 წ.
16. იმედაშვილი კ. 30 წლის შემდეგ, თბ, 1977 წ.
17. თევზაძე დ. თანამედროვეობა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, თბ, 1964 წ.
18. თვარაძე რ. წიგნი და მკითხველი, თბ, 1971 წ.
19. კალანდაძე ლ. ლიტერატურული წერილები, თბ, 1972 წ.
20. კანკავა გ. ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები, თბ, 1969 წ.
21. კანკავა გ. ლიტერატურული წერილები, თბ, 1980 წ.
22. კვანჭილაშვილი ტ. ლიტერატურული წერილები, თბ, 1959 წ.
23. კვანჭილაშვილი ტ. ლიტერატურული წერილები და პორტრეტები, თბ, 1974 წ.
24. კიკიაშვილი თ. კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული პროზის პოეტიკა, თბ, 1982 წ.
25. კიკიაშვილი თ. პოეტური ნარკვევები, თბ, 1979 წ.
26. კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, თბ, 1959 წ.
27. მანი თ. მოთხრობები, თბ, 1966 წ.
28. მღორაძე ე. გოდები, ტ. II, თბ, 1983 წ.
29. მღორაძე ე. გულითა მართლით, თბ, 1983 წ.
30. მერკვილაძე გ. რომანი და ეპოქა, თბ, 1973 წ.
31. მერკვილაძე გ. მხატვარი და ეპოქის სამართლე, თბ, 1987 წ.
32. მძინარიშვილი დ. კონსტანტინე გამსახურდია, თბ, 1983 წ.
33. ფლნტი ბ. მწერლობა და თანამედროვეობა, თბ, 1976 წ.
34. რადიანი ზ. თანამედროვენი, თბ, 1965 წ.
35. სარგის თმოგველი, ვისარამიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. II, თბ, 1949 წ.
36. სიგუა ს. კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ,

1980 წ.

37. სიგუა ს, სიტყვი, როგორც ბედისწერა, თბ., 1986 წ.
38. სიგუა ს, ეპოქა და სტილის პრობლემა, თბ., 1976 წ.
39. სიგუა ს, მარტველი და ალმადარი, თბ., 1991 წ.
40. სიგუა ს, ლიტერატურა და ტრადიციის ბარიერი, თბ., 1988 წ.
41. უბლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწ. I, თბ., 1984 წ.
42. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დიდგენილი ს ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955 წ.
43. ლლონტი ზ, ლიტერატურული სილუეტები, თბ., 1972 წ.
44. შექაბიძე უ, თბზულებანი, ტ. II, თბ., 1985 წ.
45. შუშანიძე ე, კონსტანტინე გამსახურდიას სამწერლო გზა, თბ., 1970 წ.
46. შუშანიძე ე, კონსტანტინე გამსახურდია, თბ., 1976 წ.
47. ჩიჩუა ზ, რომანის თანამედროვეობა, თბ., 1988 წ.
48. ჩიჩუა ზ, რომანი და ხელოვნების საგანი, თბ., 1984 წ.
49. ცანავა ა, კონსტანტინე გამსახურდია და ხალხური შემოქმედება, თბ., 1970 წ.
50. ქავჭავაძე ა, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1948 წ.
51. ქილიაი ს, XX საუკუნის ქართული მწერლობა, ნაწ. II, თბ., 1959 წ.
52. ჭავჭავაძე ა, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1983 წ.
53. ჭავჭავაძე ა, თბზულებანი, თარგმეტრომეული, ტ. II, თბ., 1983 წ.
54. ჭანელაძე დ, ქართველი მზეთუნახავები უცხოეთში, თბ., 1983 წ.
55. ჭიბლაძე გ, კრიტიკული ეტიუდები, ტ. VI, თბ., 1981 წ.
56. ჭიბუტი ვ, თანამედროვენი, თბ., 1969 წ.
57. ჭოჩბენაძე ბ, ბილივარი მწერლობისა, თბ., 1987 წ.
58. თევზაძე დ, ერთი „რეცენზია — პასუხის“ გამო, კრიტიკა, №6, თბ., 1986 წ.
59. თენგერი ზ, კონსტანტინე გამსახურდია და თომას ბანი, კრიტიკა, №4, თბ., 1981 წ.
60. კანკავა გ, „დონისოს ლიმბის“ მითოსური სტრუქტურა, კრიტიკა, №2, თბ., 1983 წ.
61. კეკელიძე თ, ფერი გამსახურდიას პეიზაჟში, საბჭოთა ხელოვნება, №10, თბ., 1977 წ.
62. კიკნაძე ვ, კონსტანტინე გამსახურდიას ერთი პიესის გამო, საბჭოთა ხელოვნება, №5, თბ., 1983 წ.
63. მამაცაშვილი ნ, „ხოგაის მინდიას“ ზნეობრივი კონცეფციისათვის, კრიტიკა, №2, თბ., 1983 წ.
64. მღრმაძე ე, წარმატებული ცდა, კრიტიკა, №1, თბ., 1982 წ.
65. მღულაძე გ, დიდოსტატი, საბჭოთა ხელოვნება, №5, თბ., 1983 წ.
66. პაპასკირი ვ, ძველსა და ახლის კონფლიქტის რამდენიმე ასპექტი კ გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“, მიცნე, №1, 1978 წ.
67. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3, თბ., 1982 წ.
68. Диль Ш., Византийские портреты, т. I, Харьков, 1909 г.
69. Комнина Анна, Алексиада, Перевод и комментарий Я. Н. Люберского, М., 1965 г.
70. История Византий, т. II, М., 1967 г.
71. Успенский Ф. И., История Византийской империи, т. III, М. Л., 1948 г.

სარჩევი

შესავალი	3
თავი პირველი	10
ქალთა სახეები ისტორიულ რომანებში	
„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“	10
„დავით აღმაშენებელი“	24
თავი მეორე	46
ქალთა სახეები თანამედროვეობის ამსახველ რომანებში	
„დიონისოს დიმილი“	46
„მთვარის მოტაცება“	52
თავი მესამე	80
ქალთა სახეები კ. გამსახურდიას ნოველებში	
თავი მეოთხე	121
ქალთა სახეები კ.გამსახურდიას ესეებში	
თავი მესამე	142
კ. გამსახურდიას მხატვრული ოსტატობის საკითხები	
დასკვნა	155
ბიბლიოგრაფია	163